

აგვისტოს ნანგრევებში

აგვისტო • 2008



# აგვისტოს ნანგრევებში

>>

არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში
2008 წლის აგვისტოს ომის დროს
ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული
სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ

# აგვისტოს ნანგრევებში

## არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ

ნაშრომის შექმნაში მონაწილეობდნენ:
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“
ადამიანის უფლებათა ცენტრი
„21-ე საუკუნე“
კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი

თბილისი 2009

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ნაშრომი მომზადდა და გამოიცა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

თინათინ ხიდაშელის საერთო რედაქციით

სტატისტიკა და ანალიზი:
დავით მეტრეველი
ნოდარ კაპანაძე

საერთაშორისო კონსულტანტი:
ალექს უაიტინგი

რედაქტორი
ანა ჭაბაშვილი

დიზაინერები:
ალექსი კახნიაშვილი
ამირან ქინქლაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი
თამარ ქალდანი

*ყდაზე გამოქვეყნებული ფოტოს ავტორი*
*ნანა ბუნტური*

© „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“ 2009

შესავალი, კონფლიქტის ქრონოლოგია xviii

1.1 შესავალი 2

1.2 პოზიტიური დინამიკა – მთავარი სატყუარა 5

1.3 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში 6

ა) გეოგრაფია 6

ბ) მოსახლეობა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 10

1.4 სამართლებრივი მიმოხილვა 14

1.5 კონფლიქტის განვითარების ქრონოლოგია 16

ა) 1989 – 1990 წლები: კანონთა ომი 16

ბ) სახელმწიფო ენის საკითხი 16

გ) ავტონომიის სტატუსი 17

დ) მოსკოვის პასუხი კანონთა ომზე 18

ე) არჩევნები და ოლქის გაუქმება 19

ვ) 1991 – 1992 წლები: კონფლიქტის აქტიური ფაზა 20

ზ) ვარდების რევოლუციამდე 21

1.6 ვარდების რევოლუციის შემდეგ 23

ა) ერგნეთის ბაზრობა და 2004 წლის ზაფხული 23

ბ) საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივები 24

გ) დროებითი ადმინისტრაცია 26

1.7 2008 წელი – აღმავალი კონფრონტაცია 27

ა) დაძაბულობის ზრდა რუსეთსა და საქართველოს შორის – 2008 წლის გაზაფხული 27

ბ) 2008 წლის 20 აპრილი, ქართული უპილოტო საფრენი აპარატის განადგურება აფხაზეთის ტერიტორიაზე 28

გ) დაძაბულობის ზრდა ცხინვალის რეგიონში – 2008 წლის ზაფხული 29

დ) სამხედრო წვრთნები 30

1.8 საქართველო – 2008 წლის აგვისტო 31

ა) 6 აგვისტო 32

ბ) 7 აგვისტო 33

**1.9 რუსეთი და მისი არგუმენტები** 36

1. შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 36
2. შეეჩერებინა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ქართული მხარის მიერ ჩადენილი ომის სხვა დანაშაულები 36
3. დაეცვა რუსეთის მოქალაქეები 39
4. დაეცვა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები 1992 წლის ხელშეკრულების შესაბამისად 44

**სიცოცხლის უფლების ხელყოფა** 47

**2.1 სიცოცხლის მოსპობა დაბომბვების შედეგად** 48

დიდი ერედვის (ერედვი-ბერულა-არგვიცი) დაბომბვა 49

*მზია ბორცვაძის მკვლელობა* 51

*სეირან ოზგებიშვილის მკვლელობა* 51

*ციალა ტარიელაშვილის მკვლელობა* 52

*ნიკო და ჯუმბერ ბერუაშვილების მკვლელობა* 52

სოფელ ერედვში შესასვლელი გზის დაბომბვა 52

სიცოცხლის მოსპობა სოფელ ზემო ხვითის დაბომბვის დროს 53

*ალექსანდრე გოგიშვილის მკვლელობა* 54

*ჯემალ გოგიშვილის მკვლელობა* 54

სოფელ ქერეს დაბომბვა 54

*რობიზონ ელიკაშვილის მკვლელობა* 55

სოფელ კარბის დაბომბვა 56

*ცაცო (დოდო) უნაფქოშვილის მკვლელობა* 57

*ანზორ ბიძინაშვილის მკვლელობა* 58

*გიორგი მარიამიძის მკვლელობა* 58

*ვალიკო შევარდენიძის მკვლელობა* 58

*ციალა ბიძინაშვილის მკვლელობა* 59

*ნაზო თევდორაშვილის, ამირან თევდორაშვილისა და ირაკლი თევდორაშვილის მკვლელობა* 59

სოფელ აჩაბეთის დაბომბვა 60

სოფელ ვანათის დაბომბვა 60

სოფელ შინდისის დაბომბვა 61

სოფელ ვარიანის დაბომბვა 62

სოფელ ფხვენისის დაბომბვა 63

*ილია ბედიანაშვილის მკვლელობა* 63

სოფელ მეღვრეკისის დაბომბვა 63

*ჰამლეტ და ოთარ მაისურაძეების მკვლელობა* 63

*ოლია კასრაძის მკვლელობა* 64

სოფელ თორტიზის დაბომბვა 64

სოფელ ზემო ნიქოზის დაბომბვა 66

სოფელ სვენეთის დაბომბვა 67

*ვასიკო განჯელაშვილის მკვლელობა* 67

სოფელ კეხვის დაბომბვა 67

გორის დაბომბვა 68

*9 აგვისტო, გორი, კომბინატის დასახლების დაბომბვა* 68

*მაია ვაზაგაშვილისა და გიორგი მურადაშვილის მკვლელობა* 68

*მერაბ და ნათელა მჭედლიძეების, ნათელა სხირტლაძის მკვლელობა* 69

*ვერა კეკოშვილის, მერაბ კეკოშვილისა და მათი ნათესავების მკვლელობა* 70

*მიმოზა ლოცულაშვილის მკვლელობა* 70

*12 აგვისტო, აფეთქება გორის ცენტრალურ მოედანზე* 71

*გივი (გოჩა) სეხნიაშვილის მკვლელობა* 71

*ვაჟა ბესტავაშვილის და ავთანდილ ქერდიყოშვილის მკვლელობა* 73

*ამირან კურტანიძის მკვლელობა* 74

*ვიქტორ ხადურის მკვლელობა* 75

*ზავენა ანესაშვილის მკვლელობა* 75

*ანა დოკაძის მკვლელობა* 75

*ავთანდილ ცერცვაძის მკვლელობა* 76

*კარლო აბუაშვილის მკვლელობა* 77

*ალექსანდრე ბაზანდარაშვილის მკვლელობა* 77

**2.2 სიცოცხლის განზრახ მოსპობა, მკვლელობა** 78

*ნათელა კაიდარაშვილის მკვლელობა* 79

*ივანე ლალაშვილის მკვლელობა* 80

*თეიმურაზ ხმიადაშვილის მკვლელობა* 81

*ჯამლეთ ბორცვაძის მკვლელობა* 81

*თენგიზ ტარიელაშვილის და ნათელა ქრისტესიაშვილის მკვლელობა* 82

*ოთარ ცოტნიაშვილის მკვლელობა* 83

*ამირან და სულიკო მჭედლიძეების მკვლელობა* 83

*ელგუჯა ოქროპირიძის მკვლელობა* 84

*ვიქტორ გაგვიშვილის მკვლელობა* 84
*გიორგი კასრაძის მკვლელობა* 86
*გიორგი კობალაძის მკვლელობა* 86
*ძმების, მიხეილ და შაქრო მელითაურების მკვლელობა* 87
*ჯაბა ჯალაბაძის მკვლელობა* 88
*გელა ჩიხლაძის მკვლელობა* 89
*ნოდარ ბუტაურისა და შამილ ოქროპირიძის მკვლელობა* 90
*იოსებ (სოსო) ოდიაშვილის მკვლელობა* 90
*ტყვიავის სამარშრუტო ტაქსი, თამაზ მახარაშვილის სიკვდილი* 91
*ალექსანდრე ბიბილაშვილის მკვლელობა* 92
*მორის პაპუაშვილის მკვლელობა* 93
*ვალიკო ჯოჯიშვილის მკვლელობა* 95
*ალიჩკა მინდიაშვილის მკვლელობა* 95
*ვასილ მექარიშვილის მკვლელობა* 95
*ერვანდ ბეჟაშვილის მკვლელობა* 96
ჩაცხრილვა თედოწმინდაში 96
*როლანდ ბურნაძისა და ტარიელ (ბეგლარ) გოგიშვილის მკვლელობა* 96
*თინათინ გიორგაძის მკვლელობა* 98
*დოდო გარსევანიშვილისა და ნინო აბრამიშვილ-კაციაშვილის მკვლელობა* 99
*ამირან რაზმაძის მკვლელობა* 100

ეთნიკური წმენდა, ძარცვა, ქონების განადგურება 102

3.1 სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები ეთნიკური წმენდის შესახებ 104

3.2 ქართული სოფლების განადგურება: რუსეთის პოზიცია 108

3.3 ქართული სოფლების განადგურება: საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია 110

3.4 ქართული სოფლების განადგურება: საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის პოზიცია 113

3.5 ქართული სოფლების განადგურება: საერთაშორისო მედიის პოზიცია 114

3.6 შეტევა ქართულ სოფლებზე – ეთნიკური წმენდა 116
სოფელი თამარაშენი 116
სოფლები ავნევი და ნული 120

სოფელი კეხვი 126

სოფელი ვანათი 130

სოფელი ქურთა 133

სოფელი ბელოთი 137

სოფელი დისევი 140

სოფელი აწრისხევი 143

ზემო და ქვემო აჩაბეთი 145

სოფელი ზემო აჩაბეთი 146

სოფელი ქვემო აჩაბეთი 151

ერედვი – ბერულა – არგვიცი 153

სოფელი ერედვი 156

სოფელი ბერულა 160

სოფელი ხეითი 161

სოფელი კარალეთი 163

სოფელი გუგუთიანთკარი 164

სოფელი ქსუისი 165

სოფელი ზარდიაანთკარი 167

სოფელი საცხენეთი 167

სოფელი თორტიზა 169

სოფელი კარბი 169

სოფელი ერგნეთი 171

**ტყვეობა** 176

**4.1 სამოქალაქო ტყვეები** 178

ა) საპატიმროში 184

ბ) სივიწროვე 185

გ) ძილი 186

დ) ჰაერი 186

ე) კვება 187

ვ) სასმელი წყალი 187

ზ) სანიტარია 188

თ) იძულებითი შრომა და სასტიკი მოპყრობა 188

ი) შეურაცხყოფა 192

კ) ცემა 192

4.2 სამხედრო ტყვეები 194

ბოლოთქმა 204

ბიბლიოგრაფია 207

დანართები 211

დანართი №1 211

დანართი №2 219

დანართი №3 222

დანართი №4 224

დანართი №5 227

დანართი №5.1 230

დანართი №6 234

# მადლობა

განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველა იმ ახალგაზრდას, ვინც ომის ცხელი ფაზის დასრულებისთანავე, არსებული საფრთხეების მიუხედავად, კონფლიქტის ზონასა და ე.წ. „ბუფერული ზონის“ სოფლებში დადიოდა და ომის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს ხვდებოდა. სწორედ მათ დაიწყეს პირველებმა ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოძიება და დანაშაულის გარემოებების გარკვევა. მათ მიერ ინფორმაციის მოძიება ხდებოდა, როგორც დროებითი კომპაქტური ჩასახლების ადგილებში, ასევე იმ სოფლებში, სადაც რუსული სამხედრო ძალების გასვლის შემდეგ დაბრუნდა მოსახლეობა. ეს ახალგაზრდები არიან: **ნინო ხაინდრავა, ნათია კაციტაძე, სოფო ჯაფარიძე, შორენა ლათათია, დავით მანაგაძე, ქეთევან ბებიაშვილი, ქეთევან აბაშიძე, ნინო ჯომარჯიძე, ეკა მეშველიანი, მარიამ მაისურაძე, თამარ აბაზაძე, მარიამ თაყაიშვილი, ქეთი აღოშაშვილი, სოფო წაქაძე, გიორგი დვალაძე, ვახტანგ ჯანაზაშვილი, თამთა მიქელაძე, ეკა ლომიძე, სიმონ პაპუაშვილი, თეა თედლიაშვილი, თამარ გაბისონია, ვანდა ჯეჯელავა, თამარ შოთაძე, დიმიტრი ხაჩიძე, რუსუდან მჭედლიშვილი, თამთა ტეფნაძე, ცირა ჯავახიშვილი, კახაბერ კახაბერი, ანი თვარაძე, მერი ჯაფარიძე, ბექა კვიციანი, ნათია ცალანი, ნიკა ლეგაშვილი, სოფო ალექსიძე, რატი აბაკელია, ლაშა ჭინჭარაული, ანა ლორია, კახა კვაშილავა, ალექსანდრე ნოსელიძე, კობა ბოჭორიშვილი, ბესიკ კაიშაური, ნინო წერეთელი, პაატა გაჩეჩილაძე, ვაჟა ერაძე, ანა ჩაფიძე, სოსო ჯანაშია, აკაკი სამხარაძე, ემზარ პაქსაძე, დავით მეტრეველი.**

გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც აგვისტოს უმძიმეს დღეებში შეძლო, ომის და ომის შედეგების ფოტო და ვიდეომტკიცებულებები შეექმნა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში ჩვენთვის უცნობია ამ ადამიანების სახელები და გვარები. წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ყოველი ასეთი ფოტო და ვიდეომასალა, რომლის მოძიებაც შევძელით ინტერნეტში, როგორც ჩვენი რესპოდენტების მიერ მონათხრობი მრავალი ისტორიის ვიზუალური მტკიცებულება. ვინაიდან უმრავლეს შემთხვევებში ჩვენთვის უცნობია გამოყენებული ფოტომასალის ავტორთა სახელები და გვარები, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდით ყოველ მათგანს მათი ნამუშევრის ინტერნეტის ღია რესურსებში განთავსების და ხელმისაწვდომობისათვის.

დასასრულს, გვინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადოთ ყველა დევნილს, რომელმაც მიუხედავად დიდი ტკივილისა, იპოვა ძალა საკუთარ თავში, რომ ამ ტკივილის შესახებ ჩვენთან ხმამაღლა ესაუბრა. მადლობას ვუხდით, სოფელ ერგნეთის მოსახლეობასაც, რომლის დახმარებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნაშრომის სულ ბოლო ეტაპზე ფაქტების საბოლოოდ გადამოწმებისა და ნაკლული ინფორმაციების შევსებისათვის.

# მეთოდოლოგია

2008 წლის აგვისტოს ომის ანგარიში მომზადდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების: **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის**, **„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“**, **ადამიანის უფლებათა ცენტრის**, **„21-ე საუკუნის“**, **კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრისა** და მათ მიერ შერჩეული მკვლევარების მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე. ანგარიშის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სამართლიანობის აღდგენის უდიდესი სურვილი, რომელიც მუდმივად იგრძნობოდა ომს გამოქცეული ადამიანების დამოკიდებულებაში. უმნიშვნელოვანესი იყო მათი წვლილი ფაქტების გარკვევასა და ინფორმაციის გადამოწმებაში.

წინამდებარე ანგარიშის მთავარი ღირებულება ის არის, რომ ნაშრომი ქართული უფლებადაცვითი ორგანიზაციების სწრაფი მოქმედების შედეგია. ჩვენ შევძელით საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის ფაქტების კოორდინირებულად დოკუმენტირება. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტში მონაწილე ორგანიზაციები დაახლოებით 1000-მდე ომის მსხვერპლის ინტერესების დაცვას განაგრძობენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ანგარიშის მომზადების დროს მსგავსი ტიპის დოკუმენტების ანალიზის პრაქტიკულად ყველა აპრობირებული მეთოდი გამოვიყენეთ. წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩვენ შევეცადეთ სრულად გაგვეანალიზებინა ინფორმაცია, რომელიც 2008 წლის კონფლიქტს ასახავს. ამ მიზნით მასალა დამუშავდა სპეციალური მეთოდოლოგიითა და შეჯერებისა და ფაქტების დაპირისპირების ტექნოლოგიის გამოყენებით.

ანგარიშის პირველი ნაწილში აღწერილია 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობები და, შესაბამისად, დაფუძნებულია წლების განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურის ანალიზზე. მისი მომზადების პროცესში ჩვენი მიდგომა აკადემიური კვლევის მეთოდიკას ეფუძნებოდა, სადაც მთავარი ამოცანა იყო პრობლემის სრულყოფილი მიმოხილვა, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და კონფლიქტის დინამიკის ჩვენება. შევეცადეთ, მკითხველისათვის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი შთაბეჭდილება შეგვექმნა კონფლიქტის ირგვლივ ბოლო 18 წლის განმავლობაში არსებული ვითარების შესახებ და მოგვეთხრო 2008 წლის აგვისტოს ომის წინაპირობებზე.

ანგარიშის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, მისი მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები ძირითადად დევნილთა ინტერვიუებსა და პირად ისტორიებზეა დაფუძნებული. კონფლიქტის დროს დაზარალებული ადამიანები თავად ყვებიან საკუთარი ტრაგედიის შესახებ, ვინაიდან კონფლიქტის დინამიკა, მხარეთა მოტივაცია და ტრაგედიის მასშტაბი ყველაზე უკეთ სწორედ კონფლიქტის მსხვერპლთა მონაყოლში ჩანს. ყველა სხვა მასალა, რომლის მოძიებაც შესაძლებელი იყო ღია რესურსებით, სწორედ ამ ისტორიების გადამოწმებისათვის გამოვიყენეთ.

კვლევის დასაწყისში ნათლად ჩამოყალიბდა ამოცანა, ყველა საშუალებით გადაგვემოწმებინა ყოველი ფაქტი და დეტალი, რომელიც ინტერვიუების დროს გახდა ჩვენთვის ცნობილი. ამ პროცესში დამუშავდა:

- ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის შემდეგ გამოქვეყნებული 21 ანგარიში;
- წელიწად-ნახევრის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტი და ინფორმაცია;
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ყოველდღიური ანგარიშები;
- ეუთოს დამკვირვებელთა მისიის ანგარიშები;
- სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული მასალა და მედიამიმოხილვები;
- საქართველოს პარლამენტის „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საპარლამენტო დროებითი კომისიის“ წინაშე წარდგენილი დოკუმენტაცია, ჩვენებები და საბოლოო დასკვნა;
- ევროკავშირის ეგიდით შექმნილი საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ანგარიში და მასზე დართული დოკუმენტური მასალა.

მოსახლეობის გადაადგილებისა და მიგრაციის დინამიკის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით კვლევის მიმდინარეობის დროს სრულყოფილად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ არსებული სტატისტიკური ინფორმაცია, მათ შორის:

- საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები და მოსახლეობის აღწერის მონაცემები;
- ოსურ ინტერნეტწყაროებში მითითებული სტატისტიკური მონაცემები;
- საქართველოში 2002 წლის შემდეგ ჩატარებული სხვადასხვა არჩევნების მონაცემები;
- ინტერნეტ-წყაროებში არსებული დემოგრაფიული მონაცემები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიგრაციის შესახებ.

დასასრულ, ჩვენს ხელთ არსებული ფაქტების გადასამოწმებლად და სიმართლის დასადგენად გამოვიყენეთ ინტერნეტის ღია რესურსებში არსებული სატელიტური ფოტოები, რუკები და მიმოხილვები, რომელიც კონფლიქტის ზონას ასახავს.

ინტერნეტის ღია რესურსებით ხელმისაწვდომ გვერდებზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაათვალიეროს ქ. ცხინვალი და მისი მიმდებარე სოფლების მდგომარეობა ომის დასრულების შემდეგ. ერთი მხრივ, „Amnesty international“-ის თხოვნით, კვლევა ჩაატარა მეცნიერების განვითარების ამერიკის ასოციაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტმა, რომლის მიერ მოპოვებული ფოტოები, რუკები და ანალიზი თავმოყრილია 2008 წლის 9 ოქტომბერს გამოქვეყნებულ ანგარიშში „მაღალი ხარისხის სატელიტური სურათები და კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში“, მეორე მხრივ, სატელიტური ფოტოების ასეთივე შედარებითი ანალიზი ჩაატარა გაეროს ორგანიზაცია UNOSAT-მა, რომლის ინფორმაციაც, თანდართული ფოტომასალითა და რუკებით, ხელმისაწვდომია ინტერნეტში.[1]

მეცნიერების განვითარების ამერიკის ასოციაციამ თავისი კვლევა დაახლოებით 1,000 კვადრატულ კილომეტრზე ჩაატარა და იგი მოიცავს ქ. ცხინვალსა და მის მიმდებარე 24 სოფელს. მიზანი იყო სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევისა და განადგურების ხარისხის შეფასება. დაფარვის ობიექტია ცხინვალის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეები. სატელიტური მასალა მოპოვებულია ორი თარიღისათვის. ეს არის 2008 წლის 10 აგვისტო, როდესაც ქართული შეირაღებული ძალები უკან იხევენ, უკვე დატოვებულია ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორიები და პრაქტიკულად აღარ მიმდინარეობს ბრძოლები, ძალზე უმნიშვნელო შეტაკებების გარდა. ხოლო მეორე თარიღი 2008 წლის 19 აგვისტოა, როდესაც შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უკვე ძალაშია და, შესაბამისად, ყოველგვარი ძალადობა დასრულებული უნდა იყოს. აქვე გასათვალისწინებელია კვლევის ავტორების მინიშნება, რომ ანალიზი არ არის სრულყოფილი და ტერიტორიების ნაწილზე ღრუბლიანობის გამო რეალური მდგომარეობის გარჩევა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ მიზეზით, მთელი რიგი სოფლების, მაგალითად, ტყვიავის, შუა-ხელჩუასა და კარბის ანალიზი მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა. ამ უკანასკნელი ინფორმაციის გათვალისწინებით, მეცნიერების განვითარების ამერიკის ასოციაციის მიერ შესწავლილი 24 დასახლებული პუნქტის ანალიზით და ხელმისაწვდომი ფაქტობრივი მასალის დათვალიერებით დასტურდება, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან, ანუ 2008 წლის 7 აგვისტოდან 19 აგვისტომდე პერიოდში, ე.წ. ცხინვალის რეგიონში 626 ობიექტი განადგურდა. 10 აგვისტომდე მათგან მხოლოდ 202 იყო დანგრეული, მათ შორის 182 – ქ.ცხინვალში, ხოლო 10-19 აგვისტოს პერიოდში, როდესაც ამ ტერიტორიებზე აღარ იმყოფება ქართული ჯარი და დასრულებულია საომარი მოქმედებები – 424 ობიექტი.

ანალოგიურ ინფორმაციას შეიცავს მეორე სატელიტური მასალაც, რომელიც გაეროს სპეციალურმა ორგანიზაციამ, UNOSAT-მა, გამოიკვლია და რომელის შესახებაც დეტალურად შესაბამისი სოფლების აღწერის დროს გვექნება მითითება.

ჩვენი ანგარიშის მიზნებისათვის აღნიშნულ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც შესაძლებლობას გვაძლევს, გადავამოწმოთ დევნილთა ჩვენებები და კონკრეტული, ვიზუალური მასალა შევუსაბამოთ ჩვენს ხელთ არსებულ სხვა ინფორმაციას. აღნიშნულ ორ დოკუმენტს წინამდებარე ანგარიშში მრავალჯერ გამოვიყენებთ შესაბამის სოფლებსა და მათთვის მიყენებულ ზარალზე საუბრისას.

დასაწყისშივე სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციის სიმწირის გამო ჩვენი ნაშრომი მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და შიდა ქართლის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე გან-

---

1 იხ. www.aaas.org/international/geotech/ge/georgia.kml; ასევე www.unosat.org

ვითარებულ მოვლენებს შეეხება და არ ფარავს 2008 წლის აგვისტოს ომის კოდორის ხეობის მოვლენებს. ამასთანავე, ჩვენთვის ხელმიუწვდომელია ოსური მხარის ხელთ არსებული ფაქტები, მტკიცებულებები და ინფორმაცია. ასევე შეუძლებელია ღია რესურსებში არსებული ფაქტების გადამოწმება კონფლიქტის ზონაში თავისუფალი გადაადგილების შეუძლებლობის გამო. სწორედ ამიტომ ანგარიში შეეხება მხოლოდ იმ ფაქტებსა და მოვლენებს, რომელთა გადამოწმება და დაზუსტებაც მოვახერხეთ. ჩვენ მზად ვართ, თუკი ასეთი შესაძლებლობა მოგვეცემა, ჩავიდეთ პირობითი საზღვრის მეორე მხარეს, მოვუსმინოთ თვითმხილველებს, შევისწავლოთ ფაქტები, გადავამოწმოთ ყველა ასეთი შემთხვევა სხვა ხელმისაწვდომი წყაროებითა და რესურსებით და საზოგადოებას შევთავაზოთ მიუკერძოებელი ანალიზი.

კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულებისთანავე, უკვე 15 აგვისტოს, ჩვენი მკვლევარები ჩავიდნენ დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში და დაიწყეს პირველადი ინფორმაციის მოძიება და შეკრება. პროექტის პირველივე ეტაპზე შემუშავდა სპეციალური ანკეტა *„2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის აღწერის მიზნით დაზარალებულებთან ჩატარებულ ინტერვიუებში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციის ანკეტა“* (იხ. **დანართი № 1**), რომელმაც მოგვცა ინფორმაციის სპეციალურად შექმნილ ერთიან მონაცემთა ბაზაში მოქცევისა და, მასში მოცემული ფაქტების გადამოწმების შესაძლებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კითხვარების ერთიანი ფორმისა, მთელ რიგ შემთხვევებში პირველადი ინფორმაცია არასრულია. მაგალითად, არ არის მითითებული ინტერვიუს ჩაწერის დრო და ადგილი, არ არის დაზუსტებული სახელები და მეტსახელები და სხვა. ზოგჯერ მასალა ძალიან მწირია და მხოლოდ ზოგად ინფორმაციას შეიცავს ომის დაწყებისა და სოფლისათვის მიყენებული ზიანის შესახებ, ხოლო კონკრეტული ოჯახის ისტორია გამოტოვებულია. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ომით და მისი შედეგებით გამოწვეული მძიმე სტრესისა და შოკის გამო ადამიანები ფაქტებს აზვიადებენ. სწორედ ამ მიზეზების გამო ყოველი ფაქტი, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა ფაქტობრივი მასალისა და წყაროს საფუძველზე ფუნადმენტურად გადამოწმდა, მათ შორის ბევრ შემთხვევაში ჩვენი მკვლევარები და კონსულტანტები ფაქტების გადასამოწმებლად მიდიოდნენ დაზარალებულ სოფლებში (ბუნებრივია, იმ ტერიტორიებზე, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომია). მათ შორის, კვლევის მომზადების ბოლო ეტაპზე მკვლევართა ჯგუფი რამდენჯერმე დამატებით ჩავიდა კონფლიქტის ზონაში თვითმხილველებთან საბოლოო დეტალების დასაზუსტებლად და ჩვენთვის ცნობილი ყველა ფაქტის კიდევ ერთხელ შესამოწმებლად.

კვლევის მიმდინარეობის პირველ ეტაპზე ინტერვიუები ჩავიწერეთ 1,294 ოჯახისაგან, რაც კითხვარებში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად 4,721 ადამიანის ისტორიას მოიცავს.

კვლევის მეორე ეტაპზე, კერძოდ, 2009 წლის მარტ-ოქტომბერში, ინტერვიუების დიდი უმრავლესობა დაზუსტდა და უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვება გახდა შესაძლებელი. სწორედ ინფორმაციის გადამოწმების შედეგად, ანგარიშში გამოყენებულია მხოლოდ 1055 ოჯახის ისტორია, რადგანაც 239 პირველადი ინტერვიუს გადამოწმება ვერ მოხერხდა.

ინტერვიუების განაწილება ორგანიზაციების მიხედვით თვალსაჩინოდ ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.[2]

---

2 ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ შევსებული ანკეტები ძირითადად სამი ორგანიზაციის, კერძოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, „კონსტიტუციის 42–ე მუხლისა“ და „21–ე საუკუნის“ წილად მოდის შევსებული ანკეტების მთლიანი რაოდენობის 80%–ზე მეტი. იგივე ორგანიზაციები ლიდერობენ პოტენციური რესპონდენტების რაოდენობის თვალსაზრისითაც, თუმცა განაწილება რამდენადმე განსხვავებულია. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, თავისი რესპონდენტების ანკეტების 99% წარმოადგინა. სხვა ორგანიზაციების მიერ ანკეტების შეუვსებლობის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ პირველადი ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა დაზარალებულებისაგან სრულყოფილი ჩვენების მიღება, ხოლო ვიზიტები განმეორდა მხოლოდ მათთან, ვინც სასამართლოსათვის მიმართვაზე განაცხადა თანხმობა. ზოგ შემთხვევაში თავად დაზარალებულებმა განაცხადეს უარი მათი ინტერვიუების წინამდებარე ანგარიშში გამოყენებაზე, ან ზარალის სასამართლოს დახმარებით ანაზღაურების მცდელობაზე, ვინაიდან ეს გზა, მათი აზრით, უპერსპექტივო იყო.

**რესპონდენტთა განაწილება ორგანიზაციებისა და კითხვარების რაოდენობის მიხედვით**

| | ორგანიზაცია | კითხვარის რაოდენობა | პროცენტული განაწილება |
|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | 343 | *32.51%* |
| 2 | „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ | 323 | *30.62%* |
| 3 | ადამიანის უფლებათა ცენტრი | 83 | *7.87%* |
| 4 | კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტი | 87 | *8.25%* |
| 5 | „21-ე საუკუნე“ | 214 | *20.28%* |
| 99 | სხვა | 5 | *0.47%* |
| *სულ* | | *1055* | *100%* |

ამ ანგარიშის მომზადების დროს ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზის შედეგად განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- სიცოცხლის მოსპობა;
- სოფლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა;
- ეთნიკური წმენდა;
- ქონების განადგურება;
- სოფლების განადგურება;
- დევნა და გაძევება ეთნიკური ნიშნით;
- ტყვეობა და მოპყრობა ტყვეობის დროს.

# ძირითადი დასკვნები

2008 წლის 3 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინიტროს სამოქალაქო რეესტრის ბიურომ 125,819 დევნილი გაატარა რეგისტრაციაში. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით დაახლოებით 36 ათასმა ადამიანმა გადაკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი და ჩრდილოეთ ოსეთში პოვა თავშესაფრი.[3]

აგვისტოს ხუთდღიანი ომი მრავალი წლის მანძილზე იქნება განსჯის საგანი, ბევრს იტყვიან და დაწერენ ომის ქართული ვერსიის, რუსული ვერსიის, ოსური ვერსიის, ევროპისა თუ ამერიკის ხედვის შესახებ. დღესაც ბევრს წერენ და კიდევ ბევრს იტყვიან ომის მიზეზებზე, შედეგებზე, გეოპოლიტიკაზე, სხვათა სტრატეგიულ ინტერესებზე, საქართველოს შეცდომაზე, რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო ნაკლებს ამბობენ ადამიანურ ტრაგედიაზე, იმ ათიათასობით დევნილზე, რომლებმაც უკვე მერამდენედ დაკარგეს მიწა-წყალი და სახლ-კარი, დაკარგეს მშვიდობა.

3 გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემების შესაბამისად, აგვისტოს კონფლიქტის შედეგად სულ 163 ათასი იძულებით ადგილნაცვალი პირი იყო რეგისტრირებული. მათ შორის 36 ათასი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა და 2008 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით მათი დიდი უმრავლესობა უკან დაბრუნდა. დანარჩენი 127 ათასი დევნილიდან, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილდა, 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით 68 ათასი რუსული ჯარების მიერ კონფლიქტის გარეთ საქართველოს ტერიტორიების დატოვების შემდეგ უკან დაბრუნდა. საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობს, რომ დანგრეული სახლების შეკეთების ან ახალი სახლების აშენების და დევნილთა მეორე ტალღის დაბრუნების შემდეგაც დაახლოებით 31 ათასი დევნილი საკუთარ სახლებში და სოფელში დაბრუნებას გაურკვეველი დროით ვერ შეძლებს. სრული ინფორმაციისათვის იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ანგარიში, ევროპის საბჭოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე. ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი, 2008

დაუშვებელია ათასობით ადამიანის ტრაგედია მხოლოდ საინფორმაციო ომის კუთვნილებად იქცეს, სადაც კომენტატორები პერიოდულად შეახსენებენ ერთმანეთს 2008 წლის აგვისტოს და ნიშნის მოგებით მიუთითებენ ჩადენილ დანაშაულზე, რომელიც არავის უღიარებია და რომლისთვისაც არავინ დასჯილა. ვფიქრობთ, არც ის იქნება სამართლიანი, თუკი შიდა ქართლის მოსახლეობის ტრაგედია მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში აისახება, სადაც ხშირად სიმართლე და ადამიანური ტრაგედიები გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობის ან პოლიტიკური კორექტულობის მსხვერპლი ხდება.

როგორც საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიშშიც ვკითხულობთ, „სიმართლე უკიდურესად რთული დასადგენი და გადასამოწმებელი ჩანს"[4]. *ჩვენ* ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მშვიდობისა და მომავალში გარდაუვალი თანაცხოვრებისათვის სიმართლის პოვნა აუცილებელია. დაუსჯელობის 20-წლიანი ციკლის დასრულება შეიძლება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში იქცეს მშვიდობისა და უსაფრთხოების რეალურ გარანტიად.

სწორედ ამ მიზნით და ამგვარი სულისკვეთებით ომის ე.წ. „ცხელი ფაზის" დასრულებისთანავე დავიწყეთ **სიმართლის** ძიება და შევეცადეთ, ჩვენი მკვლევარების მიერ გამოკითხული ათასობით თვითმხილველის მონათხრობის საფუძველზე აღგვედგინა დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობასა და გორის რაიონში 2008 წლის აგვისტოში დატრიალებული ტრაგედია. წინამდებარე ანგარიში იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მსოფლიოს გავაცნოთ ერთად თავმოყრილი ადამიანური ისტორიები, ფაქტები და დოკუმენტური მასალა მასობრივად ჩადენილი სასტიკი ქმედებების შესახებ, რომლებმაც ცეცხლის ალში გაახვია ათობით სოფელი, სიცოცხლე წაართვა ასობით ადამიანს, საკუთარი კერა დააკარგვინა ათიათასობით ადამიანს, და დიდი ხნით გადაავადა ქართველებისა და ოსების კეთილმეზობლური თანაცხოვრების პერსპექტივა.

**2008-2009 წლებში ჩვენი მკვლევარების მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად და მოძიებული დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში, რუსული და ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ ერთობლივად განხორციელებული ე.წ. „მშვიდობის იძულების" ოპერაციის მიზანი იყო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ეთნიკურად ქართული მოსახლეობისაგან გაწმენდა.**

**ეთნიკური წმენდა, რომელიც საქართველოში განხორციელდა, წინასწარ იყო დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული, სისტემურ ხასიათს ატარებდა და წარმატებული აღმოჩნდა.**

სწორედ ამიტომ წინამდებარე ანგარიშით მივმართავთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, რათა დაიწყოს 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სრულმასშტაბიანი გამოძიება და დადგეს დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი. აგვისტოს ომი 90-იანი წლების ომების დანაშაულისათვის დაუსჯელობის და თითქმის 20-წლიანი უსამართლობის შედეგია და მისი შეჩერება მხოლოდ საერთაშორისო მართლმსაჯულებას ხელეწიფება.

დასაწყისშივე ცალსახად უნდა განვაცხადოთ, რომ ყველა დანაშაული, რომელზეც საუბარია ანგარიშში, ერთ მიზანს ემსახურებოდა - **ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას დაეტოვებინა კონფლიქტის ზონა**. მშვიდობიანი მოქალაქეების თვალწინ წვავდნენ მათ სახლ-კარს, ეთნიკურ ქართველებს მეზობლების დასანახად სჯიდნენ და აწამებდნენ, რათა შეშინებული მოსახლეობა იძულებული გამხდარიყო, გაქცევით დაეღწია თავი საფრთხისთვის; სოფლებში დარჩენილი მოხუცების ცემა, შეურაცხყოფა და წამება მათ დაშინების მიზნით ხდებოდა, რათა სამუდამოდ დაეტოვებინათ სახლ-კარი. ის მოხუცები კი, რომლებიც ოსებსა და რუსებს არ შეუშინდნენ, სოფლებში დარჩნენ და თავს სარდაფებსა და ბაღებს აფარებდნენ, ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი სატვირთო მანქანებით გორის მიმართულებით გამოამგზავრეს. რუსული ავიაციის მიერ საცხოვრებელი სახლების, ბაღების, სახნავი მიწების, სკოლების, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვა, ისევე როგორც ოსური შეიარაღებული ფორმირებების მიერ სახლების გადაწვა, სოფლების ბულდოზერით მიწასთან გასწორება და სხვა, სწორედ ეთნიკური წმენდის ნათელი მაგალითია. კვლევის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა, კონფლიქტის ზონაში განხორციელებული ძალადობა სქემატურად წარმოგვედგინა.

წინამდებარე ანგარიშს არა აქვს და ვერც ექნება აგვისტოს ომის შედეგების სრულფასოვანი გამოძიების პრეტენზია. თუმცა ამ მასალებზე დაყრდნობით გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია, როგორც მატერიალურ, ისე მორალურ დანაკარგებზე. გამოკითხული 1055 ოჯახის ინფორმაციის საფუძველზე კვლევის დროს შესაძლებლობა მოგვეცა, მოგვეხდინა განცდილი ზარალის კლასიფიკაცია და დაგვედგინა პროცენტული

4 იხ, Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Volume I, September, 2009

მაჩვენებლები. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ საკითხებზე, რომლებიც დაზარალებული მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ომის შედეგად მიღებული ყველაზე დიდი პრობლემა და მნიშვნელოვანი ზარალი. მომდევნო ცხრილებში სქემატურადაა წარმოდგენილი დაზარალებულთა მიერ დასახელებული პრობლემები, აგრეთვე ძალადობის სუბიექტები და მათი ეთნიკური კუთვნილება.

**გრაფიკი №1:** *გამოკითხულთა მიერ პირადად განცდილი მორალური და ფიზიკური ზიანის შემთხვევები (პროცენტული მაჩვენებელი)*




**გრაფიკი №2:** *გამოკითხულთა მიერ პირადად განცდილი უძრავი ქონების ხელყოფის შემთხვევები (პროცენტული მაჩვენებელი)*




**გრაფიკი №3:** *გამოკითხულთა მიერ პირადად განცდილი მოძრავი ქონების ხელყოფის შემთხვევები (პროცენტული მაჩვენებელი)*




კითხვარების საფუძველზე გამოვლინდა 137 ადამიანის დაღუპვის შემთხვევა.[5]

პირადად და ოჯახის სხვა წევრთა მიერ გადატანილი ძალადობის შემთხვევების ანალიზისას გამოიკვეთა იმ დასახლებული პუნქტების ჩამონათვალიც, სადაც ძალადობის ფაქტებს ყველაზე ხშირად ჰქონდა ადგილი. ყველაზე მეტი ძალადობის ფაქტი ცხინვალში დაფიქსირდა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ცხინვალში დაფიქსირებული ძალადობა ძირითადად ტყვეობასა და წამებას ეხება, მაშინ როდესაც

5 იხ. დანართი №5 არასამთავრობო ორგანიზაციათა კითხვარების საფუძველზე გამოვლენილი დაღუპულ პირთა სია.

სიცოცხლის მოსპობის, სხეულის დაზიანების, სახლის, ხეხილის ბაღების, ნათესებისა დაწვა/განადგურების, საყოფაცხოვრებო ნივთების, პირუტყვისა და ფრინველის წართმევის შემთხვევების უმეტესობა ქართულ სოფლებში (მაგალითად: ქურთა, კეხვი, ერედვი, ქემერტი და სხვ.) გამოიკვეთა.

**გრაფიკი №4:** *გამოკითხულთა მიერ დასახელებული ძალადობის შემთხვევათა რაოდენობის მიხედვით 20 ყველაზე მეტად გამორჩეული დასახლებული პუქტი*




**გრაფიკი №5:** *გამოკითხულთა მიერ იდენტიფიცირებული მოძალადეები უწყებრივი კუთვნილების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)*




**გრაფიკი №6:** *გამოკითხულთა მიერ იდენტიფიცირებული მოძალადეები ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)*



საქართველოში ეთნიკური წმენდის ფაქტი დადასტურებულია სატელიტური ფოტომასალით, ჩვენს ხელთ არსებული ვიდეომასალითა და თვითმხილველების ჩვენებებით. იმავეს ადასტურებს **საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი მისიის** ანგარიშიც, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ განხორციელებული ძალადობა. კერძოდ, ქართველების მიერ მიტოვებული სახლების ძარცვა და გადაწვა. **საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი მისიის** წარმომადგენლები, ცხინვალსა და მის შემოგარენში ვიზიტის დროს პირადად გაეცნნენ ვითარებას და 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში მიუთითეს:

> „ცხინვალის ჩრდილოეთით, გზაზე, რომელიც აერთებს თამარაშენს, აჩაბეთს, ქურთასა და კეხვს, მისიის ექსპერტები მოწმენი გახდნენ იმისა, რომ ყველა ეს სოფელი დამწვარი და სრულიად გაუკაცრიელებელია.“[6]

მისია საკუთარ ანგარიშში მრავალგზის ადასტურებს, რომ ცეცხლის წაკიდება, ძარცვა, მოსახლეობის დევნა და ეთნიკური წმენდა განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის დასრულების შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ოფიციალურად ხელმოწერისა და რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ტერიტორიებზე კონტროლის დამყარების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როგორც ცხინვალის შემოგარენში, ასევე ე.წ. „ბუფერული ზონის“ სოფლებში. ამგვარი მსჯელობის დასადასტურებლად ევროკავშირის ფაქტების დამდგენ მისიას, ისევე როგორც მრავალ სხვა ორგანიზაციას, მაგალითად მოჰყავთ ახალგორის რაიონი, სადაც საომარი მოქმედებები ფაქტობრივად არ ყოფილა, მაგრამ მოსახლეების დევნა მაინც მიმდინარეობდა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე ტერიტორიით და მცირე მოსახლეობით, შიდა ქართლი კი დედამიწის კიდევ უფრო პატარა წერტილი. თუკი ტრაგედია და დანაშაულის სიმძიმე მსხვერპლის რაოდენობით იზომება, ჩვენი ტრაგედიის მასშტაბი, რაოდენ სასტიკიც უნდა ყოფილიყო, ვერ გაუტოლდება გენოციდს რუანდაში, ეთნიკურ წმენდას ყოფილ იუგოსლავიაში, დარფურისა და კამბოჯის ტრაგედიებს. მაგრამ ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირით შეუძლებელი და უსამართლოა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ლეგიტიმაცია.

თუ დანაშაული ჩადენილია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, დანაშაულის ხასიათის და არა მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით. საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიული დაცვის მექანიზმები თანაბრად უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რა სიდიდის ან გავლენისაა სახელმწიფო, ან რამდენი დღე  გრძელდებოდა ომი.

მსოფლიო წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და ორმაგი სტანდარტით მოქმედება კაცობრიობას საბოლოოდ გაცილებით მძიმე შედეგებამდე მიიყვანს, ვიდრე ათიათასობით უფლებააყრილი ქართველი დევნილისათვის საკუთარი სიმართლის დამტკიცებისა და უფლებების აღდგენის შესაძლებლობის წართმევაა.

6 Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, September, 2009 volume II, p.392

# შესავალი • კონფლიქტის ქრონოლოგია






1.1 შესავალი

1.2 პოზიტიური დინამიკა – მთავარი სატყუარა

1.3 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში

1.4 სამართლებრივი მიმოხილვა

1.5 კონფლიქტის განვითარების ქრონოლოგია

1.6 ვარდების რევოლუციის შემდეგ

1.7 2008 წელი – აღმავალი კონფრონტაცია

1.8 საქართველო – 2008 წლის აგვისტო

1.9 რუსეთი და მისი არგუმენტები



# 1

*საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე ტერიტორიით და მცირე მოსახლეობით. შიდა ქართლი უზარმაზარი დედამიწის კიდევ უფრო პატარა წერტილია. შესაბამისად, ჩვენი ტრაგედიის მასშტაბი ვერასოდეს გაუტოლდება გენოციდს რუანდაში, ეთნიკურ წმენდას ყოფილ იუგოსლავიაში, დარფურისა და კამბოჯის ტრაგედიას. მაგრამ ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის გამო შეუძლებელი და უსამართლოა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ლეგიტიმაცია.*

*თუკი დანაშაული ჩადენილია, უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხიც. საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიული სამყაროს მიერ შექმნილი დაცვის მექანიზმები თანაბრად უნდა მოქმედებდეს ყველა შემთხვევაში და ყველასთვის, იმისდა მიუხედავად, თუ რა ზომის ან გავლენისაა ესა თუ ის სახელმწიფო.*

# 1.1 შესავალი

2008 წლის აგვისტოში სამხრეთ კავკასიაში მიძინებულმა, ან როგორც ხშირად ამბობენ, „გაყინულმა კონფლიქტმა“ ცივი ომის განახლების და მრავალი სხვა, დიდი ხნის მივიწყებული და წარსულში დარჩენილი პრობლემის დაბრუნების, ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების განცდა გაუჩინა ბევრ პოლიტიკოსს, ჟურნალისტსა და მკვლევარს.

აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში მსოფლიო მედიაში დომინანტი პოზიციები დაიკავა სტატიებმა, სადაც საერთაშორისო საფრთხეებზე იყო გაკეთებული აქცენტი. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს საილუსტრაციოდ.

ფრანგული *„Le Monde“* 12 აგვისტოს წერდა: **„ეს იყო რუსეთის შურისძიება“**, რომელმაც ევროპის სისუსტეები გამოავლინა.

ავსტრიული მემარცხენე-ლიბერალური გაზეთი *„Der Standard“* 9 აგვისტოს წერდა: **„საფრთხეები სამხრეთ ოსეთში იმაზე ნაკლები არ არის, რაც პოსტსაბჭოთა იმპერიალიზმის გამოვლინების ნებისმიერ სხვა შემთხვევაში“**; ხოლო 16 აგვისტოს განგაშის ზარი შემოჰკრა: **„შემდეგი ბალტიის ქვეყნები და უკრაინა იქნება“**.

შვეიცარიული კონსერვატიული გაზეთი *„Neue Zurcher Zeitung“* 11 აგვისტოს ნომერში სამხრეთ ოსეთში რუსეთის ქმედებების შესახებ პირდაპირ მიუთითებს: **„ჩვენ ამას ვიცნობთ – ჩეჩნეთიდან“**.[7]




2008 წლის 25 აგვისტოს ჟურნალი „TIME“ **ბზიგნევ ბჟეზინსკის** მთავარი სტატიით სწორედ რუსულ-ქართულ ომს ეხმიანება და მის ყდაზე ჩნდება შემაშფოთებელი სათაური „როგორ შევაჩეროთ ახალი ცივი ომი? რუსეთის საქართველოში შეჭრა – რას ასწავლის დღევანდელ მსოფლიოს.“[8] 12 აგვისტოს *„TIME“* რამდენიმე სტატიას აქვეყნებს: „ცივი ომის გაგრძელება“, „რუსეთი ბრძოლას იწყებს“, 27 აგვისტოს – „ახალი (ძველი) რუსული იმპერიალიზმი“, ხოლო 22 აგვისტოს შეშფოთებული კითხულობს: **„რუსები მოდიან თუ მიდიან?“**

რუსულ იმპერიალიზმზე მოგვითხრობს 16 აგვისტოს ჟურნალი *„The Economist“*: **„ერთ დროს საქართველო მისი იმპერიის მარგალიტი იყო და რუსეთმა ფსიქოლოგიურად ვერასოდეს მიიღო იგი, როგორც სუვერენული სახელმწიფო. საბჭოთა იმპერიის ნოსტალგია, დიდი ხანია, რუსული იდეოლოგიის ლაიტმოტივია“**.

*„Washington Post“* დასავლეთის რუსულ პოლიტიკას აკრიტიკებდა და 11 აგვისტოს წერდა: **„იქნებ დასავლეთმა ახლა მაინც დაინახოს, ვინ არის ვლადიმირ პუტინი“**, 15 აგვისტოს, რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გარი კასპაროვის, ანალოგიური შინაარსის სტატია გამოაქვეყნა *„Wall Street Journal“*-მა: **„როგორ წაახალისა დასავლეთმა პუტინი დაუსჯელობით“**.[9] იგივე გაზეთი 29 აგვისტოს სტატიაში „რუსეთი და ახალი „ბოროტების ღერძი“ წერდა: **„ახლა, როდესაც რუსული ტანკები საქართველოს ანაწევრებენ, აქვს კი ბუშის წარმავალ, გაკოტრებულ და ერაყის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გახვეულ ადმინისტრაციას ძალა, რუსეთს ღირსეული პასუხი გასცეს – რუსეთს, რომელიც მთელ თავისუფალ სამყაროს დაუპირისპირდა?“**

---

7 იხ. Prof. Hans-Georg Heinrich, Kirill Tanaev: „Georgia & Russia: Contradictory Media Coverage of the August War“, Caucasus Review of International Affairs, From Vol. 3 (3) - Summer 2009 at http://www.cria-online.org/8_2.html

8 იხ. Zbigniew Brzezinski,"How to Stop a New Cold War", August, 25, 2008, at http://www.time.com/time/covers/0,16641,20080825,00.html

9 იხ. Garry Kasparov, „How the West Fueled Putin's Sense of Impunity“, August 15, 2008, at http://online.wsj.com/article/SB121876037443642795.html

14 აგვისტოს „*Time*“ წერდა: **„დიდ სახელმწიფოებს არ უყვართ სხვა დიდი სახელმწიფოების გაძლიერება. მახე დაგებული იყო საქართველოში“**, ავტორის აზრით, ეს მახე საქართველოში რუსეთმა ამერიკას დაუგო.[10]

ამერიკული „*New York Times*“ 11 აგვისტოს იუწყებოდა: **„იმ შესაძლებლობების ჩამონათვალი, რომელიც გაბოროტებულმა რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის პრობლემების შესაქმნელად, სირიიდან და კავკასიის მთებიდან გაცილებით შორს მიდის“**.[11] 22 აგვისტოს იგივე გაზეთი კვლავაც გვამცნობდა: **რუსეთი „შეეცადა, საათი უკან დაებრუნებინა, იმ ნიშნულზე, როდესაც მოსკოვს გავლენაში არ ეჯიბრებოდნენ, ე.წ. „ახლო სამეზობლოში“, რამაც განგაშის ზარი ჩამოჰკრა დასავლეთის ლიდერებისათვის“**.[12]

რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ ბევრმა ანალიტიკოსმა პირდაპირ იკითხა, ხომ არ იდგა მსოფლიო ახალი ცივი ომის ზღურბლზე.[13] დასავლეთის მედიასაშუალებებმა უმალვე დაიწყეს აგვისტოს ომის შედარება ბრეჟნევისეულ „პრაღის გაზაფხულთან“ და ჰიტლერის მიერ 1938 წელს განხორციელებულ ოპერაციებთან. ჟურნალი „*The Economist*“ 16 აგვისტოს წერდა, რომ **„სასტიკი და ეფექტური მოქმედება ვლადიმერ პუტინის გამარჯვება იყო არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ დასავლეთზეც“**. ბუნებრივია, დასავლეთის წუხილი კიდევ უფრო გამყარდა პრეზიდენტ მედვედევის 26 აგვისტოს განცხადებით **„ჩვენ არაფრის გვეშინია, მათ შორის არც ახალი ცივი ომის შესაძლებლობისა“**.[14]

ეს არის იმ მასალის ნაწილის მიმოხილვა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში და შემდეგ მთელი შემოდგომის მანძილზე ჩნდებოდა დასავლურ მედიაში. სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა აქცენტს აკეთებდა იმ საფრთხეებზე, რომლებიც ხუთდღიანმა ომმა შეუქმნა დანარჩენ მსოფლიოს, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს და დიდ გეოპოლიტიკურ ინტერესებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იყო განსხვავებული ხასიათის სტატიებიც და პოლიტიკური განცხადებებიც, რომლებიც „ცივი ომისა“ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების აგრესიის ანალოგიებს გადამეტებულად მიიჩნევდა[15], მაგრამ ამგვარ მასალას აშკარად ჯაბნიდა მკვეთრად გამოხატული ანტირუსული ტენდენციების მქონე მიმოხილვები და ანალიტიკური სტატიები. თუკი აგვისტო-სექტემბერში ქართული მხარის მიმართ კრიტიკა და კითხვები კანტიკუნტად ისმოდა, მოგვიანებით, ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც სამხედრო დაპირისპირება შეჩერდა და ჟურნალისტებსა თუ ანალიტიკოსებს უფრო მეტი ანალიზის შესაძლებლობა მიეცათ, ასეთი ტენდენციები გახშირდა.

იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო ისტორიული ანალოგიებისა და ცივი ომის განახლების საფრთხეების ანალიზი, მიუხედავად დისკუსიის სიმძაფრისა და საფრთხეების მრავალმხრივი აღწერისა, საკითხი, რომელზეც პრაქტიკულად ყველა შეთანხმდა, ის იყო, რომ ხუთდღიანმა ომმა, **„რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები, ცივი ომის ყველაზე მძიმე დღეების**

---

10 იხ. *„Vladimir Putin's mastery checkmates the West. Russia has been biding its time, but its victory in Georgia has been brutal – and brilliant“* by Michael Binyon at Time, August 14, 2008

11 იხ. Helene Cooper, „Russia Steps Up Its Push; West Faces Tough Choices“, August 11, 2008, at http://www.nytimes.com/2008/08/12/world/europe/12diplo.html

12. იხ. Peter Baker, „U.S. Sees Much to Fear in a Hostile Russia“, August 21, 2008, at http://www.nytimes.com/2008/08/22/world/europe/22policy.html?_r=1

13 იხ. *The End of the Frozen Cold War?,* by Vladimer Papava, at Caucasus Review of the International Affairs, vol. 3 (1) – Winter, 2009

14 იხ. *Georgia: the war in words,* Key quotes from the crisis, by IISS, at www.iiss.org/dtratcom

15 ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვაცლავ კლაუსი, აცხადებდა „მე უარს ვამბობ მივიღო ფართოდ გავრცელებული და მარტივი ინტერპრეტაცია, რომელიც საქართველის ხატავს, როგორც მსხვერპლს, ხოლო რუსეთს – მოძალადეს“, ვაცლავ კლაუსი ასევე აპროტესტებდა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში შეჭრასთან პარალელებს. იხ. „Czech political scene split over Georgia,“ 15-08-2008, by Daniela Lazarová, http://www.radio.cz/en/article/107261

**შემდეგ, თავის ყველაზე უფრო დაბალ ნიშნულზე დაიყვანა“.**[16] რეალური, ღრმა დისკუსიაც სწორედ რუსულ-ამერიკული ურთიერთობების თაობაზე მიმდინარეობდა. გეოპოლიტიკური გართულებები და კავკასიის მთებში დაწყებული კონფლიქტის შესაძლო განვრცობა მსოფლიოს წუხილისა და შეშფოთების საგანი გახდა, რამაც ევროპელი ლიდერები ერთმანეთის მიყოლებით თბილისში ჩამოიყვანა, ხოლო თავად კონფლიქტი, ადამიანების ტრაგედია, განადგურებული სოფლები მეორე რანგის პრობლემებად ან ომის აუცილებელ თანამდევ ზიანად იქცა. 2008 წლის 14 აგვისტოს „*Times*“ წერდა: **„იმ დღიდან, რაც რუსეთის სატანკო ნაწილები გვირაბის გავლით შეიჭრნენ სამხრეთ ოსეთში, რუსეთს არც ერთი არასწორი ნაბიჯი არ გადაუდგამს... შეტევა იყო სწრაფი, მკვეთრი და სასიკვდილო – საკმარისი იმისათვის, რომ ქართველები შერცხვენილები პანიკაში გაქცეულიყვნენ. მათი არაორგანიზებული გაქცევა გადაიღეს საერთაშორისო ტელევიზიებმა. ნგრევა იყო საკმარისი იმისათვის რომ ტკივილი მიეყენებინათ, მაგრამ არ იყო იმდენად დიდი, რომ მსოფლიო აღშფოთებისაგან ფეხზე დამდგარიყო.“**[17] ასეთი დამოკიდებულება ერთგვარად სიმპტომატური იყო.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“, ამბობს ქართული ანდაზა, და სამწუხაროდ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტი მსოფლიო მედიისა და დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრშიც სწორედ ურმის ტრაგიკული გადაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა.

**„ინტერესი ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ მიმართ მინიმალური იყო. პოსტსაბჭოთა ევრაზიის ტერიტორიული კონფლიქტები არ იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესსა და წუხილს, თუ არ ჩავთვლით საშუალო დონის სპეციალისტებისა და აკადემიის წარმომადგენელთა მცირე ჯგუფს. რეგიონის არაღიარებული რესპუბლიკები მსოფლიოს ისეთ ადგილებს განეკუთვნებოდა, რომელთა იგნორირებაც ადვილი იყო, იქამდე, ვიდრე იქ არავინ კვდებოდა, და არავინ იყო დასამარცხებელი ან დასაცავი“.**[18] – ვკითხულობთ ჩარლზ კინგის სტატიაში „ხუთდღიანი ომი“.

ძნელია, ობიექტური და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ადამიანი ამგვარ შეფასებას არ დაეთანხმოს. შესაძლოა, დასავლეთში ბევრმა სწორედ აგვისტოს ცხელ დღეებში აღმოაჩინა, რომ მათთან ძალიან ახლოს არსებობდა, მართალია, მიძინებული, მაგრამ ფეთქებადსაშიში წერტილები, რომლებიც მუდმივად თვალის დახუჭვის, მოგვარების გზების ძიების გადავადების, ან უფრო მეტი, მხოლოდ ადგილობრივი მოთამაშეებისათვის შეტოვების შემთხვევაში, მცირედი ბიძგის პირობებშიც კი, აუცილებლად გააქტიურდებოდა. დამოკიდებულება არ შეცვლილა არც 2004 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ, როდესაც სწორედ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაიძაბა ვითარება და პირველი მსხვერპლიც იყო. სწორედ მაშინ, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საფრთხის არაჯეროვანმა შეფასებამ, პრობლემის იგნორირებამ და უსაფუძვლო დაიმედებამ, რომ მცირე დანაკარგებით ყველა ძირითადმა მოთამაშემ მწარე გაკვეთილი კარგად ისწავლა, ცივილიზებული მსოფლიო 2008 წელს ცივი ომის ზღვრამდე მიიყვანა.

---

16 იხ. The Five-Day War, managing Moscow after the Georgia Crisis, by Charles King; at Foreign Policy, November/December, 2008.

17 იხ. *„Vladimir Putin's mastery checkmates the West. Russia has been biding its time, but its victory in Georgia has been brutal – and brilliant“* by Michael Binyon at Time, August 14, 2008

18 იხ. The Five-Day War, managing Moscow after the Georgia Crisis, by Charles King; Foreign Policy, November/December, 2008.

## 1.2 პოზიტიური დინამიკა – მთავარი სატყუარა

კონფლიქტი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, შესწავლისა და ანალიზისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო მისი დინამიურობის გამო. საომარი მოქმედებების დასრულებიდან 15 წლის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდა პროგრესი და მიძინება, დაძაბულობა და მოჩვენებითი სიმშვიდე, მაგრამ ბევრი სხვა მსგავსი ვითარებისაგან უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ალბათ მაინც ის იყო, რომ 2004 წლის ზაფხულის მოვლენებამდე ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში ომი, დაპირისპირება, სიძულვილი და მეზობლის მიუღებლობა მეორე პლანზე გადავიდა და თანაცხოვრების, ურთიერთგაგებისა და ურთიერთსაჭიროების ტენდენციები დომინირებდა.

ქართველები და ოსები, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვები, ცდილობდნენ თანაცხოვრებას, კვლავ ერთ საკლასო ოთახებში დაბრუნდნენ, ერთ საავადმყოფოში მკურნალობდნენ, იქნებოდა ეს გორში თუ ცხინვალში, ერთად ვაჭრობდნენ, მრავალ სოფელში შერეული ეთნიკური შემადგნელობა იწყებდა აღდგენას, მგზავრობა პირობითი ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მიმართულებით ძირითადად უხიფათო იყო და არსებობდა მრავალი სხვა მიზეზი, რის გამოც კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე მაღალი ყურადღების ქვეშ შეიძლებოდა მოქცეულიყო. საქართველოს ხელისუფლების თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკისა და საერთაშორისო თანამეგობრობის სათანადო მცდელობების პირობებში კი შესაძლებელია ქმედითი და ეფექტური შედეგები მიგვეღო. თუმცა სწორედ ადამიანური ურთიერთობების დათბობა, ნდობის აღდგენა და ქართველი და ოსი გლეხების მხრიდან მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობის გამძაფრებული მცდელობა აღმოჩნდა ის სატყუარა, რომელმაც ყველას ყურადღება მოადუნა და მთავარი აქცენტები უფრო რთულ, აფხაზეთის, კონფლიქტზე გადაიტანა.

საერთაშორისო ორგანიზაციები, აკადემიური და ანალიტიკური ცენტრები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ცხინვალის პრობლემებით. იგივე შეიძლება ითქვას მათ ქართველ კოლეგებზეც. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ყოფითი ცხოვრების პოზიტიური დინამიკა გახდა მაცდუნებელი სატყუარა საქართველოს ხელისუფლებისათვისაც, რამაც ჯერ 2004 წლის ზაფხულში, შემდეგ 2006 წელს ქვეყანა ომის ზღვარზე მიიყვნა, ხოლო 2008 წლის აგვისტოში – ფართომასშტაბიან ომამდე.

დღეს ვითარება პრინციპულად განსხვავებულია და კონფლიქტი ახალ ფაზაშია შესული. წლების მანძილზე პრობლემის პოლიტიკური შემადგენლის სირთულის იგნორირების, ქართული მხარის არათანმიმდევრული მოქმედებების, კონკრეტული გრძელვადიანი პოლიტიკის არარსებობის პირობებში, საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან არასაკმარისი ყურადღების, რუსი „სამშვიდობოების“ თვითნებობის, რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის, ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დანაშაულებრივი მოქმედებების გამო გაყინული კონფლიქტი სულ რამდენიმე დღეში ჯერ აქტიურ საომარ მოქმედებებში გადავიდა, ხოლო შემდეგ რუსეთის მხრიდან სუვერენული სახელმწიფოს ოკუპაციაში გადაიზარდა.

მიუხედავად აქტიური საბრძოლო მოქმედებების დასრულებისა, წარსული გამოცდილება გვკარნახობს, რომ ხელისუფლებას, საერთაშორისო თანამეგობრობასა და საზოგადოებას უდიდესი ძალისხმევა მართებთ, რომ ვითარება კიდევ ერთხელ კონტროლიდან არ გამოვიდეს და კიდევ უფრო მძიმე შედეგები არ გამოიწვიოს.

## 1.3 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის ქართულ-ოსური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების დეტალური ანალიზი, მით უფრო – ისტორიული წინაპირობებისა და თანაცხოვრების წინააღმდეგობრივი დეტალების გარჩევა. თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების, მისი შედეგებისა და სამართლებრივი შემადგენლის სრულფასოვანი წარმოდგენისათვის მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რა წინაპირობები არსებობდა საბჭოთა საქართველოში, როგორ მივედით კონფლიქტამდე და როგორ გაღვივდა იგი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, როგორი იყო კონფლიქტის დინამიკა პირველი ომის დასრულების შემდეგ, გავიხსენოთ 2004 წლის ზაფხულისა და შემდგომი მოვლენები და ის პერიოდი, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომს.

### ა) გეოგრაფია

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში 1922 წელს შეიქმნა. მაშინვე ზუსტად განისაზღვრა ავტონომიური ოლქის საზღვრები, სახელისუფლებო ორგანოები, კომპეტენციები, და ურთიერთობები თბილისთან. (**იხილეთ დანართი 2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“**)

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, საქართველოს ჩრდილოეთის საზღვართან, 3,700 კვ.მ-ზე, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს და ჩრდილოეთით რუსეთს, კერძოდ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ესაზღვრება. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან დამაკავშირებელი გზა როკის გვირაბია, რომლის მშენებლობაც 1985 წელს დასრულდა. მოსახლეობა ძირითადად მდინარეების გასწვრივ და მჭიდროდ არის დასახლებული, ვინაიდან ტერიტორიის დიდი ნაწილი მთიანია.

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, და შესაბამისად ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი, არის ცხინვალი. ცხინვალი პრაქტიკულად ყველა მხრიდან ეთნიკურად ქართული სოფლებით იყო გარშემორტყმული.

90-იანი წლების კონფლიქტამდე ოლქის მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ეთნიკურად ოსური წარმოშობისა იყო. ქართველები, რომლებიც მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენდნენ, ძირითადად ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში, ახალგორის რაიონში და მის მიმდებარედ, ასევე ქალაქ ცხინვალის შემოგარენში და გორის რაიონის მომიჯნავედ ცხოვრობდნენ, ხოლო ოსები – ცენტრალურ და დასავლეთ ტერიტორიებზე. ოლქის ჩრდილოეთი, მთიანი ნაწილი, ნაკლებად იყო დასახლებული. თუმცა ასეთი დანაწილება მაინც პირობითი იყო, ვინაიდან აქაც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ოსები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად პრაქტიკულად ყველა სოფელში, ხშირად კი შერეულ ოჯახებში ცხოვრობდნენ.

საქართველოში ჩატარებული ბოლო სრულმასშტაბიანი აღწერის დროს, 2002 წელს, გასაგები მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ტერიტორიების მთლიანი დაფარვა, ამიტომ სხვადასხვა მკვლევარები სტატისტიკასა და დემოგრაფიაზე საუბრისას ხშირად ბოლო საბჭოთა აღწერის, 1989 წლის მონაცემებს იყენებენ. თუმცა იგივე 2002 წლის აღწერა, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ყოფილი ოლქის იმ ტერიტორიების შესახებ, რომელთაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა. მათ შორის, ახალგორის რაიონზე – თითქმის მთლიანად. ეს უკანასკნელი, 2002 წელს ადმინისტრაციულად და საარჩევნო თვალსაზრისით მცხეთა-მთიანეთის მხარეს იყო მიკუთვნებული. იმავე აღწერის მონაცემებით საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი სოფლებიც გორისა და

## შიდა ქართლის რეგიონი, საქართველო



ქარელის რაიონებზე იყო ადმინისტრაციულად გადანაწილებული. მაგალითად, გორის რაიონის ქურთის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნებოდა ქურთა, თამარაშენი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, კეხვი, ქსუისი, დისევი, ჯარები და მრავალი სხვა სოფელი, ქარელის რაიონს – ავნევი, ნული, არკნეთი, დვანი და სხვ. მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც წინამდებარე მასალაში ვიყენებთ, სწორედ ამ ორი აღწერის (1989 და 2002 წლების) შედეგებს ეფუძნება. შევეცადეთ, ერთი მხრივ, სწორედ ეს ორი სტატისტიკური ბაზა შეგვეჯერებინა, ხოლო მეორე მხრივ, დამხმარე საშუალებად დემოგრაფიული ცვლილებების დინამიკისათვის 2002 წლის შემდეგ ჩატარებული სხვადასხვა ნაციონალური არჩევნების მონაცემებიც გამოვიყენეთ.

***ცხრილი 1:*** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები წლებისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით.[19]

| ეროვნება | 1926 აღწერა | 1939 აღწერა | 1959 აღწერა | 1970 აღწერა | 1979 აღწერა | 1989 აღწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსი | 60,351 (69.1%) | 72,266 (68.1%) | 63,698 (65.8%) | 66,073 (66.5%) | 65,077 (66.4%) | 65,200 (66.2%) |
| ქართველი | 23,538 (26.9%) | 27,525 (25.9%) | 26,584 (27.5%) | 28,125 (28.3%) | 28,187 (28.8%) | 28,700 (29.0%) |
| რუსი | 157 (0.2%) | 2,111 (2.0%) | 2,380 (2.5%) | 1,574 (1.6%) | 2,046 (2.1%) | 2,128 (2.1%) |
| სომეხი | 1,374 (1.6%) | 1,537 (1.4%) | 1,555 (1.6%) | 1,254 (1.3%) | 953 (1.0%) | 871 (1.21%) |
| ებრაელი | 1,739 (2.0%) | 1,979 (1.9%) | 1,723 (1.8%) | 1,485 (1.5%) | 654 (0.7%) | 648 (0.9%) |
| სხვა | 216 (0.2%) | 700 (0.7%) | 867 (0.9%) | 910 0.9%) | 1,071 (1.1%) | 1,400 (1.4%) |
| ჯამი | 87,375 | 106,118 | 96,807 | 99,421 | 97,988 | 99,000 |

მთლიანად საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ოსების, შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ბოლო სამი აღწერის შედეგების შეჯერება. როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, საქართველოში მცხოვრები ოსების მხოლოდ 40 პროცენტი ცხოვრობდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. თუმცა 2002 წლის აღწერის შედეგები ადასტურებს, სამხედრო დაპირისპირების შემდეგ ოსების დიდ მიგრაციას ქართული ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან. ვინაიდან, 1989 წლისათვის ოლქის გარეთ მცხოვრები თითქმის 100 ათასი ეთნიკური ოსიდან 2002 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი მესამედი ცხოვრობს.

19 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები წლებისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, სტატისტიკის დეპარტმანტის ყოველწლიური ჟურნალი, 1989 წ.

***ცხრილი 2:*** *საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის სხვადასხვა აღწერის მონაცემებით*[20]

| | ათასი კაცი | | | | პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1959 | 1979 | 1989 | 2002 | 1959 | 1979 | 1989 | 2002 |
| მთელი მოსახლეობა | 4044,0 | 4993,2 | 5400,8 | 4371,5 | 100 | 100 | 100 | 100 |
| ქართველი | 2600,6 | 3433,0 | 3787,4 | 3661,2 | 64,3 | 68,8 | 70,1 | 83,8 |
| აფხაზი | 62,9 | 85,3 | 95,9 | 3,5 | 1,6 | 1,7 | 1,8 | 0,1 |
| ოსი | 141,2 | 160,5 | 164,1 | 38,0 | 3,5 | 3,2 | 3,0 | 0,9 |
| რუსი | 407,9 | 371,6 | 341,2 | 67,7 | 10,1 | 7,4 | 6,3 | 1,5 |
| უკრაინელი | 52,2 | 45,0 | 52,4 | 7,0 | 1,8 | 0,9 | 1,0 | 0,2 |
| აზერბაიჯანელი | 153,6 | 255,7 | 307,6 | 284,8 | 3,8 | 5,1 | 5,7 | 6,5 |
| სომეხი | 442,9 | 448,0 | 437,2 | 248,9 | 11,0 | 9,0 | 8,1 | 5,7 |
| ებრაელი | 51,6 | 28,3 | 24,8 | 3,8 | 1,3 | 0,6 | 0,5 | 0,1 |
| ბერძენი | 72,9 | 95,1 | 100,3 | 15,2 | 1,8 | 1,9 | 1,9 | 0,3 |
| ქურთი | 16,2 | 25,7 | 33,3 | 20,8 | 0,4 | 0,5 | 0,6 | 0,5 |

20 საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ბიულეტენი, 2002 წ.

## ბ) მოსახლეობა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე

### დემოგრაფია ომამდე

ოლქის დემოგრაფიის მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის აღდგენა უმნიშვნელოვანესია იმის დასადგენად, თუ რა ტიპის დანაშაულთან გვქონდა საქმე 2008 წლის აგვისტოში. ვინაიდან აუცილებელია, პასუხი გავცეთ კითხვაზე, იძულებით გამორეკილი ქართველები მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელსაც სოფლები დაატოვებინეს შერჩევით და კონკრეტული მიზეზით, თუ ეს არის მთელი ქართული მოსახლეობა, რომელიც ანგარიშსწორების ობიექტი გახდა მხოლოდ და მხოლოდ მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო.




1989 წლის ბოლო, საბჭოთა აღწერის შესაბამისად, რომელიც იმავდროულად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩატარებული ბოლო სრულმასშტაბიანი აღწერა იყო[21], ოლქის მოსახლეობა სულ 99 ათას ადამიანს შეადგენდა. მათ შორის სოფლის მოსახლეობა 49,074 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ოლქის შემადგენლობაში დაახლოებით 478 სოფელი შედიოდა, მათ შორის მარტო ახალგორის რაიონში – 246. ამავე აღწერის მონაცემების შესაბამისად მოსახლეობის 66,2% ეთნიკური ოსი იყო, ხოლო ქართველები მოსახლეობის 1/3-ს, ანუ 29%-ს შეადგენდნენ.

2008 წლის აგვისტოს ომამდე სხვადასხვა წყაროები, მათ შორის ოსური წყაროები, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების დემოგრაფიული შემადგენლობის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. ოსური წყაროების თანახმად, ოლქის ტერიტორიის სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ნაწილში 72 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, რომელთა დახლოებით 80 % ეთნიკურად ოსი იყო.[22] „РИА НОВОСТИ"-ს მიერ 2008 წლის აგვისტოში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ტერიტორიაზე 80 ათასი რუსეთის მოქალაქე ცხოვრობდა,[23] რაც სხვა წყაროებზე დაყრდნობით უკიდურესად გადაჭარბებულად მოჩანს. BBC-ს ინფორმაციით, მოსახლეობა 70 ათასს არ აღემატებოდა.[24]

სხვადასხვა მონაცემების შეჯერებით ომამდელი სურათი დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება: მთელი მოსახლეობა 70 ათასი ადამიანის ფარგლებშია, რომელთა შორის: უმრავლესობა დაახლოებით 47,000, ანუ 67% ეთნიკურად ოსია, 17,500, ანუ 25% – ქართველი, ხოლო დანარჩენი – სხვა ეროვნების წარმომადგენლები: რუსები, სომხები და სხვ.

90-იანი წლების ომის შემდეგ ეთნიკური ბალანსი მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციის შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან

21 გასაგები მიზეზების გამო 2002 წლის აღწერა, რომელიც საქართველოში ჩატარდა, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიას არ მოიცავდა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ახალგორის (ყოფილი ლენინგორის) რაიონი, რომელიც ამ დროისათვის მცხეთა-მთიანეთს იყო მიკუთვნებული და რომელსაც ქართული სახელმწიფო აკონტროლებდა. აგრეთვე, ის ქართული სოფლებიც, სადაც ასევე ქართული მხარის კონტროლი დაწესდა და რომლებიც გორისა და ქარელის რაიონებს შემოუერთეს. მაგალითად, გორის რაიონის ბელოთის, ბერულის, არცევის, ქსუისის და სხვა საკრებულოები, ასევე, ჯავის რაიონის მცირე ნაწილი, კერძოდ, სინაგურის სასოფლო საბჭოს სოფლები: პერევი, სინაგური, თედელეთი, ჯალაბეთი, ხახეთი, ზემო და ქვემო ქარზმანი და ტბეთი.

22 იხ. http://presidentrso.ru/republic/ ასევე იხილეთ http://en.wikipedia.org/wiki/South_Ossetia

23 იხ. „Russia to provide $200 mln in urgent aid for S. Ossetia", 11 აგვისტო 2008. http://en.rian.ru/russia/20080811/115961365.html

24 იხ. Regions and Territories: South Oseria, at http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/3797729.stm

დანარჩენ საქართველოში იძულებით გადაადგილებული, და შესაბამისად, დევნილის სტატუსის მატარებელი იყო 12,496 ადამიანი. მათი 99% კი ეთნიკურად ქართველია.[25] თუმცა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაში არაფერია ნათქვამი იმ დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ, რომელიც ყოფილი ოლქის ტერიტორიის შიგნით მოხდა მისი კონტროლის ზონებად დანაწილების შემდგომ.

2002 წლის აღწერის მონაცემების შესაბამისად, რომელმაც ნაწილობრივ მოიცვა ოლქის ყოფილი ტერიტორია, ახალგორის რაიონში 5,281 ადამიანი ცხოვრობდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალგორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 7,600 ადამიანი; თიღვის (ფრონეს ხეობა), ქურთის (დიდი ლიახვის ხეობა) და ერედვის (პატარა ლიახვის ხეობა) მუნიციპალიტეტებში კი 14,500 ადამიანი[26]. ეს სწორედ ის მუნიციპალიტეტია, რომელიც დროებითი ადმინისტრაციის შემადგენლობაში შედიოდა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით:

7,100 ადამიანი ცხოვრობდა დიდი ლიახვის ხეობაში ქურთის მუნიციპალიტეტში შემავალ ქართულ სოფლებში – თამარაშენში, ზემო აჩაბეთში, ქვემო აჩაბეთში, ქურთაში, კეხვში, ქემერტში, ძარწემში, ხეითში, სვერში; შედარებით ნაკლები – 5,900 – პატარა ლიახვის ხეობაში, ერედვის თემის ქართულ სოფლებში – ერედვში, ბერულაში, დისევში, ქსუისში, ვანათში, ბელოთში, ერგნეთ-მამისაანთ უბანში, ზემო არცევში, ჭარებში, საცხენეთში. ყველაზე მცირე იყო მოსახლეობა ფრონეს ხეობის, ანუ თიღვის მუნიციპალიტეტის ქართულ სოფლებში, რომელიც სულ 1,500 ადამიანს ითვლიდა – ავნევში, ნულში, არკნეთში, მტილიანაში, ახალშენში, ხუნდისუბანში, ქვემო ოქონში, ლოპანში.

აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ამ სამი მუნიციპალიტეტიდან 13,260 დევნილი დარეგისტრირდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულმა მოსახლეობამ პრაქტიკულად მთლიანად დატოვა ხეობების სოფლები და საცხოვრებელი.

**ქართული მოსახლეობის მდგომარეობა საომარი მოქმედებების ოფიციალურად დასრულების შემდგომ**

ქართველების შევიწროება, საცხოვრებლიდან აყრა და დევნა ცეცხლის ოფიციალური შეწყვეტისა და კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების შემდეგაც გრძელდებოდა. ამ ფაქტს ადასტურებს საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის მისიის ანგარიშიც. ხოლო ჩვენს ნაშრომში გამოყენებული სატელიტური ფოტოები, დევნილი მოსახლეობის ინტერვიუებთან და სექტემბერ-ნოემბერში მოპოვებულ ფოტო-ვიდეომასალასთან ერთად ამგვარი დასკვნის თვალნათელი მტკიცებულებაა.

საომარი მოქმედებების ფორმალურად შეწყვეტის შემდეგაც რუსული სამხედრო ძალები, სეპარატისტების მილიცია და სხვადასხვა ფორმირებების წარმომადგენლები ასობით ქართველს, განსაკუთრებით კი მოხუცებს, ვინც არ დატოვა მშობლიური კერა და სოფლები, იძულებით სვამდნენ სატვირთო მანქანებში და საკონტროლო-გამშვები პუნქტების მეორე მხარეს ტოვებდნენ, ან უარეს შემთხვევაში მძევლებად მიჰყავდათ ცხინვალში, სპეციალურად შექმნილ ტყვეთა ბანაკებში და მათ სამხედრო ტყვეებში გაცვლას მოითხოვდნენ.

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის** „უკანონობათა ანგარიში: საქართველოში ახალი იძულებით გადაადგილებული პირები ჩნდებიან", 2008 წლის 26 აგვისტოს ინფორმაციაში ვკითხულობთ:

---

25 იხ. ინფორმაცია მოცემული პრინსტონის უნივერსიტეტის კვლევაში „საქართველოში კონფლიქტების დემოგრაფიული შედეგები", თამარ შინჯიაშვილი, http://paa2009.princeton.edu/download.aspx?submissionId=91427

26 იხ. „საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)", საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის საინფორმაციო ბიულეტენი, 2009

„გორის ცენტრში, დღის განმავლობაში დაახლოებით 400 ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც დღეს (*იგულისხმება 2008 წლის 26 აგვისტო. ავტ.*) იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ საკუთარი სახლები. ახლად დევნილები ამბობდნენ, რომ მათ სცემდნენ, ემუქრებოდნენ, ძარცვავდნენ. სამი ადამიანი უბრალოდ მოკლეს. მაროდიორები ე.წ. „ბუფერულ ზონაში" მოქმედებდნენ, სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ"[27]

ანალოგიურ ისტორიას 2008 წლის 25 აგვისტოს იუწყებოდა ტელეკომპანია BBC-ც. ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, **ალექსანდერ შტუბი** აცხადებდა:

„რუსეთის ჯარებმა მოხუცებით სავსე ორი სატვირთო მანქანა მოიყვანეს. ესენი იყვნენ ქართველი მოხუცები, ვინც იძულებით წამოიყვანეს თავისი სახლებიდან და ქუჩაში დატოვეს მთელი მათი ავლადიდებით."[28]

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენელი, **ბერნარ კუშნერი** ტელეკომპანია EuroNews-ისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა:

„აქ არის სამხრეთ ოსეთის რუკა და ეს არის ქალაქი, რომელსაც ახალგორი ჰქვია. მე მეუბნებიან, რომ ამ ღამით რუსეთის სამხედრო ძალები მის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან და ქართველებს იქიდან საზღვრის მიღმა ერეკებიან. ეს არის ეთნიკური წმენდა, ჰომოგენური სამხრეთ ოსეთის შესაქმნელად. ეს მიუღებელია. ყველაფრის პატიება შეუძლებელია"[29]

კონფლიქტიდან ერთი წლის შემდეგაც, მაშინ, როდესაც გალის და ახალგორის რაიონებში კვლავაც რჩება ქართული მოსახლეობის ნაწილი, მუდმივად არსებობს შიში, რომ მცირედი დაძაბულობის პირობებშიც კი, ეს ადამიანები, შესაძლოა, ისეთივე ძალადობას დაექვემდებარონ, როგორც ეს 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ხდებოდა. მოსახლეობისა და ჩვენს ამგვარ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები.

შეშფოთება ისმის **„Amnesty International"**-ის ანგარიშშიც:

„ყველა, ვინც რჩება სამხრეთ ოსეთში... იმ ტერიტორიებზე, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა, დაუცველია ეთნიკური ნიშნით მოტივირებული შეტევების წინაშე".[30]

იმავე საფრთხეზე მიანიშნებს **საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკომისიის მისიაც**:

„ვითარება დაძაბული და ფეთქებადსაშიშია და ძალიან ბევრს ეშინია სამხედრო მოქმედებების კვლავ განახლების... აფხაზეთის გალის რაიონსა და კოდორის ხეობაში ეთნიკური ქართველების, როგორც უმცირესობის, უფლებები კვლავაც საფრთხეშია".[31]

მისიის ანგარიში, რომელიც, შეგახსენებთ, 2009 წლის სექტემბერში, საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, გვამცნობდა:

---

27 იხ. UNHCR, Georgia Crisis. Reports of lawlessness creating new forcible displacement in Georga, 26 August 2008

28 იხ. BBC news, „South Osetia Emptied of Georgians", 25 August, 2008, http://news.bbc.co.uk/2/hi/7581282.stm

29 იხ. „Kouchner claims ethnic cleansing in Georgia", 27 August, 2008. EURONEWS, http://www.euronews.net/2008/08/27/kouchner-claims-ethnic-cleansing-in-georgia/

30 იხ. Amnesty International, „Continuing Concern for Civilians After Hostilities in Georgia", 22 August 2008

31 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I, p.26, September, 2009



*ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდერ შტუბი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი. გორი, 11 აგვისტო 2008*

„ამ ანგარიშის წერის მომენტშიც კი, სამხრეთ ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახალგორის რაიონში, ვითარება კვლავაც საშიშია, ვინაიდან ეთნიკურად ქართველები ჯერ კიდევ ტოვებენ რეგიონს".[32]

კონფლიქტის ზონის ტერიტორიებზე არსებულ საფრთხეებზეა ლაპარაკი 2008 წლის **ეუთოს** ნოემბრის ანგარიშშიც:

„ნათელია, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს არავითარი პირობები არ შეუქმნიათ გადაადგილებული პირებისათვის საკუთარ სახლებში მშვიდობიანი დაბრუნებისათვის. უარესიც, როგორც უკვე ითქვა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გააკეთა განცხადებები და გადადგა ნაბიჯები, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ ისინი საერთოდ არ აპირებენ, იძულებით გადაადგილებულებს მისცენ უკან დაბრუნების უფლება".[33]

ამავე ანგარიშში ვკითხულობთ:

„ახალგორის რაიონში, რომელიც ახლახანს დაექვემდებარა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, მოსახლეობა მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს."[34]

---

32 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I, p.28, September, 2009

33 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.17-18

34 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.17-18

## 1.4 სამართლებრივი მიმოხილვა

ფორმალურად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომისიისა და სახკომსაბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილს[35] შეიქმნა. თუმცა პოლიტიკურ დოკუმენტებში ტერმინი „სამხრეთ ოსეთის ავტონომია" უფრო ადრე, 1917 წლის მიწურულს ჩნდება. ამ დროს „სამხრეთ ოსეთის დელეგატთა ყრილობა" ირჩევს „სამხრეთ ოსეთის ნაციონალურ საბჭოს" და მოითხოვს იმჟამინდელი საქართველოს ხელისუფლებისაგან შესაბამისი სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას.

1920 წლის 28 მარტს სამხრეთ ოსეთის ნაციონალური საბჭო ქმნის „სამხრეთ ოსეთის რევოლუციურ კომიტეტს". იმავე წლის ოქტომბერში „რევკომი" რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკთა) პარტიის კავკასიის ბიუროსაგან ითხოვს სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას.[36] საქართველოს ძალისმიერი გასაბჭოების შემდეგ (1921 წლის თებერვალში) ამ საკითხს უკვე ქვეყნის ახალი, ბოლშევიკური ხელისუფლება იხილავს.

კავბიურო 1921 წლის 31 ოქტომბერს იღებს დადგენილებას, რომ „სამხრეთ ოსეთს მიენიჭოს ავტონომიური ოლქის უფლებები" და მოეთხოვოს საქართველოს რევკომს, სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად დაადგინოს ოლქის საზღვრები" [37].

აფხაზეთისა და აჭარისაგან განსხვავებით, რომელთა ავტონომიურობაც პოლიტიკურ-ისტორიულ საფუძვლებსა და ტრადიციებს ეყრდნობოდა და აღიარებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ, ოსებს იმდროინდელ საქართველოში უყურებდნენ, როგორც ეროვნულ უმცირესობას კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებებით, მაგრამ ტერიტორიული თუ სხვა სახის ავტონომიის უფლების გარეშე.[38] მაგალითად, 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით „*საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ*" უმცირესობებს საბჭოში 26 ადგილი ეკუთვნოდათ. აქედან სომხებს 10, აზერბაიჯანელებს 4, აფხაზებს 3, რუსებს 2, ოსებს 2, ქართველ ისრაელელებს 1, ებრაელებს 1, ბერძნებს 1 და გერმანელებს 1.[39]

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ბევრი მკვლევარის მიერ აღიქმება, როგორც ერთგვარი მადლობა ოსი ბოლშევიკებისადმი, რომლებიც ებრძოდნენ[40] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოსაგან დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადეს.[41] ამასთანავე, სწორედ ავტონომიური ოლქის შექმნის კონტექსტში, აუცილებელი აღნიშვნის ღირსია საბჭოთა პოლიტიკა, რომელიც მცირე ერებისათვის გან-

35 იხ. 1922 წლის 20 აპრილის საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი №2, „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ", იხ. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული; რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი, 2004 წელი. სრული ტექსტი იხ. დანართი №2.

36 იხ. По книге: Осетинский вопрос, сборник статей, Тбилиси, Изд-во «Кера-XXI», 1994, стр.244-246

37 იხ. По книге: Осетинский вопрос, сборник статей, Тбилиси, Изд-во «Кера-XXI», 1994, стр. 301

38 იხ. 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, თავი 11. ამგვარი მიდგომის მიზეზი ისიც იყო, რომ ეთნიკური ოსები არა მარტო შიდა ქართლში, არამედ მთელ საქართველოში ცხოვრობდნენ, მათ შორის თბილისში, კახეთში, რაჭაში და სხვ.

39 იხ. Сборник правовых актов Демократической Республики Грузии 1918-1921, Тбилиси, 1990

40 ამ ბრძოლიდან ყველაზე დრამატული იყო 1920 წლის ამბოხი. მის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებამ რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილები გამოიყენა. რომელმაც, უკვე ამბოხის არსებითი ჩახშობის შემდეგ, ოსურ სოფლებში სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა. ოსური წყაროების ცნობით, ამ ბრძოლაში 5,000 ოსი დაიღუპა, ხოლო 13,000 გარდაიცვალა შიმშილითა და ეპიდემიებით. იხილეთ, Danish Association for Research on the Caucasus, Nokola Svetkovsky, "The Georgian-South Osetian Conflict".

41 იხ. CRS report for Congress: Russia-Georgia Conflict in South Osetia: Context and Implications for US interests, by Jim Nichol, updated October 24, 2008

საკუთრებული უფლებების მინიჭებითა და ავტონომიების შექმნით მოკავშირე რესპუბლიკებში ნელი მოქმედების ფეთქებადსაშიშ ტერიტორიებს აჩენდა[42].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფორმირებისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ცხინვალის საკითხს. 1921 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის განწყობილების გარდატეხამდე ხელისუფლება ქალაქსა და მიმდებარე სოფლებში დარჩენილიყო რაიონული რევკომის ხელში, რომელიც გორის მაზრას ექვემდებარებოდა. ასეთი სიფრთხილის საფუძველი ქალაქ ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იყო. 1922 წელს იქ ეთნიკური ბალანსი მნიშვნელოვნად ქართველების სასარგებლო იყო. კერძოდ, ცხინვალში 1,436 ქართველი, 613 ოსი, 765 სომეხი, 64 რუსი, 1,651 ებრაელი ცხოვრობდა.

1922 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია საქართველოს შემადგენლობაში უკვე მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის მრავალგზისი ცვლილებების კვალობაზე, ეს სტატუსი შემდგომში აღარ შეცვლილა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში სხვა საკითხებთან ერთად რჩებოდა ავტონომიების კონსტიტუციათა და დებულებათა დამტკიცება; ასევე ავტონომიათა ხელმძღვანელობის არაკონსტიტუციურ გადაწყვეტილებათა შეჩერება თუ გაუქმება[43].

არის კიდევ ერთი არსებითი საკითხი, რომელიც, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ფორმირებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებზე 1925-1927 წლებში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეაც განიხილებოდა. 1925 წელს ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ გაერთიანება მოითხოვა. გადაწყვეტილებას მიესალმა სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობა. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მსგავსი გაერთიანება უნდა მომხდარიყო საქართველოს შემადგენლობაში. იმავე წელს ამ იდეას მიესალმა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. აღნიშნულს დაეთანხმა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიც. 1927 წლის 12-16 მარტს სამხრეთ ოსეთის საბჭოების მეშვიდე ყრილობამ კიდევ ერთხელ აღძრა ეს საკითხი, მოიწონა გაერთიანებისაკენ გადადგმული ნაბიჯები და მოუწოდა სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მეტი ენერგიით ემუშავა ამ მიმართულებით. თუმცა ისტორია აქ მთავრდება. ნათელია, რომ კრემლს არ სურდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება საქართველოს შემადგენლობაში.[44]

---

42 იხ. The South Caucasus: Nationalism, Conflict and Minorities, by Anna Matveeva, Minority Rights Group International, May 2002

43 სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მოწყობისა და მისი ორგანოების კომპეტენციის დადგენის თვალსაზრისით ერთ-ერთ ბოლო და ყველაზე დეტალურ დოკუმენტს წარმოადგენს 1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ".

44 1925-1927 წლების დეკრეტები, სტენოგრამები სესიებიდან და სხვა მასალები შეგიძლიან იხილოთ პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებულში „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988)". გამოცემული თბილისში, 2004 წელს, რეგიონალიზმის კვლევის ცენტრის მიერ.

## 1.5 კონფლიქტის განვითარების ქრონოლოგია

იმპერიის ნგრევა, როგორც წესი, წინააღმდეგობრივია და არც საბჭოთა იმპერია იყო გამონაკლისი. სსრკ-ს დაშლა მრავალი ეთნიკური კონფლიქტის ფონზე მიმდინარეობდა და, სამწუხაროდ, საქართველოც დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ჩადებულმა ნაღმებმა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო მოქმედება. 80-იანი წლების დასასრულს მთელ საბჭოთა სივრცეში თანაბარი სიმძაფრით გამოჩნდა სხვადასხვა ერების ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ნაციონალური ინტერესები. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოხერხდა საომარი მოქმედებების თავიდან აცილება. მოლდოვა, სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა, ცენტრალური აზია და თავად რუსეთი 80-იანი წლების ბოლოდან დაუსრულებელ კონფლიქტებში აღმოჩნდნენ, რამაც შედეგად სიკვდილი, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, ინფრასტრუქტურის მოშლა, სახელმწიფო ინსტიტუტების სტაგნაცია და განვითარების შესაძლებელობების მინიმიზაცია გამოიწვია.

### ა) 1989 – 1990 წლები: კანონთა ომი

დამკვიდრდა აზრი, რომ 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის გაუქმებით დაიწყო კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. შესაბამისად, 1990 წლის 11 დეკემბერი მრავალი მკვლევარის ნაშრომში გვხვდება, როგორც კონფრონტაციის ათვლის წერტილი. მაგრამ ისტორიული ფაქტები ამგვარი მსჯელობის ჭეშმარიტებას არ ადასტურებს. თავად ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რამდენიმე მომდევნო ქვეთავში შევეცდებით, მკითხველს მოკლედ შევახსენოთ „კანონთა ომი“, რომელიც, ერთი მხრივ, თბილისსა და ცხინვალს, ხოლო მეორე მხრივ, მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარეობდა 1989-1990 წლებში და რომლის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი სწორედ ავტონომიების თემა იყო.

### ბ) სახელმწიფო ენის საკითხი

1989 წლის 15 აგვისტოს გამოიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები *„ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“*.[45] პროგრამაში განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამოყენების ერთადერთი სახელმწიფო ენისა. ამასთანავე, სპეციალური დებულებები მიეძღვნა რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღებასა და საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო სფეროში ქართული ენის საყოველთაო გამოყენების უზრუნველყოფას.

სწორედ 15 აგვისტოს დოკუმენტს მოჰყვა დაძაბულობათა მნიშვნელოვანი ტალღა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. იგი გამოიყენა საბაბად თავისი შემდგომი ქმედებებისთვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახლად დაარსებულმა სეპარატისტულმა მოძრაობამ „ადამონ ნიხასმა“. გაიმართა პირველ მიტინგები, რომელთა სათავეშიც სწორედ „ადამონ ნიხასის“ წევრები იდგნენ.

15 აგვისტოს დოკუმენტის საპირისპიროდ, 1989 წლის 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება *„ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“*

45 იხ. გაზეთი „კომუნისტი“, № 196, 1989 წლის 25 აგვისტო, თბილისი.

თაობაზე. დადგენილება მიუთითებდა, რომ ოსური ენის სახელმწიფო პროგრამა, ფართო საზოგადოებრიობის მიერ იყო შემუშავებული და მოწონებული. დადგენილება გაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს. ოსური მხარე ითხოვდა, რომ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პირველ პუნქტში ასახულიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენის განვითარების პროგრამის შესაბამისი დებულებები. „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ძირითადი მოთხოვნა ოსური ენისათვის ოლქის ტერიტორიაზე კონსტიტუციური სტატუსის მინიჭებაში გამოიხატებოდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენებად ოსური, ქართული და რუსული ცხადდებოდა; გარდა ამისა, პროგრამაში დეტალურად იყო გაწერილი ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსურენოვანი მოსახლეობისათვის ოსურ ენაზე სასკოლო პროგრამების შეთავაზების საკითხიც. კერძოდ, ლაპარაკი იყო ოსური ენისა და ლიტერატურის, როგორც საგნის, შესწავლაზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში უნდა დაეშვათ ოსური ენისა და ლიტერატურის ინსპექტორების შტატები და შემოეღოთ ოსური ენის სწავლება ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ერთეულების ქართულ სკოლებში მეხუთე კლასიდან.[46]

1989 წლის 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიამ საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებების თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვა საკითხი, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა“.[47]

1989 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გუმბარიძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჭითანავა ჩავიდნენ ცხინვალში და შეხვდნენ ოლქის საზოგადოებასა და პარტიულ ნომენკლატურას. თუმცა საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობას შემხვედრი წინადადებები არ ჰქონდა და შეთანხმება არ/ვერ შედგა.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიამ უკვე მეორე გადაწყვეტილება მიიღო „ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ოსური ენა გამოაცხადა; თუმცა ქართული ენა არ აკრძალეს, და დადგინდა მისი „თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ფუნქციონირება“ სსრ კავშირის ენობრივი პოლიტიკის წესების შესაბამისად.[48]

## გ) ავტონომიის სტატუსი

1989 წლის ოქტომბრიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიტინგების ფართო ტალღა აგორდა, როცა ცხინვალი და თბილისი ერთმანეთთან ე.წ. „კანონთა ომში“ იყვნენ ჩართული. სწორედ ამ დროს გაიმართა პირველი ფართომასშტაბიანი გამოსვლები, რის შემდეგაც ქალაქში ქართული მილიციის დამატებითი რაზმები შეიყვანეს.

„კანონთა ომის“ ფორმალიზება მოხდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-12 საგანგებო სესიაზე, როდესაც 1989 წლის 10 ნოემბერს სესიამ მიიღო გადაწყვეტილება:

- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების;
- სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლებისა და
- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

---

46 იხ. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, № 170, 1989 წლის 5 სექტემბერი, თბილისი

47 იხ. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, № 188, 1989 წლის 28 სექტემბერი, თბილისი

48 იხ. Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict, published by the Danish Association for Research on the Caucasus, at www.caucasus.dk; ასევე, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1165, ანაწ. 8, საქ. 2852, ფურც. 62-54

ამავე სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილებები ოსური ენის შესახებ, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს, განეხილათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი და თანხმობა მიეცათ.

მზარდი სეპარატისტული მოძრაობისა და დაძაბულობის ფონზე საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით *„იმის გამო, რომ უხეშად დაირღვა სესიის მოწვევისა და ჩატარების წესი და განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც საოლქო საბჭოს უფლებამოსილებას აღემატება“*, გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები, როგორც კანონთან შეუსაბამო.[49]

საქართველოს სსრ პარტიული ამხანაგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვეტილება სესიის მოწვევის შესახებ, „*ადამონ ნიხასის*“ წარმომადგენელთა მუქარითა და ზეგავლენით მიიღო და სწორედ ამიტომ მხოლოდ პროცედურულ, ანუ ფორმალურ საკითხებზე იმსჯელა და საერთოდ არ შეხებია პრობლემის არსებით მხარეს. თბილისში არ ჩათვალეს საჭიროდ, განემარტათ და დაესაბუთებინათ საკუთარი პოზიცია, პასუხი გაეცათ იმ შიშისა და ინტერესებისათვის, რომლებიც ამოძრავებდათ ავტონომიურ ოლქში ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს ხელისუფლება არც კი განიხილავდა ოსების წინადადებებს, სერიოზულად არ უდგებოდა მათ მოქმედებებსა და განცხადებებს. ყოველი დაძაბულობის შემთხვევაში მილიციის დამატებით ძალებს გზავნიდა ცხინვალში და ფორმალური მიზეზებით, საკითხის განუხილველად, პრობლემის გაუაზრებლად აუქმებდა მათ ყოველ დადგენილებასა თუ გადაწყვეტილებას. თბილისი და ცხინვალი მთელი წლის მანძილზე თითქოს ერთმანეთის ჯიბრით, წაქეზებული ბავშვებივით ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ამ დროისათვის კი სისხლი უკვე დაღვრილი იყო. გაჩნდნენ პირველი იძულებით ადგილნაცვალი პირები ორივე მხრიდან.

თბილისი მოკავშირეების გაჩენის ნაცვლად სამხრეთ ოსეთში ბოლო დასაყრდენსაც კარგავდა. 1990 წლიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესი პარტიული ნომენკლატურაც შეუერთდა „*ადამონ ნიხასის*“ პოზიციებს და ამ ორგანიზაციის რადიკალური მოთხოვნების გამხმოვანებელი გახდა,[50] და ეს იმ პირობებში, როდესაც რამდენიმე თვით ადრე თავად „ადამონ ნიხასისა“ და მისი ლიდერის, ალან ჩოჩიევის მოთხოვნები და შეფასებები ჯერ კიდევ ზომიერი იყო.[51] მაგალითად, ის აცხადებდა: „გააზრებული გვაქვს, რომ მოცემულ მომენტში ოსეთის სტატუსის აღდგენის საკითხის დაყენება ნაადრევი და მოუმზადებელია“.[52]

## დ) მოსკოვის პასუხი კანონთა ომზე

დაძაბულობის ფონზე მოსკოვი ქმნიდა რესპუბლიკებში მიმდინარე ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი გაღვივების იურიდიულ ბაზას. 1990 წლის 3 აპრილს მოსკოვში მიიღეს ახალი კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის წესის შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო ავტონომიურ წარმონაქმნებში სეპარატისტული განწყობის შემდგომ განვითარებას. სსრკ კანონი მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესს ასე განსაზღვრავდა:

> *„მუხლი 3: მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები, ავტონომიური ოკრუგები, რეფე-*

---

49 იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1989, № 11, გვ. 7-8. დაცულია საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში.

50 იხ. ალეკო ასლანიშვილის პუბლიკაცია, გაზეთი „7 დღე“, 1990 წლის 2 ნოემბერი, თბილისი

51 მოძრაობა „ადამონ ნიხასი“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1988 წელს შეიქმნა და მისი დამფუძნებელი და ლიდერი ალან ჩოჩიევი იყო.

52 იხ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 20 ოქტომბერი, 1989 წელი, თბილისი

*რენდუმი ეწყობა ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებელი გადაჭრის, აგრეთვე – თავისი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება."*[53]

ეს პირდაპირი გამოწვევა და 20-იან წლებში ჩადებული „ნელი მოქმედების ნაღმების ამოქმედების" პოლიტიკის კულმინაცია იყო. შესაბამისად, თბილისსა და ცხინვალში რეაქციამ არ დააყოვნა და ივლისში, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება *„საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ"*, ხოლო 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ", რომელშიც გამოცხადდა ოსი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის ხელშეუხებელი უფლება. ნათქვამი იყო, რომ ოსი ხალხის **„შემდგომი განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სრული დამოუკიდებლობა..."**; რომ **„სამხრეთ ოსეთი ცხადდება საერთაშორისო სამართლისა და საკავშირო ხელშეკრულების სუბიექტად..."** კერძოდ, სესიამ დაადგინა:

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად;
2. ეთხოვოს სსრკ უმაღლეს საბჭოს სამხრეთ ოსეთის მიღება სსრკ-ში ფედერაციის დამოუკიდებელ სუბიექტად;
3. ეთხოვოს სსრკ რესპუბლიკებს სამხრეთ ოსეთთან მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმება.

ამგვარად, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ ცალმხრივად (არ ჰქონდა რა სათანადო კომპეტენცია კონსტიტუციის ფარგლებში) მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივი გასვლის შესახებ. ეს დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბერს გააუქმა.

## ე) არჩევნები და ოლქის გაუქმება

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა უზენაესი საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკური ოსი მოქალაქეების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ[54].

1990 წლის 28 ნოემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-16(2) სესიამ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 9 დეკემბრისათვის დანიშნა. 1990 წლის 9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთში ჩატარდა შესაბამისი არჩევნები. ცხინვალის ოფიციალური ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოლქის მოსახლეობის 72%-მა, რაც თავისთავად საინ-

---

53 კანონთა ომის შესახებ დეტალური ინფორმაციისა და ქრონოლოგიისათვის იხ., Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict, published by the Danish Association for Research on the Caucasus, at www.caucasus.dk

54 1990 წლის 16 ოქტომბერს ცხინვალში ავტონომიური ოლქის საბჭოს მე-15 სესიამ მიიღო დროებითი დებულება „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ».

ტერესო რიცხვია, ვინაიდან იგი ავტონომიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ოსების რაოდენობას აღემატება.[55]

1990 წლის მიწურულს დადგენილებების ომი, რომელსაც თანდათან „ცხელი ომის" მზარდი ნიშნებიც ახლდა თან, დაგვირგვინდა 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონით, რომლითაც გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი[56] და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები. გარდა ამისა, ცნობილ იქნა ბათილად ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები[57].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების მიზეზებად დასახელდა შემდეგი არგუმენტები:

1. 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია შეიქმნა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს ინტერესთა საზიანოდ;
2. ოს ხალხს აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა სსრკ-ს ტერიტორიაზე;
3. ოლქში საქართველოში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს.

იმავე დღეს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მიიღო კანონი *„საგანგებო წესების შესახებ"*. ასევე, შესაბამისი შესწორება შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაშიც.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიის წაშლა საქართველოს პოლიტიკური რუკიდან იმდროინდელ საქართველოში დომინანტი განწყობის ანარეკლი იყო. თავად უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონიც დაღდასმული იყო უფრო ემოციური ნაციონალიზმით, ვიდრე რაციონალური ხედვითა და სამართლებრივი კორექტულობით.

სამხრეთ ოსეთის ლიდერთა გადაწყვეტილებები ადეკვატური და სამართლებრივად გამართული არ იყო, მაგრამ თბილისის პასუხიც სრულიად არაპროპორციულად უნდა შეფასდეს. თბილისმა ვერ გაიაზრა ვითარების სიმძიმე და კომპრომისების ძებნის ნაცვლად მოვლენათა ესკალაციაში ჩაერთო, რაც მხარეების საერთო ნიშნულიდან მუდმივ, მიზანმიმართულ დაშორებას იწვევდა. ამას, დაძაბულობის შემდგომი ზრდის გარდა, სხვა განვითარება ვერ მოჰყვებოდა.

## 3) 1991 – 1992 წლები: კონფლიქტის აქტიური ფაზა

მზარდი დაძაბულობის ფონზე და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მეამბოხე ავტონომიის ძალით გაკონტროლება სცადა და შესაბამისად, 1991 წლის იანვარში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ, რასაც ერთწლიანი სისხლისღვრა და ქაოსი მოჰყვა. ომი ძირითადად ცხინვალში, მის შემოგარენში და მთავარი მაგისტრალის გასწვრივ მიმდინარეობდა. ბრძოლები სრულიად ქაოსური იყო, ვინაიდან არც საქართველოს, და ბუნებრივია, არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიას რაიმე ტიპის კარგად ორგანიზებული რეგულარული არმია არ ჰყავდა. სამხრეთ ოსეთში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ სრულიად სხვადასხვა წარსულის, პოლიტიკური ორიენტაციისა და მიზნების მქონე შეიარაღებული ფორმირებები, რომელთა უმრავლესობასაც კრიმინალური კავშირები და ინტერესები აერთიანებდა. შესაბამისად, არ არსებობდა ბრძოლის რაიმე ერთიანი გეგმა, სტრატეგია ან ტაქტიკა. ომის დროს ჩადენილი

55 დეტალური ქრონოლოგიისათვის იხ. Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict, published by the Danish Association for Research on the Caucasus, at www.caucasus.dk

56 საქართველოს უზენაეს საბჭოში ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც ამ გადაწყვეტილებას ხმა არ მისცა, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი დავით ბერძენიშვილი იყო, რაც თავისთავად ადასტურებდა მაშინდელ საქართველოში დომინანტ განწყობებს, მზარდ დაძაბულობას და იმას, რომ საზოგადოებას მაინცდამაინც კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგები.

57 იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990, №12, გვ. 10-12

სისასტიკე და დანაშაული მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების კრიტიკის ობიექტი იყო[58], თუმცა ამ ომის გამო არასოდეს არავინ დასჯილა.

საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს იყო კონფლიქტის დარეგულირების რამდენიმე მცდელობა. აღსანიშნავია 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბორის ელცინის შეხვედრა, დაბა ყაზბეგში. მაშინ ერთობლივად ხელმოწერილ ოქმში ჩაიწერა:

> *„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეებმა დათქვეს შემდეგი: ...რუსეთის სფს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 აპრილამდე შექმნიან მილიციის ერთობლივ რაზმს, რომელიც განაიარაღებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას.“*[59]

თუმცა რამდენიმე დღეში რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ საქართველოს ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენა მოსთხოვა. ყრილობა მიმართავდა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსაც, მიეღო ზომები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ნორმალური ვითარების აღსადგენად. დოკუმენტს ამჯერადაც ხელს აწერდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი.

კონფლიქტი გრძელდებოდა და მას ფონად გასდევდა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, თბილისის ომი, მაგრამ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე ეს ნაკლებად აისახებოდა. საგულისხმოა, რომ სამხედრო საბჭომ გააუქმა გამსახურდიას დროს მიღებული ბევრი გადაწყვეტილება, მაგრამ „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით იგივე პოზიცია შეინარჩუნა.

შეირაღებული კონფლიქტის ე.წ. „ცხელი ფაზა“ 1992 წლის ივნისში დასრულდა. ამ დროისათვის აღარც საბჭოთა კავშირი არსებობდა და აღარც გამსახურდიას ხელისუფლება. საქართველოში მოქმედ სახელმწიფო საბჭოს უკვე ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. 1992 წლის ივნისში შევარდნაძემ და ელცინმა სოჭში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ. შეთანხმების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო:

- ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონაში;
- კონფლიქტის ზონის დაყოფა, ერთი მხრივ, საქართველოს, მეორე მხრივ კი, სამხრეთ ოსეთის კონტროლის ზონებად;
- შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) შექმნა, ოთხმხრივი ორგანო, საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობითა და ეუთოს პატრონაჟით;
- საკონტროლო კომისიის ფორმატის განსაზღვრა. ეს იყო უნივერსალური ფორმატი და მოიცავდა კონფლიქტის მოგვარების ყველა ასპექტს.

ამავე დოკუმენტით შეიქმნა გაერთიანებულ სამშვიდობო ძალთა სამმხრივი კონტინგენტი – საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაწილეობით.

## ზ) ვარდების რევოლუციამდე

საომარი მოქმედებების შეჩერებისა და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ბრძოლამ დიპლომატიურ მაგიდასთან გადაინაცვლა და ერთმანეთის მიყოლებით ფორმდებოდა შეთანხმებები, ურ-

58 იხ., „Bloodshed in the Caucasus; violation of Humanitarian Law and Human Rights in the Georgia-South Osetia Conflict”, Human Rights Watch report, 1998

59 ერთობლივი ოქმი რამდენიმე დღეში გამოქვეყნდა თბილისში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, №58, 1991 წლის 27 მარტი.

თიერთგაგების ოქმები და მემორანდუმები. პარალელურად კი მოსახლეობა თანდათანობით უკან დაბრუნებას იწყებდა, აღდგა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, 1996 წელს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების იმედიც კი გაჩნდა, როდესაც 1996 წლის 17 აპრილს, მხარეთა მიერ პარაფირებულ იქნა მემორანდუმის პროექტი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების შესახებ.

ისტორიამ 1996-2002 წლების მრავალი დოკუმენტი და შეხვედრა შემოგვინახა. ამ წლების მანძილზე პოზიციების დაახლოება მრავალჯერ მოხდა და ექსპერტების შეფასებით ფუნდამენტური გარღვევაც იყო შესაძლებელი[60].

განსაკუთრებით იმედის მომცემი შევარდნაძისა და ჩიბიროვის გახშირებული შეხვედრები იყო: 1996 წელს ვლადიკავკაზში, 1997 წელს ჯავაში, 1998 წელს ბორჯომში. სწორედ ამ შეხვედრების დროს ნათლად გამოჩნდა პოზიტიური დინამიკა, ვინაიდან მხარეები საუბრობდნენ ყველა თემაზე, მათ შორის დევნილთა დაბრუნებაზე, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, კონფლიქტის ზონაში მყოფი მოსახლეობის უსაფრთხოების ერთობლივ დაცვაზე და სხვა.

იმავე 1996 წელს გაიხსნა ერგნეთის ბაზრობა, რომელიც დასაწყისისათვის ქართული მხარის მიერ მნიშვნელოვანი ფუნქციის, ხალხის დაახლოებისა და ნდობის აღდგენის მექანიზმად აღიქმებოდა.

ნეგატიური შემობრუნება სამხრეთ ოსეთში დე ფაქტო პრეზიდენტად ედუარდ კოკოითის არჩევის, ხოლო საქართველოს მხრიდან ნატოს წევრობის ოფიციალური განაცხადის გაკეთების შემდეგ იწყება. 2002 წლის ნატოს პრაღის სამიტზე საქართველოს მიერ ალიანსის წევრობაზე ოფიციალური მიმართვის შემდეგ, უკვე ზაფხულში რუსეთმა დაიწყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოსახლეობისათვის საბჭოთა პასპორტებში სპეციალური შტამპების ჩარტყმა, ხოლო 2003 წლიდან გამარტივებული წესით რუსული საზღვარგარეთის პასპორტების მასობრივი დარიგება.

პოლიტიკურ მოსაზრებებთან ერთად ექსპერტების უმრავლესობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ლოგიკას ე.წ. „ომის ეკონომიკის" ფენომენსაც უკავშირებდა, როდესაც დაძაბულობა და კონფრონტაცია უკანონო ბიზნესისათვის (უკანონო იარაღი, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკები, კონტრაბანდა) ნოყიერი ნიადაგი ხდება,[61] როდესაც კონფლიქტში ეკონომიკური ინტერესები ერთვება და მხარეთა შორის ურთიერთობებში დომინანტ პოზიციებს იკავებს, შესაბამისად ჩნდებიან კონფლიქტის შედეგებით მოსარგებლე ჯგუფები, რომლებიც მისი განგრძობითა და *სტატუს კვოს* შენარჩუნებით არიან დაინტერესებული. ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ომის ეკონომიკის შესახებ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ფაქტორი იყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე კონფლიქტისათვის. თუმცა სწორედ ამ ფაქტორის არაადეკვატურმა ან მისი მნიშვნელობის გადაჭარბებულმა შეფასებამ მიიყვანა ქვეყანა 2004 წლის ზაფხულის ტრაგედიამდე.

60 1996-2002 წლებში კონფლიქტის დინამიკის სრულყოფილი მიმოხილვა. იხ. ზაქარეიშვილი, დარჩიაშვილი, ხაინდრავა, ხიდაშელი, კუბლაშვილი, გოგია, ჯორბენაძე, შერგელაშვილი, მირზიაშვილი, ტოკლიკიშვილი, მაისაშვილი: „ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ", თბილისი, 2005; ქრონოლოგიისათვის ასევე იხ. „Chronical of Events of the Conflict, 1989 – 1992, at The Georgian-South Ossetian Conflict", published by the Danish Association for Research on the Caucasus, at www.caucasus.dk

61 იხ. საერთაშორისო IDEA, „დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში", სადისკუსიო მასალა №9, დარჩიაშვილი, თევზაძე „ეთნიკური კონფლიქტი და განდგომილი რეგიონები საქართველოში", მაისი, 2003

# 1.6 ვარდების რევოლუციის შემდეგ

## ა) ერგნეთის ბაზრობა და 2004 წლის ზაფხული

ვარდებისა და აჭარის რევოლუციების წარმატების შემდეგ იმ პირობებში, როდესაც საყოფაცხოვრებო დონეზე კონფლიქტი თითქოსდა ამოწურული იყო, პრობლემად მხოლოდ კოკოითის რეჟიმი ჩანდა, რომელიც ძირითადად კონტრაბანდით საზრდოობდა და ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა. დაახლოებით ასეთი იყო საქართველოში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის უმრავლესობის დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართ.

2004 წელს ქართველი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, ვითარება ერგნეთის ბაზრობის ირგვლივ ძალზე საგანგაშო და, ავტორების მტკიცებით, საქართველოს უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკების შემცველი იყო. გარდა იმისა, რომ ქართული ეკონომიკა უდიდეს ფინანსურ ზარალს იღებდა სხვადასხვა ტიპის ტვირთების უკანონო მიმოსვლის გამო, რომელთა მოცულობაც სხვადასხვა შეფასებებით 200 მილიონი ლარიდან ერთ მილიარდამდე მერყეობდა, სწორედ ერგნეთის ბაზრობის საშუალებით ხდებოდა ქვეყნაში იარაღის, ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული ნივთების შემოტანა[62]. კვლევის შესაბამისად, ყოველდღიურად 150 მანქანა კვეთდა პირობით საზღვარს და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა. ყოველ მანქანას თავისი ზომისა და ტვირთის შესაბამისი არაოფიციალური „ტარიფი“, ანუ ქრთამი, უნდა გადაეხადა ორივე მხარეს მდგარი მარეგულირებლებისათვის.

ხელისუფლების ტაქტიკა ნათელი იყო. ერთი მხრივ, ქართულ ეკონომიკაში ასეთ უზარმაზარ ფინანსურ „შავ ხვრელს“ ვერ შეეგუებოდა. მაშინ როდესაც საქართველოში საგადასახადო სისტემის რეორგანიზაცია და მოწესრიგება დაიწყო და ბიუჯეტი იზრდებოდა, ბუნებრივია, ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოტანის თითქმის დაკანონებულ ტერიტორიას ვერ შეინარჩუნებდნენ. ხოლო მეორე მხრივ, ერგნეთის ბაზრის დახურვით, ანუ კოკოითის რეჟიმის მასაზრდოებელი ძირითადი წყაროს მოსპობით, და იმავდროულად „ჰუმანიტარული შტურმით“ თბილისი შეეცადა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გულის მოგებას და ლოიალობის მოპოვებას. მთავრობა ხალხსა და პარლამენტს გატარებული წარმატებული ღონისძიებების შესახებ ამაყად მოახსენებდა:

> *„ქართველმა სამართალდამცავებმა დაიწყეს ქმედითი ღონისძიებების გატარება კონტრაბანდული ტვირთების შემოდინების აღსაკვეთად. მათ კრიმინალებს ყველა გზა და ბილიკი გადაუკეტეს. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაიხურა ერგნეთის ბაზრობა, რითაც კონტრაბანდისტებსა და მათ მფარველებს მთავარი მასაზრდოებელი წყარო დაეხშოთ“.*[63]

ერთი შეხედვით მარტივი ტაქტიკა ფუნდამენტშივე არასწორი აღმოჩნდა, ვინაიდან „ომის ეკონომიკა“, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი შემადგენელისა ქართულ-ოსურ კონფლიქტში, მაინც არ იყო გადამწყვეტი ფაქტორი.

აჭარისაგან განსხვავებით, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის რეჟიმთან დაპირისპირების პარალელურად, საქმე გვქონდა საქართველოსთან სრულ ინტეგრაციასთან, ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, რამდენად დაპირისპირებულიც არ უნდა ყოფილიყვნენ დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის, მისი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მისი პოლიტიკის მიმართ, და რამდენად კარგი ურთიერთობებიც არ უნდა ჰქონოდათ თავის ქართველ თანასოფლელებთან, არ იყვნენ და თბილისისადმი ნდობით გამსჭვალულნი.

---

62 იხ. Alexandre Kukhianidze, Alexandre Kupatadze, Roman Gotsiridze “Smugguling through Abkhazia and Tskhinvali region of Georgia”, published by American University, Transnational Crime and Corruption Center (TraCCC) Georgia Office, Tbilisi, 2004; ასევე, საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესიის შესახებ, თბილისი, აგვისტო, 2009, გვ. 27

63 იხ. იქვე, გვ.26

ნდობის მოპოვება ხანგრძლივი პროცესია და, შესაძლოა, თბილისის მცდელობებს შედეგიც გამოეღო, მაგრამ ხელისუფლება ჩქარობდა. ერთი მხრივ, სულსწრაფობამ და, მეორე მხრივ, რუსეთის ფაქტორის არასათანადოდ შეფასებამ, 2004 წლის ზაფხულის კრიზისამდე და სისხლისღვრამდე მიგვიყვანა. საქართველოს მთავრობის ანგარიშში ვკითხულობთ:

> *„განახლებულ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო რუსეთი, რუსულმა მედიასაშუალებებმა პროპაგანდისტული ომი წამოიწყეს. რეგიონში სასწრაფოდ შემოიყვანეს ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები".*

ამასთანავე, გაუგებარია, თუკი საქართველოს სამართალდამცავები ანტიკონტრაბანდულ ღონისძიებას ატარებდნენ ბაზრობის დახურვის მიზნით, ქართულმა პოლიციამ რატომ დაიკავა სტრატეგიული სიმაღლეები, რომელთა დატოვებაც, მთავრობის იმავე ანგარიშის თანახმად, სასწრაფოდ მოუხდა ქართულ მხარეს?

> *„ესკალაციის თავიდან ასაცილებლად ქართული პოლიციის მიერ დაკავებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები „სამშვიდობოებს" გადასცა და რეგიონიდან გამოიყვანა შსს დამატებითი რაზმები".*[64]

ამ წარუმატებელი კამპანიის პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომ მოხდა არჩეული ტაქტიკის გადაფასება და იმის გაცნობიერება, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა გრძელვადიან და თანმიმდევრულ მიდგომას საჭიროებდა. ყოველ შემთხვევაში, 2004 წლის შემოდგომაზე საქართველოს ხელისუფლების განცხადებები სწორედ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს ქმნიდა.

## ზ) საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივები

2004 წლის 22 სექტემბერს გაეროს 59-ე გენერალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა დასვა კონფლიქტების ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი. ეს გეგმა ეტაპობრივი იყო და ნდობის აღდგენის პარალელურად რეგიონის დეკრიმინალიზაციას, დემილიტარიზაციასა და უსაფრთხოების ფართო გარანტიებს მოიცავდა.

ამას მოჰყვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის შეხვედრა სოჭში 2004 წლის ნოემბერში, სადაც ხელი მოეწერა დემილიტარიზაციის შეთანხმებას. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების საჭიროებაზეც.

2005 წლის იანვარში პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, რომლის მიზანიც საქართველოს მშვიდობიანი გამთლიანება იყო.[65] გეგმაში საუბარი იყო ფართო ავტონომიაზე, საკონსტიტუციო გარანტიებზე, ოსური ენის ოფიციალურ სტატუსზე და რეგიონის რეაბილიტაციის, ასევე განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის სპეციალური სახსრების გამოყოფაზე. გეგმაში საუბარი იყო კონფლიქტის შედეგად დაკარგული ქონების რესტიტუციაზეც. ამასთანავე, გეგმით გათვალისწინებული იყო ერთობლივი, შერეული ქართულ-ოსური პოლიციური ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის უსაფრთხოებას.

2005 წლის ივლისში ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თბილისი მზად არის, სამხრეთ ოსეთს მისცეს ყველაზე ფართო ავ-

---

64 საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი აგრესიის შესახებ, თბილისი, აგვისტო, 2009, გვ. 27

65 იხ. სრული ტექსტი: საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, იხილეთ, http://207.218.249.154/geo/article.php?id=9252

ტონომია, უზრუნველყოს თვითმმართველობის მაღალი ხარისხითა და პრივილეგირებული საგადასახადო და ეკონომიკური რეჟიმებით.[66]

საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო გეგმის უფრო ვრცელი და კონკრეტული ვერსია გამოცხადდა 2005 წლის დეკემბერში ეუთოს ლიუბლიანის მინისტერიალზე, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა წარმოადგინა კონფლიქტის მოგვარების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა.[67] გეგმის მიხედვით გამოიკვეთა მოქმედებათა სამი ეტაპი:

- კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია,
- სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, და
- სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსის განსაზღვრა.

საქართველოს მხრიდან საერთაშორისო თანამეგობრობისათვის სამშვიდო გეგმების შეთავაზებამ გარდაუვალი გახადა ოსური მხარის პასუხი. მით უფრო იმ ფონზე, რომ ეუთოს მინისტერიალზე გეგმა ერთხმად, მათ შორის რუსეთის თანხმობით, მიიღეს. პასუხმაც არ დააყოვნა. იმედის მომცემი იყო სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის მიერ პრეზიდენტების, პუტინისა და სააკაშვილის, აგრეთვე, ეუთოს წევრ-სახელმწიფოთა მეთაურების სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც ის აქცენტს ერთობლივი სამშვიდობო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე აკეთებდა. ედუარდ კოკოითის შემხვედრი წინადადებები კონფლიქტის დარეგულირების იმავე სამეტაპიან მიდგომას უჭერდა მხარს და შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მოქმედებათა ერთიანი გეგმის შემუშავების ინიციატივით გამოდიოდა. კოკოითის წერილი იმდენად ჰგავდა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივების, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ქართულ მედიას განუცხადა, „ჩვენგან გადაიწერაო".

თუმცა ყველა ამ სამშვიდობო ინიციატივასა და გეგმას ჰქონდა ერთი სერიოზული პრობლემა. საქართველოს ხელისუფლება ჩქარობდა და ყოველი ასეთი ინიციატივის რეალიზაცია მეტად შეზღუდული დროითი ჩარჩოებით იყო შემოსაზღვრული. მაგალითად, ლუბლიანის მინისტერიალზე გამოცხადებული გეგმის სამივე ეტაპის დასრულება 2006 წლის სექტემბრამდე უნდა მომხადარიყო, რაც საფრთხეს უქმნიდა მის რეალურ განხორციელებას.

მიუხედავად ასეთი შემჭიდროებული ვადებისა, იგვიანებდა თბილისის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები, რომლებიც სამშვიდობო გეგმებში განცხადებულ ინიციატივებს რეალობად აქცევდა. სწორედ კოკოითის პასუხის შემდეგ საქართველოს პარლამენტს შეეძლო დაეწყო მოქმედება და შესაბამისი სამშვიდო ინიციტივების მხარდამჭერი კანონმდებლობის ინიცირება. ერთ-ერთი ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო *კანონი ოსური ენის სტატუსის შესახებ*, როგორც დაგვიანებული პასუხი ოსი ხალხის მოთხოვნაზე და სიმბოლური ჟესტი ურთიერთობების გაჯანსაღებისათვის სწორედ იმ წერტილიდან, სადაც ის შეწყდა. ბუნებრივია, ამგვარ აქტს დასაწყისისათვის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ კონფლიქტები და ნდობის აღდგენა სწორედ ასეთი, სიმბოლური მოქმედებებისგან კრებულია, რომელთა სიმრავლეც დროთა განმავლობაში ხარისხობრივ სხვაობას იძლევა. მეორე, ასეთი უნდა ყოფილიყო *კანონი ქონების რესტიტუციის შესახებ*, რომელსაც მიღებისთანავე საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ოსების უფლებების აღდგენა უნდა მოჰყოლიდა. სამწუხაროდ, ამ კანონის მიღება 2005 წლის 26 იანვარს გამოცხადებული სამშვიდობო გეგმი-

66 იხ. „თბილისი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმას ბათუმში გააჟღერებს", თბილისი, 10 ივლისი, 2005, „civil.ge", http://www.civil.ge/geo/article.php?id=10192; ასევე, „ცხინვალი სამშვიდობო ინიციატივაზე განცხადებას ავრცელებს", „civil.ge", თბილისი, 12 ივლისი, 2005, http://www.civil.ge/geo/article.php?id=10205&search=

67 იხ. „ნოღაიდელი მინისტრების დღის წესრიგში სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმის გათვალისწინებას ითხოვს", „civil.ge", თბილისი, 13 ივლისი 2005, http://www.civil.ge/geo/article.php?id=10210&search=; აგრეთვე, GEORGIA'S ACTION PLAN ON SOUTH OSSETIA: A TEST FOR THE INTERNATIONAL COMMUNITY, Eurasia Daily Monitor Volume: 2 Issue: 219, November 22, 2005, at http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews[tt_news]=31149; ასევე, REMARKS OF H.E. MR. ZURAB NOGAIDELI, PRIME MINISTER OF GEORGIA, OSCE Permanent Council, VIENNA - 27 OCTOBER, 2006, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=30&info_id=2573

დან, 23 თვის დაგვიანებით, 2006 წლის 29 დეკემბერს მოხდა. თუმცა არც მისი მიღების შემდეგ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები მისი რეალიზებისათვის.

ყველა სამშვიდობო გეგმას არადამაჯერებელს ხდიდა ოფიციალური პირების განცხადებები თბილისში, რომლებიც ხშირად მუქარის ან დამცინავი ტონით ლაპარაკობდნენ სამხრეთ ოსეთის შესახებ და ტერიტორიული მთლიანობის სწრაფი აღდგენის პირობებს დებდნენ. ამგვარი რიტორიკის კულმინაცია იყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება ტელეკომპანია „იმედის" პირდაპირ ეთერში, რომელიც მთელ საქართველოს ახალი, 2007 წლის დადგომის ცხინვალში აღნიშვნას დაჰპირდა.

## გ) დროებითი ადმინისტრაცია

2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი *„ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ"*, რომლის საფუძველზეც შეიქმნა დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და მისი დროებითი ადმინისტრაცია.[68] კანონით სწორედ დროებით ადმინისტრაციას მიენიჭა მოლაპარაკებებში ყველაზე მწვავე საკითხის – „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისთვის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმართვის"[69] ფუნქცია. გაუგებარია, ვინ უნდა ყოფილიყო მოლაპარაკების სუბიექტი და ობიექტი, ვის ვისთან უნდა მოელაპარაკა ავტონომიის სტატუსის შესახებ. საქართველოს პარლამეტის დროებითი კომისიის დასკვნაში ამ კითხვაზე პასუხი ირიბადაა გაცემული, და კონფლიქტის მხარედ გამოცხადდა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ლოიალური დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაცია!

> *„დიმიტრი სანაკოევი იწყებს მოლაპარაკებებს საქართველოს ხელისუფლებასთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით".*[70]

პრობლემა მთელი სიცხადით ჯერ კიდევ არჩევნების დროს გამოჩნდა, როდესაც ერთსა და იმავე დღეს ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2 არჩევნები და 2 რეფერენდუმი ჩატარდა. ოთხივე შემთხვევაში შედეგი 90 პროცენტს აჭარბებდა. ერთი მხრივ, ამომრჩევლის 99-მა პროცენტმა ხმა მისცა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხარეს ამომრჩევლის 95-მა პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს ფედერალიზაციას. ასევე უმრავლესობით აირჩიეს სხვადასხვა მხარეს ედუარდ კოკოითი და დიმიტრი სანაკოევი. პარალელური არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებამ პირობითი საზღვრის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანების სრული პოლარიზაცია გამოიწვია, პოლარიზაცია, რომელიც პოლიტიკური პროცესის შედეგი და საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული დაახლოებისა და თანხმობის ინიციატივების საწინააღმდეგო იყო.

2006 წლის 12 ნოემბერს განვითარებულმა საარჩევნო ბატალიებმა ნათლად აჩვენა, რომ ყოფილი ოლქის ტერიტორიის ქართულ სოფლებში არჩეული ადმინისტრაცია მორიგი კონფრონტაციისა და დაძაბულობის მიზეზი ხდებოდა. ერთი რამ, რაც ცხადი იყო კონფლიქ-

---

68 დროებითი ადმინისტრაციული ერთეული და მისი ადმინისტრაცია შეიქმნა კანონის საფუძველზე გამოცემული ორი აქტის შესაბამისად: 2007 წლის 8 მაისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ" და 2007 წლის 10 მაისის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ".

69 საქართველოს კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ", 2007 წლის 13 აპრილი, მუხლი 4 (ბ). საინტერესოა ამავე კანონის მეოთხე მუხლის „დ" ქვეპუნქტიც, რომელიც დროებითი ადმინისტრაციის უფლებამოსილებებში განსაზღვრავს „კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით შესაბამისი გეგმებისა და პროექტების შემუშავებას და მათი მომზადების პროცესში ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას"; ეს დებულება საზოგადოებისა და ექსპერტების მხრიდან აღქმულ იქნა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობის გადაბარება ახალი წარმონაქმნისათვის.

70 იხ. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა, 2009 წ.

ტის მთელი ისტორიის მანძილზე – საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ოლქის ქართულ სოფლებთან და მოსახლეობასთან პრობლემა არასოდეს ჰქონია. არც საომარი მოქმედებები ყოფილა ეთნიკურ ქართველებს შორის. შესაბამისად, რეგულირება, მოლაპარაკება, შეხვედრები, ნდობის აღდგენაზე მუშაობა სწორედ პირობითი საზღვრის მეორე მხარეს დარჩენილ, ძირითადად ეთნიკურად ოს ჩვენს თანამოქალაქეებთან იყო საჭირო. ხოლო ამ მისიას ქართული სოფლების მიერ არჩეული დროებითი ადმინისტრაცია და მისი ხელმძღვანელი, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ნამდვილად ვერ შეასრულებდა.

## 1.7 2008 წელი – აღმავალი კონფრონტაცია

### ა) დაძაბულობის ზრდა რუსეთსა და საქართველოს შორის – 2008 წლის გაზაფხული

2008 წლის ადრეულ გაზაფხულზე კონფრონტაციამ რუსეთსა და საქართველოს შორის პიკს მიაღწია.

*2008 წლის 6 მარტს* რუსეთი ცალმხრივად გამოვიდა დსთ-ის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებიდან „აფხაზეთში/საქართველო კონფლიქტის დარეგულირების შესახებ", რაც პრაქტიკულად კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას გულისხმობდა. ამგვარი მოქმედების მთავარი არგუმენტი რუსეთის მხრიდან იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული ინტერესები, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მტკიცებით, აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავლესობას 2008 წლის გაზაფხულისათვის უკვე რუსეთის მოქალაქეები, ან უფრო ზუსტად, რუსეთის მოქალაქის პასპორტის მფლობელი პირები შეადგენდნენ.

საქართველომ რუსეთის მოქმედებას უკიდურესად უარყოფითი შეფასება მისცა და იგი აფხაზეთის სრული მილიტარიზაციის დაწყებად გამოაცხადა. საქართველოში პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა აცხადებდა, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ რუსეთმა მთელ მსოფლიოს მკვეთრი სიგნალი გაუგზავნა.

2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების შემდეგ რუსეთი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა და მომდევნო თვეების განმავლობაში რუსულ–ქართული ურთიერთობები კანონებისა და ურთიერთბრალდების შემცველი განცხადებების საინფორმაციო ომში გადაიზარდა.

*2008 წლის 21 მარტს* რუსეთის დუმამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას აძლევდა რეკომენდაციას, ეღიარებინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა.[71]

*2008 წლის 16 აპრილს* პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა დეკრეტს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი სამართლებრივი კავშირებისა და ურთიერთობების შესახებ. ამავე დეკრეტის შესაბამისად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა გაიხსნა ცხინვალსა და სოხუმში. 16 აპრილის დეკრეტი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ თავისი დამოუკიდებლობის ირიბ დადასტურებად აღიქვა. გადაწყვეტილება დაგმო საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის ევროკავშირმა, ეუთომ, ნატომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ. საერთაშორისო

---

71 *„Georgia Condemns Duma's Call for S. Ossetia, Abkhaz Recognition",* 24 March, 2008, Civil Georgia, at http://www.civil.ge/eng/article.php?id=17433; *Russia Moves to Legalize Ties with Abkhazia, S.Ossetia, 16 April, 2008, Civil Georgia; at* http://www.civil.ge/eng/article.php?id=17638

საზოგადოებამ რუსეთისაგან მოითხოვა აღნიშნული დეკრეტის გაუქმება და ურთიერთობების ნორმალიზაცია, თუმცა უშედეგოდ.[72]

2008 წლის 31 მაისს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ აფხაზეთში შეიყვანა სარკინიგზო ჯარების ვოლგოგრადის 76-ე შენაერთი 400 სამხედროს შემადგენლობით[73]. მოტივაცია ამჯერადაც ჰუმანიტარული იყო – ომის შედეგად განადგურებული რკინიგზის რეაბილიტაცია სოხუმიდან ოჩამჩირემდე. ეს პროექტი საქართველოსთან შეთანხმებული არ ყოფილა. მეტიც, ქართული მხარე მუდმივად გამოხატავდა შეშფოთებას რკინიგზის რეაბილიტაციის ფაქტის გამო და ეწინააღმდეგებოდა მას, ვინაიდან რკინიგზის რეაბილიტაციას მუდმივად უკავშირებდნენ რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობის ოჩამჩირემდე ტრანსპორტირების, შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის ჯარებისათვის „საჭიროების შემთხვევაში“ გადაადგილების შესაძლებლობის გამარტივებას და, აფხაზეთის სამხედრო პოტენციალის ზრდას.

კანონების, დადგენილებებისა და განცხადებების პარალელურად კი სულ უფრო და უფრო იძაბებოდა ვითარება კონფლიქტის ზონებში, იღუპებოდნენ მშვიდობისმყოფლები, პოლიციელები და სამოქალაქო პირები, ნადგურდებოდა ათეულობით ადამიანის საკუთრება.

## ზ) 2008 წლის 20 აპრილი, ქართული უპილოტო საფრენი აპარატის განადგურება აფხაზეთის ტერიტორიაზე

2008 წლის 20 აპრილს 10:00 საათზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შემოფრენილმა გამანადგურებელმა გალის რაიონის სოფელ გაგიდის თავზე ჩამოაგდო ქართული უპილოტო საფრენი აპარატი *„ჰერმეს-450“*, – იუწყებოდა საქართველოს ხელისუფლება.

გაეროს მისიამ, რომელმაც მხარეთა მოთხოვნით დაიწყო ამ საქმის მოკვლევა, 2008 წლის 20 აპრილის ინციდენტთან დაკავშირებით დასკვნაში ცალსახად მიუთითა, რომ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მოსკოვის ხელშეკრულების შესაბამისად, „მხოლოდ დსთ-ს ძალებსა აქვთ მანდატი, განახორციელონ ღონისძიებები ძალების დაშორიშორებისათვის და მეტს არავის. მკაცრად განსაზღვრული სამშვიდობო მანდატის პრინციპების თანახმად, მისიას მიაჩნია, რომ მესამე მხარის – ამ შემთხვევაში რუსეთის – მიერ, კონფლიქტის ზონაში განხორციელებული ქმედება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება მოსკოვის ხელშეკრულებას და არღვევს ძალების დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს“.[74]

იმავე დასკვნაში გაეროს დამკვირვებელთა მისია ქართულ მხარესაც მიანიშნებს ხელშეკრულების დარღვევაზე: „რამდენად ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს ქართული მხარის მიზნები, ამგვარი ხასიათის სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, აფხაზური მხარის მიერ განხილულ იქნას, როგორც სამხედრო ოპერაციის დაწყება, განსაკუთრებით ვითარების გამწვავების ფონზე. ცეცხლის განუახლებლობის რეჟიმს აქვს თავისი პოზიტიური მხარე – ის აჩერებს ომს. თუმცა თან ახლავს შეზღუდვებიც, რაც გულისხმობს მხარეთა შეზღუდვას ისეთი ქმედებების განხორციელებაში, რომელიც მეორე მხარის მიერ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც საფრთხის მატარებელი“.[75]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ანგარიშში, UNOMIG საქართველოს ხელისუფლებას შეახსენებს 2008 წლის 7 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრისათვის გაგზავნილ წე-

72 *Reports: Russia will not Revoke April 16 Decision, 11 July, 2008, Civil Georgia, at* http://www.civil.ge/eng/article.php?id=18753

73 *Increase in Troops by Russia in Abkhazia 'not Wise' – Solana 29 April, 2008, Civil Georgia, at ,* http://www.civil.ge/eng/article.php?id=17724

74 Report of UNOMIG on the Incident of 20 April involving the downing of a Georgian Unmanned Aerial Vehicle over the Zone of Conflict, *para 35;*

75 Report of UNOMIG on the Incident of 20 April involving the downing of a Georgian Unmanned Aerial Vehicle over the Zone of Conflict, *para 36;*

რილს, სადაც 2008 წლის 18 მარტის ანალოგიურ შემთხვევასთან[76] დაკავშირებით მისია აცხადებდა, რომ საქართველოს მხრიდან კონფლიქტის ზონაში უპილოტო თვითმფრინავების გაგზავნა, შესაძლებელია, საერთაშორისო სამართლისათვის ჩაითვალოს სამხედრო ოპერაციად, რაც ეწინააღმდეგება მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულებების პრინციპებს.[77]

## გ) დაძაბულობის ზრდა ცხინვალის რეგიონში – 2008 წლის ზაფხული

2008 წლის ივლისში ცხინვალის რეგიონში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

2008 წლის 3 ივლისს ქართული მედია იუწყებოდა, რომ ერედვი–ხეითის შემოვლით გზაზე მოხდა თავდასხმა: „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსის, დიმიტრი სანაკოევის ავტომანქანა ნაღმზე აფეთქდა, შემდეგ კი მის კორტეჟს ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიჭრა დაცვის სამი თანამშრომელი“. თავად სანაკოევი უვნებლად გადარჩა. მომხდარი ქართულმა მხარემ ტერორისტული აქტის მცდელობად შეაფასა.

სანაკოევზე თავდასხმას წინ უძღოდა იმავე 3 ივლისის დილას, ოსურ სოფელ დმენისის პოლიციის უფროსის, **ნოდარ ბიბილოვის** აფეთქება. ნოდარ ბიბილოვი ადგილზე გარდაიცვალა. 3 ივლისის დილას მომხდარ აფეთქებაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ თბილისი დაადანაშაულა[78] და მომხდარი ტერაქტად შეაფასა.



*2008 წლის 3 ივლისის აფეთქების დროს დაზიანებული დიმიტრი სანაკოევის მანქანა.*

კიდევ ერთი აფეთქება მოხდა კონფლიქტის ზონაში 4 ივლისს. „ერთი მილიციელი გარდაიცვალა და ერთი სამოქალაქო პირი დაიჭრა ღამის სროლების დროს, კერძოდ კი სოფელ უბიათის მილიციის პოსტზე შეტევის შედეგად“, – განაცხადა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა ქართულ მედიასაშუალებებთან ინტერვიუში.[79]

3 და 4 ივლისის ინციდენტები ესკალაციის მხოლოდ დასაწყისი იყო და ერთი თვის მანძილზე ქართულ და რუსულ მედიასივრცეში, ერთი მხრივ, ურთიერთბრალდებები და დაზარალებულთა ისტორიები ისმოდა, ხოლო მეორე მხრივ, შეშფოთების გამომხატველი განცხადებები მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

2008 წლის 8 ივლისს, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის, ვიზიტის დღეს ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა კიდევ ერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. საქართველო ბოლო წლების მანძილზე ხშირად გამოთქვამდა პრეტენზიებს მისი საჰაერო სივრცის უკანონოდ დარღვევის გამო და 9 ივლისის ინციდენტიც ამ გრძელ ნუსხაში მორიგი ბრალდებების საგანი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამჯერად აღნიშნული ფაქტი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა

---

76 2008 წლის 18 მარტს ოჩამჩირის სანაპიროზე აფხაზების მიერ ქართული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდებას ქართული მხარე არ ადასტურებს. თუმცა გაეროს მისიამ სპეციალურად ამ მიზნით მოწვეულ ექსპერტებთან ერთად კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ნარჩენები, რომლებიც თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად გადარჩა, სწორედ ქართული შეიარაღებული ძალების კუთვნილი სადაზვერვო თვითმფრინავისა იყო.

77 Report of UNOMIG on the Incident of 20 April involving the downing of a Georgian Unmanned Aerial Vehicle over the Zone of Conflict, para 3.

78 იხ. „დიმიტრი სანაკოევის კორტეჟს თავს დაესხნენ“, 3 ივლისი, 2008 წელი, საინფორმაციო სააგენტო „civil.ge“; http://www.civil.ge/geo/article.php?id=18692

79 იხ. „ცხინვალის რეგიონში სროლებს ორი ადამიანი ემსხვერპლა“, 4 ივლისი, 2008 წელი, საინფორმაციო სააგენტო „civil.ge“; http://www.civil.ge/geo/article.php?id=18695

სამინისტრომ დაადასტურა.[80] „ეს ქმედება მიზნად ისახავდა თბილისში ცხელი თავების გაგრილებას.“ – ვკითხულობთ 2008 წლის 10 ივლისის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.[81]

რუსეთის მოქმედება ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. ბევრი ანალიტიკოსი მაშინ გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ აშშ სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დროს სუვერენული ქვეყნის საჰაერო ტერიტორიის დარღვევის აღიარება იყო ერთგვარი ტესტი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციაზე.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ტრიბუნიდან გაკეთებული შეშფოთების განცხადებები საკმარისი არ აღმოჩნდა რუსეთის შესაჩერებელად. ამგვარი განცხადებების პარალელურად საერთაშორისო თანამეგობრობას ჰქონდა მრავალი მცდელობა, დიალოგისათვის მაგიდასთან დაესვა მხარეები, თუმცა ეს მცდელობებიც უშედეგო აღმოჩნდა.[82]

## დ) სამხედრო წვრთნები

2008 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები „კავკასია-2008“.[83] წვრთნები ტარდებოდა როკისა და მამისონის უღელტეხილებთან, უშუალოდ რუსეთ-საქართველოს საზღვართან.

აღნიშნულ წვრთნებში მონაწილეობა მიიღო 8000-მა ჯარისკაცმა და 700-მა ერთეულმა ჯავშანტექნიკამ, ძირითადად ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან, მათ შორის სადესანტო ნაწილებმა, საჰაერო ძალების ნაწილებმა, ჰაერსაწინააღმდეგო ნაწილებმა, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ფლოტებმა, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარებმა.

წვრთნების პარალელურად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაარიგეს ბროშურები წარწერით „იცნობდე შენს მტერს“. ბუნებრივია, მინიშნებები კეთდებოდა საქართველოზე. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, სამხედრო წვრთნების დასრულების შემდეგ მათში მონაწილე სამხედრო ნაწილები დისლოკაციის ადგილებზე არ დაბრუნებულან.

---

80 იხ. „რუსეთი აღიარებს ცხინვალის რეგიონში საჰაერო სივრცის დარღვევას”, 10 ივლისი, 2008 წელი, საინფორმაციო სააგენტო „civil.ge“, http://www.civil.ge/geo/article.php?id=18768&search=

81 იხ. *Russian Military Practices Peace Enforcement in Conflict Zones*, 15 July, 2008, „civil.ge“, http://www.civil.ge/eng/article.php?id=18782

82 სეპარატისტები უარყოფენ გერმანიის შუამავლობით შემუშავებულ სამშვიდობო გეგმას აფხაზეთის შესახებ და ბერლინში დაგეგმილ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ, *იხ. „სოხუმი მეგობართა ჯგუფთან შეხვედრაზე უარს აცხადებს“, 2008 წლის 4 აგვისტო, სააგენტო civil.ge;* ევროკავშირი ცდილობს სამშვიდობო მოლაპარაკებების ორგანიზებას, რომელსაც სეპარატისტები არ ესწრებიან (2008 წლის 22-24 ივლისი): ევროკავშირი ცდილობს მოლაპარაკებების გამართვას ბრიუსელში სამხრეთ ოსეთის რეგიონის, საქართველოს მთავრობისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებისა და რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები უარს აცხადებენ მონაწილეობის მიღებაზე. თავდაპირველ მიზეზად ისინი ასახელებენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის თანამდებობას. ამ საბაბის გასანეიტრალებლად ბატონ იაკობაშვილს ენიჭება პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება. სეპარატისტები კიდევ ერთხელ აცხადებენ უარს მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე, ამჯერად მიზეზების დაუსახელებლად. ამის შემდეგ იყო ეუთოს სამშვიდობო მოლაპარაკებების ინიციატივა. დე ფაქტო ხელისუფლება ამ ინიციატივასაც უარყოფს (2008 წლის ივლისის ბოლო): 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი კიდევ ერთხელ გამოდის სეპარატისტებსა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკებების ამჯერად უკვე ჰელსინკიში გამართვის ინიციატივით, თუმცა დე ფაქტო ხელისუფლება ამ შეთავაზებასაც უარყოფს. იხ. საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია, საქართველოს მთავრობის დოკუმენტი, 21 სექტემბერი, 2008 წ. თბილისი; ასევე, ქრონოლოგიური ინფორმაციისათვის იხ. ქართული საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge -ს 2008 წლის არქივი.

83 იხ. „საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია“, საქართველოს მთავრობის დოკუმენტი, 21 სექტემბერი, 2008 წ. თბილისი; ასევე, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=461&info_id=7097&date=2008-07-23&new_month=07&new_year=2008

2008 წლის 15 ივლისს საქართველოშიც დაიწყო ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები „დაუყოვნებელი პასუხი – 2008“, რომელიც სამ კვირას გაგრძელდა. აღნიშნულ წვრთნებში 1,650 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. წვრთნები შერეული იყო და მასში 1,000 ამერიკელი, 620 ქართველი და 10-10 უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სომეხი ოფიცერი მონაწილეობდა.

შემდგომში ეს წვრთნები რუსული საინფორმაციო სამსახურებისა და რუსი პოლიტიკოსების მხრიდან ამერიკის შეერთებული შტატების კონფლიქტში პირდაპირი მონაწილეობის შესახებ ბრალდებებისა და სპეკულაციების მიზეზი გახდა.

## 1.8 საქართველო – 2008 წლის აგვისტო

პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, უკვე 1 აგვისტოდან მოყოლებული, მრავალ წყაროზე დაყრდნობით, მშვიდობიან მოსახლეობაში, ორივე მხარეს, მსხვერპლი მატულობდა. ქართული მედია ინტენსიურად აშუქებდა კონფლიქტის ზონას და თითქმის ყოველდღე აფეთქებულ მანქანებს, დაჭრილ მშვიდობისმყოფელებსა და დაზარალებულებს გვიჩვენებდნენ.

ფართოდ გაშუქდა ინციდენტები 1, 2 და 3 აგვისტოს.

2008 წლის 2 აგვისტოს ქართული საინფორმაციო სააგენტო „civil.ge“ იუწყებოდა, რომ სროლების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე და 7 ქართველი დაიჭრა. თუმცა ქართულ ნაციონალურ საინფორმაციო საშუალებებს არაფერი უთქვამთ ოსური მხარის დანაკარგების შესახებ.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით კი, „ექვსი ადამიანი დაიღუპა და თხუთმეტი დაიჭრა მას შემდეგ, რაც 1 აგვისტოს გვიან ღამით და 2 აგვისტოს გამთენიისას ქართულმა მხარემ ცეცხლი გახსნა ცხინვალისა და ახლომდებარე ოსური სოფლების მიმართულებით. ქართული მხარის განცხადებით, ქართული სოფლების დაცხრილვის შედეგად შვიდი ადამიანი დაიჭრა, მათ შორის ერთი პოლიციელი“.[84]

2008 წლის 4 აგვისტოს, რუსული გაზეთი „Российская Газета“ წერდა კონფლიქტის ზონაში აგვისტოს პირველი დღეების გართულებების შესახებ.[85] გაზეთი ადასტურებდა სამხრეთ ოსეთის საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე 6 ადამიანის მკვლელობას და 13 პირის დაჭრას. 2008 წლის 1-3 აგვისტოს ინციდენტებში ისიც მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლების მრავალ ანგარიშსა და პუბლიკაციაში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის წინაპირობებს შეეხება, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ოსური მხარის მსხვერპლის და, შესაბამისად, ქართული მხარის მიერ ცეცხლის (თუნდაც საპასუხო) გახსნის შესახებ.

მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ,[86] დროებითი საპარლამენტო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, დეტალური საინფორმაციო პაკეტი მოამზადა 2008 წლის 6 მარტის შემდეგ კონფლიქტის ზონებში ვითარების ესკალაციის შესახებ. საინფორმაციო მასალაში 31-ე და 32-ე პუნქტები „თავდასხმები ცხინვალის რეგიონში“, სწორედ 1-3 აგვისტოს მოვლენებს შეეხება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცხინვალიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს ავნევსა და ნულს, ასევე ერგნეთსა და ნიქოზს. ნათქვამია, რომ დაიჭრა ექვსი მშვიდობიანი მოქალაქე და ინფორმაცია ამით სრულდება.

84 იხ. „კოკოითი საყოველთაო მობილიზაციის შესახებ საუბრობს“, 2008 წლის 2 აგვისტო, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

85 იხ. „Груз Осетии – По плечу ли он Тбилиси; *Российская Газета - Центральный выпуск №4720 от 4 августа 2008, at* http://www.rg.ru/2008/08/04/gruz.html

86 იხ. „რუსეთის აგრესია საქართველოში – 2008“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მომზადებულია სპეციალურად დროებითი საპარლამენტო კომისიისათვის, თბილისი, ოქტომბერი 2008

## ა) 6 აგვისტო

2008 წლის 6 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსი მშვიდობისმყოფელები იუწყებოდნენ ინტენსიური სროლების შესახებ. კეთდებოდა განცხადებებიც, რომ „ქართული ძალები სოფელ ნულის მახლობლად არსებული იმ სიმაღლეების აღებას ცდილობენ, რომლებიც ოსურ სოფლებს გადაჰყურებენ".[87] ქართული მხარე ამ ინფორმაციას უარყოფდა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ეკა ზღულაძემ** განაცხადა:

> *„რეგიონში სიწყნარეა და არც ერთი ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება".[88] ქალბატონ ზღულაძის განცხადებიდან სულ რამდენიმე საათში ქართულმა მხარემ „დაადასტურა სროლების ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ ინციდენტი უკვე ამოწურულია".[89] იმავდროულად, ინფორმაცია გაავრცელა სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ ვლადიმირ ივანოვმა. მან „ინტერფაქსს" განუცხადა: „ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ფიქსირდება სოფლების, ავნევისა და ხეთაგუროვოს მიდამოებში მასირებული სროლები".*

2008 წლის 6 აგვისტოს ინტენსიურ სროლებს დევნილებიც ადასტურებენ. სოფელ ავნევიდან დევნილი **ტანია ტოსიევა-დურგლიშვილი**[90] იხსენებს:

> *„6 აგვისტოს ოსებმა ცეცხლი გაუხსნეს ავნევში განლაგებულ ქართველ მშვიდობისმყოფელებს. ოსურ სოფელ წუნარიდან ისროდნენ უშუალოდ ანძის მიმართულებით. (წუნარი იგივე ხეთაგუროვოა) სროლის შედეგად დაიღუპა ორი მშვიდობისმყოფელი ქართველი ჯარისკაცი და ორიც დაიჭრა. მაშინათვე ქართველმა ჯარისკაცებმა დატოვეს ანძა და გამოიქცნენ. მკვდრები რომ გამოიყვანეს, მე თვითონ დავინახე. ჩემი ბაღის გვერდზე ჩამოატარეს მოკლულები ტაჩკით. დაახლოებით 19 წლის ბავშვები იქნებოდნენ".*

6 აგვისტოს სროლებს ავნეველი **გურგენ დურგლიშვილიც** ადასტურებს. ის დილა სოფელ ნულიდან დევნილებსაც ახსოვთ. **რამაზ ცერცვაძე** გვიამბობს:

> *„2008 წლის 6 აგვისტოს გამთენიისას ოსურმა მხარემ დაიწყო მსხვილკალიბრიანი ჭურვების სროლა სოფლების, ნულისა და ავნევის მიმართულებით. იმ დღეს დაიბომბა სოფელში მდებარე პოლიციის ქვედანაყოფები და პოლიციელთა სახლები. პოლიციის შენობის გარდა, ჭურვი მოხვდა ნულის მცხოვრების, სიმონ ჟამერაშვილის სახლსაც. დაბომბვა წარმოებდა ოსების მიერ კონტროლირებადი სოფლიდან – ღვერთევიდან, რომელიც სოფელ ნულის ჩრდილოეთით, დაახლოებით კილომეტრ-ნახევარში მდებარეობს. ოსური მხარის შეტევას წინააღმდეგობას უწევდნენ სოფელში მყოფი პოლიციის ქვედანაყოფები. 6 აგვისტოს სოფელ ნულში ქართული ჯარი არ იმყოფებოდა".* [91]

ვითარება იმდენად რთული იყო, რომ ბატონი რამაზის ინფორმაციით, 6 აგვისტოს ქალებისა და ბავშვების უმეტესობამ დატოვა სოფელი. თავად ბატონი რამაზის შვილები და შვილიშვილებიც 6 აგვისტოს წავიდნენ თბილისში.

6 აგვისტოს დილით ვითარების უკიდურესად გართულებაზე სხვა ქართული სოფლების მცხოვრებიც გვიყვებიან. ვანათელი **რამაზ ციცილოშვილი** გვიამბობს:

---

87 იხ. „შსს უარყოფს ინფორმაციას ცხინვალის რეგიონში სროლების შესახებ", 2008 წლის 6 აგვისტო, 16:38, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

88 იხ. „შსს უარყოფს ინფორმაციას ცხინვალის რეგიონში სროლების შესახებ", 2008 წლის 6 აგვისტო, 16:38, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

89 იხ. „ცხინვალი და რუსი სამშვიდობოები „ინტენსიური სროლების" შესახებ იტყობინებიან", 2008 წლის 6 აგვისტო, 18:19, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

90 იხ. ინტერვიუ ტანია ტოსიევასთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 29 მაისს, თბილისში.

91 იხ. ინტერვიუ რამაზ ცერცვაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგარდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 11 დეკემბერს, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ცენტრში, დაბა სურამში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში.

*„2008 წლის 5 აგვისტოს ღამით დაიწყო ხეობაში სროლები. იმ ღამით ტყვიები სოფელ ვანათის მხარესაც მოდიოდა, მაგრამ ძირითადი თავდასხმა იყო სოფელ ერედვზე. ექვსში საარტილერიო დანადგარებიდან ისროდნენ ოსური სოფელ დმენისიდან, სადაც დიდძალი სამხედრო ტექნიკა იყო შეტანილი, ასევე ოსურ სოფელ სარაბუკიდან და ოსური სოფელ ორტევიდან. სახლს მოხვდა ჭურვი და მთლიანად დაიშალა“.*[92]

ანალოგიურ ისტორიას გვიყვება სოფელ ქვემო აჩაბეთის მკვიდრი **გიორგი შერაზადიშვილიც**:

*„ისეთი სროლები იყო, რომ 6 აგვისტოდან მოყოლებული, მთელი სამი დღე მეზობლის პადვალში გავატარეთ. გარეთ დღე ვერ გამოვდიოდით. 6 აგვისტოს შემოვიდა ქართული ჯარი“.*

7 აგვისტოს დილას ქართული მხარე უკვე ადასტურებს სოფლებზე ერედვზე, ფრისზე, ავნევზე, დვანსა და ნულზე თავდასხმას.[93] იმავე ინფორმაციით, დაჭრილია ორი ქართველი სამშვიდობო. იმავდროულად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებით ოსური სოფლების ხეთაგუროვოს, დმენისის, სარაბუკის, უბიათისა და ცხინვალის შემოგარენის დაბომბვისას დაჭრილია 18 ადამიანი. ამ ინფორმაციას მედიასაშუალებები 7 აგვისტოს დილიდან ავრცელებდნენ.[94]

იმავე 7 აგვისტოს გავრცელდა კიდევ ერთი ინფორმაცია ქართველ ქვეითთა საბრძოლო მანქანის აფეთქების შესახებ. გთავაზობთ სააგენტო „civil.ge“-ს მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს 15:56 წუთზე გავრცელებულ ინფორმაციას უცვლელად.

*„სამი ქართველი სამხედრო დაიჭრა მას შემდეგ, რაც ოსმა სეპარატისტებმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის კუთვნილი ქვეითთა საბრძოლო მანქანა ააფეთქეს“, – განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 7 აგვისტოს. „ინციდენტი სოფელ ავნევში მოხდა“. – განუცხადა შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა სააგენტო „civil.ge“-ს. „ქართულ ქვეითთა საბრძოლო მანქანას ოსი სეპარატისტების მიერ ნასროლი სარაკეტო ჭურვი მოხვდა“. 6 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება იტყობინებოდა, რომ სამხრეთ ოსურმა ძალებმა ქართული მხარის კუთვნილი ქვეითთა საბრძოლო მანქანა სოფელ ნულთან მომხდარი შეტაკების დროს გაანადგურეს. თუმცა, ეს ინფორმაცია უარყვეს, როგორც ქართულმა მხარემ, ისე რუსულმა სამშვიდობო ძალებმაც.“*

ფაქტია, რომ 2008 წლის 6 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ბევრი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა.

## ბ) 7 აგვისტო

7 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში ომი დაიწყო.

7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „საქართველომ დაიწყო ფართომასშტაბიანი აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ“.[95]

7 აგვისტოს საქართველო ქართული სოფლების მასირებული დაბომბვის შესახებ საუბრობს და უარყოფს კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანას.

---

92 იხ. ინტერვიუ ვანათელ რამაზ ციცილოშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

93 იხ. „თბილისი უარყოფს ოსური მხარის მიერ ქართული საბრძოლო მანქანის განადგურებას“, 2008 წლის 6 აგვისტო, 17:27, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

94 იხ. „ცხინვალის რეგიონში სროლების შედეგად 10 ადამიანი დაშავდა“, 2008 წლის 7 აგვისტო, 10:58, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

95 იხ. „ცხინვალი ინტენსიური ბრძოლების შესახებ იტყობინება“, 2008 წლის 7 აგვისტო, 17:36, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge აქვეყნებს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, ანატოლი ბარანკევიჩის განცხადებას.

იმავე საღამოს, თბილისის დროით 19:10 საათზე, საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ სააკაშვილმა**, ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა.

> *„რამდენიმე საათის წინ გავეცი ბრძანება – მტკივნეული ბრძანება, როგორც უმაღლესმა მთავრსარდალმა, რომ არც ერთმა ქართულმა შენაერთმა, არც ერთმა ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა პოლიციურმა და სხვა შენაერთმა, არ გახსნას საპასუხო ცეცხლი ძალიან ინტენსიური დაბომბვის შესაჩერებლად. გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ცეცხლი. ჩვენ არ გვაქვს სურვილი, რომ გიპასუხოთ. ამდენი წელი ვითმენდით და არ გპასუხობდით. ნუ ცდით ქართული სახელმწიფოს მოთმინებას. მოდი შევწყვიტოთ ძალადობის სპირალი. მოდი ყველამ ერთად მივცეთ მშვიდობას და დიალოგს შანსი.“*[96]

იმავე განცხადებაში **მიხეილ სააკაშვილი** რუსეთის შესახებაც საუბრობდა:

> *„ჩვენ გვაქვს მუდმივი კონტაქტი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პრაქტიკულად, როგორც ამბობენ, ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს კონფლიქტის ზონაში სეპარატისტების მიერ ცეცხლის შეწყვეტის მიღწევას“.*

იმავე ღამეს სროლები ორივე მხრიდან ისევ განახლდა და სწორედ მაშინ გაკეთდა ცნობილი განცხადებები „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ შესახებ.[97] რამდენიმე დღეში, 11 აგვისტოს ანალოგიურ განცხადებას აკეთებს საქართველოს პრეზიდენტიც. ამერიკულ გამოცემა „The Wall Street Journal”-ში დაბეჭდილ მიხეილ სააკაშვილის წერილში ვკითხულობთ: „სხვა არჩევანი არ გვქონდა გარდა მოსახლეობის დაცვისა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“.[98]

8 აგვისტოს დილით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ლადო გურგენიძემ** განაცხადა:

> *„ქართული ძალები ახორციელებენ ზომებს გარანტირებული მშვიდობის დასამყარებლად სამხრეთ ოსეთში. სამთავრობო ძალები ახლა ახორციელებენ ქმედებებს სიტუაციის გარანტირებული სამშვიდობო მოგვარების აღდგენისა და დამყარებისათვის, სადაც აღარ შეექმნება საფრთხე რეგიონის მშვიდობიან მოსახლეობას.“*[99]

ამ განცხადებაში კიდევ უფრო საყურადღებო ის იყო, რომ პრემიერმა გურგენიძემ ილაპარაკა 8 აგვისტოს როკის გვირაბის გავლით მოხალისეთა შემოსვლის შესახებ. 2008 წლის 9 აგვისტოს, საომარი მოქმედებების დაწყებიდან 2 დღის შემდეგ, ჯერ ქვეყნის პრეზიდენტმა, შემდეგ კი პარლამენტმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადეს (იხ. **დანართი 3**: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ“).[100] საომარი მდგომარეობის გამოცხადების ძირითადი მიზეზები კი ასე ჩამოყალიბდა:

- ადგილი აქვს სეპარატისტების მხრიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივ დარღვევას, მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებულ თავდასხმასა და ძალადობის ფაქტებს. ამ ქმედებების შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობასა და მშვიდობისმყოფელებში;

---

96 პრეზიდენტ სააკაშვილის 7 აგვისტოს 19:10 საათის მიმართვის სრული ტექსტი გამოქვეყნებულია საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge-ს ვებ-გვერდზე.

97 საუბარია ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურის, მამუკა ყურაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე: „7 აგვისტოს, გვიან ღამით ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, აღვადგინოთ კონსტიტუციური წესრიგი მთელ რეგიონში”. იხ. „ყურაშვილი: ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა” მიმდინარეობს, 2008 წლის 8 აგვისტო, 01:04, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge.

98 იხ. “The War in Georgia Is a War for the West“, opinion by Mikheil Saakashvili, August 11, 2008 The Wall Street Journal, at http://online.wsj.com/public/article/SB121841306186328421.html?mod=Election2008_Opinion

99 იხ. „სამხრეთ ოსეთში მშვიდობის დამყარების ქმედებები ხორციელდება”. – ვ. გურგენიძე, 2008 წლის 8 აგვისტო, 10:41, საინფორმაციო სააგენტო www.civil.ge

100 იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისა და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ”, №402 2008 წლის 9 აგვისტო, თბილისი

- სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები აქტიურად იქნა მხარდაჭერილი რუსეთის ფედერაციის მიერ. კერძოდ, 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა ასეულობით სამხედრო პირი და სამხედრო ტექნიკა;
- 8 აგვისტოს დღის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო საფრენმა აპარატებმა არაერთგზის დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე და განახორციელეს დაბომბვა;
- **ამდენად, არსებობს ძალის გამოყენების აუცილებლობა, რომელიც იქნება საქართველოს მიმართ განხორციელებული თავდასხმის პროპორციული და მიმართული იქნება შეიარაღებული თავდასხმის შეჩერების და სიტუაციის ესკალაციის თავიდან აცილებისაკენ.**

მოგვიანებით, 2008 წლის ნოემბრის ბოლოს, **მიხეილ სააკაშვილმა** პარლამენტის დროებითი კომისიის წინაშე განაცხადა:

**„დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში საკუთარი სამშობლოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად“**.[101]

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 9 აგვისტოს უკან დახევა დაიწყეს. 12 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტის **ნიკოლა სარკოზის** შუამავლობით, მხარეთა მიერ ცეცხლის შეწყვეტის ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ომი ფორმალურად დასრულდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი კვლევის საგანი არ ყოფილა იმის ანალიზი, თუ ვინ და რა ვითარებაში დაიწყო ომი, თუმცა, ვფიქრობთ, საქართველოს ამ რეგიონში ბოლო ოცი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვა უმნიშვნელოვანესია 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში უკეთ გარკვევისათვის.

101 მიხეილ სააკაშვილის ჩვენება დროებითი საპარლამენტო კომისიის წინაშე, 2008 წლის 29 ნოემბერი, თბილისი, www.parliament.ge

# 1.9 რუსეთი და მისი არგუმენტები

რუსეთის ხელისუფლებამ ომის დაწყებისთანავე, საკუთარი ქმედებების გასამართლებლად რამდენიმე ძირითადი არგუმენტი შესთავაზა მსოფლიოს. დიმიტრი მედვედევის მიერ 9 აგვისტოს გაკეთებული განცხადების თანახმად, რუსეთის მოქმედებები მიზანად ისახავდა:

1. შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ;
2. შეეჩერებინა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ქართული მხარის მიერ ჩადენილი სხვა ომის დანაშაულები;
3. დაეცვა რუსეთის მოქალაქეები;
4. დაეცვა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები 1992 წლის დაგომისის ხელშეკრულების შესაბამისად.

## *1. შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ*

რუსეთის არგუმენტი სრულიად ლეგიტიმურად გამოიყურება, თუმცა სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში შექმნილი რეალობა მის სიმართლესა და საფუძვლიანობას არ ადასტურებს. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გამართლებული იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ცხინვალზე შეტევა და ჯარების ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე გაგზავნა, საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სამართლის არც ერთი დებულება, ვინაიდან ცხინვალიც და მისი მიმდებარე ტერიტორიებიც, სწორედ საერთაშორისო სამართლისათვის, საქართველოს იურისდიქციას განეკუთვნება, ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის ხარისხის მიუხედავად.[102] შესაბამისად, მხოლოდ ქართული ჯარის გადაადგილების გამო რაიმე ტიპის ჰუმანიტარული, ან „მშვიდობის იძულების" ღონისძიების დაწყება უცხო სახელმწიფოს მხრიდან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება არგუმენტად.

ტერმინი „აგრესია" რომელსაც რუსეთის ხელისუფლება მუდმივად იყენებს, საერთაშორისო სამართალში ძალზე კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ნათლად ჩამოაყალიბა აგრესიის განმარტება, როგორც ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.[103]

იმის მიუხედავად, თუ რამდენჯერ გამოაცხადა სამხრეთ ოსეთმა საკუთარი დამოუკიდებლობა, 2008 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ეს უკანასკნელი არც ერთი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის თავად რუსეთის მხრიდანაც, აღიარებული არ ყოფილა, საერთაშორისო სამართლისათვის საქართველოს ტერიტორიული ერთეული იყო და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება შეფასებული, როგორც აგრესია.

სწორედ ამიტომ რუსეთის მხრიდან საკუთარი გადაწყვეტილებების საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით საქართველოს მხრიდან განხორციელებული აგრესიის შეჩერებით გამართლება სამართლებრივ არგუმენტად ვერ გამოდგება.

## *2. შეეჩერებინა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ქართული მხარის მიერ ჩადენილი ომის სხვა დანაშაულები*

რუსეთის მხრიდან ინტერვენციის მეორე მიზეზი გაცილებით უფრო სერიოზულია, თუმცა ინტერვენციისათვის სავალდებულოა დანაშაულის უტყუარობა და დადასტურება.

---

102 იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის ანგარიში ევროპის საბჭოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე. ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი, 2008 წ.

103 იხ. Definition of Agression, United Nations GA Res. 3314, 29th session, December 14, 1974

საქართველო მიერ გენოციდის, ეთნიკური წმენდის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა. „ქართული მხარის მოქმედებები სხვა არაფერია, თუ არა გენოციდი".[104] – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა **დიმიტრი მედვედევმა** 2008 წლის 10 აგვისტოს და საჯაროდ დაავალა რუსეთის შესაბამის უწყებებს გენოციდის დანაშაულის გამოძიება.[105]

დიმიტრი მედვედევი არ იყო რუსეთში ერთადერთი, ვინც ათასობით მოკლული ცხინვალელის შესახებ საუბრობდა. უკვე 8 აგვისტოს რუსული გაზეთები იუწყებოდნენ რომ „მძინარე ცხინვალის" დაბომბვის შედეგად ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.[106] ხოლო 11 აგვისტოს გაეროში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა რომ სამხრეთ ოსეთში მსხვერპლმა 2,000 ადამიანს გადააჭარბა.[107] შესაბამისად, სამშვიდობოების, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მასობრივ მკვლელობებთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომიტეტმა დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება „მკვლელობისა" და „გენოციდის" მუხლებით.[108]

რუსეთის გარდა, საქართველოს მხრიდან მსგავსი დანაშაულის ჩადენაზე სერიოზულად არავინ მსჯელობდა.[109] უფრო მეტიც, თავად რუსეთსაც საკუთარი ბრალდების დასადასტურებლად არავითარი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ომის პირველ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია ქართული შენაერთების მიერ შეტევის პირველ დღეს ცხინვალში 1,400-დან 2,000-მდე მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვის შესახებ უსაფუძვლო და გაზვიადებული აღმოჩნდა. როგორც გაზეთ „The Guardian"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში HRW-ს წარმომადგენელი ანა ნეისტატი აცხადებს, „ცხინვალის საავადმყოფოში ექიმებმა მოგვცეს ინფორმაცია, რომ 273 დაჭრილს აღმოუჩინეს დახმარება, და 44 გარდაცვლილი მოასვენეს საავადმყოფოში".[110] ბუნებრივია, ეს მხოლოდ ერთი საავადმყოფოს, ერთი ექიმის ჩვენებაა და მსხვერპლის რაოდენობის დადგენისათვის არ გამოდგება, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, ვინაიდან საუბარია პატარა ქალაქის მთავარ საავადმყოფოზე, სადაც ცხინვალის მასირებული დაბომბვის პირობებში დაზარალებულთა მაქსიმალური კონცენტრაცია უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქართველი ჯარისკაცების მიერ სოფელ წინაგარში, ეკლესიაში თავშეფარებული ადამიანების ცოცხლად დაწვის შესახებ. ამის თაობაზე პირველად „Российская газета" იუწყებოდა 2008 წლის 21 აგვისტოს, და შემდეგ მუდმივად ხდებოდა მისი ტირაჟირება სხვადასხვა რუსული მედიასაშუალებებით.

*„სოფელ წინაგარში, აგრესორებმა პირდაპირ ეკლესიაში დახვრიტეს ყველა ადგილობრივი მცხოვრები, ვინც ეკლესიაში თავის შეფარებას ცდილობდა. სტავრო-*

104 იხ. „SKP opened a criminal Investigation into then Killings of Russian Citizens in South Ossetia", Komersant online. August 14, 2008, www.komersant.ru/

105 იხ. „Следствием установлено: Вчера Следственный комитет назвал первые данные о масштабах гуманитарной катастрофы в Южной Осетии", „Российская газета" – Федеральный выпуск №4733 от 21 августа 2008, http://www.rg.ru/2008/08/21/sledstvie.html

106 იხ. „В Цхинвали погибли более тысячи мирных жителей", www.rg.ru 8 августа 2008 г

107 იხ., „Геностыд: Убийство более двух тысяч мирных граждан не тронуло Запад", „Российская газета" – Цетральный выпуск №4725 от 11 августа 2008, http://www.rg.ru/2008/08/11/osetia-smi.html

108 იხ. „Следствием установлено: Вчера Следственный комитет назвал первые данные о масштабах гуманитарной катастрофы в Южной Осетии", „Российская газета" – Федеральный выпуск №4733 от 21 августа 2008, http://www.rg.ru/2008/08/21/sledstvie.html

109 სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ომის პირველ დღეებში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მხრიდან საქართველოს გენოციდში დადანაშაულების შემდეგ კიდევ რამდენიმე ორაზროვანი განცხადება გაკეთდა. როგორც სომხური საინფორმაციო წყაროები იუწყებოდნენ, 2008 წლის 17 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი მიგელ დ'ესკოტო ბროკმანი საქართველოს ბრალს სდებდა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიის აქტის განხორციელებასა და გაეროს წესდების დარღვევაში. „UN GA president labels Georgia as aggressor, slams US", PanArmenian Network, September 17, 2008; ასევე, იხილეთ www.armenians.in/archive/index.php/t-9368.htm

110 იხ. Human Rights watch: Russia inflating casuality figures, by Tom Parfitt from Vladikavkaz, The Guardian, August 14, 2008 at Guaradian.co.uk

*პოლისა და ვლადიკავკაზის არქიეპისკოპოს ფეოფანის ჩვენების შესაბამისად, ქართველ ჯარისკაცებს სახლებიდან გამოჰყავდათ ფეხმძიმე ქალები, სცემდნენ და კლავდნენ ხალხის თანდასწრებით. ცხინვალის ერთ-ერთი მცხოვრები ცდილობდა ქართველი ჯარისკაცებისაგან თავისი ბავშვის დამალვას, მაგრამ პატარა პირდაპირ მის თვალწინ, მის მუხლებზე მოკლეს.“*

იმავე სტატიაში ნათქვამია, რომ ეს და მსგავსი ფაქტები „აბსოლუტურად ცალსახად ადასტურებენ გენოციდს“.[111] ეს სრულიად შემზარავი ინფორმაცია ბუნებრივად გახდა უფლებადამცველების ინტერესისა და კვლევა-ძიების საგანი.

საერთაშორისო უფლებადამცველებმა, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ, ომისშემდგომ დღეებში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ემუშავათ აღნიშნული ბრალდების გადასამოწმებლად, ყველა საშუალება გამოიყენეს. HRW-ის ანგარიშში დეტალურად არის მოთხრობილი, როგორ იცვლებოდა ისტორიებში სოფლების სახელები, მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ აღნიშნული სისასტიკე წინაგარის ნაცვლად სოფელ დმენისში მოხდა, შემდეგ გაჩნდა სარაბუკი, ბოლოს ხეთაგუროვო. მაგრამ მკვლევარებმა ვერც ერთ ამ სოფელში დანაშაულის კვალს ვერ მიაგნეს. მეტიც, ადგილობრივი მკვიდრნი, ოსები, კატეგორიულად უარყოფდნენ მსგავს ფაქტებს.[112]

შემდგომში, ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საკუთარ ანგარიშებში უარყვეს შეტევის პირველ ღამეს 2,000 სამოქალაქო პირის მკვლელობის რუსული არგუმენტიც. საქართველოში ომის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის სპეციალური მისიის დასკვნის შესაბამისად კი თავად რუსული მხარის მიერ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლი 162 ადამიანით შემოიფარგლა.

*„ბრალდება საქართველოს მიერ გენოციდის დანაშაულის ჩადენის შესახებ არ დასტურდება. მსხვერპლი ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობაში აღმოჩნდა იმაზე გაცილებით ნაკლები, ვიდრე ამას დასაწყისისათვის აცხადებდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ დასაწყისში განაცხადა, რომ ქართული შენაერთების მიერ სამხრეთ ოსეთში მოკლულ იქნა 2,000 კაცი. თუმცა მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოში, ოსეთში მსხვერპლი შემცირდა 162 ადამიანამდე“.*[113]

საქართველოს მიერ ოსების გენოციდი ევროკავშირის ომის ფაქტების დამდგენი სპეციალური მისიის კვლევის საგანიც გახდა. კომისიის ანგარიში გვამცნობს, რომ ევროკავშირის საბჭომ სპეციალურად დაავალა მათ „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დარღვევების, ასევე ომის დანაშაულებისა და გენოციდის ბრალდებების შესწავლა“. ანგარიშში ცალსახად არის უარყოფილი რუსული მხარის ბრალდებები და ხაზგასმით არის მითითებული, რომ „საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის კონტექსტში და მის შემდეგ, გენოციდის დანაშაულის ჩადენა არ დასტურდება, არც სამართლებრივად, არც შესაბამისი ფაქტობრივი მტკიცებულებებით“.[114] კომისიამ დაასკვნა, რომ **„გენოციდს ადგილი არ ჰქონია“**.[115]

---

111 იხ. „Следствием установлено: Вчера Следственный комитет назвал первые данные о масштабах гуманитарной катастрофы в Южной Осетии“, „Российская газета“ – Федеральный выпуск №4733 от 21 августа 2008, http://www.rg.ru/2008/08/21/sledstvie.html

112 იხ. *Up in Flames,* Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 1009, p 70-73

113 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, 2009 წლის სექტემბერი ტომი I, გვ. 21

114 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, 2009 წლის სექტემბერი ტომი I, გვ. 26

115 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, 2009 წლის სექტემბერი ტომი II, გვ. 9, 18

## 3. დაეცვა რუსეთის მოქალაქეები

მესამე არგუმენტი, საკუთარი მოქალაქეების დაცვა, გამოიყენეს გაეროში რუსეთის ელჩმა ბატონმა ჩურკინმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაეროს ტრიბუნიდან მოწოდებისას, რომ სწორედ მათი, რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის გამო, რუსეთი იძულებული გახდა, ემოქმედა გაეროს წევრი ქვეყნების მაღალი კონსენსუსით მიღებული პრინციპების „დაცვის ვალდებულებისა" და „მშვიდობის იძულების" შესაბამისად, რომელიც იმავდროულად აღიარებულია რუსეთის კონსტიტუციით და მოქმედებას იწყებს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოქალაქეები მაღალი რისკის ქვეშ არიან.

დასაწყისშივე ცალსახად უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში „დაცვის ვალდებულების" პრინციპის გამოყენება შეუსაბამოა. როგორც გარეტ ევანსი[116] აღნიშნავს, „იმის მიუხედავად, თუ სხვა რა ახსნა ჰქონდა რუსეთს საქართველოში სამხედრო ოპერაციის წარმოებისას, დაცვის ვალდებულების პრინციპი ვერ მოხვდება ლეგიტიმურ არგუმენტთა შორის".

„დაცვის ვალდებულება" – ეს არის სუვერენული სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას მოსახლეობა თავისი საზღვრების შიგნით (ხოლო სხვა სახელმწიფოს უფლება აქვს, მას დაეხმაროს). ეს პრინციპი არ გულისხმობს სხვა სახელმწიფოს უფლებას, ინტერვენცია მოახდინოს თავის საზღვრებს მიღმა, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, თავისი მოქალაქეების დასაცავად. წარსულში, როდესაც ეს პრინციპი იყო გამოყენებული, სახელმწიფოები ყოველთვის მოქმედებდნენ თავდაცვის რეჟიმში".[117] ევროკავშირის მისიის დასკვნაში, მიუხედავად იმისა, რომ ასევე კატეგორიულად მინიშნებულია, რომ „არ არსებობს ასეთი მოქმედებების დამშვები სამართლებრივი საფუძვლები", საკუთარი მოქალაქეების დაცვის ვალდებულების გამოყენების პირობად მითითებულია, რომ სახელმწიფოს მოქმედებები უნდა „შეიზღუდოს და შემოიფარგლოს სამაშველო და ევაკუაციის ღონისძიებებით". საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემთხვევაში, იმავე მისიის დასკვნის საფუძველზე, „რუსეთის მოქმედებების უდიდესმა ნაწილმა გადალახა ეს ზღვარი და ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში გადაიზარდა საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გარეთ წარმოებული იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით".[118]

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ვერც მის მიერ ხშირად გამოყენებული მეორე პრინციპის „მშვიდობის იძულების" დასაცავად წარმოადგინა ლეგიტიმური არგუმენტები. საერთაშორისო სამართალში ნებისმიერ ჰუმანიტარული ინტერვენციისათვის სავალდებულოა, სახელმწიფოები აკმაყოფილებდნენ, სულ მცირე, ოთხ ძირითად პირობას:

ა. საფრთხე უნდა იყოს სერიოზული;
ბ. მოქმედება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ პირველადი საფრთხის აღკვეთას;
გ. პასუხი უნდა იყოს პროპორციული;
დ. ინტერვენციით უნდა დადგეს უფრო მეტი პოზიტიური შედეგი, ვიდრე ზიანი, რომელიც დადგა, ან შესაძლებელია დადასტურდეს, რომ დადგებოდა.

თუკი ფაქტებს, რომლებიც აგვისტოს შემდეგ ჩვენ წინაშეა, თითოეულ ამ პრინციპს შევუსაბამებთ, სრულიად ნათელი გახდება, რომ საკუთარი პოზიციების დასაცავად რუსეთმა ვერ შეძლო ვერც ერთი ტესტის ჩაბარება.

---

116 გარეტ ევანსი ამჟამად საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის პრეზიდენტია. ასევე, წარსულში იყო ინტერვენციებისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიის თანათავმჯდომარე, რომელმაც შემოიტანა საერთაშორისო სამართალში „დაცვის ვალდებულების" პრინციპი.

117 იხ. Russia and the „responsibility to protect", *the principle was intended to prevent another Camodia or Rwanda; it cannot be used to justify Moscow's invasion of Georgia,* by Gareth Evans, at Los Angeles Times, August 13, 1008

118 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, ტომი I, გვ. 24-25

**ა) საფრთხე უნდა იყოს სერიოზული**

საფრთხის სერიოზულობის დასამტკიცებლად საქმე უნდა გვქონდეს გაეროს მიერ აღიარებულ რომელიმე დანაშაულთან, იქნება ეს გენოციდი, ეთნიკური წმენდა თუ სხვა.

მაგალითად, 2008 წლის 9 აგვისტოს გაზეთი „Российская газета" ქართული აგრესიის მასშტაბების შესახებ წერდა. ცხინვალის განადგურების, ბავშვების დახოცვისა და მრავალი სხვა სისასტიკის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროა რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების გენერალი **ვლადიმერ ბოლდირევი**, რომელიც ცხინვალიდან იუწყებოდა:

> *„ამჟამად ცხინვალი მთლიანად დანგრეულია, არ არის წყალი, ელექტროენერგია, ყველაფერი დანგრეულია ბოლო საავადმყოფოს ჩათვლით, მიწასთან არის გასწორებული ყველა საბავშვო ბაღი, დახოცილია ბევრი ბავშვი".*[119]

ეს ძალზე სერიოზული ბრალდებებია და მათი დადასტურების შემთხვევაში პრინციპულად სხვა სამართლებრივი გარემო შეიქმნებოდა საქართველოსთან დაკავშირებით. თუმცა შემდგომი კვლევა-ძიება, დღეისათვის არსებული ფოტომასალა, და თავად რუსეთის ხელისუფლების მიერ ომის დასრულების შემდეგ გაკეთებული განცხადებები ამ ფაქტების ნამდვილობას არ ადასტურებს. ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც ეს ხშირად ხდება ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებში, ტრაგედიის მასშტაბები გაზვიადებულია და, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია ზღვარის დადგენა რეალურსა და სასურველს შორის.

საქართველოს მიერ 7 აგვისტოს ცხინვალზე განხორციელებული შეტევით, როგორც არ უნდა გავაანალიზოთ, ვერც ერთი დღემდე ცნობილი ფაქტობრივი მასალისა და მტკიცებულებების შესაბამისად ვერ დასტურდება გაეროს კონვენციებით გათვალისწინებული ვერც ერთი დანაშაული, რომელიც სხვა სახელმწიფოს მხრიდან დაუყოვნებლივ და მასობრივ ინტერვენციას გაამართლებდა.

რადიო „თავისუფლებისათვის" 2008 წლის 21 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო სამართლის პროფესორი ან-მარი სლაუტერი წერდა:

> *„რაც უფრო ვშორდებით საქართველოს მიერ ძალის გამოყენებისა და რუსეთის პასუხის საკითხს და რუსეთის მხრიდან „საქართველოსათვის გაკვეთილის ჩატარებამდე" მივდივართ – რაც სწორედ ის არის რაც მოხდა –* **ეს არის აგრესია. ეს არის ძალის უკანონო გამოყენება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, და გაეროს წესდების 24-ე მუხლის დარღვევა.***"*[120]

**ბ) მოქმედება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ პირველადი საფრთხის აღკვეთას**

ის, რომ რუსეთის მიზანი, გაეროს პრინციპების შესაბამისად, მხოლოდ მათ მიერ გამოცხადებული პირველადი საფრთხის ლოკალიზაცია არ ყოფილა, ყველაზე ნათლად დადასტურდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კონფლიქტის ზონის გარეთ მდებარე ტერიტორიების ოკუპაციის გაგრძელებითა და კონფლიქტიდან მნიშვნელოვნად დაშორებული ტერიტორიების დაბომბვით, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქშიც. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ყველა ის განცხადება რომელიც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან კეთდებოდა ახალი ცივი ომის საფრთხეების, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის არ დაშვებისა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მაგალითად უკრაი-

119 იხ. „В результате грузинской агрессии в Цхинвали разрушены все до одной больницы, убито множество детей, заявил главнокомандующий Сухопутными войсками РФ генерал армии Владимир Болдырев", www.rg.ru 9 августа 2008.

120 იხ. „Russia in Violation of UN Charter, Says International Law Expert", RFE/RL interview with Anne-Marie Slaughter, August 21, 2008, EURASIA INSIGHT, at http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/pp082108a.shtml. ან-მარი სლაუტერი პრინსტონის უნივერსიტეტის ვუდრო ვილსონის საჯარო და საერთაშორის ურთიერთობების სკოლის დეკანია, ამასთანავე, ამერიკის საერთაშორისო სამართლის საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტი და ომის დანაშაულების ეროვნული კომისიის წევრი. დამატებითი არგუმენტებისათვის ასევე იხილეთ, Anthony Dworkin, "The Georgia Conflict and International Law", August 26, 2008, for Crimes of War Project, at, http://www.crimesofwar.org/onnews/news-georgia.html

ნის, წინააღმდეგ. ვინაიდან სწორედ ამ განცხადებებში ნათლად ჩანდა, რომ რეალური მიზანი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა კი არა, არამედ ძალის დემონსტრირება და საკუთარი ილუზორული გავლენის სფეროების შენარჩუნება იყო.

რუსეთის მიერ კონფლიქტის ზონის გარეთ განხორციელებული აგრესია, ფაქტობრივი დასტურია რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოში ფართომასშტაბიანი ოკუპაციის მცდელობისა და ძალიან შორს დგას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვის მიზნებისაგან. ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნაშიც სწორედ ოკუპაციაზეა მინიშნება: „რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგაც რამდენიმე დღის განმავლობაში განაგრძობდნენ წინსვლას და დამატებითი ტერიტორიების ოკუპაციას, მათ შორის ახალგორის რაიონისა, რომელიც საქართველოს ადმინისტრირების ქვეშ იყო მუდმივად 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე, მიუხედავად იმისა, რომ იგი მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომელიც საბჭოთა პერიოდში განისაზღვრა.“[121] საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა თუ სადამსჯელო მოქმედებების ქრონოლოგია ასე გამოიყურება:

**8 აგვისტოს**, 09:45 საათის შემდეგ რუსულმა ავიაციამ დაბომბა მთელი რიგი სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები კონფლიქტის ზონის მიღმა საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა მსხვერპლი მოსახლეობაში და დაზიანდა ინფრასტრუქტურა,[122] კერძოდ:

1. გორი და გორის მიმდებარე სოფლები (მათ შორის სამოქალაქო ინფრასტრუქტურა);
2. მარნეულის აეროდრომი;
3. ვაზიანის აეროდრომი;
4. კოპიტნარის აეროდრომი;
5. ონი;
6. ფოთის პორტი;
7. ბაქო-სუფსის ნავთობსადენი;
8. ანაკლია;
9. ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა;
10. თბილისი (საავიაციო ქარხანა და თბილისის აეროპორტის სამოქალაქო რადარი);
11. ხელვაჩაური;
12. შირაქი;
13. სენაკის აეროპორტი და სამხედრო ბაზა;
14. კასპი;
15. ხაშურის რაიონის სოფლები;
16. ბორჯომის ეროვნული პარკი.



*ფოთის პორტის დაბომბვა, 2008 წლის 8 აგვისტო.*

**10 აგვისტოს** ოჩამჩირეში რუსეთმა გადმოსხა საზღვაო დესანტი, რომელმაც განახორციელა ინტენსიური საარტილერიო და საჰაერო შეტევა კოდორის ხეობის წინააღმდეგ. ამ მომენტამდე აფხაზეთში ადგილი არ ჰქონია არანაირ დაპირისპირებას. შეტევა დაიწყო 9 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც საქართველოს შეიარაღებულმა დანაყოფებმა დისლოკაციის ადგილი – სენაკის ბაზა – დატოვეს და აღმოსავლეთ საქართველოსაკენ გადაინაცვლეს.

**12 აგვისტოს**, რუსეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ფოთის პორტში და ზუგდიდში (დასავლეთ საქართველო) დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები.

ამასთანავე, წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ბევრი დოკუმენტური მტკიცებულება თავად კონფლიქტის ზონაში ქართული სამხედრო შენაერთების გასვლის შემდეგ განხორცი-

121 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I, p. 22

122 წინამდებარე ჩამონათვალი ეყრდნობა საქართველოს მთავრობის ანგარიშს *„საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია: საქართველოს მთავრობა იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობასა და ჟურნალისტებს, რათა გადაამოწმონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია“*. საქართველოს მთავრობის დოკუმენტი, 2008 წლის 21 სექტემბერი, თბილისი





ფოტო: იმედამ ჭავლე

*კოდორის ხეობის აღება აფხაზური და რუსული სამხედრო შენაერთების მიერ.*

ელებული მრავლობითი ძალადობის, სოფლების განადგურებისა და მოსახლეობის იძულებითი აყრის შესახებ, რაც ასევე ვერც ერთი კრიტერიუმით ვერ ემსახურება „პირველადი საფრთხის აღკვეთის“ ტესტის მიზნებს.

### გ) პასუხი უნდა იყოს პროპორციული

მეოთხე, პასუხის პროპორციულობა. ვფიქრობთ, ამ საკითხზე მთელი მსოფლიო შეთანხმებულია. რუსეთის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე საუბარი იყო იმ სახელმწიფოთა მეთაურების მხრიდანაც კი, ვინც პრინციპში არ გამოირჩეოდა საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით. მაგალითად, გერმანიის კანცლერმა, **ანგელა მერკელმა**, სოჭში დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის დროს განაცხადა:

*„უნდა ითქვას, რომ რუსეთის ზოგიერთი ქმედება იყო არაპროპორციული, და განსაკუთრებით, ვფიქრობ, რომ რუსეთის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა გაუგებარია. რუსულმა ჯარებმა უნდა დატოვონ საქართველოს ცენტრალური ტერიტორიები“.*[123]

ქართული მხარის არგუმენტები კიდევ უფრო წონიანი გახდა გორის, ფოთის, ზუგდიდის საჰაერო დაბომბვების შემდეგ და რუსული სამხედრო შენაერთების საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში გადაადგილების ფონზე.

### დ) ინტერვენციის დროს უნდა დადგეს უფრო მეტი შედეგი, ვიდრე ზიანი, რომელიც დადგა, ან შესაძლებელია დადასტურდეს, რომ დადგებოდა

რუსეთისათვის ყველაზე რთული პოზიცია სწორედ კონფლიქტის შედეგების ტესტია. ვინაიდან მტკიცებულებები, რომელიც ხელშესახები და თვალნათელია ომის შემდეგ – ათიათასობით დევნილი, გადამწვარი სოფლები, განადგურებული ქონება და დაბომბილი ქალაქები – საუკეთესო დასტურია აგრესიის შედეგების და ზარალისა, რომელიც საქართველომ და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა მოსახლეობამ განიცადა.

დასასრულ, უმნიშვნელოვანესია თავად მოქალაქეობის საკითხსაც შევეხოთ. საუბარი იმაზე, რომ რუსეთმა საკუთარი მოქალაქეების დაცვისათვის მოახდინა საქართველოს ინტერვენცია, მნიშვნელოვანი პირობაა. კვლევის საგანი უნდა გახდეს, როგორ, როდის და რა პირობებში აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე ამდენი რუსეთის მოქალაქე? პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ხომ არ იყო სწორედ მოქალაქეობის პოლიტიკა ის „მცოცავი“ ანექსია, რომელსაც წლების მანძილზე ახორციელებდა რუსეთი საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და შესაძლო სამხედრო აგრესიის გასამართლებლად?

123 იხ. „Merkel, Medvedev Clash over Russia's War in Sochi Talks“, Deutsche Welle, 15 აგვისტო, 2008; http://www.dw-world.de/dw/article/0,,3567243,00.html

**რუსეთის ფედერაციის პასპორტები**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2002 წლის პრაღაში ნატოს სამიტის შემდეგ, სადაც საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ალიანსის წევრობაზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველად გამოჩნდნენ რუსული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელებიც მოსახლეობას სპეციალური რუსული შტამპის, ხოლო მოგვიანებით უკვე რუსული საზღვარგარეთის პასპორტის აღების შესაძლებლობას სთავაზობდნენ.

2002 წლის რუსეთის მოქალაქეობის კანონით გამარტივებული პროცედურა დადგინდა იმ პირებისათვის, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობდა და 2002 წლის პირველი ივლისისათვის შესაბამისი რესპუბლიკის მოქალაქეობას არ ფლობდა, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირი იყო. მათ შესაბამისი მიმართვა უნდა წარედგინათ მუდმივი საცხოვრებლის მიხედვით არსებულ რუსეთის საკონსულოში. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის ეს პირობები კიდევ უფრო გამარტივდა და სპეციალური სერიული ნომრებიც კი შემოიღეს რეგისტრაციისა და მათთვის მოქალაქეობის მისანიჭებლად. ხოლო საბუთები, როგორც წესი, კანონის შესაბამისად საქართველოში არსებულ რუსეთის საკონსულოში კი არა, არამედ თავად რუსეთის უახლოეს ქალაქებში მიჰქონდათ. ხშირ შემთხვევაში, ამ პროცედურას სოჭსა და ვლადიკავკაზში გადიოდნენ. არც იმით დაინტერესებულა ვინმე, რომ ყველა ამ ადამიანს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად ქონდა მიღებული და, შესაბამისად, რუსეთის კანონის მოთხოვნას მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის ფლობის შესახებ ვერ აკმაყოფილებდა.

სხვადასხვა რუსული წყაროების შესაბამისად, მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100,000-მა პირმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით და მიიღო რუსეთის მოქალაქეობა.[124]

პასპორტიზაციის საკითხს დეტალურად შეეხო 2008 წელს კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის სპეციალური მისიაც. საბოლოო დასკვნაში ყველა კითხვაზე ნათელი და კომპეტენტური პასუხია გაცემული:

> *„საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი კავშირი მოქალაქეობის მიღების მსურველსა და მიმღებ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთს, შორის. არ შეიძლება, ეს პროცესი იყოს თვითნებური. ამგვარი ფაქტობრივი კავშირის პირობად შეიძლება გამოდგეს ოჯახური კავშირები, გრძელვადიანი ბინადრობა, ან გრძელვადიანი საჯარო ან სამხედრო სამსახური მიმღებ ქვეყანაში. ამასთანავე, თავდაპირველი სახელმწიფოს თანხმობა უნდა იყოს სავალდებულო“.*[125]

აღნიშნული წინაპირობების განმარტების შემდეგ კონფლიქტის ფაქტების დამდგენი მისია აღწერს საქართველოში შექმნილ რეალობას და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბჭოთა მოქალაქეობის საკითხებს. ის სრულიად სამართლიანად განმარტავს, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ წინაპირობად ვერ გამოდგება ქართული კანონმდებლობით სრულიად ლეგიტიმურად დადგენილი წესების გათვალისწინებით. კომისია თავის ანგარიშში ცალსახად ასკვნის:

> **„სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, რომლებმაც მოქალაქეობა ნატურალიზაციის წესით მიიღეს, საერთაშორისო-სამართლებრივად რუსეთის მოქალაქე არ არის.** *შესაბამისად, ის პირები, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს, ასეთად რჩებიან, „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიუხედავად. 2008 წლის*

124 იხ. Law library of congress, document # 2008-01474: Russian Federation: Legal Aspects of War in Georgia, by Peter Roudik, Chief, Easter Law Devision, September 2008

125 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I, p. 18

> *აგვისტოს შეარაღებული კონფლიქტის დროს ისინი კვლავაც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ“.*[126]

უფრო მეტიც, ევროკავშირის მისიის ანგარიშში, რუსეთის მხრიდან მასობრივი პასპორტიზაციის პოლიტიკა შეფასებულია საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად და მის შიდა საქმეებში ჩარევად.

## *4. დაეცვა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები 1992 წლის ხელშეკრულების შესაბამისად*

დასასრულ, მეოთხე არგუმენტი – დაეცვა სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები 1992 წლის დაგომისის ხელშეკრულების შესაბამისად. დაგომისის ხელშეკრულება, როგორც ეს წინამდებარე ანგარიშის შესაბამის თავებში იყო განმარტებული, სხვა საკითხებთან ერთად სამშვიდობო ძალების მანდატს განსაზღვრავდა. ხელშეკრულების შესაბამისად, სამშვიდობოთა მანდატი ნათლად არის განსაზღვრული. კერძოდ, ხელი შეეშალათ და აღეკვეთათ ყოველგვარი სამხედრო მოქმედებები კონფლიქტის ზონაში. ამასთანავე, სამშვიდობოებს მცირედი გადაადგილებაც კი ეკრძალებოდათ კონფლიქტის ზონის გარეთ, რომ არაფერი ვთქვათ რაიმე ტიპის სამხედრო ოპერაციაზე. მნიშვნელოვანია, რომ თავად სამშვიდობო კონტინგენტი შერეული ხასიათისა იყო და ერთობლივი კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქციებს ასრულებდა. სამშვიდობო კონტინგენტი დსთ-ს მანდატით მოქმედებდა, თუმცა აგვისტოს მოვლენების წინ ან შემდეგ დსთ-ს არავითარი ახალი გადაწყვეტილება მათ შესახებ არ მიუღია, იქნებოდა ეს მანდატის გაფართოება თუ შემადგენლობის შეცვლა.

**ანტონ დვორკინი**, 2008 წლის 26 აგვისტოს, თავის სტატიაში „კონფლიქტი საქართველოში და საერთაშორისო სამართალი“, სწორედ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ მოგვითხრობდა.

> *„შესაძლოა, რუსეთს, მისი სამშვიდობო ვალდებულებების კონტექსტში, ჰქონდა სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დაცვის გარკვეული უფლებები, მაგრამ ამ უფლებებით მაღალი ალბათობით მისი სამშვიდობო ძალები სარგებლობდნენ, რომელთა მანდატიც იყო სამხრეთ ოსეთში მშვიდობის აღდგენა ცეცხლის შეწყვეტის სტატუსის დარღვევის შემთხვევაში. ძალიან საეჭვოა, რომ ეს უფლებამოსილება ვრცელდებოდეს რუსეთის იმ სამხედრო ძალებზე, რომლებიც თავად უშუალოდ არ იყვნენ სამშვიდობო კონტინგენტის ნაწილი“.*[127]

სამშვიდობო ჯარებზე საუბარი საყურადღებოა არა იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი რუსული სამხედრო შენაერთი, რომელიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იბრძოდა, არამედ იმიტომ, ის იყო ერთადერთი რუსული სამხედრო შენაერთი, რომელსაც რაიმე მანდატი და უფლებამოსილება ჰქონდა, ლეგიტიმურად ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე და კონფლიქტის ზონაში გართულების შემთხვევაში აღეკვეთა სამხედრო მოქმედებები. შესაბამისად, პრეზიდენტ მედვედევის 9 აგვისტოს გამოსვლის ადრესატიც, სადაც ის 1992 წლის ხელშეკრულების დაცვაზე საუბრობდა, მხოლოდ სამშვიდობოთა ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ხელშეკრულების როგორ ფართო ინტერპრეტაციაზეც უნდა ვისაუბროთ, დამატებითი რუსული ძალები, მით უფრო საჰაერო ხომალდები და საზღვაო ფლოტი, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს მიერ განხორციელებული ვერანაირი ქმედების შემაჩერებელ პროპორციულ ძალად ვერ იქნება განხილული.

---

126 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, volume I, p. 18

127 იხ. Anthony Dworkin, “The Georgia Conflict and International Law”, August 26, 2008, for Crimes of War Project, at, http://www.crimesofwar.org/onnews/news-georgia.html

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა,
ომის სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევა
2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს

>>

## სიცოცხლის უფლების ხელყოფა

## ეთნიკური წმენდა • ძარცვა • ქონების განადგურება

## ტყვეობა





2.1 სიცოცხლის მოსპობა დაბომბვების შედეგად

2.2 სიცოცხლის განზრახ მოსპობა, მკვლელობა



# 2

*„ჩვენ მოგვეპოვება მასალა რუსეთის სამხედრო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 16 მშვიდობიანი ადამიანის მოკვლის შესახებ (ისინი არ არიან სამხედრო ოპერაციების დროს ურთიერთსროლისას, დაბომბვისას და საარტილერიო ცეცხლის შედეგად და აუფეთქებელ ნაღმებზე აფეთქების შედეგად მოკლულნი). ნათელია, რომ ბევრი მათგანი ადგილზევე მოკლეს.“**

ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი

* „Georgia-Russia conflict: Ethnic Cleansing Continues in South Ossetian Conflict Zone in Georgia“, by Aage Borchgrevink, The Norwegian Helsinki Committee, 24 ოქტომბერი, 2008 წელი, http://www.nhc.no/php/index.php?module=article&view=784

## 2.1 სიცოცხლის მოსპობა დაბომბვების შედეგად

სახლების ძარცვას, გადაწვასა და მოსახლეობის დევნასთან ერთად, ადამიანების ცემა, შეურაცხყოფა, დაშინება და მუქარა ჩვეულებრივ ამბად იქცა 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში. უფრო მეტიც, იყო ადამიანების სიცოცხლის მოსპობის მრავლობითი შემთხვევებიც. ჩვენი რესპონდენტები განსაკუთრებული ტკივილით იხსენებდნენ, სოფლიდან გამოქცეულებს როგორ ხვდებოდათ გზად დახოცილი მეზობლების ან ახლობლების გვამები. ნაწილი დაბომბვის მსხვერპლი გახდა, ნაწილი ბრმა ტყვიისა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც სრულიად გამიზნულად, თვითმხილველების კიდევ უფრო მეტად დასაშინებლად მათ თვალწინ ხოცავდნენ ადამიანებს. (იხ. **დანართი №5.1**. შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული რუსული აგრესიის მსხვერპლთა სია).

წინამდებარე მასალის გაცნობამდე უპრიანი იქნება გავეცნოთ რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პოზიციას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით. **რუსეთის ხელისუფლების** მიერ აგვისტოს ომის ფაქტების დამდგენი მისიისათვის გაგზავნილი ოფიციალური ინფორმაციის შესაბამისად

- კონფლიქტის დროს სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა.
- რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება კატეგორიულია და გამორიცხავს დაბომბვის ან ცეცხლის გახსნის შემთხვევებს მშვიდობიანი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებსა და ტერიტორიებზე.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ დოკუმენტიდან:

„ოპერაციის მსვლელობის დროს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილები... ცეცხლს უხსნიდნენ... მხოლოდ რეალურად გამოვლენილ სამიზნეს, რითაც გამოირიცხა დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

ოპერაციის აქტიური ფაზის მიმდინარეობის დროს რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ჩაატარა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო სამოქალაქო მოსახლეობისა და მათი ქონებისათვის ზიანის აცილებისაკენ. არტილერიის ცეცხლი და ავიაციის დარტყმები იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სამოქალაქო დასახლებებისაგან მნიშვნელოვნად მოშორებულ ადგილებზე, რეალურად გამოვლენილი სამიზნეების მისამართით.

სამოქალაქო მოსახლეობისა და ობიექტების მიმართულებით ცეცხლი არ გახსნილა. ქართული შენაერთების მიერ დაკავებული პოზიციებიდან გასვლის შემდეგ ცეცხლი წყდებოდა. რუსეთის ავიაცია... დარტყმებს ახორციელებდა ჯარის დისლოკაციის ადგილებზე, საცეცხლე პოზიციებზე და სამხედრო ტექნიკის კოლონების მსვლელობის დროს.

დასახლებული პუნქტების საზღვრებში და მათ სიახლოვეს განლაგებულ სამიზნეებზე ავიაციას შეტევა არ მიუტანია.

გამოყენებული საშუალებების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი გამოირიცხა.“[128]

ჩვენს ხელთ არსებული თვითმხილველთა ისტორიები, ფოტო და ვიდეომასალა, გარდაცვლილთა ექსპერტიზა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები სწორედ რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისაგან განსხვავებულ რეალობას აღწერს.

**ეუთოს** 2008 წლის ნოემბრის ანგარიშში ბევრ ადგილას მითითებულია, რომ სოფლები იბომბებოდა. ამასთანავე, 2008 წლის 7-10 ნოემბერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

---

128 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, 2009 წლის სექტემბერი, ტომი III „კონფლიქტის მხარეების შეხედულებები, ქრონოლოგია და კითხვებზე პასუხები“, რუსეთი, პასუხი კითხვაზე №3, გვ.464-465

განხორციელებული ვიზიტის შედეგად მისიამ ფაქტობრივი მტკიცებულებებით დაადასტურა სწორედ საჰაერო დაბომბვების შედეგად ქართული სოფლების მიერ განცდილი ზარალი.[129]

## *დიდი ერედვის (ერედვი-ბერულა-არგვიცი) დაბომბვა*

2008 წლის აგვისტოს დღეებში სოფელი ერედვი ინტენსიურად იბომბებოდა. დაბომბვა დღის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა. ყველაზე დიდი ზარალი და მსხვერპლიც სწორედ 8 აგვისტოს დაბომბვების შედეგად მიადგა დიდი ერედვის მოსახლეობას. დაბომბვების გამო დაიცალა სოფელი მოსახლეობისაგან.

რუსეთის ხელისუფლების მტკიცების საპირისპიროდ ლიახვის ხეობიდან სიკვდილს გამოქცეული ქართველები მათი მეზობლებისა და ახლობლების მკვლელობის ისტორიებს ყვებიან:

*„მეზობლის სახლს დაეცა ბომბი“,*

*„ეკლესიის გალავანი დაიბომბა“,*

*„ჩემს სახლს ბომბი დაეცა“,*

*„ჭურვის ნასხლეტი მოხვდა საკუთარი სახლის ეზოში“.*

თვითმხილველებისაგან კიდევ ბევრი სხვა მსგავსი შინაარსის ფრაზებს მოისმენთ.

სოფლების მცხოვრებთა მონათხრობის მიხედვით დიდ ერედვში (ერედვი-ბერულა-არგვიცი) დაახლოებით ოცი ადამიანია მოკლული საჰაერო დაბომბვების ან პირდაპირი სროლის შედეგად.

*„სოფელ ერედვს რომ ჩავუარეთ, მაგარი დაბომბვები იყო. გზის პირას, სახლთან ახლოს ეყარა მკვდრები. ბომბი ჰქონდა სახლებს დაცემული.“*[130]

**გულივერ ტარიელაშვილსაც** კარგად ახსოვს ერედვის დაბომბვა:

*„პირველად 8 აგვისტოს დაიბომბა ერედვი. ამ დაბომბვისას დაიღუპნენ: მზია ბორცვაძე, სეირან ოზგებიშვილი, ნინო ქრისტესიაშვილი, გოგი ჟუჟუნიაშვილი, ციალა ტარიელაშვილი. ბევრიც დაიჭრა, დაახლოებით 10 ადამიანი. 2 თვითმფრინავი ბომბავდა. აჭრელებული ფერის იყო: თეთრი და მომწვანო. დაბლა დაფრინავდნენ.“*[131]

**მევლუდ ბერუაშვილმაც** თავად უყურა, როგორ დახოცა ჭურვებმა მისი მეზობლები. სოფელ ბერულის მკვიდრი ელნარ ვახტანგიშვილიც 8 აგვისტოს დაბომბვის თვითმხილველია:

*„2008 წლის 8 აგვისტოს დილის 11-12 საათი იქნებოდა, რომ ჩემი სახლიდან 200 მეტროში ჩამოვარდა ბომბი. სახლი ზანზარებდა. შუშები სულ ჩაიმტვრა. მერე დაიბომბა სოფელი ერედვიც. 8 ადამიანი დაიღუპა.“*[132]




*დაბომბვის შედეგად დაღუპული საქართველოს მოქალაქეები. 14 აგვისტო 2008 წელი*

---

129 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.34-35

130 2008 წლის 8 აგვისტოს სოფელ აჩაბეთის მკვიდრი ანზორ ბაბუციძე ქვემო აჩაბეთიდან გამოექცა დაბომბვებს და, გზად მიმავალი, ხედავდა სხვა სოფლებში შექმნილ ვითარებას. მათ შორის იყო ერედვიც. ინტერვიუ ანზორ ბაბუციძესთან ჩაწერა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.

131 იხ. ინტერვიუ გულივერ ტარიელაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ერედველი დევნილების დროებითი ჩასახლების ადგილზე, კოდა, მე-2 კორპ. მე-2 სად. მე-3 სართ. ბ.21

132 იხ. ინტერვიუ სოფელ ბერულის მცხოვრებ ელნარ ვახტანგიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, გორი, ტყვიავის №1, წმინდა წყაროზე, ბ-30




8 აგვისტოს დაბომბვას **გელა ცოტნიაშვილის** მამაც შეეწირა.

*„2008 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით დღის 2 თუ 3 საათზე დაიბომბა სოფელი ერედვი. 2 თვითმფრინავი დაგვტრიალებდა თავზე ნახევარი საათის განმავლობაში და როცა ჩამოაგდო ბომბი ბაღებში, მერე მივხვდით, რომ რუსების თვითმფრინავი იყო. ვერცხლისფერი თვითმფრინავები იყო. ამ დროს მე ქვევითა უბანში ვიყავი. სანამ ავიდოდი სახლში, კიდევ ჩამოვარდა ბომბი. მთლიანობაში ჩემს სახლთან 3 ბომბი ჩამოვარდა. სახლში რომ შევედი, ბოლი იდგა. მეორე სართულზე ავედი, მაშინაც ჩამოვარდა ბომბი ჩემს სახლთან ახლოს. ერთი ოთახიდან მეორეში გამისროლა წნევამ. ცოტა ხანი გაბრუებული ვიყავი. სახურავი ჩამოინგრა, შიფერი, ფანერკები გადმოინგრა. პირველ სართულზე რომ ჩამოვედი, მამაჩემი წაქცეული იყო კიბესთან. მაშინ ვერ გავიგე, მაგრამ თურმე ფეხი ჰქონია დაზიანებული. ოპერაცია გაუკეთეს თბილისში მე-5 საავადმყოფოში. ოპერაციის მერე ერთ თვეში გარდაიცვალა.“*[133]

ერედველი **დავით ქრისტესიაშვილი**, 8 აგვისტოს დაბომბვის შედეგად დაზარალებული კიდევ ერთი უბნის შესახებ გვიამბობს:

*„ეკლესიის გალავნიდან დაახლოებით 30 მეტრში ვიდექი, როცა ბომბი ჩამოვარდა და წნევამ გამისროლა. ძირს დამაგდო. გონება დავკარგე. რამდენი ხანი ვიყავი გონებადაკარგული, ვერ გეტყვით. გონს რომ მოვედი, კვამლი იდგა. გზის იქით, სადაც ბომბი დაეცა, იყო ხევი, დავინახე ხევიდან დაჭრილები ამოჰყავდათ. ესენი იყვნენ: ლაშა ბერუაშვილი – თავში დაიჭრა; პაატა ჟუჟუნიაშვილი მხარში იყო დაჭრილი; სოსო ტარიელაშვილი – ფეხში იყო მძიმედ დაჭრილი; გიორგი მამისაშვილი სანაკოევის დაცვაში მუშაობდა; რომელაშვილი – მალიშას ვეძახდით, დაიჭრა ღვიძლში. დაიღუპნენ: ნინო ქრისტესიაშვილი, ჟუჟუნიაშვილი გოგია. მეორე ბომბი ალბათ 15 წთ-ის მერე ჩამოვარდა საცხოვრებელ სახლებში.“*[134]

**ამირან მაისურაძე** და **ვალენტინა ბესტავაშვილი** 8 აგვისტოს დაბომბვის დროს დაზარალებული სხვა ერედველების გვარებს იხსენებენ:

*„8 აგვისტოს დაიწყო ავიაციის იერიშები, დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის. დაბომბვის შემდეგ თაბოშვილი მიშიკო, ბერუაშვილი ნიკოლოზი და ჯუმბერ მაისურაძე მკვდრები იპოვეს.“*[135]

---

133 იხ. ინტერვიუ გელა ცოტნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გორში. სამწუხაროდ, მამის სახელი ინტერვიუში არ იკითხება. ან ნაშრომის მომზადების მომენტისათვის ბატონ გელასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

134 იხ. ინტერვიუ დავით ქრისტესიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, სოფელი კოდაში, მე-10 კორპ.

135 იხ. ინტერვიუ ვალენტინა ბესტავაშვილთან და მის მეუღლესთან, ამირან მაისურაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, ქ. თბილისში, მოსკოვის გამზ. №9/ა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით დაბომბვების დროს დაღუპული ყველა ერედველის ისტორიის მოძიება. ასევე უცნობი დარჩა ჩვენთვის რამდენიმე სახელი და გვარი. მაგრამ ვფიქრობთ, თვითმხილველთა მიერ მონათხრობი ისტორიები საკმაოდ თვალნათელს ხდის 2008 წლის აგვიტოს ერედვში მომხდარ შემზარავ მოვლენებს.

### *მზია ბორცვაძის მკვლელობა*

საკუთარი თვალით ნანახს გვიყვება სოფელ ერედვის მკვიდრი 81 წლის **ბაგრატ ბორცვაძე**:

*„8 აგვისტო იყო თუ 9, ზუსტად არ მახსოვს. დაბომბვის შედეგად დაიღუპა ჩემი ძმისშვილი მზია ბორცვაძე. ჭურვის ნასხლეტი მოხვდა და თავისი სახლის ეზოში დაიღუპა“.*[136]

მზია ბორცვაძის მკვლელობის თვითმხილველია **ვაჟა ქრისტესიაშვილიც**, რომელიც ასევე იხსენებს, რომ ეკლესიის გალავნის დაბომბვის შემდეგ ორი ცხედარი იპოვა, მზია ბორცვაძის და ნინო რომელაშვილისა. ეს ამბავი ასევე დაწვრილებით გვიამბო ნოდარ ცოტნიაშვილმაც.[137]

### *სეირან ოზგებიშვილის მკვლელობა*

ერედველი **სპირიდონ ქრისტესაშვილი** იხსენებს, რომ 8 აგვისტოს სოფლის მცხოვრებლები ერთად სოფ. ერედვის ცენტრში იყვნენ შეკრებილი.

*„დაახლოებით 10 სთ-ზე დავინახე სოფლის თავზე მოტრიალე 2 თვითმფრინავი, რის შემდეგაც თვითმფრინავმა, რომელიც რუსულ სამხედრო ძალებს ეკუთვნოდა, იერიში მოიტანა სოფელ ერედვის მშვიდობიან მოსახლეობაზე. ბომბები ჩამოვარდა ჩვენგან 500 მეტრში, რის შედეგადაც დაინგრა საცხოვრებელი სახლები და დაიღუპნენ სოფლის მცხოვრებლები: სეირან ოზგებიშვილი, ტარიელაშვილი ციალა და სხვები. ყველას გვარები არ ვიცი.“*[138]

ამავე დაბომბვას იხსენებს **გიორგი ვახტანგიშვილიც**, რომელმაც, სეირან ოზგებიშვილი საკუთარი სახლის ეზოში მკვდარი იპოვა, *„ბომბის ანასხლეტი ქონდა მოხვედრილი იმ უბედურსო“*[139]. სეირან ოზგებიშვილი და ციალა ტარიელაშვილის სიკვდილს ვაჟა ქრისტესაშვილიც შეესწრო.[140]

მამის სიკვდილს იხსენებს **ნელი ოზგებიშვილიც.**

*„8 აგვისტოს პირველი დაბომბვისას მეზობელ სახლს დაეცა ბომბი და იმ სახლთან სკამეიკაზე იჯდნენ დედა და მამა. დამეღუპა მამა, სეირან ოზგებიშვილი. დედა, ალექსანდრა (შურა) ხუბაევი დაიჭრა. 9 აგვისტოს დედაჩემის წამოსაყვანად ჩავედი გორში და იქაც დაბომბვაში მოვყევი, მაშინ ვერხვების უბანი დაბომბეს გორში. 11-ში გათენებისას დავბრუნდი ტყვიავში, რადგან გავიგე, რომ ჩემი დისშვილი, რომელიც ჯარისკაცი იყო და მსახურობდა, მორგში ჰყავდათ. იმავე დღეს დავასაფლავეთ.“*[141]

---

136 იხ. ინტერვიუ ბაგრატ ბორცვაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგის ქ. 8-ში, მისი რძლის, გულნაზის თანდასწრებით.

137 იხ. ინტერვიუ ნოდარ ცოტნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისში, კანდელაკის ქ. 12, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შენობა. ნოდარ ცოტნიაშვილმა დაბომბვის დროს ასევე ნახა გარდაცვლილი სეირან ოზგებიშვილი, ნინო ქრისტესიაშვილი, გოგი ჟუჟუნიაშვილი, ციალა ტარიელაშვილი.

138 იხ. ინტერვიუ სპირიდონ ქრისტესაშვილთან, ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ ქ. თბილისში 112-ე ბაგა-ბაღში.

139 იხ. ინტერვიუ სეირან ოზგებაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, სოფელ კოდაში.

140 სეირან ოზგებიშვილის მკვლელობას შეესწრო დურმიშხან მიდოდაშვილიც, რომელთანაც ინტერვიუ ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, იყალთოს გორაზე მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღში.

141 იხ. ინტერვიუ ნელი ოზგებაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, კოდა, კორპ.9, მე-3 სართული, ბ-17.

### ციალა ტარიელაშვილის მკვლელობა

8 აგვიტოს, შუადღის 4 საათისათვის **ცირა ცოტნიაშვილი**, სახლიდან 10 წუთის გამოსული იყო, როდესაც მის საცხოვრებელ სახლს ბომბი დაეცა და მისი 75 წლის ბებია იმსხვერპლა.

*„2 დიდი სამხედრო თვითმფრინავი დაფრინავდა, მუქი მწვანე ფერის, არაფერი შემიმჩნევია ზედ, არც დროშა, არც რაიმე ნიშანი. დაიწყეს დაბომბვები. ბომბი დაეცა ჩემს საცხოვრებელ სახლს. მე სახლიდან 10 წუთის გამოსული ვიყავი მეზობელთან. ბებია იყო მარტო სახლში. ხმაურზე გამოვიხედე და სახლი თითქოს იქ არ იდგაო, სულ მთლიანად დანგრეული იყო. ბებია ეგდო კანაოში. შიგ ნანგრევებში არ იყო მოყოლილი. ეტყობა წნევამ ისროლა. მეზობლებთან ერთად ვნახე გარდაცვლილი“.*[142]

### ნიკო და ჯუმბერ ბერუაშვილების მკვლელობა



*მიხეილ ვახტანგიშვილის მიერ აღწერილი დაბომბილი სახლი.*

**მიხეილ ვახტანგიშვილმა** ერთ-ერთმა უკანასკნელ-მა დატოვა კონფლიქტის ზონა. მიუხედავად იმისა, რომ სო-ფელში სიარული სახიფათო იყო, მოხუცი ყოველდღიურად დადიოდა და თითქმის ყველა ტრაგედიის თვითმხილვე-ლია. მის თვალწინ გადაწვეს მთელი სოფელი, დახოცეს მისი მეზობლები.

*„მკვდარი ადამიანები ვნახე. დილაობით დავდიოდი დამწ-ვარი სახლების სანახავად ერედვში. ეს ხალხი ვნახე თავი-ანთი დამწვარი სახლების ეზოში მკვდრები:* ***ნიკო ბერუაშ-ვილი, ჯუმბერ ბერუაშვილი, ნათელა ქრისტესაშვილი, ციალა ტარიელაშვილი, თენგიზ ტარიელაშვილი.*** *ნიკოს და ჯუმბერს ძაღლები ჭამდნენ, გზაზე ეყარნენ. ახლოს გვა-მებთან ვერ მივდიოდი, თავიანთ ეზოებში გზიდან ვხედავდი, რო მკვდრები ეყარნენ. ჩემს ბაღთან ვნახე 5 ქართველი მკვდარი ჯარისკაცი. ჩვენი სამხედრო ფორმა ეცვათ. სოფ-ლის მაცხოვრებლები, ვინც დაიხოცნენ, მეტნი ძაღლებმა შეჭამეს, დამმარხავი არავინ ჰყავდათ.“*[143]

## სოფელ ერედვში შესასვლელი გზის დაბომბვა

8 აგვისტოს იბომბებოდა არა მხოლოდ სოფელი, არამედ ერედვში შესასვლელ-გამო-სასვლელი გზებიც, რომლითაც სოფლიდან გამოქცეული ქართველები თავის გადარჩენას ცდილობდნენ. **რობიზონ ნებიერიძემ** 8 აგვისტოს სოფლის მასობრივი დაბომბვებისაგან თა-ვის დაღწევა სცადა.

*„მე და ჩემი ბიძაშვილი ქრისტო ჟიგულით ტყის გავლით სოფლიდან უპრობლემოდ გავედით. ერედვში რომ შევედით, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბვა დაიწყეს. ჩვენ მაშინვე მანქანა გავაჩერეთ და გზის განაპირას გაჭრილ არხში დავწექით. ჩვენს უკან ავტომობილში ორი ქალბატონი,* ***კახნიაშვილი მა-რიკა*** *და* ***თინა ავალიანი-კახნიაშვილისა****, დაიღუპა. კიდევ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა“.*[144]

142 იხ. ინტერვიუ ცირა ცოტნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, რუსული ჰოსპიტლის შენობის I კორპუსში.

143 იხ. ინტერვიუ მიხეილ ვახტანგიშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში.

144 იხ. ინტერვიუ რობინზონ ნებიერიძესთან, ჩაწერილი 2008 წლის 8 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ თბილისში, ბუდაპეშტის ქ. 22-ში მდებარე საავადმყოფოში.

კეხველი **მალხაზ კახნიაშვილიც** ადასტურებს ამ ფაქტს. „წვერიახოს მთაზე დაეცა ჭურვი და 2 ქალბატონი დაიღუპა. იმათი ქმრები იყვნენ ჩემი ალალი დეიდაშვილები, ნოდარა და მიტო კახნიაშვილები.“[145]

სწორედ სოფელ ერედვში შესასვლელი გზის დაბომბვას იხსენებს სოფელ ხეითის მცხოვრები **ოთარ გოჩაშვილიც**.

> *„სოფლის მოსახლეობა მივდიოდით ზოგი ავტომანქანით, ზოგი ფეხით. სოფელ ერედვში შემოსვლამდე, გაშლილ ადგილზე მოულოდნელად მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის კოლონის საავიაციო დაბომბვა, ჩემს თვალწინ აფეთქდა სამი ავტომანქანა. სწრაფად ვეცადეთ შემთხვევის ადგილის დატოვებას, ირგვლივ კვამლი და დიდი არეულობა იყო. დაბომბვის დროს დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, ვინაიდან ისროდნენ და ჩვენი სიცოცხლე რეალური საფრთხის ქვეშ იყო, მათთვის ჩვენი მხრიდან რაიმე დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო.“*[146]




*სოფელ ერედვში შესასვლელი გზის დაბომბვა.*

სოფელი ქურთის მცხოვრები, **ვენერა დუღაძე**, საკუთარ სოფელში დაბომბვას გამოექცა და იმავე გზაზე იმყოფებოდა:

> *„ჩვენს უკან მომავალ მანქანას დაეცა თვითმფრინავიდან ჩამოგდებული ჭურვი, რის შედეგადაც დაიღუპა მანქანაში მჯდომი 2 ქალი, ხოლო მანქანის მძღოლი მძიმედ დაიჭრა. დაბომბვა დაიწყო 8 აგვისტოს 19 სათის შემდეგ, მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდა, აღარ მახსოვს“.*[147]

## სიცოცხლის მოსპობა სოფელ ზემო ხვითის დაბომბვის დროს

დიდი ერედვის სოფლები არ ყოფილა გამონაკლისი, რომლებიც რუსული საავიაციო და საარტილერიო დაბომბვის ქვეშ მოჰყვა. სოფლის დაბომბვისა და მსხვერპლის შესახებ დევნილობაში მყოფი ხვითის, ქერესა და მრავალი სხვა სოფლის მცხოვრებლებიც გვიამბობდნენ.

**პაატა მჭედლიძე** რუსების შემოსვლასა და დაბომბვებს იხსენებს:

> *„2008 წლის 10 ან 11 აგვისტოს სოფელ ზემო ხვითში შემოვიდა რუსეთის ჯარი, ტანკებით, ვერტმფრენებით, „ბეემპეებით“. შემოსვლისთანავე გვაფრთხილებდნენ, რომ დაგვეტოვებინა სოფელი, ვინაიდან ოსები უნდა შემოსულიყვნენ. როცა ქართული ჯარი ტოვებდა ტერიტორიას, განხორციელდა დაბომბვა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 12 ადამიანი. მათგან მხოლოდ ერთი იყო სამხედრო, დანარჩენები იყვნენ სამოქალაქო პირები, სოფელ ზემო ხვითის მაცხოვრებლები. თავად დავმარხე სოფელში. გარდაცვლილთა შორის იყო 2 ქალი – ხანშიშესულები.“*[148]

სამწუხაროდ, პაატა მჭედლიძემ გადაცვლილთა სახელები და გვარები ვერ გაიხსენა. თუმცა, ჩვენ მიერ მისი სხვა თანასოფლელების გამოკითხვისა და მრავალი ინტერვიუს შედეგად შევძელით 12-ვე არა, მაგრამ რამდენიმე დაღუპულის ისტორიის აღდგენა.

---

145 იხ. ინტერვიუ მალხაზ კახნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

146 იხ. ინტერვიუ ოთარ გოჩაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, 90-ე ბაგა-ბაღში.

147 იხ. ინტერვიუ ვენერა დუღაძესთან, ჩაწერილი „21 საუკუნის" მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს.

148 იხ. ინტერვიუ პაატა მჭედლიძესთან, ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ 2008 წლის 16 აგვისტოს, ქ. თბილისში, დადიანის ქ. 22-ში.

### *ალექსანდრე გოგიშვილის მკვლელობა*

სოფელ ზემო ხვითის მოსახლეს **მანანა გოგიშვილს** აგვისტოს ომის დროს მოუკლეს მეუღლე, ალექსანდრე გოგიშვილი.

*„11 აგვისტოს დაიბომბა სახლი. დაიღუპა ჩემი მეუღლე. მუცელში იყო დაჭრილი“.*[149]

**ამირან ესიაშვილი** თავად შეესწრო ალექსანდრე გოგიშვილის მკვლელობას, თავადაც დაიჭრა და, რომ არა მეზობლების დახმარება, სისხლისგან დაიცლებოდა.

*„11-ში ვიყავით ალეს ოჯახში. იქ ვიმალებოდით. ჭურვები და ბომბები ცვიოდა. დღის 3 საათიდან დაიწყო მასობრივი დაბომბვა. ალე ერთი წუთით გავიდა ეზოში. მაშინვე შემობრუნდა და ძირს, მიწაზე დაეცა, აივნის ქვეშ. დავინახე, როგორ დაეცა. მარცხენა გვერდზე, მუცელში ჰქონდა ჭრილობა და გამოსული იყო მეორე მხრიდან. სისხლიანი ხელებით გამოვვარდი. მომხვდა ჭურვის ასკოლკა კისერზე, მარჯვენა გვერდზე. უკან, ალეს სახლში ვაპირებდი შებრუნებას, მაგრამ მომხვდა კიდევ ორი ასკოლკა მხარში და ფეხზე“.*[150]

**ნინელი დოიჯაშვილმა** გარდაცვლილი ალექსანდრე გოგიშვილი სახლის სარდაფში ნახა:

*„პადვალში, იაშიკებზე იწვა ალე. მუცელში ჰქონდა მორტყმული და მეორე მხარეს გამოსული. ჭურვი მოხვდაო, ამირან ესიაშვილმა მითხრა“.*[151]



*ქართველი ტყვეები თამაზ და ზაზა გოგიშვილები*

### *ჯემალ გოგიშვილის მკვლელობა*

„11-ში გავიგონე დაბომბვის ხმა. მაშინ ჩემი სახლი დაინგრა. ჩემი სახლი როცა დაინგრა, ჩემმა ბიძაშვილმა, ზაზა გოგიშვილმა შიგ მამაჩემი ნახა დაჭრილი. ამოიყვანა დანგრეული სახლიდან ეზოში და მერე ჩემს მოსაძებნად წამოვიდა. მამა, ჯემალ გოგიშვილი, მუცელში და თავში იყო დაჭრილი. მეზობელმა ნინელი დოიჯაშვილმა არყით მოუწმინდა ჭრილობა. ზაზას სახლში გადაიყვანეს მეზობლებმა და ზაზას სარდაფში მესამე დღეს დაიღუპა ჭრილობებისაგან. ნინელიმ და ვოვა გოგიშვილმა იპოვეს უკვე მკვდარი და დამარხეს. პატრონი არავინ ჰყავდა და დაიღუპა“.[152]

თავად თამაზ გოგიშვილი, თავის ბიძაშვილ ზაზა გოგიშვილთან ერთად სწორედ იმ დღეს, 11-ში ტყვედ აიყვანეს. ჩხრეკის დროს რეზერვისტის ჟეტონი უპოვეს, სასტიკად სცემეს და ერთი დღე და ღამე სამხედრო ბაზაზე ჰყავდათ, სცემდნენ, ამცირებდნენ, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვეს.

## *სოფელ ქერეს დაბომბვა*

იქაურების მტკიცებით, სოფელ ქერეში პირველი კონფლიქტის შემდეგ არც მილიცია მდგარა არასოდეს და არც სამშვიდობო ჯარი. არც აგვისტოს მოვლენების დროს შეცვლილა რამე. სოფელში არც ერთი დღით არ შესულა ქართული სამხედრო ნაწილები. ამიტომ შედარებით მშვიდად იყვნენ და დაძაბულობისა და სროლების მიუხედავად სოფელს არ ტოვებდნენ. თუმცა, 9 აგვისტოს სოფლის თავში ჩამოვარდა ბომბი და სოფელმაც ნელ-ნელა გახიზვნა დაიწყო. ამის შემდეგ დაბომბვები გრძელდებოდა.

---

149 იხ. ინტერვიუ მანანა გოგიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, სოფელ ზემო ხვითში.

150 იხ. ინტერვიუ ამირან ესიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, სოფელ ზემო ხვითში.

151 იხ. ინტერვიუ ნინელი დოიჯაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, სოფელ ზემო ხვითში.

152 იხ. ინტერვიუ თამაზ გოგიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 30 მაისს.

**ჟიულონ ელიკაშვილი** გვიყვება:

*„11 აგვისტოს, დაახლოებით შუადღეზე, 12 საათისთვის ძროხა მყავდა გაყვანილი საძოვარზე. სახლთან ახლოს მდინარე ჩამოდის და მანდ ვიჯექი არხის პირას. ორნი ვიყავით, მე და ჩემი მეზობელი არსენა ელიკაშვილი. მე კაკლის ძირში ვიჯექი, შოთა 3 მეტროში გვერდზე მედგა. უცბად ვერც გავიგე, რა მოხდა, ახლოს რაღაც აფეთქდა. დავინახე, რომ არსენას საქონელი გაფლითა შუაზე. ჩემი საქონელიც ძირს ეგდო მკვდარი. ფეხზე დავიხედე და ვეღარ ავდექი. მოწყვეტილი იყო. დავიჭერი მარჯვენა თვალსა და მარჯვენა ხელშიც. გორში გამიკეთეს მარცხენა ფეხის ამპუტაცია. მარჯვენა თვალით დავბრმავდი და ხელიც გამიკერეს“.*

ჟიულონ ელიკაშვილი არ ყოფილა სოფელი ქერეს დაბომბვის ერთადერთი დაზარალებული. **არსენ (შოთა) ელიკაშვილიც** სწორედ 11 აგვისტოს დაბომბვის დროს დაიჭრა. ჟიულონის დაჭრის შემდეგ, თავადაც მსუბუქად დაჭრილი, სახლში ავიდა, მეგობრის დასახმარებლად სამედიცინო საშუალებების წამოსაღებად.

*„სახლის კარებთან კიდევ გამკრა რაღაცამ მუცლის არეში და ძარღვები დამიწვა. 11 აგვისტოს დაბომბვის შემდეგ თვალებიდან ვეღარა ვხედავ. გეგონება რეტიანი ქათამიაო, ხან სად წავიქცევი და ხან სად. ფეხებიც აღარ მომდევს“.*[153]

### *რობიზონ ელიკაშვილის მკვლელობა*

**ნაზიბროლა ლომიძემ** 10 აგვისტოს დატოვა სოფელი თავის ოჯახთან ერთად, თუმცა მისი მეუღლე რობიზონ ელიკაშვილი ისევ უკან, სოფელ ქერეში დაბრუნდა სახლის სადარაჯოდ და მეზობლების დასახმარებლად. ქალბატონ ნაზიბროლას ამის შემდეგ მეუღლე აღარ უნახავს.

*„11 აგვისტოს თვითმფრინავმა დაბომბა სოფელი ქერე და ბომბის ასკოლკებისგან ჩემი ქმარი გარდაიცვალა“.*

რობიზონ ელიკაშვილის მკვლელობის ამბავს თვითმხილველები, მისი მეზობლები, იხსენებენ. **გურამ ბესტავაშვილი** გვიამბობს:

*„11 აგვისტოს დავინახე ჩემი მეზობელი: რობიზონ ელიკაშვილი თავის სახლის ეზოში იდგა და აკეთებდა მობილურს, აკუმულატორზე ჰქონდა შეერთებული. მე მის გვერდზე სახლში ვცხოვრობ. გადავედი და ჩავჯექი მანქანაში. რადიო ჰქონდა ჩართული და ვუსმენდით. ალბათ პირველი საათი იქნებოდა. უცებ დაიგრუხუნა რაღაცამ და დავინახე იქით მხარეს, საცა არხი ჩამოდის, კვამლი იდგა. მანქანაში ჩავიმალე. რომ გადმოვედი, რობიზონი ძირს ეგდო ზურგზე. ცოცხალი აღარ იყო. სისხლის გუბე იდგა, ტვინი იყო გადმოსხმული, საფეთქელში მოხვდა ბომბის ასკოლკები“.*

დაბომბვის დროს გარდაცვლილი რობიზონ ელიკაშვილი **გულნარა მჭედლიძემაც** ნახა:

*„ისეთი კვამლი დადგა, რომ ირგვლივ არაფერი ჩანდა. დავინახე რობიზონი თავისი მანქანის გვერდით ეგდო ძირს ზურგზე. ხელები აწეული ჰქონდა. მარჯვენა მხარეს მკლავზე ჰქონდა იარა და სისხლი მოსდიოდა. მარჯვენა მხარესვე საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი ბომბის ასკოლკები. თავი სულ ტვინით ჰქონდა მოსვრილი, სახე საშინლად გაყვითლებული.“*

**ივანე ძაბახიძე** თავად ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს:

*„საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოხვდა დაბომბვის დროს რობიზონ ელიკაშვილს ნამსხვრევი საფეთქელში და დაიღუპა“.*[154]

---

153 იხ. ინტერვიუ სოფელ ქერეს მცხოვრებლებთან, არსენ ელიკაშვილთან, ჟიულონ ელიკაშვილთან, ნაზიბროლა ლომიძესთან, გურამ ბესტავაშვილთან და გულნარა მჭედლიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

154 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი სკოლის დირექტორთა ასოციაციის მიერ სოფელ ქერეს მცხოვრებ ივანე ძაბახიძესთან 14 აგვისტოს, 118-ე სკოლაში.

## სოფელ კარბის დაბომბვა

სოფელ კარბის დაბომბვა 2008 წლის ტრაგიკულ ისტორიებში კიდევ ერთ მძიმე ფურცელს ქმნის. 2008 წლის 9 აგვისტოს განხორციელებული საავიაციო დაბომბვის შედეგად სოფელ კარბში 8 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ბევრი დაშავდა და მრავალი სახლი დაზიანდა. თვითმხილველები კარბის ტრაგედიას დეტალურად იხსენებენ. მათი მონათხრობი ერთმანეთის იდენტურია, იმის მიუხედავად, ერთად გვიყვებიან 9 აგვისტოს ამბებს თუ ცალ-ცალკე. განსხვავება მხოლოდ ჭურვების რაოდენობაშია. ზოგს მხოლოდ ერთი ჭურვი ახსენდება, ზოგს ოთხი. თუმცა ფაქტობრივი გარემოებები და მსხვერპლი იდენტურია. **ლაშა ბიძინაშვილს** კარგად ახსოვს დაბომბვის დღე.





*დაბომბვის ადგილი სოფელ კარბში. 2008 წლის 9 აგვისტო*

*„სოფელში ქართული ჯარის ნაწილები არ იდგნენ არც მანამდე და არც შემდეგ. დაბომბვის ადგილიდან დაახლოებით 1,5-2 კმ-ში, ბაღებში იდგა ქართული ჯარი. ამ დაბომბვის შემდეგ სოფელი თითქმის მთლიანად დაიცალა.“*[155]

**იზო ბიძინაშვილი** იხსენებს:

*„7 აგვისტოდან გვესმოდა საშინელი სროლის ხმა. 8 აგვისტოს დილის 7 საათიდან დაიწყო თვითმფრინავების შემოფრენა ცხინვალის მხრიდან. დაბლა დაფრინავდნენ. 9 აგვისტოს დილით დაახლოებით 7 საათზე ჩამოვარდა ორი ბომბი სოფლის ცენტრში, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა ცაცო (დოდო) უნაფქოშვილი.“*[156]

სოფლის 9 აგვისტოს დილის პირველი დაბომბვის ფაქტს **ოთარ ბიძინაშვილიც** ადასტურებს:

*„9 აგვისტოს დილით, დაახლოებით 7:30 წუთზე სოფელ კარბის ცენტრში ჩამოვარდა ჭურვი და აფეთქდა. აფეთქების ადგილზე გარდაიცვალა უნაფქოშვილი ცაცო, დაინგრა გნოლიძე სოსოს სახლი, სასტიკად დაზიანდა მარიამიძე ოთარის სახლი, ის თავადაც დაიჭრა, დაზიანდა უნაფქოშვილი ვალიკოს სახლი და თვითონაც დაიჭრა, დაიხოცა საქონელი.“*[157]

თუმცა სოფლის დაბომბვა ამით არ დასრულებულა და, როგორც ბატონი ოთარი იხსენებს, დაბომბვა დაახლოებით ერთ-ორ საათში კვლავ განმეორდა ამჯერად სამიზნე „უკეთ“ იყო შერჩეული და მსხვერპლი გაცილებით უფრო მასშტაბური აღმოჩნდა.

*„1-2 საათში ისევ გაისმა აფეთქების ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ სოფლის ცენტრში, ბიძინაანთ უბანში, კიდევ ერთი ჭურვი ჩამოვარდა“.*

---

155 იხ. ინტერვიუ ლაშა ბიძინაშვილთან, ჩაწერილი 2008 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში.

156 ცაცო (დოდო) უნაფქოშვილი, იგივე დოდო მარიამიძეა. უნაფქოშვილი მეუღლის გვარია. შესაბამისად, მისი მეზობლების ნაწილი ქალიშვილობის გვარით, ხოლო მეორე ნაწილი მეუღლის გვარით მოიხსენიებს. სამწუხაროდ, ცაცო უნაფქოშვილი დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა, რასაც ადასტურებენ სოფელ კარბის მკვიდრი ოთარ ბიძინაშვილი და თენგიზ თევდორაშვილი, ვისთანაც ინტერვიუ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სოფელშივე ჩაწერა.

157 იხ. ინტერვიუ ოთარ ბიძინაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

ჭურვები საკუთარ უბანში არასოდეს დაავიწყდება **ლაშა ბიძინაშვილსაც**, რომელმაც ამ დაბომბვის დროს მამა, ანზორ ბიძინაშვილი, დაკარგა.

> *„9 აგვისტოს, დაახლოებით დილის 11 საათისთვის სოფლის ცენტრში, ბიძინაანთ უბანში დაიწყო დაბომბვა. რუსული თვითმფრინავები შემოფრინდნენ ცხინვალის მხრიდან, ძალიან სწრაფად და დაბლა დაფრინავდნენ და წამებში ჩამოყარეს ბომბები, ალბათ 4 ცალი, რომლებიც მაშინვე აფეთქდა.“*

11 საათზე განხორციელებული დაბომბვის შედეგად, **ოთარ ბიძინაშვილის** ნაამბობის მიხედვით, რომელსაც ბევრი სხვა თვითმხილველიც ადასტურებს,[158] ადგილზევე გარდაიცვალნენ ამირან თევდორაშვილი და ირაკლი თევდორაშვილი, გიორგი მარიამიძე კი დაიჭრა და მეორე დღეს გარდაიცვალა.

> *„ჩემგან დაახლოებით 30-50 მეტრის მოცილებით ადგილზევე გარდაიცვალნენ აგრეთვე ნაზო თევდორაშვილი, ციალა ბიძინაშვილი, ანზორ ბიძინაშვილი, ვალიკო შევარდენიძე, ადგილზევე დაიჭრნენ თენგიზ თევდორაშვილი, გურამ თევდორაშვილი, დავით რჩეულიშვილი, რუსუდან რჩეულიშვილი და მედიკო ანიაშვილი. აფეთქების შედეგად მე მივიღე ორივე ქვედა კიდურის დაზიანება, მომწყდა მარცხენა ქვედა კიდურის ერთი თითი, დავიჭერი მარჯვენა იდაყვში და წინა მხარში.“*

სვერელ **მედიკო ანიაშვილისაც** ცხადად ახსოვს 9 აგვისტო, როდესაც დაბომბვების შედეგად მრავლობითი ჭრილობები მიიღო.

> *„10 საათისთვის მეზობელმა დამიძახა. ველაპარაკებოდი და უეცრად თვითმფრინავის გუგუნი გავიგონე. მეგონა გადაიფრინა, მაგრამ გაისმა ბომბის ჩამოვარდნის საშინელი ხმა და ჩემს გვერდით, ჩემს თვალწინ ორი ადამიანი, მეზობლები, შავარდენიძე ვალიკო და ბიძინაშვილი ანზორი, ადგილზე გარდაიცვალნენ. ამ ბომბის ჩამოვარდნის შედეგად მეც მივიღე დაზიანებები. ნამსხვრევები მომხვდა მუცელში, მქონდა გამჭოლი ჭრილობა და მთელ სხეულზე სისხლი მდიოდა, ისეთ შოკში ვიყავი, რომ ტკივილსაც ვერ ვგრძნობდი. დავრბოდი გიჟივით, რადგან თვალწინ ვხედავდი გარდაცვლილ ადამიანებს, რომლებიც მიწაზე ეყარნენ. მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ ეზოში ისეთი ბურუსი იდგა რომ ვერაფერი დავინახე. მთელი ეზო სულ დახვრეტილია ნამსხვრევებით.“*[159]

### *ცაცო (დოდო) უნაფქოშვილის მკვლელობა*

იზო ბიძინაშვილის მიერ დილის 7 საათზე დაბომბვის დროს დაზარალებული ცაცო უნაფქოშვილი, იგივე დოდო მარიამიძე, მიყენებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

> *„დილის 7 საათზე ჭურვი დაეცა ცაცო (დოდო) მარიამიძის საცხოვრებელ სახლს. რის შედეგადაც დაიღუპა დოდო მარიამიძე, დაიჭრნენ ვალოდია (იგივე ვალიკო) უნაფქოშვილი და ოთარ მარიამიძე.“*[160]

---

158 სოფელ კარბის დაბომბვისა და მსხვერპლის შესახებ ჩვენმა ინტერვიუერებმა ბევრს გამოჰკითხეს. ოთარ ბიძინაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციის იდენტურია ყველა სხვა ინტერვიუ. ნანა მაისურაძის ინტერვიუ ჩაწერილია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, 2008 წლის 15 აგვისტოს. თავად დაბომბვის შედეგად სახლი დაუზიანდა; მერაბ ბიძინაშვილთან ინტერვიუ ჩაწერილია 2008 წლის 15 აგვისტოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში. თვითონ დაბომბვის დროს დაეღუპა მამა; ნინო გნოლაძესა და ელდინო გნოლაძესთან ინტერვიუ ჩაწერილია 2008 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს სკოლების დირექტორთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისის 115-ე საჯარო სკოლაში. დაკარგეს საცხოვრებელი სახლი; არჩილ სიდამონიძესთან ინტერვიუ ჩაწერილია 2008 წლის 15 აგვისტოს, საქართველოს სკოლების დირექტორთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისის 115-ე საჯარო სკოლაში. დაკარგა საცხოვრებელი სახლი. სოფელი კარბის საქმეზე აქტიურად მუშაობდა „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, რომელმაც კარბის დაბომბვის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების სარჩელი წარუდგინა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სტრასბურგში.

159 იხ. ინტერვიუ სოფელ კარბის მცხოვრებელთან მედიკო ანიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სოფელ კარბში.

160 კობა მარიამიძე გარდაცვლილ გიორგი მარიამიძის ვაჟია. მასთან ინტერვიუ ჩაწერილია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.



*თამარ უნაფქოშვილის სახლი სოფელ კარბის დაბომბვის შემდეგ. 2008 წლის 9 აგვისტო*

მისი ქალიშვილი, **თამარ უნაფქოშვილი** ჩვენთან საუბრის დროს იხსენებს:

*„9 აგვისტოს, დაახლოებით დილის 6-დან 7 საათამდე ჩემს სახლს დაეცა კასეტური ბომბი. ამ დროისათვის დედაჩემი იმყოფებოდა თავის სახლში. დედაჩემმა (ცაცო უნაფქოშვილი) მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება: ხელები ჰქონდა დასერილი, გულის და ფილტვების მიმდებარე ტერიტორია ამოგლეჯილი, კიდურები და ძვლები დალეწილი. სხეულის მძიმე დაზიანების გამო წაიყვანეს გორის ჰოსპიტალში. მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა."*

## *ანზორ ბიძინაშვილის მკვლელობა*

გარდაცვლილის მეუღლე **იზო ბიძინაშვილი** გვიყვება, რომ პირველი დაბომბვისგან შეშინებულებმა სახლი დატოვეს და თავშესაფარს ეძებდნენ:

*„შემეშინდა, რადგან აფეთქების ხმა კიდევ იყო. ჩემი მეუღლე გაჩერდა შევარდენიძეების სახლთან, ბიძინაანთ უბანში. ამ დროს უკვე მესამედ ჩამოვარდა ჭურვი. აფეთქების ხმა როგორც კი გავიგე, გამოვვარდი, რადგან ჩემი შვილი ლაშა და მეუღლე ანზორ ბიძინაშვილი გარეთ იყვნენ. საშინელი კვამლი იყო, ვერაფერს ვხედავდი, ვერ მივედი აფეთქების ადგილამდე. ჩემი ბიჭი კი მოდიოდა სახლისკენ და ნახა მამამისი, ანზორ ბიძინაშვილი, რომელსაც მარჯვენა კიდური მთლიანად მოწყვეტილი ჰქონდა. ადგილზე გარდაიცვალა ჭრილობებისგან."*

**ლაშა ბიძინაშვილი:**

*„მამაჩემი, საცხოვრებელ სახლთან ძალიან ახლოს, გზაზე სხვა მეზობლებთან ერთად იდგა. სულ 20 ადამიანი იქნებოდა, რომელთაგანაც 8 დაიღუპა და დაახლოებით 10 დაიჭრა. ჭურვებმა მამაჩემს ფეხი მოაცალა. ადგილზევე გარდაიცვალა."*

## *გიორგი მარიამიძის მკვლელობა*

9 აგვისტოს დაბომბვის კიდევ ერთი მსხვერპლის, გიორგი მარიამიძის ვაჟი, **კობა მარიამიძე**, იხსენებს, რომ 9 აგვისტოს გორში იყო, როდესაც მამამისის სიკვდილი შეატყობინეს. ამ დროს გორიც ინტენსიურად იბომბებოდა. ორის ნახევარზე სოფლის რწმუნებულმა, ვასიკო თევდორაშვილმა შეატყობინა, რომ მამა, გიორგი მარიამიძე დაიჭრა თავის არეში და სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს ტყვიავის საავადმყოფოში, საიდანაც რეანიმობილით გადაიყვანეს თბილისში.

*„მამა უგონო მდგომარეობაში იყო და რეგისტრირებული იყო უცნობად. მოვიარეთ თბილისში მდებარე ყველა სტაციონარი, ბოლოს მივაგენით მე-8 საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში. მიერთებული იყო ხელოვნური სუნთქვის აპარატზე, 11 აგვისტოს დილის დაახლოებით 8 საათზე გარდაიცვალა."*

## *ვალიკო შევარდენიძის მკვლელობა*

ბიძინაანთკარში ჩამოგდებული ჭურვის აფეთქებას შეეწირა 75 წლის მოხუცი ვალიკო შევარდენიძეც, რომელიც დაბომბვის დროს საკუთარი სახლის ჭიშკართან იდგა და მეზობლებთან საუბრობდა.

**მარინა შევარდენიძის** ინფორმაციით, მოხუცი „მძიმედ დაიჭრა გულის არეში. ვერ მოესწრო მისი ჰოსპიტალიზაცია და ადგილზევე გარდაიცვალა."[161] სიკვდილის ფაქტს შეესწრო **სოფიო გიორგიშვილიც**, რომელიც ადასტურებს, რომ ვალიკო შავარდენიძე სწორედ დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა სხვა თავის მეზობლებთან ერთად. თავად მარინა შევარდენიძეს დაბომბვის შემდეგ მხედველობისა და სმენის დაქვეითება აღენიშნება.





*2008 წლის 9 აგვისტო. სოფელ კარბის დაბომბვის დროს დაჭრილი ქართველი.*

### *ციალა ბიძინაშვილის მკვლელობა*

გარდაცვლილი ქალბატონის მეუღლე, **ფირუზ ბიძინაშვილი** 9 აგვისტოს დაბომბვის, ცოლის სიკვდილისა და სახლკარის განადგურების თვითმხილველია.

> *„სახლში ვიყავით. საშინელი, ძლიერი აფეთქების ხმა გავიგონე. ხმა ზემოდან მოდიოდა. წამებში მოხდა ყველაფერი.*
>
> *ჩემი მეუღლე, ციალა ბიძინაშვილი ჩვენი სახლის ეზოში იყო. აფეთქების შედეგად მოხვდა ჭურვის ნამსხვრევები მუცლის არეში, ორივე ხელის თითები ჰქონდა მოგლეჯილი და ორივე მკლავი დაზიანებული, თითქმის მოწყვეტილი. ადგილზევე გარდაიცვალა. აფეთქების შედეგად ჭურვის ნამსხვრევი მომხვდა მარცხენა ბარძაყში, მარჯვენა მკლავში და მარჯვენა ფეხის 4 თითი მომაგლიჯა."*[162]

### *ნაზო თევდორაშვილის, ამირან თევდორაშვილისა და ირაკლი თევდორაშვილის მკვლელობა*

**გურამ თევდორაშვილი** აფეთქების დროს, სხვა თანასოფლელებთან ერთად ფირუზ ბიძინაშვილის სახლის წინ იდგა და რადიოს უსმენდა. თავად სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მძიმე დაზიანებები მიიღო და თვეების განმავლობაში მკურნალობდა.

> *„შეკრებილი ვიყავით 7-8 ადამიანი. ამ დროს გავიგონე საშინელი ძლიერი აფეთქების ხმა. მერე არ მახსოვს აღარაფერი. გონება დავკარგე. როგორც ჩემთან ერთად მყოფი ადამიანებისგან ვიცი, გაოგნებული ვყვიროდი, დედას მიმიხედეთო. დაბომბვის შედეგად დაზიანებები მივიღე ორივე ქვედა კიდურის არეში. დღემდე მაქვს ძლიერი ტკივილები, მიჭირს გადაადგილება. ასევე ორივე თვალში დამაკლდა მხედველობა. ჯერ წამიყვანეს ტყვიავის, შემდეგ გორის საავადმყოფოში და ბოლოს გადამიყვანეს სოფელ ატენში, მეუღლის ოჯახში.*
>
> *აფეთქების დროს 75 წლის დედა, თევდორაშვილი ნაზო, ჩვენი სახლიდან ჩემთან მოდიოდა. აფეთქების შედეგად მძიმედ დაიჭრა, გადაიყვანეს ჯერ ტყვიავში და შემდეგ გორში. გორის საავადმყოფოში მიყვანიდან მცირე დროში გარდაიცვალა.*
>
> *ჩემ გვერდში იდგნენ გიორგი მარიამიძე, ამირან თევდორაშვილი და მისი ძმა ირაკლი თევდორაშვილი. აფეთქების შედეგად სამივე გარდაიცვალა."*[163]

---

161 იხ. ინტერვიუ მარინა შევარდენიძესთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 2008 წლის 15 აგვისტოს.

162 იხ. ინტერვიუ ფირუზ ბიძინაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში, 2008 წლის 15 აგვისტოს

163 იხ. ინტერვიუ გურამ თევდორაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 2008 წლის 15 აგვისტოს.

ამირან თევდორაშვილის ქალიშვილი, **ნათია თევდორაშვილი** გვიყვება, რომ სოფელ კარბის ბიძინაანთუბნის დაბომბვის შემდეგ მოსახლეობა მასობრივად გარბოდა სოფლიდან და მიცვალებულების მიხედვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

> *„ქალებმა მოიძიეს თავიანთი გარდაცვლილები და თავიანთი ხელით იქვე ეზოში ამოთხრილ ორმოებში დაასაფლავეს.“*[164]

## სოფელ აჩაბეთის დაბომბვა

**ანზორ ბაბუციძემ**, ისევე როგორც ბევრმა სხვა მისმა მეზობელმა, აჩაბეთი 2008 წლის 8 აგვისტოს საარტილერიო დაბომბვებისას გამოცხადებული სამსაათიანი ცეცხლის შეწყვეტის ჰუმანიტარული კორიდორის დროს დატოვა. თუმცა კარგად ახსოვს, რომ გზიდან ხედავდა, როგორ განახლდა სროლები:

> *„8 აგვისტოს 6 საათის მერე ისევ განახლდა ქვემეხებით სროლა. 20 ყუმბარა ჩამოვარდა სოფელში. შემოვლით გზას და ხიდს ესროდნენ, სადაც ხალხი გარბოდა“.*

ხიდის დაბომბვას **შმაგი ბაბუციძეც** იხსენებს:

> *„8 აგვისტოს, საღამოს რვის ნახევარზე გამოვედით სოფლიდან მე, მშობლები, დები, მეზობლები, ჩვენი მანქანით. ხიდზე გადმოვდიოდით. ეს ხიდი ერთადერთია, რომელიც აკავშირებს შემოვლით გზასთან, ერედვის გზასთან. ხიდზე ყოველი მხრიდან გვესროდნენ და აგვაცილეს. გაუბიცებიდან და მინამიოტებიდან გვესროდნენ. ოსური დასახლებაა, დამპალეთი ჰქვია. შემაღლებულზეა და იქიდან გვესროდნენ. იმ ხიდზე მარტო სამოქალაქოები გამოვრბოდით“.*[165]

სწორედ ამ დაბომბვების დროს იყო სოფელში ყველაზე მეტი დაზარალებული და მსხვერპლი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ყველა ისტორიის გადამოწმება, რომელიც დევნილებმა გვიამბეს აჩაბეთის მკვიდრთა მკვლელობებთან დაკავშირებით. ამიტომ მხოლოდ იმ ადამიანების ჩამონათვალით შემოვიფარგლებით, ვისი სიკვდილის შესახებაც დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებებში ჩვენი რესპოდენტები გვიამბობდნენ. აჩაბეთელი **ანიჩკა მინდიაშვილის** მკვლელობის შესახებ შემდეგ ქვეთავში იქნება დეტალურად საუბარი, განსაკუთრებული სისასტიკის გამო. სხვა დანარჩენი გარდაცვლილები კი არიან **ომარ ჭოველიძე, ლევან რაზმაძე, ნოდარ ოტიაშვილი, ომარ ბაბუციძე, ელენე ბაბუციძე** და **გიორგი ბაბუციძე**.[166]

## სოფელ ვანათის დაბომბვა

სოფელ ვანათში სროლები სულ იყო და 5 აგვისტოს განახლებული შეტევა არავის გაჰკვირვებია. თვითმხილველები იმასაც ყვებიან, რომ სოფელში მსხვილკალიბრიანი ქვემეხებითაც ისროდნენ. 7 აგვისტოს სწორედ ასეთი სროლების შედეგად განადგურდა ბასიშვილების სახლი. ვანათელი **ვაჟა ჯოჯიშვილი** თავისი სოფლის ტრაგედიაზე გვესაუბრებოდა. სწორედ ის გახდა შერმადინ ბასიშვილის მეუღლის, ჟუჟუნა ბასიშვილის სიკვდილის თვითმ-

164 იხ. ინტერვიუ ნათია თევდორაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 2008 წლის 15 აგვისტოს.

165 იხ. ინტერვიუ ანზორ ბაბუციძესთან და შმაგი ბაბუციძესთან ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, გეოლოგიის დეპარტმენტში, ქ. თბილისი, მოსაშვილის 24.

166 ოსი სამხედრო ფორმიანების მიერ გიორგი ბაბუციძის სახლის გაძარცვის დროს მისი მკვლელობის ფაქტს ჩვენთან ინტერვიუში ადასტურებს სოფელ ზემო აჩაბეთის მკვიდრი ალექსი ჩლაიძე. დამატებით იხილეთ ქვეთავი სოფელ აჩაბეთის ეთნიკური წმენდის შესახებ.

ხილველი.[167] 7 აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლის შესახებ, სავარაუდოდ, სწორედ ჟუჟუნა ბასიშვილის მკვლელობის ფაქტს ეხებოდა.

**ვაჟა ჯოჯიშვილის** ნაამბობის მიხედვით:

> *„7 აგვისტოს სნარიადი დაეცა სოფელ ვანათში მცხოვრები შერმადინ ბასიშვილის სახლს. სახლი სულ დაიშალა. მისი მეუღლე კი დაიღუპა."*

სოფლის ინტენსიური დაბომბვები და განადგურება უკვე 8-9 აგვისტოს დაიწყო, როდესაც სოფლის თავზე ავიაცია გამოჩნდა. ამის შემდეგ, მოსახლეობაც მასობრივად ტოვებდა საკუთარ სახლებს. ბომბები მშვიდობიანი მოსახლეობის ბაღებში და ეზოებში ცვიოდა.[168]

**ვაჟა ჯოჯიშვილი**:

> *„რუსული სამხედრო თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ბომბებს ყრიდნენ. ერთ-ერთი ბომბი ჩემი მეზობლის, ოთარ ჯოჯიშვილის ბაღში ჩამოვარდა. ამ დროს მეც ეზოში ვიყავი. შემეშინდა, წყლის არხში ჩავწექი. ბოლი და წამლის სუნი იდგა."*

სოფელ ვანათში, ჩვენი რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აგვისტოს ომის დროს, დაიღუპნენ **მერი ბაბაშვილი** და **ვლადიმერ ჯოჯიშვილი**. მიუხედავად იმისა, რომ მათი მკვლელობა დადასტურებულია, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული წყაროებით მათი სიკვდილის კონკრეტული გარემოებების გადამოწმება.

## სოფელ შინდისის დაბომბვა

შინდისელი **გიორგი არაბაშვილი** ჩვენს მკვლევარებთან სოფლის დაბომბვის შედეგად მიყენებულ ზარალს და მსხვერპლს ითვლის. თვითმხილველთა ინფორმაციით, სოფელი შინდისი, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა სხვა ქართული სოფელი, რუსული ავიაციით ინტენსიურად იბომბებოდა. ინგრეოდა სახლები და ნადგურდებოდა სოფლის ინფრასტრუქტურა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაბომბვის დროს დაიღუპა შინდისელი ივანე გოგიძე.

**გიორგი არაბაშვილი** ამბობს, რომ დაბომბვის დროს გაურკვეველი ასაფეთქებელი მოწყობილობები ცვიოდა. ბევრი მათგანი არ ფეთქდებოდა და მინდვრები სწორედ ამ ნივთებიც იყო მოფენილი. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოწყობილობა იპოვა მისმა ძმამ, **რამაზ არაბაშვილმა**.

> *„ნაკვეთიდან მოდიოდა სახლში, როდესაც მინდორში იპოვა გაურკვეველი მოწყობილობა. აიღო და თან წამოიღო საჩვენებლად. მე გარეთ გამიხმო და დავათვალიერეთ. თითქოს საშიში არ ჩანდა. აჩვენა თანასოფლელებსაც, თან დასძინა, მინდორში კიდევ ყრია რაღაც მოწყობილობებიო. უნდოდა, მოშორებით დაედო, გაგვერიდა და მოულოდნელად აფეთქდა. ადგილზე მოკლა, ვეღარაფერი ვუშველეთ. რა ტიპის ნაღმი იყო, ვერ გეტყვით, რადგან ამ მოწყობილობებს აღარ ვეკარებოდით, ვიდრე მოგვიანებით, ომის შემდეგ, ქართველმა მენაღმეებმა არ გაიტანეს.*



*ბომბის დაცემის ადგილი, სოფელი შინდისი.*

167 იხ. ინტერვიუ ვაჟა ჯოჯიშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ 2008 წლის 25 დეკემბერს.

168 სოფლისათვის დაბომბვების შედეგად მიყენებული ზარალის უფრო დეტალური აღწერისათვის იხ. ქვეთავი სოფელ ვანათის ეთნიკური წმენდის შესახებ.

*სოფელ ფხვენისში ასეთივე ნაღმზე აფეთქდა და დაიღუპა ილია ბედიანაშვილიც.“*[169]

**ანზორ აბრამიშვილიც** ჯერ კიდევ სოფელში იყო, როდესაც სოფელი დაიბომბა.

*„დაბომბვის დროს სახლში ვიყავით. ძალიან გვეშინოდა. აფეთქება მოხდა სახლთან ახლოს. რუსების თვითმფრინავებიდან ლამაზი ნივთები ჩამოყარეს – მეზობლებმა ხელში აიღეს. უცბად აფეთქდა. დაიღუპა 2 და მძიმედ დაიჭრა 4 კაცი. ის ნივთები ლამაზი ბურთულები იყო, რომელიც ხელის ტემპერატურაზე იწყებდა მოქმედებას. ამის შემდეგ აღარ შევხებივართ არავინ, თუმცა საკმაოდ ბევრი ჩამოყარეს სხვადასხვა ადგილას.“*[170]

ანზორ აბრამიშვილის მიერ დასახელებული მეორე პიროვნება ივანე გოგიძეა, რომელიც სოფელ შინდისში დაბომბვების დროს დაიღუპა.

## სოფელ ვარიანის დაბომბვა

რუსული ავიაციის მიერ დაბომბვებს შეეწირა სოფელ ვარიანის მცხოვრებელების, **მალხაზ** და **ომარ ბედოშვილების** სიცოცხლეც.

**ნანა ლაბაძე** იხსენებს:

*„8 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ ვარიანში მიმდინარეობდა დაბომბვა საჰაერო ავიაციით. ასევე იყო სროლები სხვადასხვა იარაღიდან. დაბომბვის დროს დაიჭრა 15 ადამიანი და გარდაიცვალნენ მამა-შვილი, მალხაზ და ომარ ბედოშვილები. სწორედ ამ დაბომბვის დროს დაიჭრა რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვიც“.*[171]

მამა-შვილის მკვლელობას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ინტერვიუში ადასტურებს ამავე სოფლის მცხოვრები **ვანო ნაცვლიშვილიც**. კიდევ ერთი თვითმხილველი, ვარიანელი **გიორგი მაყიშვილი** კი სხვა დაზარალებულების შესახებაც გვიამბობს:

*„საჰაერო თავდასხმის დროს, 9-10 საათი იქნებოდა, ჩამოვარდა ბომბი ვარიანში. ეს მოხდა სოფლის თავში, რის შედეგადაც დაიღუპა ადგილობრივი მცხოვრები მამა-შვილი. შვილის სახელია მახო ბედოშვილი. დაიჭრა 8 ადამიანი: ილია ადუაშვილი, თემო ადუაშვილი, ბექა გიორგიშვილი, ნიკოლოზ კერესელიძე, მიხეილ ხიზანიშვილი, ვაკო ურჯუმელაშვილი, 12 წლის, ცირა ურჯუმელაშვილი, 11 წლის“.*[172]





*სოფელ ვარიანის გზაზე დაბომბვის შედეგად განადგურებული მანქანები.*

169 იხ. ინტერვიუ გიორგი არაბაშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს, თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში.

170 იხ. ინტერვიუ ანზორ აბრამიშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ, 2008 წლის 15 აგვისტოს, თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში.

171 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ, 2008 წლის 15 აგვისტოს, ქ. თბილისში 76-ე ბაგა-ბაღში.

172 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ, 2008 წლის 16 აგვისტოს, ქ. თბილისში 32-ე საჯარო სკოლაში.

## სოფელ ფხვენისის დაბომბვა

### ილია ბედიანაშვილის მკვლელობა

**ყარამან ბედიანაშვილმა** თავისი მამის, 78 წლის ილია ბედიანაშვილის სიკვდილს საკუთარ ეზოში, სოფელ ფხვენისში უყურა.

> *„მამა, ილია ბედიანაშვილი 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ტრავმებითა და ჭრილობებით გარდაიცვალა, საცხოვრებელი სახლი კი სულ მთლიანად განადგურდა რუსეთის საჰაერო გამანადგურებლების მიერ ჩამოგდებული ჭურვებით.“*[173]

დაბომბვა 2008 წლის 8 აგვისტოს განხორციელდა და სწორედ ამ დროს დაიღუპა ილია ბედიანაშვილი. გარდაცვლილის დამარხვაში შვილს დაეხმარნენ მეზობლები: აზო ნადირაძე, ვახტანგ ნადირაძე და ნოშრე ნარიაშვილი, რომლებიც ჩუმად, ბაღების გავლით მოძრაობდნენ, რადგან სოფელში უკვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ტანკები და ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. სწორედ მათ დაგვიდასტურეს ილია ბედიანაშვილის სიკვდილი და კონკრეტული გარემოებები. თავად ყარამან ბედიანაშვილი კონფლიქტის მთელი დროის განმავლობაში სოფელში იმყოფებოდა, მუდმივად უწევდა დამალვა და თავადაც რამდენჯერმე გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

დაბომბვების შედეგად ილია ბედიანაშვილის დაღუპვის ამბავი ჩვენთან ინტერვიუში შინდისელმა **გიორგი არაბაშვილმაც**[174] გაიხსენა, რის შესახებაც ზევით, სოფელ შინდისის ნაწილში ვისაუბრეთ.

## სოფელ მეღვრეკისის დაბომბვა

### ჰამლეტ და ოთარ მაისურაძეების მკვლელობა

სოფელ მეღვრეკისის მცხოვრები **რომან ნადირაძე** გვიყვება, რომ 8 აგვისტოს, დაახლოებით 6 საათისათვის დაიწყო სოფლის დაბომბვა.

> *„რამდენიმე თვითმფრინავიდან ცვიოდა ე.წ. „კასეტნი“ ბომბები და 3-მეტრიანი სიგრძის რაკეტები. რამდენიმე წამში დაიჭრა 4 ადამიანი. დაიჭრა და დაიხოცა პირუტყვი. დაინგრა და დაზიანდა 20-ზე მეტი სახლი.*
>
> *ბევრი დახოცეს. ბევრის შესახებ არაფერი ვიცით. სოფ. მეღვრეკისში გადაწვეს და დაარბიეს უმეტესობა სახლებისა და ვინც იქ დახვდათ, მათ შორის მოხუცებულებიც – დახოცეს.“*[175]

სწორედ დაბომბვის დროს დახოცილი ადამიანების შესახებ გვიყვება კიდევ ერთი რესპონდენტი **რამაზ მაისურაძე**:




*დაბომბილი სახლი სოფელ მეღვრეკისში*

173 იხ. ინტერვიუ ყარამან ბედიანაშვილთან, ჩაწერილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ.

174 იხ. ინტერვიუ გიორგი არაბაშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს, თბილისში, 115-ე საჯარო სკოლაში.

175 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ 15 აგვისტოს ქ. თბილისში, 176-ე საჯარო სკოლაში. სამწუხაროდ, ინტერვიუერს არა აქვს ჩაწერილი იმ ადამიანების გვარები და სახელები, რომელთა სიკვდილის შესახებაც ბატონი რომან ნადირაძე მოგვითხრობს.

*„საჰაერო დაბომბვის შედეგად დაიღუპა მამაჩემი, ჰამლეტ მაისურაძე და ბიძაშვილი – ოთარ მაისურაძე. სახლის ეზოში მეზობლების დახმარებით არიან დაკრძალულები.“*[176]

სოფელ მეღვრეკისში წინამდებარე ნაშრომის მომზადების ბოლო ეტაპზეც გავესაუბრეთ უკვე უკან დაბრუნებულ მოსახლეობას. სოფელში მძიმედ იხსენებენ ჰამლეტ და ოთარ მაისურაძეების დაღუპვას, რადგან ვერ შეძლეს დაბომბვის დროს დანგრეული სახლიდან მათი გამოყვანა და გადარჩენა.

### ოლია კასრაძის მკვლელობა

სოფელში მოხუცი ქალბატონის, ოლია კასრაძის მკვლელობაც გაიხსენეს, რომელსაც დაბომბვების დროს სახლი დაენგრა. დაჭრილი და თავზარდაცემული, თავის გადასარჩენად გარბოდა, როდესაც ოს და რუს ფორმიანებს გადააწყდა. თავად ქალბატონი ოლია ეროვნებით ოსი იყო, თუმცა ქართველზე გათხოვილი. სწორედ ქართველი შვილების გაზრდისთვის დასაჯეს და იქვე სოფლის რუში დაახრჩვეს.[177]

## სოფელ თორტიზის დაბომბვა

**ნინო ბერძნიშვილმა** ჩვენს ინტერვიუერებს უამბო, რომ 7 აგვისტოს გორი ოჯახთან ერთად დატოვა და უსაფრთხოების მიზნით სოფელ თორტიზას შეაფარა თავი, თუმცა სოფელში კიდევ უფრო მძიმე ტრაგედიის მოწმე გახდა და 12 აგვისტოს იძულებული გახდა, თბილისში გაქცეულიყო.

*„ამ პატარა, უძველეს სოფელში 8 ბომბი ჩამოვარდა. აქედან 3 აფეთქდა. ჩემი თვალით ვუყურე, როგორ მოაგროვეს მეზობელი ქალის სხეულის ნაწილები თანასოფლელებმა და იქვე ბაღში ჩაფლეს. ადგილზე გარდაიცვალა ჩემი ბიძაშვილის ბავშვი. არიან კიდევ სხვა დაღუპულები და დაჭრილები. ჩემი შვილი და ძმისშვილი – ლანა ფილიშვილი და იზაბელა ბერძნიშვილი ბედად გადაურჩნენ სიკვდილს, თუმცა მიიღეს სხეულის დაზიანებები. დაგვიზიანდა სახლიც.“.*[178]

სოფელი თორტიზა, **ჟანა (ევგენია) ბეჟანიშვილის** თქმით, 12 აგვისტოს თვითმფრინავებით იბომბებოდა.

*„დაბომბვებს სარდაფებში ვემალებოდით. განცდილის და ნანახის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. სოფელი განადგურებულია, სახლები მთლიანად დანგრეული, მაგრამ ამას ვინ დაეძებს... მე არ ვიცი, სოფლის რამდენი მცხოვრების სიცოცხლე იმსხვერპლა იმდღევანდელმა დაბომბვებმა. ჩვენს თვალწინ თვითმფრინავის ბომბის ნამსხვრევებისაგან კისრის არეში სასიკვდილოდ დაიჭრა მეზობლის 17 წლის ბიჭი ნუგზარ ახალკაცი. მძიმედ დაჭრილი თბილისისკენ გამოაქანეს, რადგან გორიც სასტიკად იბომბებოდა, მაგრამ მალევე, გზაში გარდაცვლილა. იმ ავადსახსენებელ დღეს, ჩვენს თვალწინ კიდევ ერთი ჩვენი მეზობელი – ეთერ მერებაშვილიც დაიღუპა.*[179]

*დაიღუპა* **მაქსიმე აკოფიანიც.** *დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ ვეღარ ვშველოდით, რადგან თვითონაც გვიჭირდა და ყველანი ვცდილობდით, როგორმე თავი*

---

176 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ 15 აგვისტოს ქ. თბილისში, 191-ე საჯარო სკოლაში.

177 იხ. ინტერვიუები ჩაწერილი 2009 წლის 24 ოქტომბერს სოფელ მეღვრეკისში თინათინ ხიდაშელის მიერ.

178 იხ. ინტერვიუ ნინო ბერძნიშვილთან, ჩაწერილი ქ. თბილისში, 89-ე საჯარო სკოლაში. სამწუხაროდ, ქალბატონი ნინო სოფელში დაღუპული ადამიანების გვარებს და სახელებს არ ასახელებს.

179 დაბომბვის შედეგად ეთერ მერებაშვილის დაღუპვას ადასტურებს ლალი გოგიძეც. ინტერვიუ ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, მე-100 საჯარო სკოლაში.

*დაგვეღწია დაბომბვებისათვის. მეუღლემ მიცვალებული ადიალაში გაახვია და ეზოში ჭის გვერდზე დაკრძალა."*[180]

12 აგვისტოს, სოფელ თორტიზის სწორედ ამ უბნის დაბომბვას სოფლის კიდევ ერთი მცხოვრები, **ლალი გოგიძეც** შეესწრო. ჟანა ბეჟანიშვილის მიერ მოყოლილ ისტორიას ის მთლიანად ადასტურებს და სხვა დაზარალებულების შესახებაც გვიამბობს.

*„დაბომბვის დაწყებისთანავე ერთ-ერთი პირველივე ბომბი მოხვდა ჩემს საცხოვრებელ სახლს, სახლი ჯერ დაინგრა, ხოლო შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. ერთი ბომბი მოხვდა ჩემი მეზობლის, ეთერ მერაბიშვილის ეზოში შესასვლელ ჭიშკარს.* ***ეთერ მერებაშვილი*** *ამ დროს ეზოში იმყოფებოდა და ჭურვის აფეთქების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, მეორე ჭურვი დაეცა სხვა მეზობლის სახლს. ჩემი მეზობელი* ***ქრისტინე მერებაშვილი*** *დაიჭრა, ხოლო მეორე მეზობელი* ***მაქსიმე****, გვარი ზუსტად არ მახსოვს (იგულისხმება მაქსიმე აკოფიანი), რომელიც ამ დროს ქრისტინე მერებაშვილს ესაუბრებოდა, ადგილზე გარდაიცვალა. ერთ-ერთი ჭურვი დაეცა ჩემი მეზობლის ნუგზარ ახალკაცის საცხოვრებელ სახლს, ამ დროს გარდაიცვალა მისი თექვსმეტი წლის შვილიშვილი* ***ნუგზარ ახალკაცი****. დაბომბვა გრძელდებოდა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, სოფელს ერთდროულად სამი თვითმფრინავი ბომბავდა."*[181]

ჩვენთვის უცნობია იმ ადამიანების სახელები, ვინც ნინო ბერძნიშვილის ინტერვიუში არიან დასახელებული, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის სწორედ ამ დაბომბვაზე და ლალი გოგიძის მიერ დასახელებულ ადამიანებზე საუბრობს. ჩვენთვის ცნობილი და დადასტურებული ინფორმაციის შესაბამისად სოფელ თორტიზის 12 აგვისტოს დაბომბვის დროს სულ მცირე ოთხი ადამიანი დაიღუპა – მაქსიმე აკოფიანი, შალვა ვანიშვილი, ეთერ მერებაშვილი და ნუგზარ ახალკაცი; ასევე მძიმედ დაიჭრნენ – ზაზა და ვენერა ახალკაცები.

დაბომბვის შედეგად დაღუპული **ეთერ მერებაშვილის** მეუღლე **შალვა მერებაშვილი** გვიამბობს:

*„სამი დღე და ღამე იქ საფლავთან გავატარე. დღეში პატარა ნაჭერ პურს შევჭამდი და ის იყო ჩემი საჭმელი. მესამე დღეს, ყველაფერი რომ ჩაწყნარდა და უკვე საშიში აღარ იყო, ისევ ამოვთხარე ჩემი ხელით და იქვე სოფელში ეკლესიასთან სასაფლაოზე გადავასვენე."*[182]

**ქიშვარდ ვანიშვილი** სწორედ 12 აგვისტოს დაბომბვის შესახებ გვესაუბრა, ვინაიდან იმ დღეს მამა **შალვა ვანიშვილი** დაკარგა.[183] საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს, მიუხედავად იმისა რომ ოჯახი გახიზნული ჰყავდა, თავად ძირითადად სოფელში იყო მოხუც მშობლებთან ერთად, რომლებმაც





*შალვა მერებაშვილი დაბომბვის შედეგად დაღუპული მეუღლის, ეთერ მერებაშვილის საფლავზე; მერებაშვილების ეზოში ჩამოვარდნილი ჭურვი*

180 იხ. ინტერვიუ დაბეჭდილი ჟურნალში „პოსტ ფაქტუმ" №3/2008. ინტერვიუ ჩაწერელია ქ. თბილისში, 201-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, ინტერვიუ შეგიძლიათ იხილოთ www.psroots.org

181 იხ. ინტერვიუ ლალი გოგიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისში, მე-100 საჯარო სკოლაში.

182 იხ. ინტერვიუ შალვა მერებაშვილთან. ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურტისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 1 ივნისს

183 იხ. ინტერვიუ ქიშვარდ ვანიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 10 სექტემბერს, ქ. თბილისში

სოფლის დატოვებაზე უარი უთხრეს. ქიშვარდ ვანიშვილი გვიამბობს, რომ სოფლის დაბომბვა 12 აგვისტოს დილით განხორციელდა.

*„12 აგვისტოს დაახლოებით დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც მამაჩემი ეზოში გავიდა. ეზო სახლიდან დაახლოებით 20 მეტრშია. ეზოში ხბო იყო დაბმული და მის სანახავად გავიდა. მისი გასვლიდან 5 წუთიც არ იყო გასული, რომ აფეთქების ხმა გავიგე. ძლიერი ხმა იყო. აფეთქების შედეგად სახლის ფანჯრები ჩაიმტვრა. მაშინვე გარეთ გავედი. ვიფიქრე, მამაჩემი ხომ არ დაშავდა-მეთქი. ცაზე თვითმფრინავები შევნიშნე. მგონი, ორი თვითმფრინავი იყო. ეზოში რომ გავედი, დავინახე, რომ მამაჩემი იქვე მიწაზე იწვა. მაისური სულ სისხლიანი ჰქონდა. ლაპარაკითაც ვეღარ ლაპარაკობდა. მუცლის არეში ჰქონდა ჭრილობა. ძალიან ბევრი სისხლი სდიოდა. სახლში შეყვანის შემდეგ დაახლოებით 10 წუთში გარდაიცვალა.“*

## სოფელ ზემო ნიქოზის დაბომბვა





*დაბომბვის შედეგად დაზიანებული ნიქოზის ეპარქიის შენობა.*

გორის რაიონის სოფელი ზემო ნიქოზის მცხოვრები **ივანე ძამუკაშვილი** იხსენებს, რომ 9 აგვისტოს სოფლის ინტენსიური საავიაციო და საარტილერიო დაბომბვა მიმდინარეობდა. სოფელში დარჩენილები დაბომბვების დროს სარდაფებში იმალებოდნენ, ხოლო იმ საღამოს პრაქტიკულად მთელმა მოსახლეობამ სოფელი დატოვა. მათ შორის იყო თავად ივანე ძამუკაშვილიც. დაბომბვების შედეგად სოფელში ბევრი სახლი დაინგრა. იყო სხვერპლიც. ჩვენი რესპონდენტი იხსნებს:

*„9 აგვისტოს დილით, დაბომბვის დროს დაიღუპა ჩემი მეზობელი მარინე მინდიაშვილი, დაახლოებით 50 წლამდე ასაკის ქალბატონი. საკუთარი სახლის ეზოში იყო, რა დროსაც მის სახლს მოხვდა საავიაციო ჭურვი. **მარინე მინდიაშვილი** გარდაიცვალა თავის არეში მიღებული ჭრილობით. მისმა მეუღლემ, დავით მინდიაშვილმა დაასაფლავა საკუთარი სახლის ეზოში.“*[184]

სოფელ ნიქოზში დაბომბვების დროს გარდაიცვალა **ამირან მჭედლიძეც**.

**მეუფე ისაია** ჩვენს მკვლევარებთან ნიქოზის ეპარქიის დაბომბვას იხსენებს:

*„აგვისტოში ნიქოზის ეპარქიის ტერიტორიაზე ჩამოვარდა 5 ჭურვი. ამის შედეგად განადგურდა ბერების საცხოვრებელი სენაკები, დროებით გათავსებულთა ვაგონები და სხვა სათავსოები, და, რაც მთავარია, ახალ რესტავრირებული X საუკუნის საეპისკოპოსო სასახლე.*

*11 აგვისტოს ისევ განახლდა ნიქოზის ეპარქიის მასირებული საჰაერო დაბომბვა. განადგურდა ეპარქიის მთელი რეზიდენცია, ყველა სამეურნეო ნაგებობა და სათავსო, გადარჩა მხოლოდ ეკლესია. სულ ეპარქიის რეზიდენციას 32-მდე ჭურვი დაეცა.*

*გაძარცვას არც დაბომბვების შედეგად გადარჩენილი*

184 იხ. ინტერვიუ ივანე ძამუკაშვილთან ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, დროებითი ჩასახლების ცენტრში, თბილისში, №90 საბავშვო ბაღში

*ერთადერთი ნაგებობა, VI საუკუნის ტაძარი გადაურჩა. მაროდიორები ეკლესიაში სარკმლიდან გადაძვრნენ და გაიტაცეს საღვთისმსახურო ნივთები და იქ დაცული წმინდანთა ნაწილები.“*

## სოფელ სვენეთის დაბომბვა

### ვასიკო განჯელაშვილის მკვლელობა

**მაია საათაშვილმა** სოფელი 9 აგვისტოს ქართული ჯარის სოფელში შესვლის შემდეგ დატოვა – სოფლიდან მუდმივ საჰაერო დაბომბვებს გაექცა.

> *„**მე უშუალოდ ვიყავი თვითმხილველი, თუ როგორ ბომბავდა რუსის თვითმფრინავები ჩვენს ტერიტორიას**. სწორედ ყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა ჩემი მეზობელი **განჯელაშვილი ვასიკო**.“*[185]

## სოფელ კეხვის დაბომბვა

სოფელ კეხვის დაბომბვის დროს გარდაცვლილი ადამიანების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს **ეუთოს** 2008 წლის ნოემბრის ანგარიში. თვითმხილველებმა მისიას ინფორმაცია მიაწოდეს 2 ქალბატონის შესახებ, რომლებიც დაბომბვის დროს გარდაიცვალნენ მანქანაში, და კიდევ მათი სამი თანასოფლელის შესახებაც, რომლებიც ასევე საჰაერო დაბომბვის მსხვერპლნი გახდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, ეუთოს დასკვნაში ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაციაა, ხოლო მსხვერპლის გვარები და სახელები საერთოდ არ არის მოხსენიებული. ჩვენ შევეცადეთ, ეუთოს ანგარიშში თავმოყრილი მასალა ჩვენი რესპონდენტების მონათხრობებთან შეგვეჯერებინა.





*დაბომბვის შედეგად განადგურებული სოფელი კეხვი.*

კეხველი სულიკო კახნიაშვილი გვიამბობს, რომ **ვასო კახნიაშვილი** და **გრიშა კახნიაშვილი** დაიღუპნენ სოფელ კეხვის დაბომბვის დროს. ამას გარდა, სულიკო კახნიაშვილი მანქანაში დახოცილი ქალბატონების ისტორიასაც იხსენებს:

> *„დაბომბვა რომ შეწყდა, გამოვედი გარეთ და ვნახე იქვე, ჩემი სახლიდან ცოტა მოშორებით, რამოდენიმე ჩემი თანასოფლელი უგონოდ ეგდო. მივედი, ვნახე და გარდაცვლილები იყვნენ. იმ დღეს მათი დასაფლავების საშუალებაც არ გვქონდა. დაღუპულები იყვნენ კახნიაშვილი გრიშა და კახნიაშვილი ვასო.*
>
> *როგორც შემდეგ გავიგე თანასოფლელებისგან, 9 აგვისტოს დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ ავალიანი თინათინი და მარიკა კახნიაშვილი მანქანაში სოფელ ერედვთან ახლოს, სოფლიდან გასვლას რომ ცდილობდნენ, მაშინ.*[186] *10 აგვისტოს დავასაფლავეთ გარდაცვლილები...“*[187]

---

185 იხ. ინტერვიუ მაია საათაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 14 აგვისტოს, ქ. თბილისში, 39-ე საშუალო სკოლაში.

186 თინათინ ავალიან-კახნიაშვილისა და მარიკა კახნიაშვილის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ასევე, ქვეთავში სოფელ ერედვში შემოსავლელი გზის დაბომბვის შესახებ.

187 იხ. ინტერვიუ სულიკო კახნიაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 5 მაისს, სოფელ კოდაში.

## გორის დაბომბვა



*გორში, კომბინატის დასახლებაში დაბომბილი ხახუტაშვილის ქუჩა.*

### 9 აგვისტო, გორი, კომბინატის დასახლების დაბომბვა

### მაია ვაზაგაშვილისა და გიორგი მურადაშვილის მკვლელობა

**ციცინო ქუშაშვილმა** 9 აგვისტოს გორის დაბომბვის დროს ქალიშვილი დაკარგა. კარგად ახსოვს ის დილა, როდესაც საკუთარი ბინიდან სამი თვითმფრინავი შენიშნა.

> *„თვითმფრინავი დაბომბვამდე ისე ახლოს მოვიდა, რომ აივნიდან პილოტიც კი დავინახე, რუსი იყო. მერე ის პილოტი ვიცანი „კვირის პალიტრის“ სტატიაში. პილოტს თბილისში მკურნალობდნენ და მერე გაცვალეს ქართველებში.“*[188]

ქალბატონი ციცინოს მონაყოლის მიხედვით, რასაც მისი სხვა მეზობლების ისტორიებიც ემთხვევა, პირველი ბომბი გორის სატანკო ნაწილში ჩამოვარდა, ხოლო მეორე – ეზოში. „იქ ქალები ისხდნენ და ყველა დაიხოცა“, – სინანულით გვიყვება. თავად ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად ქალაქიდან სცადა გაქცევა, მაგრამ დაბომბვა გრძელდებოდა. „დავინახე, რომ ჩემი შვილი წაქცეული იყო, შვილიშვილიც. მათთან მივირბინე. მაიამ 5 წუთში დალია სული.“ შვილიშვილი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს და ფეხზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა.

188 იხ. ინტერვიუ ციცინო ქუშაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 9 სექტემბერს თბილისში, ჟვანიას სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში.



*კომბინატის დასახლების დაბომბვის დროს დაღუპული მაია ვაზაგაშვილი და მისი ოჯახის წევრები, ციცინო ქუშაშვილი (დედა) და გივიკო წვერავა (შვილი)*

ამავე დაბომბვის დროს გარდაიცვალა **გიორგი მურადაშვილიც**. მისმა მეზობელმა, **ლილი ქერდიყოშვილმა** სწორედ 9 აგვისტოს, დილის დაბომბვის შემდეგ დატოვა გორი. თვითონ დაბომბვის შესახებ გვიამბო:

> *„ამ დროს 15 ადამიანი დაიღუპა. ჩემს მეზობელს, გიორგი მურადაშვილს, ჭურვის ნამსხვრევები პირდაპირ გულში ჰქონდა მოხვედრილი“.*[189]

### *მერაბ და ნათელა მჭედლიძეების, ნათელა სხირტლაძის მკვლელობა*

**ლევან მჭედლიძემ** მშობლები, **მერაბ და ნათელა მჭედლიძეები** 2008 წლის 9 აგვისტოს გორის კომბინატის დასახლების დაბომბვის დროს დაკარგა.

საომარი მოქმედებების დროს ოჯახთან ერთად ის გორში იმყოფებოდა. ვინაიდან ქალაქში შედარებით სიმშვიდე იყო, სოფლებიდან ბევრი დევნილი გორს აფარებდა თავს და ლევანსაც სოფლებიდან – ხეითიდან და ნულიდან ნათესავები ჰყავდა სახლში. 9 აგვისტოს, დილით, მეგობრის ბებიასთან, **ნათელა სხირტლაძესთან** ერთად სახლის აივანზე იდგა, როდესაც ჯერ გრუხუნის ხმა გაიგონა, ხოლო შემდეგ თვითმფრინავებიც დაინახა. გორელები იმედიანად იყვნენ – ქართული თვითმფრინავები ეგონათ და სწორედ ამ დროს გაისმა აფეთქების ხმაც.

> *„აფეთქების შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს, მაგრამ მერე, როგორც ჩემმა ძმამ მითხრა, სახლის გვერდზე მიპოვა, იქ ვიდექი თურმე. როგორ ჩამოვედი კიბეებზე და როგორ გამოვედი გარეთ, არ მახსოვს. დაჭრილი ვიყავი მუხლებში, თავში და მარცხენა მკლავში. მარჯვენა ხელზე შუა თითი თითქმის მოწყვეტილი მქონდა.*

---

189 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს თბილისში, 22-ე საჯარო სკოლაში.

*გორის საავადმყოფოში წამიყვანეს. შემდეგ თბილისში. ერთი კვირა არაფერი ვიცოდი. მერე იმავე საავადმყოფოში მეზობელმა მითხრა, რომ* ***ჩემი მშობლები დაღუპულები იყვნენ****. სულ დაფლეთილები ყოფილან თურმე. მე არც ერთი არ მინახავს, არც მათ დასაფლავებაზე ვყოფილვარ, რადგან ჩემი ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, რომელ საავადმყოფოში ვიყავი. მოგვიანებით გავიგე, რომ* ***დაღუპულა ჩემი მეგობრის ბებიაც****, რომელიც ჩემთან ერთად აივანზე იდგა იმ დილით.“*[190]

### ვერა კეკოშვილის, მერაბ კეკოშვილისა და მათი ნათესავების მკვლელობა

**ცირა ხუროშვილმა** დედა – ვერა კეკოშვილი, ძმის შვილიშვილი – 13 წლის მერაბ კეკოშვილი და ნათესავები დაკარგა 9 აგვისტოს გორის დაბომბვის დროს. თავად გორში არ იყო, მაგრამ მეზობლებისგან შეიტყო ტრაგედიის დეტალები. დედამისის ბინაში იმ დღეს 4 ადამიანი დაიღუპა.



*2008 წლის 9 აგვისტოს გორის დაბომბვის დროს განადგურებული კეკოშვილების ოჯახის ერთადერთი გადარჩენილი წევრი ლიკა კეკოშვილი.*

*„9 აგვისტოს დაბომბვის დროს ჭურვები დედაჩემის და ჩემი ძმისშვილის სახლს მოხვდა. დედაჩემთან იმ დროს სტუმრები იყვნენ თამარაშენიდან, მამიდაჩემი და მამიდაშვილის მეუღლე. სახლში ყოფილან ჩემი ძმის შვილიშვილებიც – მერაბი და ლიკა. ყველანი ერთად იყვნენ და ჭამდნენ. ამ დროს მოხდა აფეთქება და ყველანი დაიღუპნენ, ლიკას გარდა. ლიკამ კი მძიმე დაზიანებები მიიღო, დამწვარი იყო. თვალები დამწვრობისგან დახუჭული ჰქონდა. რომ შევედი პალატაში, ლამის გული გამისკდა. სახე, ხელები, ფეხები დამწვარი ჰქონდა. მთელ ტანზე „ასკოლკები“ ჰქონდა.*

*ვერც ერთი მათგანის სხეული ვერ ვიპოვეთ, დედაჩემის მხოლოდ ერთი ფეხი დავმარხეთ და ჩემი ძმის შვილისშვილის ასევე ფეხი კოჭის ქვემოთ. ეს სხეულის ნაწილები, ვიდრე მე გორში ჩამოვიდოდი, ჩემმა ძმისშვილმა მურმანმა დამარხა იქვე, სახლის წინ, ეზოში.*

*როგორც მერე გავიგე, ჭურვი ზუსტად იმ ადგილას დაეცა, სადაც ეს ხუთივენი ისხდნენ და ამიტომ მათი ცხედრებიც კი ვერ ვიპოვეთ, სულ დაიშალა ალბათ სხეული და გაიფანტა აქეთ-იქით.“*[191]

### მიმოზა ლოცულაშვილის მკვლელობა

2008 წლის 9 აგვისტოს **მაია ქურთაული** გორის მე-7 სკოლასთან დაახლოებით 3-4 მეტრში იმყოფებოდა, სადაც თავის მძახალს, მიმოზა ლოცულაშვილს შეხვდა და იქვე შექმნილ მდგომარეობაზე ესაუბრებოდა. სწორედ ამ დროს ხმაური შემოესმა. „უცებ თითქოს ჩამობნელდა” – იხსენებს მაია ქურთაული.

*„იმ წამს ჩამოვარდა ბომბი. მერე აღარაფერი მახსოვს. თვალები რომ გავახილე, ძირს ვეგდე. ჰაერში რკინები და ქვები ცვიოდა. საშინელი მტვერი და სუნი*

190 იხ. ინტერვიუ ლევან მჭედლიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 5 ნოემბერს, გორში.

191 იხ. ინტერვიუ ცირა ხუროშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, გორში, 2009 წლის 10 ნოემბერს.

*იდგა. გვერდზე მივიხედე. მძახალს მკლავი მივკარი, გოგო, მგონი, ვკვდები-მეთქი. თურმე გარდაცვლილი იყო უკვე.*

*სისხლი ფანტანივით მდიოდა სახიდან და ყბიდან. მერე ორმა ბიჭმა, რეზერვისტმა, მომკიდა ხელი და გამაქცუნეს გზისკენ – მშვიდობის ქუჩისაკენ.“*[192]

რეზერვისტებმა მაია ქურთაული საავადმყოფოში წაიყვანეს.

## *12 აგვისტო, აფეთქება გორის ცენტრალურ მოედანზე*

### *გივი (გოჩა) სეხნიაშვილის მკვლელობა*

12 აგვისტოს დაბომბვის თვითმხილველთა უმრავლესობა გამგეობის ეზოში, ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად იყო შეკრებილი. სწორედ ამ დროს, დილის თერთმეტის ნახევარზე, განხორციელდა მორიგი დაბომბვა. **ავთანდილ თეთვაძე**, რომელმაც მძიმე დაზიანება მიიღო, გვიყვება, რომ სტალინის ქუჩაზე იმყოფებოდა.



*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპული გივი (გოჩა) სეხნიაშვილი.*

*„ფლოსტებით ვიყავი სახლიდან გამოსული. საქართველოს ბანკთან ვიდექი. მოულოდნელად რაღაც ხმა გაისმა და წივილ-კივილი ატყდა. მახსოვს, მძლავრი ტალღები წამოვიდა, ბრჭყვიალა რაღაცეები ცვიოდა. გავიფიქრე, ხომ არ მელანდება-მეთქი რამე. ამ ტალღებმა ეტყობა გამაბრუა. ტკივილი არც მიგრძვნია, როგორ დავიჭერი ფეხში, აზრზე არა ვარ. სადღაც ნახევარი საათი ასფალტზე ვიწექი. მარცხენა ფეხში რაღაცა ვიგრძენი, დავიხედე და სისხლი მომდიოდა. კოჭთან და ფეხის გულზე გაგლეჯილი მქონდა. [...] ეზოდან გამოვარდა ქალი წივილ-კივილით, ვთხოვე, რომ სასწრაფოსთვის დაერეკა. ამბობდა, დაჭრილები არიან ეზოშიო. მოედანს გადავხედე და ტროტუარზე, გამგეობის წინ კუთხეში, საცოდავი კაცი ეგდო სისხლის გუბეში, მგონი, უკვე მკვდარი იყო. როდესაც გამგეობის ეზოსკენ მივდიოდი, მახსოვს, ეს კაცი შევამჩნიე, გამგეობის ფანჯრის რაფაზე იყო ჩამომჯდარი. აფეთქების შემდეგ კი უკვე ძირს ეგდო, გაუნძრევლად. კაცი უკვე მკვდარი იყო.“*[193]

12 აგვისტოს გორის დაბომბვას გადარჩენილი სხვა თვითმხილველებიც ჩვენთან საუბრის დროს იმ დღეს დეტალურად იხსენებენ. მათ შორისაა **ალექსანდრე აკოფოვიც**:

*„მოედანზე რომ ჩავედით, საკმაოდ ბევრი ხალხი იყო. მე და ნოდარი ოქროულობის მაღაზიის წინ, ზუსტად მიწისქვეშა გადასასვლელთან ვიდექით, ანუ გამგეობის შენობიდან მარცხენა მხარეს, დაახლოებით 50 მეტრში. უცებ საშინელი*

192 იხ. ინტერვიუ მაია ქურთაულთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, გორში, 2009 წლის 5 აგვისტოს.

193 იხ. ინტერვიუ ავთანდილ თეთვაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში. ავთანდილ თეთვაძის მიერ მითითებული პირი გივი (გოჩა) სეხნიაშვილია. მის დაღუპვაზე შემდეგ კიდევ გვექნება საუბარი.

*გრუხუნის ხმა გავიგე, აფეთქების ხმა იყო, თუმცა თვითმფრინავი ცაზე არ დამინახავს. დიდმა ტალღამ გადაგვაგდო, წნევამ ჰაერში ამაგდო და შემდეგ ძირს დავვარდი, ზედ ნოდარ მჭედლიშვილს დავეცი. ნოდარს გონება ჰქონდა დაკარგული. ბომბის ნამსხვრევები მქონდა მოხვედრილი მარცხენა მხარეს და წინიდან გამომივიდა.“*

**ნოდარ მჭედლიშვილი,** რომელსაც ალექსანდრე აკოფოვი ახსენებს, დილის თერთმეტის ნახევარზე სტალინის ქუჩის გავლით სახლში მიდიოდა, როდესაც მძიმედ დაიჭრა და დაბომბვის დროს ბევრი მოკლული ნახა.

*„გამგეობის ეზოში მოხუცები შევამჩნიე, ჰუმანიტარული დახმარების ასაღებად მიდიოდნენ. ამ დროს ჩემს წინ გაჩერდა ტოიოტას ტაქსი. გადმოვიდა უცხოელი ჟურნალისტი, რომელიც კარგად ლაპარაკობდა რუსულად. მას კიდევ ორი უცხოელი გადმოჰყვა. იქვე ჯიპი იდგა, თეთრი ორკარებიანი პაჯერო. ჯიპის მძღოლმა შესთავაზა უცხოელებს დაბომბვის ადგილზე მიყვანა. [...] უცებ აფეთქების ხმა გავიგე, საშინელი ხმაური იყო, თითქოს მიწა ინძრეოდა. ისმოდა შრიალისა და გრუხუნის ხმა. თვითმფრინავი არ შემიმჩნევია, არც თვითმფრინავის ხმა გამიგია, უშუალოდ აფეთქების ხმა იყო მხოლოდ. თითქოს რაღაცა მიწაზე ვარდებოდა და სკდებოდა. წნევამ ამაგდო ჰაერში და მივეჯახე სტალინის ქუჩაზე მდებარე ოქროულობის მაღაზიის კედელს, აფთიაქის გვერდზე. მიჯახების შემდეგ იქვე ძირს დავეცი და გონება დავკარგე.*

*შოკში ვიყავი ეტყობა და არ მახსოვს, როდის და როგორ გამომიყვანეს. ტკივილი არ მიგრძვნია, თუმცა მარჯვენა ფეხს რომ დავხედე, დავინახე, რომ შარვალი სამ ადგილას იყო გახვრეტილი და სისხლი მდიოდა.*





*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპული ჟურნალისტი: სტან სტორიმანსი*

**ერთ-ერთი უცხოელი შავგრემანი ჟურნალისტი, დაჭრილი იყო. ისიც აფეთქების დროს ტოიოტას მანქანას ამოეფარა, ოღონდ მეორე მხრიდან. მეორე ჟურნალისტი, ჰოლანდიელი, ჩემგან მარჯვნივ, მანქანიდან დაახლოებით მეტრა-ნახევრში მიწაზე პირქვე ეგდო**. *მესამემ კამერა ხელში აიღო და გადაიღო ყველაფერი, რაც კი იმ დროს გამგეობის წინ ხდებოდა.*

*იქვე* **მერაბ ტატულაშვილი** *შევამჩნიე. ისიც დაჭრილი იყო. მერაბთან ვმეგობრობ, ამიტომ ეგრევე ვიცანი. მასთან ერთად იყო თემური ბოღრაშვილიც, ყოფილი გამომძიებელი. ისიც დაჭრილი იყო.*

*ამ დროს,* ***ჩემს წინ ტროტუარზე სამი გარდაცვლილი დააწვინეს****. მერე სასწრაფოებიც მოვიდნენ. მძიმედ დაჭრილები მიჰყავდათ".*[194]

ღვთისო სეხნიაშვილის ძმა, **გივი (გოჩა) სეხნიაშვილი** გორის ცენტრალური მოედნის დაბომბვის დროს გარდაიცვალა.

> *„საშინელი აფეთქების ხმა გავიგეთ. მაშინვე ჩემს ძმას დავურეკე. ორჯერ არავინ აიღო ტელეფონი. მესამედ ვიღაცამ მიპასუხა და... გარდაიცვალაო. ასე 12 საათი იქნებოდა. ჰოლანდიელი ჟურნალისტის წინ მდგარა, ასე 30 მეტრში."*[195]



*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპულები: ვაჟა ბესტავაშვილი, ავთანდილ ქერდიყოშვილი და ამირან კურტანიძე.*

**სოსო ბოლოთაშვილი** გოჩა სეხნიაშვილთან ერთად იყო მოედანზე, როდესაც აფეთქება მოხდა. „მიწისძვრასავით იყო. წნევამ ჰაერში ამაგდო და კედელზე მიმანარცხა". – გვიყვება ბატონი სოსო და მეგობრის სიკვდილს იხსენებს.

> *„ვიგრძენი, რომ გოჩა ზევიდან დამეცა. ცოტა ხანში შევძელი გვერდზე გადამეწვინა, სულ სისხლში ცურავდა. იქვე ნახევარ მეტრში კიდევ ერთი კაცი ითხოვდა შველას, მოშორებით – ქალბატონი. ჩემს გარშემო აფეთქებამდე ბევრი ხალხი იყო, ჰუმანიტარულ დახმარებას ელოდებოდნენ და 15 წამში მათი უმრავლესობა მოედანზე სისხლში ცურავდა. თავი ახლოს მქონდა და გავიგე, როგორ მითხრა ჩურჩულით „მიშველეო". მეტი ხმა არ ამოუღია."*[196]

თავადაც დაჭრილი **სოფია სამურგანოვა** იხსენებს:

> *„დავინახე ბიჭი, რომელიც გამგეობის კედლის ქვეშ კუთხეშივე იწვა. ჩემგან დაახლოებით 20 მეტრით იყო დაშორებული. მის გარშემო ძალიან ბევრი სისხლი იყო და ალბათ უკვე მკვდარი იყო. ძალიან შორს იყო ჩემგან და მაშინ ვერ ვიცანი, ვინ იყო, თუმცა მერე როგორც გავიგე, ეს ბიჭი იყო გოჩა სეხნიაშვილი. ამ ამბების შემდეგ სეხნიაშვილის მამა ვნახე, ჩემთან აფთიაქში შემოვიდა, შავები ეცვა და ვკითხე, რატომ გაცვია-მეთქი, მითხრა შვილი დამეღუპა დაბომბვის დროსო და რომ აღმიწერა, რა ვითარებაში დაიღუპა და რა ადგილას, მივხვდი, რომ ის იყო, ვინც მე მკვდარი დავინახე."*[197]

### ვაჟა ბესტავაშვილის და ავთანდილ ქერდიყოშვილის მკვლელობა

ნოდარ მჭედლიშვილის მიერ ნახსენები სამი გარდაცვლილი ვაჟა ბესტავაშვილი, ავთანდილ ქერდიყოშვილი და ამირან კურტანიძე იყვნენ.

**მარეხ ბალიაშვილი** და მისი ოჯახი 2008 წლის აგვისტოში გორის რაიონის სოფელ ბოშურაში იმყოფებოდნენ, ვინაიდან იქ შედარებით სიმშვიდე იყო. 11 აგვისტოს სოფელში

---

194 იხ. ინტერვიუ ნოდარ მჭედლიშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქალაქ გორში, 2008 წლის 28 აგვისტოს.

195 იხ. ინტერვიუ ღვთისო სეხნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქალაქ გორის ტაძარში, 2008 წლის 29 აგვისტოს.

196 იხ. ინტერვიუ სოსო ბოლოთაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქალაქ გორში 2008 წლის 29 აგვისტოს.

197 იხ. ინტერვიუ სოფია სამურგამოვასთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქალაქ გორში 2009 წლის 19 მაისს.



*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპულები, ვაჟა ბესტავაშვილი და ავთანდილ ქერდიყოშვილი.*



*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპული ამირან კურტანიძე.*

მეზობელი გარდაეცვალათ და მარეხ ბალიაშვილის მეუღლე **ვაჟა ბესტავაშვილი** და გარდაცვლილი ქალბატონის სიძე **ავთო ქერდიყოშვილი,** გორში საწვავისათვის ჩავიდნენ.

*„ის ღამე ჩვენთან სახლში გაათენეს და 12-ში დილით ქალაქში გავიდნენ. ცოტა ხანში აფეთქების ხმა გავიგე. ჩემი ქმარი სად იყო, მაგ დროს ზუსტად არ ვიცოდი. [...] პირველის ოც წუთზე მეზობლის ბიჭი – კახა ქიტიაშვილი ამოვიდა მანქანით. ეზოდან გამოვედი და კახას მანქანისკენ წავედი, ხალხი გარშემო იყო შეკრებილი. უცებ მეორე ბიჭის, ავთო ქერდიყოშვილის დედა დავინახე მიწაზე. იქვე ჩემი მაზლი იდგა და ვკითხე – რა ამბავია-მეთქი და მითხრა, ვაჟა აღარ არისო. თურმე კახამ მკვდარი ვაჟა და ავთო მანქანით ამოიყვანა.*

*გორში ცენტრალურ მოედანზე აფეთქება რომ მოხდა, იმის შედეგად დაიჭრნენ და ადგილზევე გარდაიცვალნენ. ჩემ მეუღლეს გულში ჰქონდა მოხვედრილი ბომბის ნამსხვრევი და ზურგიდან ჰქონდა გამოსული. კიდევ ცხვირი ჰქონდა გატეხილი და შუბლი გაჩხაპნილი. ეტყობა, აფეთქების ტალღის შედეგად მუცლით დაეცა. ავთო სულ დაფლეთილი იყო.“*[198]

### ამირან კურტანიძის მკვლელობა

გორის პირველი დაბომბვის დროს, **თამარ კურტანიძის** სახლი დაზიანდა:

*„მინები ჩაიმსხვრა, სანტექნიკა გაფუჭდა, შუქი ჩაქრა, წყალი შეწყდა, სახურავი დაზიანდა. იქ გაჩერება შეუძლებელი იყო.“*

მთელი ოჯახით ჯერ მეუღლის სახლში გადავიდა, ხოლო შემდეგ, დაძაბულობის მუდმივი ზრდისათვის თავის ასარიდებლად ბორჯომში გაემგზავრნენ. თუმცა მამა, ამირან კურტანიძე, ვერ დაითანხმეს. თამარი იხსენებს, რომ ბოლოს, 12 აგვისტოს დილით ესაუბრა მამას და სთხოვდა, გორი დაეტოვებინა, „არ წამოვალ, თუ საჭიროა, მოვკვდები კიდეცო“. ეს იყო მათი ბოლო საუბარი და ამირან კურტანიძის ბოლო პასუხი მშობლიური ქალაქის დატოვებაზე.

ამირან კურტანიძე 12 აგვისტოს გორის ცენტრში მომხდარი აფეთქების დროს გარდაიცვალა. თამარ კურტანიძეს თავისმა მაზლმა შეატყობინა მამის გარდაცვალების ამბავი.

> *„გასულები ვიყავით პროდუქტებზე და ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ამ დროს ქალაქის ცენტრში აფეთქდა ბომბი და ბომბის ნამსხვრევები მოხვდაო.“*[199]

იგი შვილმა და სიძემ 14 აგვისტოს დაკრძალეს.

---

198 იხ. ინტერვიუ მარეხ ბალიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 19 მაისს, ქ. გორში.

199 იხ. ინტერვიუ თამარ კურტანიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 28 მაისს.

## *ვიქტორ ხადურის მკვლელობა*

**ვერა ხადური** მეუღლესთან, ვიქტორ ხადურთან და ვაჟიშვილთან ერთად დაბომბვის დაწყებამდე საკუთარ სახლში იმყოფებოდა. „11-საათიან საინფორმაციოს ვუსმენდით და შემდეგ სარდაფში ჩავედით, რადგან დაბომბვების გვეშინოდა“, – გვიყვება ქალბატონი ვერა. – „ყველაფერი წამებში მოხდა. ვიქტორი ფეხზე ადგა და გასასვლელისაკენ მიდიოდა, 3-4 ნაბიჯის შემდეგ დაეცა“.[200] გარდაცვლილის ვაჟს, **სერგო ხადურს** კარგად ახსოვს ის დილა:

> *„სარდაფში სკამს ვასწორებდი და უცებ წნევამ მომისროლა. მამაჩემი გვერდზე იდგა და ისიც დაეცა. ყველაფერი სულ ალბათ 15 წამს გრძელდებოდა. უზარმაზარი ფანჯარა ჩამოიმსხვრა. ყველანი სისხლში ვიყავით. რომ მივედი, ჯერ კიდევ სუნთქავდა, სისხლი მოსდიოდა ზურგის მხრიდან. მკერდის არეში ჰქონდა შემავალი ჭრილობა, უკან ზურგის მხარეს გამოდიოდა.*
>
> *წამებში გარდაიცვალა, ხელში ჩამაკვდა“.*

## *ზავენა ანესაშვილის მკვლელობა*

**ცისანა ანესაშვილი** დილით მეუღლესთან, **ზავენა ანესაშვილთან**, ერთად ქალაქის ცენტრში ტაქსის მოსაყვანად მიდიოდა „ხელთუბანი შვილებთან ვაპირებდით წასვლასო“ – როდესაც ვერხვების უბნიდან (ამჟამინდელი სუხიშვილის ქუჩა) პირველი აფეთქების ხმა გაიგეს.

> *„შემეშინდა და ჩემი მეუღლე მარტო წავიდა ქალაქში. სახლში დაახლოებით 15-20 წუთში მივედი. უცბად გავიგე ძალიან დიდი შეზანზარების ხმა, მეგონა, შენობა ჩამოინგრაო. შეშინებული გარეთ გამოვვარდი, თუმცა არავინ დამხვდა. უკან შევბრუნდი და ჩავრთე ტელევიზორი, მგონი, რუსთავი 2 იყო, 11:00 საათი იქნებოდა. გამოაცხადეს, რომ ბომბი ჩამოვარდა გორის ცენტრში, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი სამოქალაქო პირი და ორი ჟურნალისტიო, თუმცა მოგვიანებით შევიტყვე, რომ მეტი დაღუპულა. […] ჩემი მეუღლის ამბავი გავიგე ერთი ქალისგან, თურმე ჩემი ქმარი ეხმარებოდა მანქანის დაქოქვაში, სწორედ ამ დროს მომხდარა აფეთქება და ჩემ ქმარს ზურგში მოხვედრია ნამსხვრევები. […] ეს ჟიგულის მარკის მანქანა მორგიდან გვამის ჩამოსვენების შემდეგ ვნახე, „ავერსის“ აფთიაქთან მთლიანად დანახშირებული, საბურავებიც კი დამწვარი ჰქონდა. ამ ქალის მეუღლეც იქვე დაიღუპა. […] ჭრილობები ჰქონდა ბეჭებში, რომელიც გამოსული იყო გულ-მკერდის არეში. ჭრილობა უკნიდან ღრმა იყო, წინიდან კი გამოგლეჯილივით. სამედიცინო ცნობაში უწერია, რომ მრავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა აქვს მიყენებული ბომბის აფეთქების შედეგად.“*[201]

## *ანა დოკაძის მკვლელობა*

**ნინო დოკაძე** იხსენებს, რომ 8 აგვისტოს, როდესაც გორი პირველად დაიბომბა, მთელი ოჯახი დეიდასთან გადავიდა, ვინაიდან მას სარდაფი ჰქონდა და უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. თუმცა 9-ში დაბომბვების განმეორების გამო ქალაქი დატოვეს და სოფელ ატენში გაიხიზნნენ. მოხუცმა ბებიამ, ანა დოკაძემ, უარი თქვა ქალაქის დატოვებაზე და გორში საკუთარ სახლში დარჩა.

12 აგვისტოს შემდეგ მის შესახებ არაფერი გაუგიათ. ნინო დოკაძე და მისი დედა ქალაქში მხოლოდ 22 აგვისტოს დაბრუნდნენ და გაარკვიეს, რომ 12 აგვისტოს, გორის ცენტრალური მოედნის დაბომბვის დროს ანა დოკაძეც იქ იყო, ვინაიდან *„დეიდასგან წამოსუ-*

---

200 იხ. ინტერვიუ ვერა და სერგო ხადურებთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქალაქ გორში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე, 2008 წლის 29 აგვისტოს.

201 იხ. ინტერვიუ ცისანა ანესაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის 13 დეკემბერს ქ. გორში, შინდისის ქუჩა №30.

*ლა და გზად ჰუმანიტარული დახმარების ასაღებად გორის გამგეობაში აპირებდა გავლასო"* – გვიამბობს ნინო.

23 აგვისტოს ანა დოკაძის ცხედარი ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალში იპოვეს, სადაც ექიმებისაგან შეიტყვეს, რომ ის 17 აგვისტოს გარდაცვლილა.

> *„გორის საავადმყოფოში დედას უთხრეს, რომ ბებიაჩემი საავადმყოფოში 12 აგვისტოს მიიყვანეს, გორის ცენტრის დაბომბვის შემდეგ და გატარებული იყო, როგორც დაჭრილი. მას მუცლის ღრუში ბომბის ნამსხვრევები ჰქონდა მოხვედრილი. ასევე ჰქონდა თავის ტრავმა, რომელიც ალბათ დაცემის დროს მიიღო."*[202]

**გიორგი მალხაზიანიც** იქვე, ჰუმანიტარული დახმარების რიგში იდგა. აფეთქების შემდეგ მძიმედ დაიჭრა. ჩვენთან საუბარში იხსენებს:

> *„დავინახე ჩემგან დაახლოებით 5 მეტრის მოშორებით მოხუცი ქალბატონი იწვა ძირს. არ ვიცი, ცოცხალი იყო თუ არა. მაგრამ შემდეგ ბიჭმა, რომელიც გრეჩიხას გვაძლევდა, ჩაგვსვა მე და ის დაჭრილი მოხუცი ქალბატონი მანქანაში და სამხედრო ჰოსპიტალში წაგვიყვანა. შემდეგ ნოდარ მჭედლიშვილმა მითხრა, ეს ქალი გარდაიცვალაო, ბომბის ნამსხვრევი მოხვედრია მუცელში და თურმე ნაწლავები სულ დაუჭრია."*[203]

მოგვიანებით **ნოდარ მჭედლიშვილმა** განგვიმარტა, რომ მოხუცი ქალბატონი სწორედ ანა დოკაძე იყო.

### *ავთანდილ ცერცვაძის მკვლელობა*

**მერაბ ტატულაშვილი** თბილისში იყო, მაგრამ 12 აგვისტოს, დილით, მის ძმას გორის ცენტრში ავარია მოუვიდა და სასწრაფოდ დასახმარებლად ჩავიდა. ამ დროს კი გორი იბომბებოდა. თავად მძიმე ჭრილობების მიუხედავად გადარჩა, მაგრამ იქვე ნაცნობი ნახა, ავთო ცერცვაძე, რომელიც დაბომბვამ იმსხვერპლა.

> *„ცენტრალურ მოედანზე ერთი ნაცნობი იყო – ავთო ცერცვაძე, რომელზეც შემდგომში გავიგე, რომ დაიღუპა. ავთო ჩემი მეუღლის ბიძაშვილია და იქიდან ვიცნობდი. ორი სიტყვით გავესაუბრე კიდევაც, მკითხა, ძია მერაბ, როგორ ხარო, რამეში ხომ არ დაგეხმაროო? 12 აგვისტოს საღამოსვე ავთო ცერცვაძე მოვიკითხე. აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე ის ცენტრალურ მოედანზე ვნახე. დავურეკე მობილურ ტელეფონზე, მაგრამ არ მიპასუხა. შემდეგ დავრეკე ავთოს ძმასთან, სოსო ცერცვაძესთან, ვუთხარი, რომ დილით გორის ცენტრის დაბომბვის დროს ავთო გორის ცენტრალურ მოედანზე ფოსტის წინ ვნახე და ახლა როგორ არისმეთქი. იმავე დღეს სოსო გორში ჩასულა, მაგრამ ავთო ვერსად იპოვა. მე ვურჩიე, რომ საავადმყოფოში მოეკითხა. სადღაც 2-3 საათში ისევ დავურეკე სოსოს და მითხრა, ავთო გორში, მორგში ვიპოვე, დაიღუპაო."*[204]

**ლალი ცერცვაძე,** 12-ში დილით, მეუღლესთან ტელეფონით დაკავშირებას უშედეგოდ ცდილობდა. უკვე საღამოთი საავადმყოფოში მიაკვლიეს ავთანდილ ცერცვაძეს, გარდაცვლილს.

> *„ჩემ მეუღლეს ჰქონდა ორი ჭრილობა, ერთი მარჯვენა მხარეს, გვერდში. ეს იყო გამჭოლი ჭრილობა. მარცხენა მხარეს იყო გამოსული. მარჯვენა მხარეს ხელზეც და ფეხზეც მოხვედრილი ჰქონდა ბომბის წვრილ-წვრილი ნამსხვრევები.*

---

202 იხ. ინტერვიუ ნინო დოკაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 12 მაისს ქ. გორში.

203 იხ. ინტერვიუ გიორგი მალხაზიანთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 11 მაისს.

204 იხ. ინტერვიუ მერაბ ტატულაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 19 მაისს.

*გარდაცვალების მოწმობაში უწერია, რომ დაიღუპა დაბომბვის დროს ცეცხლნასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად.“*[205]

### *კარლო აბუაშვილის მკვლელობა*

83 წლის **კარლო აბუაშვილი**, აგვისტოს ომის დროს სულ გორში იყო. ცოლ-შვილს ქვიშხეთში არ გაჰყვა, ბოლომდე საკუთარ სახლში აპირებდა ყოფნას.

12 აგვისტოს მის შვილიშვილს, **ნელი აბუაშვილს**, მეზობელმა დაურეკა და გააგებინა, რომ *„პაპა გორის ცენტრის დაბომბვის შედეგად დაიჭრა და მეზობელმა ექიმმა – ირა ისპრიანცმა პირველადი დახმარება გაუწიაო.“* მეზობლებმა კარლო აბუაშვილი გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო იქიდან თბილისში.

*„28 აგვისტოს დილით გარდაიცვალა, ნაღმის ნამსხვრევით მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით მარცხენა ქვედა კიდურზე, ასევე მარცხენა ქუსლის ძვლის მოტეხილობებით.“*[206]

უკვე გორში დაბრუნებულმა ოჯახმა მეზობლებისაგან შეიტყო, რომ გორის ცენტრალური მოედნის დაბომბვისას დაჭრილი კარლო აბუაშვილი უნახავთ, ორი პატარა ბიჭი ეხმარებოდა და იმათ მოიყვანეს სახლშიო.

### *ალექსანდრე ბაზანდარაშვილის მკვლელობა*

**მზია ბაზანდარაშვილს** კარგად ახსოვს ავბედითი 12 აგვისტოს დილა. მისი მეუღლე, ალექსანდრე ბაზანდარაშვილი, წინა ღამეს მორიგე იყო.

*„საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. ისეთი ხმა იყო, მეგონა, ჩემ ეზოში ჩამოვარდა ბომბი. საშინელი გრუხუნი იყო, თითქოს ცა ქუხდა.“*[207]

მერე, ახსოვს, ქმარს ეძებდა. გორის ცენტრალურ მოედანზე არავინ რომ არ დახვდა, შემდეგ საავადმყოფოში ეძებდა. მეუღლე ვერც მკვდრებში იპოვეს და მაშინ ვიღაცამ უთხრა, „დაჭრილი იყო და თბილისში ღუდუშაურის საავადმყოფოში წაიყვანესო.“

ქალბატონი მზია იმ დღეს თბილისში ვერ წავიდა, მაგრამ მისი ქალიშვილი და ახლობლები იყვნენ თბილისში გახიზნულები და ისინი უვლიდნენ მამას. ექიმებმა უთხრეს:

*„ორგანიზმი ისე აქვს ჩახარშული, ვერ გავკჯერეთ, ხორცი იშლება, რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ გადარჩესო.“*

ალექსანდრე ბაზანდარაშვილმა კიდევ 9 დღეს იცოცხლა საავადმყოფოში და 22 აგვისტოს გარდაიცვალა.



*გორის ცენტრალურ მოედანზე დაბომბვის დროს დაღუპული ალექსანდრე ბაზანდარაშვილი.*

205 იხ. ინტერვიუ ლალი ცერცვაძესთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 28 მაისს.

206 იხ. ინტერვიუ ნელი აბუაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 19 მაისს.

207 იხ. ინტერვიუ მზია ბაზანდარაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 1 მაისს.

## 2.2 სიცოცხლის განზრახ მოსპობა, მკვლელობა

კიდევ ერთი ამონარიდი **რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური კომუნიკაციიდან საქართველოში აგვისტოს ომის ფაქტების დამდგენი მისიისადმი**.

> *„რუსეთის პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის მონაცემების შესაბამისად, საქართველოში მშვიდობის იძულების ოპერაციის განხორციელების დროს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მხრიდან მკვლელობის, ძალადობის, სამოქალაქო პირების მიმართ არაჰუმანური მოპყრობის, ქურდობის, ცეცხლის წაკიდებისა და სამოქალაქო ნაგებობების განადგურების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.*
>
> *ოპერაციის განხორციელების პირველივე დღიდან, რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ჩაატარა ამომწურავი ღონისძიებები ქართული მოსახლეობის მიმართ მაროდიორობისა და უღირსი დამოკიდებულების შემთხვევების პრევენციისათვის.*
>
> *რუსეთის შეირაღებული ძალები, სამხრეთ ოსეთის ძალოვან სტრუქტურებთან ერთად ქართულ სოფლებში დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ სახლებსა და მიწის ნაკვეთებს და, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, უზრუნველყოფდნენ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უსაფრთხოებას.“*[208]

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური განცხადებების მიღმა დარჩა სიმართლე, რომელიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ქართველების ნასახლარებსა და ნასოფლარებშია შემონახული. მაროდიორობის, ძარცვის, ხანძრების, შენობა-ნაგებობების განადგურებისა და სიცოცხლის მოსპობის კვალი დღესაც ატყვია სოფლებს. კონფლიქტის დამთავრებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგაც შემზარავი სანახავია ერთ დროს აყვავებული სოფლები.

კიდევ უფრო მრავლისმთქმელი და ოფიციალური განცხადებებისაგან ძალზე განსხვავებულია ომის ისტორიები, რომლებიც თვითმხილველთა მეხსიერებამ შემოინახა. სოფელ ტირძნისის მკვიდრს, **ზაირა ლალაშვილს**, ზუსტად ახსოვს, რომ ომი რომ დაიწყო, ქართული ჯარი სოფელში არ იდგა.

> *„მხოლოდ 10 აგვიტოს, ერედვიდან რომ გამოიქცნენ, ჩვენთან სოფელში შემოდიოდნენ გზად და ჩვენც გაქცევას გვირჩევდნენ. არც რუსული ჯარი შემოსულა უშუალოდ ჩვენს სოფელში მანამდე. მას შემდეგ, რაც ქართველები გაიქცნენ, რუსები მხოლოდ ცენტრალურ გზაზე, ტრასაზე დადიოდნენ. ერთი ბეტეერი მახსოვს, რომელიც თეთრი დროშით დადიოდა. მასზე მჯდომი რუსი ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ მშვიდობისმყოფელები ვართ.“*[209]

ამონარიდი კიდევ ერთი ტირძნისელის, **მიხეილ დემუროვის** ჩვენებიდან:

> *„12 აგვისტოს, დილით, სოფელში რუსეთის სამხედრო კოლონა შემოვიდა. [...] რუსეთის სამხედრო კოლონაში შერეული იყო ოსების მანქანებიც. კოლონაში რუსეთის ტანკებს შორის ოსები თავისი მანქანებით მოდიოდნენ. [...] 12 აგვისტოს სოფელში რუსეთის კოლონის შემოსვლის შემდეგ, დაახლოებით 2-3 დღის განმავლობაში ტირძნისში სრული განუკითხაობა იყო. [...] 12-15 აგვისტოს მონაკვეთში, სოფელში გზაზე რუსი ჯარისკაცები ხშირად გადაადგილდებოდნენ ტანკებით და ბეტეერებით. დაახლოებით 15-16 აგვისტოს სოფლის შემოსასვლელში მდინარე პატარა ლიახვის ნაპირის გასწვრივ რუსი ჯარისკაცები და სამხედრო*

---

208 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, 2009 წლის სექტემბერი, ტომი III, „კონფლიქტის მხარეთა შეხედულებები, ქრონოლოგია და კითხვებზე პასუხები“, რუსეთი, პასუხი კითხვაზე №5, გვ.468-469

209 იხ. ინტერვიუ ზაირა ლალაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 18 ოქტომბერს.

*ტანკები განთავსდა. ასე 200-300 ტანკი იდგა ამ ადგილას. რუსები აქ 2008 წლის სექტემბრამდე იდგნენ.*

*[...] სიტუაცია მაინც საშიში იყო, რადგან სოფელში ოსები ისევ შემოდიოდნენ და გვძარცვავდნენ, გვაწიოკებდნენ. ყოველ დღე დილის 9 საათზე გზაზე რუსები ჩაივლიდნენ ხოლმე და სწორედ ამის შემდეგ იწყებდნენ ოსები სოფელში შემოსვლას. ცენტრალურ გზაზე მოძრაობდნენ ხოლმე ოსები, ჩვენგან მოპარული, ნომრებმოხსნილი მანქანებით. რუსები ოსებს რეალურად არაფერს ეუბნებოდნენ. 2008 წლის სექტემბრის თვეში ოსები ჯერ კიდევ შემოდიოდნენ სოფელში.“*[210]

სოფელ ტირძნისის მკვიდრებმა ჩვენს მკვლევარებს ძალადობისა და ადამიანების მკვლელობის მრავალი ისტორიაც უამბეს.

### *ნათელა კაიდარაშვილის მკვლელობა*

ტირძნისელი **თინათინ კაიდარაშვილის და, ნათელა** სოფელში გარდაიცვალა.

*„აგვისტოს ბოლო იქნებოდა. იმ დღეს, დაახლოებით 12:00-ზე ან 12:30-ზე სახლიდან გავიდა. ყრუ-მუნჯი იყო. ერთი-ორ საათში სახლში მობრუნდა, საცოდავი, საშინლად გამოიყურებოდა: პირიდან სულ სისხლი სდიოდა, თვალებს ვერ ახელდა, საშინლად დასიებული ჰქონდა. არაფერი მითხრა და მეც არაფერი მიკითხავს. დავაწვინე. მთელი დღე ცივ ტილოებს ვადებდი სახეზე. მხრებიც სულ დალურჯებული ჰქონდა. იმ დღეს მოგვიანებით გავიგე, რომ წითელი ჯვარი იყო სოფელში. თარჯიმანთან ერთად მოვიდნენ და ნათელა რომ ნახეს, ექიმმა მითხრა, ნეკნი აქვს გატეხილი და ყბის ძვალიო. საავადმყოფოში არ გავყევით.*

*ორი დღე მარტო ვპატრონობდი ჩემ დას. თვალს ვერ ვხუჭავდი, მეშინოდა, რომ ისე მარტო, უპატრონოდ არ გარდაცვლილიყო. მესამე დღეს, სადღაც ღამის 2:00 საათზე გარდაიცვლა.“*[211]

ნათელა კაიდარაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობას მისი მეზობელი, **ჯემალ ლაფაჩი** შეესწრო. ის დეტალურად აღწერს, სამხედროები როგორ გადმოხტნენ ბეტეერიდან და როგორ სასტიკად სცემდნენ ნათელა კაიდარაშვილს. ჯემალ ლაფაჩი იხსენებს, რომ ბეტეერზე რუსეთის დროშა იყო დამაგრებული და სამხედროები რუსულად იგინებოდნენ.

*„სოფლის სკოლის პირდაპირ, გზის მეორე მხარეს მდებარე სამების ეკლესიის უკან, ბაღებში ვიმალებოდი. ბაღებიდან ის ადგილი, სადაც ნათელა სცემეს, დაახლოებით 50 მეტრით არის დაშორებული. [..] გინების და ყვირილის ხმა შემომესმა. რუსულად იგინებოდნენ. დაახლოებით 3-4 მანქანა იდგა. ბეტეერი, ურალი, ვილისი. ბეტეერზე ზემოდან რუსული დროშა ეკიდა. მე როგორც ვნახე, ყველას ჭრელი სამხედრო ფორმები ეცვა. ბევრი სამხედრო იყო. ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. ერთს ზურგზე იარაღი მუხაც ეკიდა.*

*დავინახე, რომ სამხედროები ბეტეერიდან გადმოხტნენ და ურტყავდნენ ნათელას. შემოხვეულები იყვნენ ნათელას გარშემო, დაახლოებით 4-5 ადამიანი იქნებოდა, ვინც სცემდა. მე როგორც დავინახე, ავტომატის კონდახს ურტყავდნენ. თან იგინებოდნენ რუსულად. ზუსტად არ ვიცი. შეიძლება რუსები და ოსები ერთად იყვნენ.“*[212]

---

210 იხ. ინტერვიუ მიხეილ დემუროვთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 13 დეკემბერს, თბილისში.

211 იხ. ინტერვიუ თინათინ კაიდარაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 17 ოქტომბერს.

212 იხ. ინტერვიუ ჯემალ ლაფაჩთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სოფელ ტირძნისში 2009 წლის 24 ოქტომბერს.

ნათელა კაიდარაშვილზე ძალადობას მისმა მეზობელმა, 82 წლის მოხუცმა **თამარ რაზმაძემაც** უყურა:

> *„დავდიოდი სოფელში, არ მეშინოდა. ქვემოთ სოფელში ჩავიდოდი, შვილის სახლს დავხედავდი, საქონელს ვაჭმევდი და უკან ვბრუნდებოდი. ერთხელაც ქვემოთ სოფელში მივდიოდი, ჩემი შვილის სახლში. დღე იყო, სადღაც 12 საათი, რიცხვი არ მახსოვს. სკოლასთან/თონესთან ახლოს სამხედრო მანქანები დავინახე, ოთხი იყო, მე მგონი. ახლოს რომ მივედი 8 ოსი დავინახე, სამხედროები. ყრუ იყო* ***კაიდარაშვილი ნათელა*** *და იმას ურტყამდნენ, დანარჩენები უყურებდნენ. ერთმა აიღო და თავში ჩაარტყა რაღაცა, ნათელა წაიქცა. მე ვუთხარი, მუნჯია და თავი დაანებეთ-მეთქი. ქართულად მითხრეს, გაიარე, ბაბო, შენ გვაზეო".*[213]

ნათელა კაიდარაშვილის მხეცურ ცემას მისი მეზობლები **ტარიელ სამადაშვილი** და **ლეილა ედიშერაშვილიც** ადასტურებენ[214].

## *ივანე ლალაშვილის მკვლელობა*

ტირძნისელი ივანე ლალაშვილის ცოლი, **ზაირა ლალაშვილი**, 2008 წლის 14 აგვისტოს ასე იხსენებს:

> *„14 აგვისტოს სოფელში ოსები იყვნენ შემოსულები. მე და ჩემი მეუღლე, ივანე ლალაშვილი, ბაღებში ვიმალებოდით. დილის 9–10 საათი იქნებოდა. ჩვენ ბაღში ერედვიდან გამოქცეული მოხუცი ქალბატონი და მოხუცი კაცი შემოვიდნენ. თურმე ორი დღეა გზაში იყვნენ და წყალი გვთხოვეს. წყალი დავალევინეთ. მერე მე ჩემ მეუღლეს ვუთხარი, მიდი, მიაცილე-მეთქი. ცოტა ხანში სროლის ხმა გავიგე. საშინელი სროლა იყო. დაახლოებით 11 საათი იქნებოდა ალბათ. სროლა სადღაც 20 წუთს გაგრძელდა.*
>
> *სროლის შეწყვეტის შემდეგ ცოტა ხანი ჩემს მეუღლეს ველოდე და, რომ აღარ გამოჩნდა, მის საძებნელად წავედი. მეზობლის ბაღში ვიპოვე, იქვე ჩემ სახლთან ახლოს. მუხლებზე იყო დაჩოქილი და ხელებს დაყრდნობოდა. შორიდან ვიფიქრე, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ ახლოს რომ მივედი, ვნახე, რომ თავი სულ გახსნილი ჰქონდა და ტვინი გადმოსხმული. მერე მიწაზე დაეცა და დავინახე, რომ შუბლი სულ გახვრეტილი ჰქონდა, ყელიც, გულიც და მაჯებიც."*[215]

ერთ-ერთი თვითმხილველი გვიყვება, რომ 2008 წლის 14 აგვისტოს, 11 ან 12 საათი იქნებოდა, როდესაც სოფელ ტირძნისში თეთრი უნომრო ნივა შენიშნეს.

> *„ოთხნი ისხდნენ, სამხედრო ფორმა ეცვათ, მარცხენა მკლავზე თეთრი ლენტი ჰქონდათ შემოდებული. გარდაცვლილმა (იგულისხმება ივანე ლალაშვილი. ავტ.) და ნიკა დემურიშვილმა მოხუცები გადააცილეს, გზა ასწავლეს. ეს ნივაც სწორედ ამ დროს შემოვარდა. პირდაპირ მანქანიდან ატეხეს სროლა, იმათ უმიზნებდა, მე კანაოში ჩავიმალე. მერე მანქანიდან გადმოვიდნენ, ორნი დაედევნნენ და თან ესროდნენ, მესამე ჩუმად მიჰყვებოდა ამ ორს. სავა და ტამე – ასე ეძახდნენ ერთმანეთს. მკვლელობა ჩემი სახლიდან 300 მეტრში მოხდა. ჩემ სახლთან კანაოა და მე იქ ვიყავი ჩამალული.* ***ივანე ჯერ დაიმალა, მაგრამ იპოვეს, ჩემგან 5 მეტრში მოკლეს, მთელი აბოიმა დააცალეს****. ორი ესროდა. ძალიან დამახინჯებული იყო საწყალი. მერე ყველაფერი გაძარცვეს და წავიდნენ."*

---

213 იხ. ინტერვიუ თამარ რაზმაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 18 ოქტომბერს.

214 ინტერვიუ თვითმხილველებთან ლეილა ედიშერაშვილთან და ტარიელ სამადაშვილთან ჩაწერილია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, 2008 წლის 8 სექტემბერს ქ. გორში, №13 საბავშვო ბაღში.

215 იხ. ზაირა ლალაშვილთან ინტერვიუ, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 18 ოქტომბერს.

**ნუკრი დემუროვი** აზუსტებს, რომ ზემოთ ნახსენები გარდაცვლილი **ივანე ლალაშვილი** იყო.

> *„14 აგვისტო იყო, უბანში ოსები შემოვიდნენ თეთრი უნომრო ნივით. ჩვენ ქვემოთ ვისხედით უბანში: მე, ვანო (ივანე ლალაშვილი), მალხაზ კაბულაშვილი ვანათიდან და სევერა. ნივა როგორც კი დავინახეთ, გავიქეცით. ჩვენ ბაღებისკენ გავიქეცით და ორი ავტომატიანი უკან გამოგვეკიდა, თან ისროდნენ. მე წინ გავიქეცი და ვერ დამეწივნენ. ბაღში დავიმალე. იქვე ახლოს მათი ხმები მესმოდა, ერთმანეთს სავას და ტამეს ეძახდნენ. დაახლოებით ნახევარ საათში უკან ჩამოვბრუნდი. ერთ -ერთ ბაღში ზედ ვანოს მივადექი. პირქვე იყო, სულ გადაცხრილული. ტვინი ძირს ეყარა. თავის ქალა, მხრები, ხელები სულ დაცხრილული ჰქონდა."*[216]

## თეიმურაზ ხმიადაშვილის მკვლელობა

ტირძნისელმა **ლამაზო (ირა) ხმიადაშვილმა** თავისი მეუღლე, თეიმურაზ ხმიადაშვილი, 2008 წლის 13 აგვისტოს საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვა.[217]

> *„8 აგვისტო იქნებოდა. დაბომბვა დაიწყო და სოფელი მალევე დაიცალა. 10 აგვისტოს ქართულმა ჯარმა პირდაპირ ჩემი სახლის წინ გამოიარა და გორისკენ წავიდა. ქართული ჯარი რომ გავიდა სოფლიდან, მაშინვე რუსეთის სამხედრო კოლონა შემოჰყვა. ზუსტი თარიღი, ეს როდის მოხდა, არ მახსოვს. რუსების შემოსვლის შემდეგ კი სოფელში ოსმა მძარცველებმა დაიწყეს შემოსვლა.*
>
> *13 აგვისტო იყო, სოფელში ოსები დადიოდნენ, რუსებიც იყვნენ და ოსებს იცავდნენ. ოსები თეთრი ნივით დადიოდნენ. [...] ყველა ვიმალებოდით ბაღებში, მეც დამალული ვიყავი. სახლში ამოვედი ჩუმად, რომ ჩემი ქმარი მენახა, რომელიც დასამალად არ მოგვყვებოდა. სახლში რომ მივედი, კარი ღია დამხვდა. შევედი და დავინახე, ჩემი ქმარი პირქვე ეგდო, სისხლი სდიოდა, სახე სულ სისხლით ჰქონდა შეღებილი. ცხვირი ჰქონდა გატეხილი და თავი. მე რომ შევედი თვალები გაახილა და ერთი ამოისუნთქა. მე მეგონა, რომ ცოცხალი გადარჩებოდა. წყალი მივუტანე, მაგრამ ვერ ვუშველე. ვეძახდი, თემო-მეთქი, მაგრამ უკვე აღარაფერი ესმოდა. მკვდარი იყო. 15-ში დავასაფლავეთ მიცვალებული.*
>
> *მარტო მივყვებოდი კუბოს, რომელიც ოთხ ადამიანს მიჰქონდა. დასაფლავებაზე სხვა არავინ მოსულა, ყველას ეშინოდა და იმალებოდნენ."*[218]

## ჯამლეთ ბორცვაძის მკვლელობა

სოფელ ერედვის მცხოვრები **გულნაზ ბორცვაზე** რუსული სამხედრო ფორმიანების მიერ მოკლული მეუღლის ამბავს გვიყვება:

> *„სულ სროლები იყო სოფელში. გვბომბავდნენ. ვიმალებოდით. 8 აგვისტოს წამოვედი ჩემს ძმასთან. იმის შემდეგ სულ ვეძებდი ჯამლეთს და ჰამლეტს, დავდიოდი, რამდენჯერმე ვიყავი წითელ ჯვარში, მერიაში, ლტოლვილთა სამინისტროში. დავდიოდი ლტოლვილებში, ბაღებში და სურათები მიმქონდა, ვაჩვენებდი ხოლმე, აი, ეს ხომ არ გინახავთ-მეთქი. მორგებში დავდიოდი. თუ სადმე გავიგებდი, 2 ძმა მოკლესო, მივდიოდი, ვკითხულობდი, ვინ, სად, როგორ, რანაირად-მეთქი. ორივე დაკარგული მყავდა. ათას რამეს მეუბნებოდნენ, სად არ მატარეს, მაწვალეს.*

---

216 ინტერვიუ ნუკრი დემუროვთან ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 2 ნოემბერს.

217 იხ. ინტერვიუ ლამაზო (ირა) ხმიადაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 17 ოქტომბერს.

218 თეიმურაზ ხმიადაშვილის მკვლელობას ადასტურებს ინტერვიუები, რომლებიც 2008 წლის 2 ნოემბერს ჩაიწერა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მკვლევარმა სოფელ ტირძნისის მცხოვრებლების, ლამარა წამალაშვილისა და ოთარ ხმიადაშვილისაგან.

*მახარაშვილმა დამირეკა 23 თუ 24 სექტემბერს. სახელი არ ვიცი. გორში ვმუშაობდიო და ვინმე ზაქრო არჩუაძე შემხვდაო, სოფელ ქიწნისადან და ასე მითხრა, სოფელ ქიწნისის შესასვლელში უცხო მიცვალებული დავასაფლავეთო და ეგებ თქვენიაო.*

*წითელი ჯვარი დამეხმარა. იმავე დღეს გადმოასვენეს ცხედარი: აღარაფერი აღარ იყო... ტომარაში იყო ძვლები... ცხედარიც აღარ იყო.“*[219]

ჩვენმა მკვლევარებმა ქალბატონ გულნარას მიერ დასახელებული მკვლელობის თვითმხილველი **ზაქრო არჩუაძეც** იპოვეს.

*„მანქანა გამოვიდა მეზობლის, გია ნაოჭაშვილის სახლიდან. 06 იყო. ჩვეულებრივი სამოქალაქო 06. მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ. რუსული ფორმები ეცვათ. მომწვანო ფერის. 100–150 მეტრი იყო დაშორება ჩვენს შორის. ბუჩქებია იქ და ნაძვი და ის ნაძვი მფარავდა. ჯერ გადმოვიდნენ და მერე ისროლეს. ხოხვახოხვით უკან დავიხიე, 20 მეტრით. ცენტრალური გზის ნაპირზე ჭამლეთი ტროტუარზე ეგდო მკვდარი.* **12 თუ 13 რიცხვი** *იყო.“*[220]

### *თენგიზ ტარიელაშვილის და ნათელა ქრისტესიაშვილის მკვლელობა*

ერედველმა **ვენერა არბოლიშვილმა** საკუთარ სოფელში ბევრი სისასტიკე ნახა. მისი მეუღლე დაბომბვას კი გადაურჩა, მაგრამ ბოლოს მაინც მოძალადეების მსხვერპლი გახდა.

*„პირველად 8 აგვისტოს დაიბომბა ერედვი, დღის 4 სთ-ზე. შუა სოფელში ჩამოვარდა ბომბი, ცენტრში. აქ მხოლოდ საცხოვრებელი სახლები იყო, მილიციის შენობაც კი შორს იყო. იქითა მხარეს დიდი ლიახვის ხეობა იბომბებოდა. როცა სოფელი ერედვი დაიბომბა, ქართველი ჯარისკაცები არ იყვნენ სოფელში. ჯარი ტყეში იყო პოსტებზე. ადგილობრივი მილიცია იყო სოფელში 8 აგვისტოს.*

*დაბომბვისას სახლში მე და ჩემი მეუღლე ვიყავით. ეზოში სანამ ვიდექით, ამოიარა თეთრი ფერის პატარა მანქანამ. ეს იყო 13 აგვისტო, დილა. ჭიშკართან გაჩერდა. ვიფიქრე, ჩვენიანია და გვიშველის-მეთქი. უცებ უკან დაიხია მანქანამ ხანთან და იქიდან გამოისროლა. მანქანის კარებიც კი არ გაუღიათ ისე ისროლეს. წამებში მოხდა ეს ყველაფერი. ორჯერ ისროლეს: ერთი ჩემსკენ, ერთი მეუღლისკენ. პირველი გასროლის მერე დამეჯახა ჩემი მეუღლე წინიდან, მე თავი ვეღარ შევიკავე და წავიქეცი. იმათ ეგონათ ორივე დაგვხოცეს, მაგრამ ის მეორე ტყვიაც ჩემს ქმარს მოხვდა. ბეჭებში და თავში ქონდა მორტყმული.*

*ჩვენგან გასულებმა გზაზე გაიოზაც დაჭრეს, ხოლო მისი ცოლი* **ნათელა ქრისტესიაშვილი** *– მოკლეს.“*[221]

ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალბატონმა ვენერამ თვითმკვლელობა სცადა. *„თავის მოკვლა მინდოდა და გადავიჭერი ჯერ მაჯაზე ვენა, მერე მკლავზე არტერია გადავიჭერი.“* თუმცა მეზობლებმა გადაარჩინეს.

**გაიოზ ტარიელაშვილიც** ასევე დეტალურად იხსენებს თენგიზ ტარიელაშვილისა და თავისი მეუღლის ნათელა ქრისტესაშვილის მკვლელობას. მას კარგად ახსოვს, რომ შეირაღებული პირები 13 აგვისტოს მანქანებით დარბოდნენ სოფელში და ყველა მიმართულებით

---

219 იხ. ინტერვიუ გულნაზ ბორცვაძესთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 30 ივლისს.

220 იხ. ინტერვიუ ზაქრო არჩუაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის ოქტომბერში.

221 იხ. ინტერვიუ ვენერა არბოლიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, სოფელ კოდაში.

ისროდნენ.[222] ბატონ გაიოზს თეთრი ვოლგით ჩაუარა სოფელში ოთხმა შეირაღებულმა პირმა, ესროლეს კიდეც, მაგრამ დაჭრილმა მეზობლის სახლს შეაფარა თავი და გადარჩა.

*„თენგიზ ტარიელაშვილის სახლის ღია ჭიშკრიდან დავინახე, რომ პლოშადკის ქვეშ ეგდო თენგიზ ტარიელაშვილი და მისი ცოლი – ვენერა. ამათთან იდგა ჩვენი მეზობელი –* ***თამაზ ტარიელაშვილი****.*

*„თამაზს ვუთხარი, ვენერა ცოცხალია-მეთქი. ისიც ვუთხარი, ოსებმა დამჭრეს მეთქი. სანამ თამაზის ველაპარაკებოდი, გავიგონე, რომ სამი ტყვია გავარდა. მაშინათვე თამაზს ვთხოვე, გადავალ ჩემს სახლში-მეთქი. მე და თამაზი ჩემი სახლის ეზოში რომ შევედით ვნახეთ, რომ ეზოში გულაღმა ეგდო ჩემი ცოლი, ნათელა ქრისტესიაშვილი, მკვდარი. პირიდან სისხლი მოსდიოდა.*

*ვინც მე დამჭრა, იმათ მოკლეს თენგიზ ტარიელაშვილი და ჩემი მეუღლე. წინა დღეს, 12 აგვისტოს, სწორედ ზემოაღნიშნული ოთხი პირი იყო მოსული თეთრი ვოლგით, მთელი სოფელი რომ გადაწვეს. ნათელას და თენგიზის მკვლელობა და ჩემი დაჭრა ერთსადაიმავე დროს მოხდა, მცირე ინტერვალებით. 13 აგვისტოს, დილის 10 საათამდე პერიოდში.“*[223]

## *ოთარ ცოტნიაშვილის მკვლელობა*

კიდევ ერთი ერედველი, ოთარ ცოტნიაშვილის ვაჟი, **გია ცოტნიაშვილი**, 8 აგვისტოს დაბომბვის დროს თავისი მეზობლების სიკვდილის თვითმხილველია. თუმცა მამამისი ამ დაბომბვის მსხვერპლი არ გამხდარა.

*„მამაჩემი, ცოტნიაშვილი ოთარი, 12 აგვისტოს მოკლეს. ბაღში იყო გარდაცვლილი. ჩემმა მეზობელმა, ბიჭიკო ცოტნიაშვილმა ნახა 9 სექტემბერს. ავედი სოფელში 10 სექტემბერს და დავმარხე. უცნაურ მდგომარეობაში იყო. თითქოს მიბმული ჰყავდათ ხეზე და ისე მოკვდა.“*[224]

## *ამირან და სულიკო მჭედლიძეების მკვლელობა*

სოფელ ხვითის მცხოვრები **მანანა მჭედლიძე**, ისევე როგორც მრავალი სხვა მასავით შავით შემოსილი ქალბატონი, თავისი ამბის მოყოლას ასე იწყებს:

*„ვცხოვრობდით სოფელ ხვითში. დაბომბვები დაიწყო და მე, ჩემი შვილები და შვილიშვილები გამოვედით სოფლიდან. მყავდა მეუღლე ამირან მჭედლიძე. 12 აგვისტოს დილით დაღუპულა ჩემი მეუღლე. კოტოლოვების სახლის წინ ეგდო ის უბედური. თურმე ამოუვლიათ ჯარისკაცებს. ერთხელ სროლა არ აკმარეს და კიდევ ერთხელ დაახალეს ტყვიები. ორი დღის შემდეგ მღვდელი მოიყვანეს მეზობლებმა, გვამი გადმოასვენეს ჩვენ ეზოში და იქვე დამარხეს“.*

ქალბატონ მანანას 9 აგვისტოს სიძეც დაეღუპა, ქალიშვილის ქმარი. იგი სენაკის ბატალიონის ჯარისკაცი იყო.

ამირან მჭედლიძის მკვლელობის თვითმხილველი მეზობლები დედა-შვილი **ლეილა და ქეთევან ერგემლიძეები** კი გვიყვებიან:

*„12 აგვისტოს დავინახეთ, როგორ მოდიოდა ამირან მჭედლიძე ქვემოდან. შემდეგ სახლში შემოვედით, ცოტა ხანში გავიგონეთ რაღაც ხმა, თითქოს კაფსულა*

---

222 იხ. ინტერვიუ გაიოზ ტარიელაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისში, 2009 წლის 25 მაისს.

223 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მკვლევარებმა თენგიზ ტარიელაშვილის და ნათელა ქრისტესაშვილის მკვლელობის შესახებ ინტერვიუ ჩამოართვეს თამაზ ტარიელაშვილსაც, რომელმაც დაადასტურა ჩვენთვის მანამდე ცნობილი ინფორმაცია. ინტერვიუ ჩამორთმეულია კოდაში, 2009 წლის 20 მაისს.

224 იხ. ინტერვიუ გია ცოტნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში; მამის მკვლელობის ამბავი მეზობლებმა, გრიშა ოზგებიშვილმა და ივანე ჟუჟუნიაშვილმა უამბეს.

*გასკდაო, რის მერეც მოგვესმა ამირანის ძახილი, მიშველეთო, მაგრამ შეგვეშინდა და ვერ გავიხედეთ. მხოლოდ 15-20 წუთის მერე გავიხედეთ, მას შემდეგ, რაც ამირანის გვამთან მივიდნენ გოგიშვილი ნატაშა და ნინელი დოიჯაშვილი. ამირანი სისხლში იყო სულ მოსვრილი. უკვე მკვდარი იყო. პარკი გადავაფარეთ და შემოვედით. ამის მერე გვამთან აღარავინ მისულა."*

**ნინელი (ჟუჟუნა) დოიჯაშვილი** ბევრ სხვა თავის დაზარალებულ თანასოფლელს დაეხმარა. ამირან მჭედლიძის მკვლელობის შესახებ ქალბატონი ნინელი გვიყვება:

*„ჭრილობა თავში და ფეხზე ჰქონდა. მეორედ რომ ვნახე, უკვე გულშიც ჰქონდა მოხვედრილი. იმ სამმა შეიარაღებულმა ფორმიანმა დაახალა ალბათ, იქვე რომ იდგნენ. მე დავიმალე, ეგენი რომ დავინახე".*

შეშინებულები თავისი მეზობლის, სულიკო მჭედლიძის სახლისაკენ გაიქცნენ დასამალად. თუმცა *„სახლი რომ დავინახეთ, დანგრეული იყო, მე და ელდარიმ დავიწყეთ სულიკოს ძებნა, და ვნახეთ იქვე, თავმოწყვეტილი".*[225]

## ელგუჯა ოქროპირიძის მკვლელობა

სოფელ დისევის მცხოვრები **გიორგი ოქროპირიძე** იხსენებს, რომ ოსები სოფელში 13 აგვისტოს ისევ გამოჩნდნენ. ამ დროისათვის სოფლის ნახევარი უკვე გადამწვარი იყო. ჯერ ძარცვავდნენ და შემდეგ წვავდნენ. სოფელში დარჩენილი მოსახლეობა ტყეში იმალებოდა. მორიგეობით ჩამოდიოდნენ.

*„15 აგვისტოს სოფლის სახლების 70% უკვე დამწვარი იყო. პროცესს ტყიდან ვუყურებდი. ისეთ სიმაღლეებზე ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად ჩანდა. სწორედ 15 აგვისტოს მოკლეს ელგუჯა ოქროპირიძეც."*

ბატონი გიორგი გვიამბობს, რომ ელგუჯა სთხოვდა, სახლი არ დაეწვათ, პასუხად კი ავტომატური იარაღიდან 4 ტყვია ესროლეს. [226]

ელგუჯა ოქროპირიძის მკვლელობის ფაქტს მისი მეზობელი **შოთა ოქროპირიძეც** ადასტურებს, რომელმაც მიცვალებული მის სახლთან ნახა.

**ვახტანგ ოქროპირიძე** გვიყვება, რომ 70 წლის მოხუცი, ელგუჯა ოქროპირიძე, ოსებს ევედრებოდა, სახლი არ დამიწვათო და *„უმოწყალოდ მოკლეს. 4 ტყვია ჰქონდა დახლილი. სახის არეში ჰქონდა მორტყმული".*[227]

„ჩემი მეზობელი ელგუჯა ოქროპირიძე სწორედ მაშინ მოკლეს, როცა თავისი სახლის დაწვას შეეწინააღმდეგაო", ადასტურებს **ლილი მამისაშვილიც.**[228]

**ოთარ ოქროპირიძემაც** დაგვიდასტურა, რომ, ვინც წინააღმდეგობას უწევდა, კლავდნენ. *„ასე მოკლეს ოსებმა ჩემი თანასოფლელი ელგუჯა ოქროპირიძე. ერთი ქალი* **ნატო ოქროპირიძე** *კი სახლში დაწვეს".* [229]

## ვიქტორ გაგვიშვილის მკვლელობა

12 აგვისტოს სოფელ ერგნეთში უკვე რუსული ჯარი იყო შესული. სულ რამდენიმე მოხუცი იყო დარჩენილი, მათ შორის ბატონი ვიქტორიც. სახლში იყო, როდესაც ჯარისკაცები მის ჭიშკარს მიადგნენ და სოფლის დატოვება მოსთხოვეს. მოხუცი ფეხს ითრევდა, საკუთარი

---

225 იხ. ინტერვიუ ნინელი (ჟუჟუნა) დოიჯაშვილთან, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

226 იხ. ინტერვიუ, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2008 წლის 15 დეკემბერს თბილისში, ცოტნე დადიანის 51-ში მდებარე ბაგა-ბაღში.

227 იხ. ინტერვიუ, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს.

228 იხ. ინტერვიუ ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2009 წლის 12 იანვარს, გლდანის მე-6 მიკრორაიონში, 107-ე საბავშვო ბაღში.

229 იხ. ნატო ოქროპირიძის მკვლელობის ფაქტი, თავში, სადაც აღწერილია ეთნიკური წმენდა სოფელ დისევში.

სახლ-კარის დატოვება უჭირდა. თავისი მეზობლის შეურაცხყოფისა და სასტიკი ცემის შემხედვარეს შეეშინდა და, როდესაც ოკუპანტებისაგან გაქცევას ლამობდა, ზურგში ესროლეს. მეზობლებმა ჩუმად იქვე, საკუთარ ეზოში დაკრძალეს. უკვე სოფელში დაბრუნების შემდეგ ოჯახის წევრებმა სასაფლაოზე გადაასვენეს.

ვიქტორ გაგვიშვილის მკვლელობას მრავალი მოწმე ჰყავს, ვინაიდან სოფელში დარჩენილი მოხუცები ერთად იმალებოდნენ კასრაძიანთ უბანში, ვალიკო (ბურდა) კასრაძის სახლის სარდაფში. იმ დღესაც ერთად იყვნენ, და ბატონი ვიქტორი სულ რამდენიმე წუთით გადავიდა თავის სახლში, რომ საქონლისთვის ეჭმია. სწორედ ამ დროს დატრიალდა ტრაგედიაც.



*ვიქტორ გაგვიშვილის საფლავი მისი სახლის ეზოში, სოფელ ერგნეთში.*

*„ვიქტორის გასვლიდან დაახლოებით 10-15 წუთში გასროლის ხმა გავიგეთ. ერთ-ორ წუთში ვიქტორი ვალიკოს სახლის ეზოში შემოვიდა. მიშველეთ, ვკვდებიო, თქვა და იქვე ეზოს კიბეებზე ჩამოჯდა. ერთ წუთში სული დალია“.*[230]

რამდენიმე წუთში სამი შეიარაღებული, თეთრსამკლაურიანი პირი მოხუცებთანაც შევიდა. *„მერე ჩვენ ღობესთან აგვაყუდეს. შედარებით ახალგაზრდებს მხრები შეუმოწმეს, ჯარისკაცები ხომ არ იყვნენ. შემდეგ სახლში ავიდნენ და სახლი გაჩხრიკეს“* – იხსენებს ბურდას სახლს შეფარებული კიდევ ერთი მოხუცი ტარიელ კასრაძე. მათ შორის ერთ-ერთი ქალბატონი, ლიანა ჭამპურიძე, ეროვნებით ოსი იყო და მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა მოხუცებისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას შეიარაღებულ პირებს. *„სასწაულმა და ლიანას ვედრებამ გადაგვარჩინაო“*, ამბობდნენ თვითმხილველები.

ვიქტორ გაგვიშვილის მკვლელობის ფაქტი **ეუთოს** 2008 წლის ანგარიშშიც არის მოხსენიებული.

„მაგალითად, ერგნეთში, სოფლის მკვიდრი მოგვიყვა, როგორ დაინახა, რომ რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ათმა ოსმა ჯერ ხელი ჰკრა მოხუცს, ხოლო შემდეგ ზურგში ესროლა. მოხუცი დაეცა, შენობასთან მიხოხდა, ერთი ამოიკვნესა, მომკლესო და სული დალია.“[231]

მოხუცი, რომლის ცემის შესახებაც სოფელში ყვებიან, **გაიოზ კასრაძეა**. 80 წლის **თამარ დოიჯაშვილი**, რომელმაც ერგნეთი სექტემბრის ბოლოს, წითელი ჯვრის დახმარებით დატოვა, სოფელში მომხდარი თითქმის ყველა სისასტიკის თვითმხილველია. სწორედ მის თვალწინ სცემდნენ გაიოზ კასრაძეს:

*„სულ სისხლში იყო ამოსვრილი, თავი გახეთქილი ჰქონდა. მკვდარი ეგონათ და არხში გადააგდეს“*[232] – გვიყვება ქალბატონი თამარი, რომელიც ყველაფერს სარდაფიდან ადევნებდა თვალს. გაიოზ კასრაძე მაშინ სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ უკვე დევნილობაში რამდენიმე კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

---

230 იხ. ინტერვიუ ტარიელ კასრაძესთან ვიქტორ გაგვიშვილის მკვლელობის შესახებ, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 10 სექტემბერს, სოფელ ერგნეთში.

231 იხ. „Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p. 23

232 იხ. ინტერვიუ 80 წლის თამარ დოიჯაშვილთან, ჩაწერილი თინათინ ხიდაშელის მიერ 2009 წლის 24 ოქტომბერს სოფელ ერგნეთში.

### გიორგი კასრაძის მკვლელობა

სოფელ ერგნეთში, მამისაანთ უბანში, რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოსვლასთან ერთად სოფელი თანდათანობით იცლებოდა მოსახლეობისაგან. თუმცა, ისევე როგორც ბევრ სხვა ქართულ სოფელში, აქაც რამდენიმე მოხუცი ბოლო დღემდე სოფელში რჩებოდა. 93 წლის გიორგი კასრაძეც სოფელში იყო და საკუთარ სახლ-კარს არ ტოვებდა. 12 აგვისტოს შემდეგ მის შესახებ მეზობლებს არაფერი სმენიათ, თუმცა უკვე მოგვიანებით თავისი გადამწვარი სახლის ნანგრევებში იპოვეს მკვდარი. ამ შემზარავი მკვლელობის თვითმხილველები, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ, თუმცა სოფელში ვიზიტის დროს ვესაუბრეთ მის შვილიშვილს, მაყვალა კასრაძეს და მეზობლებს, ვინც ბატონი გიორგის ცხედარი ნახა და მისი დაკრძალვა მოახერხა.[233]

2008 წლის 22 აგვისტოს სოფელში შესვლა მოახერხა გიორგი კასრაძის შვილმა, **ვახტანგ კასრაძემ**, რომელმაც პირველმა ნახა სახლში დამწვარი მამის ნეშტი:

> *„მამაჩემი რადგან ლოგინად იყო ჩავარდნილი, პირდაპირ მისი ოთახისკენ წავედი, სახლის პირველ სართულზე. მამა იქ არ დამხვდა. ოთახი სულ მთლად გამომწვარი იყო. საწოლი, რომელზეც იწვა ხოლმე მამაჩემი, ხისა იყო. მისგან მხოლოდ ფერფლიღა იყო დარჩენილი. უკან მობრუნებისას, საწოლიდან დაახლოებით 2 მეტრში, ოთახის შუაში, იატაკზე, ხერხემლის ძვალი შევნიშნე, 30-40 სანტიმეტრის სიგრძის იქნებოდა. ხერხემლის ფორმა ჰქონდა, თან ზედვე ნეკნების ნაწილი ჰქონდა დარჩენილი, რომელიც გვერდებზე იყო გამოშვერილი და ამაზე მივხვდი, რომ ხერხემლის ძვალი იყო. ხერხემლის ძვალი დანახშირებული იყო და ხელი არ მიხლია. რუსი ჯარისკაცები ახლოს მომყვებოდნენ და იმათაც ვაჩვენე, თან ვუთხარი, რომ ხელი არ ახლოთ-მეთქი. მამაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი და ამიტომ გავიფიქრე, რომ მამაჩემის ძვლები იყო. ვიცოდი, რომ იქიდან თავს ვერ დააღწევდა.*
>
> *დაახლოებით ერთ კვირაში ისევ გადავწყვიტე ერგნეთში ასვლა, მამაჩემის დასაფლავება მინდოდა. მეღვრეკისის პოსტთან იგივე რუსი სამხედროები დამხვდნენ. ჩემი სახლის მდებარეობა რომ ვუთხარი, მითხრა, რომ თვითონ ყოფილა იქ და მამაჩემი დაუსაფლავებია. ციფრული აპარატით ჰქონდა სურათები გადაღებული. სურათებით ვიცანი საფლავის ადგილი, სახლის გვერდით ეზოში, აღმოსავლეთ მხარეს იყო გათხრილი.“*[234]

### გიორგი კობალაძის მკვლელობა

ერგნეთელი **სიმონ წერეთელი** მუდმივად სოფელში იყო. სულ რამდენიმე დღით ჩამოვიდა გორში და ისევ უკან გაბრუნდა. სოფელში დარჩენილ რამდენიმე მეზობელთან ერთად დღისით ბაღებში იმალებოდა. ცდილობდნენ, საქონელი მაინც გადაერჩინათ. ბატონი სიმონი გვიყვება, რომ იმ დღესაც ის და მისი მეზობელი **გიორგი კობალაძე** ერთად იყვნენ.

> *„ცოტა ხნით გამოვბრუნდი სახლში საქონლის მისახედად და მის ჭიშკართან სამხედრო მანქანა გაჩერდა. ალბათ გასაძარცვად მივიდნენ-თქო ვიფიქრე. ატყდა სროლა, მერე ცეცხლიც ავარდა. შემეშინდა და ქვევით გავიქეცი.“*[235]

როდესაც ბატონი სიმონი თავის უბანში აბრუნდა, გიორგი კობალაძე საკუთარი სახლის ეზოში იპოვა მკვდარი.

---

233 გიორგი კასრაძის სიკვდილის შესახებ თინათინ ხიდაშელს უამბეს მისმა შვილიშვილმა და ნათესავებმა 2009 წლის 17 ოქტომბერს სოფელ ერგნეთში.

234 იხ. ინტერვიუ ვახტანგ კასრაძესთან, ჩაწერილი 2009 წლის 24 ივნისს, სოფელ ერგნეთში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

235 სიმონ წერეთლის მონათხრობიდან ირკვევა, რომ გიორგი კობალაძე პირველი ომის დევნილი იყო ცხინვალიდან და 90-იანი წლების შემდეგ ქალიშვილთან ცხოვრობდა სოფელ ერგნეთში. ინტერვიუ სიმონ წერეთელთან ჩაწერილია თინათინ ხიდაშელის მიერ 2009 წლის 24 ოქტომბერს სოფელ ერგნეთში. სიმონ წერეთლის ფოტო, გადაღებული სოფელ ერგნეთში, მის დამწვარ სახლში, გამოყენებულია ამ ნაშრომის ყდაზე.

სოფელში რუსები და ოსები დადიოდნენ და მოხუცებისათვის თავისუფლად მოძრაობა საშიში იყო. ამის შემდეგ გიორგი კობალაძის სახლში კიდევ რამდენჯერმე შევიდნენ. მოგვიანებით, როდესაც სოფელში შესვლა შედარებით უსაფრთხო გახდა, მოხუცი საკუთარ ეზოში დაკრძალეს. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ გიორგი კობალაძეს დამწვარ სხეულზე დანით მიყენებული ჭრილობაც ჰქონდა,[236] რაც მოგვიანებით ექსპერტიზამაც დაადასტურა.

**შოთა ჯოხაძემ** გიორგი კობალაძე მკვლელობიდან სულ რამდენიმე წუთში ნახა.

*„გიორგი ოთახის ორსაფეხურიანი კიბის ძირში იწვა. ახლოს მივედი, გადმოვატრიალე და დავინახე, რომ მარცხენა მხარეს კისერთან ახლოს ჭრილობა ჰქონდა და სისხლი მოსდიოდა. მივხვდი, რომ გარდაცვლილი იყო. გვამი იქვე დავტოვე და გარეთ გავედი – დასახმარებლად ხალხის მოყვანა მინდოდა. ამ დროს სახლს უკვე ეკიდა ცეცხლი. ეზოში გავედი თუ არა, სამი სამხედრო დავინახე, რომელიც სახლის პირველი სართულის წინა კარებიდან გამოვიდა. მომწვანო სამხედრო ფორმა ეცვათ, ორს სამხედრო ქუდიც ეხურა. ხელში ავტომატები ეჭირათ. ერთ-ერთმა ქართულად მითხრა, ოღონდ ოსური კილოთი – სახლს ახლოს არ მიეკარო, თორემ შენც მოგკლავთო. მერე სამივემ გვერდზე ჩამიარა. ერთ-ერთმა სამხედრომ, დანა დამარტყა მარჯვენა ხელის იდაყვში. გიორგისაც დანით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული, ეტყობა ამავე ოსმა ჩაარტყა კისერში დანა.“*[237]





*სახლი, რომელშიც მოკლეს გიორგი კობალაძე და მისი საფლავი სოფელ ერგნეთში.*

### *ძმების, მიხეილ და შაქრო მელითაურების მკვლელობა*

70 წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი **გულნარა იოსებიძე**[238] და **მიხეილ მელითაური** დაბომბვის შემდეგაც სოფელ **ტყვიავში** რჩებოდნენ. *„არ ვიყავით მომხრე სოფლის დატოვებისა, ხელგაწვდილ სიცოცხლეს აქ სიკვდილი მერჩივნაო“.* – გვითხრა ქალბატონმა გულნარამ. 12-ში მისი მაზლი შაქრო მელითაურიც სოფელში დაბრუნდა და მათთან იყო სტუმრად.

*„დაახლოებით 5 საათისთვის მომესმა ბრახუნი, კარი არ გავაღეთ და* ***გვესროლეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი****. საშინელი ხმა ჰქონდა. კარი გაიღო და შემოცვივდნენ ორნი, სამოქალაქო ტანსაცმელში, ოსურად ლაპარაკობდნენ. დავინახე, რომ ვიღაცას სცემდნენ – „ქართველებს ასე გინდათო“. სამზარეულოდან რომ გამოვედი, დავინახე, ჩემი ქმარი და მაზლი მაგიდის ქვეშ იყვნენ შეყუჟული. მეგონა, იმალებოდნენ და თურმე დაუხოცავთ. მიყუდებულები იყვნენ ერთმანეთზე და სისხლი სდიოდათ, სახეები შესიებული ჰქონდათ.*

*შემდეგ გარაჟიდან გამოიყვანეს 06. წაიყვანეს. ხელის ტრაქტორიც თან გაიყოლეს. მიცვალებულებს ვუვლიდი, რომ კატა არ მოსულიყო და არ შეეჭამა. ერთი ვედრა სპირტი და არაყი მედგა, პროსტინას ვასველებდი და ვადებდი, რომ მწერი არ დასეოდათ.“*

236 იხ. ინტერვიუ თინათინ წერეთელთან, ჩაწერილი თინათინ ხიდაშელის მიერ 2009 წლის 27 ოქტომბერს თბილისში.

237 იხ. ინტერვიუ შოთა ჯოხაძესთან, ჩაწერილი 2009 წლის 25 ივნისს სოფელ ერგნეთში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

238 იხ. ინტერვიუ გულნარა იოსებიძესთან და მის ვაჟთან, ბადრი მელითაურთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ, 2008 წლის 9 სექტემბერს, სოფელ ტყვიავში.

მათ მეზობელს **ზაზა რაზმაძესაც** ახსოვს ქალბატონ გულნარასთან შეხვედრა, როდესაც მან მეზობლების მკვლელობის ამბავი შეატყობინა.

> *„ზურას სახლთან ვიდექი. უკვე შიგნით იყვნენ შესულები. ერთ-ერთმა იარაღიანმა სამხედრო ფორმაში დამინახა, ავტომატი გადმოიღო და მესროლა. გავიქეცი, გადავაძვერი ღობეზე და ბაღებში დავიმალე. კარგად რომ დაღამდა, წამოვედი სახლისკენ და ამ დროს შემხვდა გულნარა და მთხოვა, შაქრო და მიშა მომიკლეს და დამამარხვინეო.*
>
> *სახლში რომ მივედი, დავინახე, რომ გვამები აივანზე იყვნენ, სისხლიანები. შაქრო და მაგის ძმა რომ ვნახე, რამდენიმე ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი. თითოს 6-7 ტყვია მაინც ექნებოდა, თუ მეტი არა.“*[239]

კიდევ ერთი ტყვიაველი მოხუცი, **ზინა მერებაშვილი,** მთელი ომის მანძილზე სოფელში რჩებოდა. დაბომბვების დროს სარდაფში იმალებოდა, სხვა დროს კი ცდილობდა, სოფელში დარჩენილ თანასოფლელებს დახმარებოდა. იმ დღეებში მრავალი მკვლელობის მოწმე გახდა.

> *„ოსები ძარცვავდნენ ყველაფერს, წვავდნენ ყველაფერს, მეზობლებიც დამიხოცეს.* **ძმები მელითაურები, შამილ ოქროპირიძე, ნოდარ ბუნტური, გელა ჩიხლაძე**, **კობა ჯაშიაშვილი.** *კიდევ ერთ კაცზე ამბობდნენ სოფელში, მაგრამ მე ის არ ვიცი“.*[240]

**გიორგი რაზმაძე**, რომელიც შეესწრო მელითაურების სახლის გადაწვას, კიდევ ერთი მოკლულის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას:

> *„შევესწარი, როგორ წაუკიდეს ცეცხლი თამაზ კაპანაძის, ზაზა რაზმაძის, მიშა მელითაურის სახლებს. მელითაური მიშა,* **ჩოხელი გოგია***, მელითაური შაქრო ჯერ მოკლეს და შემდეგ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. დემეტრაშვილის სახლსაც ცეცხლი წაუკიდეს“.*[241]

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით დამატებითი ინფორმაციის მოპოვება კობა ჯაშიაშვილისა და გოგია ჩოხელის მკვლელობის შესახებ. სოფელში ამბობდნენ, ჩვენი თანასოფლელები არ უნდა ყოფილიყვნენო. იმ დღეებში ხალხი საკუთარი სოფლებიდან გარბოდა და ტყვიავსა და გორის რაიონის სხვა სოფლებს აფარებდა თავს. ამიტომ შესაძლებელია, სოფელ ტყვიავშიც რამდენიმე ასეთი დევნილი ყოფილიყო დარჩენილი.

## *ჯაბა ჯალაბაძის მკვლელობა*

სოფელ ტყვიავში, მელითაურების გარდა, ჩვენმა მკვლევარებმა კიდევ 6 სხვა საზარელი მკვლელობის ამბავი შეიტყვეს.

თვითმხილველები ყვებოდნენ, როგორ მოკლეს 25 წლის **ჯაბა ჯალაბაძე**, რომელიც სმენადაქვეითებული იყო. ბრძანებაზე, რომ მანქანას მისწოლოდა, ჯაბა მიტრიალდა და თეთრსამკლაურიანი ოსებისაგან თავის გარიდება სცადა. ვითომ ურჩობისათვის ადგილზე დაცხრილეს.[242] ჯაბა ჯალაბაძის მკვლელობის ფაქტს **ვლადიმერ გივნიშვილი** გვიყვება:

> *„შემოდიოდა ტანკები და ცოცხალი ძალა, წვავდნენ სახლებს და აწიოკებდნენ*

239 იხ. ინტერვიუ ზაზა რაზმაძესთან, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, 2008 წლის 9 სექტემბერს, სოფელ ტყვიავში.

240 იხ. ინტერვიუ ზინა მერებაშვილთან, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, 2008 წლის 9 სექტემბერს, სოფელ ტყვიავში. ქალბატონი ზინა თავად პირველი ომის დევნილია ცხინვალიდან.

241 იხ. ინტერვიუ გიორგი რაზმაძესთან, ჩაწერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ 2008 წლის 15 აგვისტოს, ქ. თბილისში, 191-ე საშუალო სკოლაში.

242 იხ. ინტერვიუ, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ. ახალგაზრდა რესპონდენტმა მამაკაცმა უსაფრთხოების მიზნით კონფიდენციალურობის დაცვა ისურვა.

*ხალხს, ზოგს ხოცავდნენ და ართმევდნენ ყველანაირ ქონებას. ასე უმიზეზოდ მოკლეს ტყვიავში სოფელ ფლავის მცხოვრები ჯაბა ჯალაბაძე."*[243]

## *გელა ჩიხლაძის მკვლელობა*



*სახლი სოფელ ტყვიავში დაბომბვის შემდეგ.*

**გელა ჩიხლაძე** საკუთარი სახლის მარანში ჩაამწყვდიეს. გაძარცვის შემდეგ, „წესისამებრ" სახლს ცეცხლი მოუკიდეს და მისი განწირული ყვირილისა და ვედრების მიუხედავად კარი მიუკეტეს. გელა ჩიხლაძის ნახევარძმა **გივი კაპანაძე** იხსენებს, რომ 12 აგვისტოს ბაღებში, სახლიდან დაახლოებით 30 მეტრში, იმალებოდნენ და სწორედ იქიდან ხედავდა, რომ სახლში ათიოდე ჯარისკაცი შევიდა. მათ რამდენიმე წუთში კიდევ შეუერთდა ფორმიანი და შეიარაღებული ხალხი.

*„დავინახე, გელას ხელი მოჰკიდეს. ჩემსკენაც ორი ოსი გამოიქცა ავტომატით და ხელები ამაწევინეს. მე და ჩემი სიმამრი ვიყავით – გიორგი ტურაშვილი. შეგვყარეს საღორეში. ორივე ოსი თავზე გვადგა ავტომატებით. საღორიდან არაფერი ჩანდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყრუდ მომესმა სროლის ხმა სახლის მხრიდან. ჩემი ძმის ხრიალიც მესმოდა. რომ წავიდნენ, ჩვენ ბაღებში გავიქეცით. ღამის 10 საათი იქნებოდა, მე და ჩემი მეგობარი ზაზა რაზმაძე ბაღებიდან წამოვედით და ჩემი ძმის სახლში მივედით. სახლი იწვოდა, ცეცხლი თითქმის ჩამქრალი იყო, საშინელი ბოლი და სუნი იდგა. ოსებიც ყველგან მოძრაობდნენ. ტელეფონის შუქით ვეძებეთ ჩემი ძმა, მაგრამ ვერ ვნახეთ."*[244]

მეზობლებმა გამთენიისას გელა ჩიხლაძის დამწვარი ნეშტი იპოვეს.

*„გელა ჩიხლაძესთან სახლში გადავედი. რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, 18 ან 19 აგვისტო იქნებოდა. ძაღლი იყო კარებში. სახლში საშინელი სუნი იდგა. კუხნაში შევედი და იქიდან წინა ოთახში გელას ბათინკები ვიცანი. ფანჯრიდან შევიხედე. დავინახე ხელის თითები, რომელიც თეთრად ჩანდა. სხვა არაფერი ჩანდა, ისეთი დამწვარი იყო."* [245]

თამარა სურამელის მონათხრობის შესაბამისად, გელა ჩიხლაძე ტყვიავში განლაგებული რუსი სამხედროების დახმარებით მისსავე სახლის ეზოში დაასაფლავეს.

*„გელა ისეთი დამწვარი იყო, რომ ლაფატკებით გადმოდეს მაგიდაზე. საერთოდ არაფერი ჩანდა, სულ დანახშირებული იყო".*

ამ საზარელ ისტორიას მისი ნათესავი **შოთა ჩიხლაძეც** ადასტურებს. „11 და 12 აგვისტოს დახოცეს ოჯახის ახლობლები. მამაჩემის ბიძაც მოკლეს."[246] გელა ჩიხლაძეზე სოფელში ამბობდნენ, რომ თავი მოჰკვეთეს და ისე მოკლესო, თუმცა ამ ისტორიას თვითმხილველები და ის მეზობლები, ვინც მიცვალებული იპოვა, არ ადასტურებენ. მაგალითად, სოფელ მეღვრეკისის მცხოვრები **რომან ნადირაძე** გვიყვება:

*„ბიძას (გელა ჩიხლაძე, ავტ.) სოფელ ტყვიავში თავი მოაჭრეს"*[247].

243 იხ. ინტერვიუ ვლადიმერ გივნიშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის" მიერ თბილისის 32-ე სკოლაში 2008 წლის 15 აგვისტოს.

244 იხ. ინტერვიუ გივი კაპანაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

245 იხ. ინტერვიუ თამარ მალიშევა-სურამელთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 15 ოქტომბერს, სოფელ ტყვიავში.

246 იხ. ინტერვიუ შოთა ჩიხლაძესთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის" მიერ თბილისის 32-ე სკოლაში 2008 წლის 16 აგვისტოს. სამწუხაროდ, ინტერვიუში არ ჩანს, ვინ იყვნენ ის ნათესავები რომლებიც შოთა ჩიხლაძეს მოუკლეს. მისი მონათხრობიდან დღეს მხოლოდ იმის დადგენაა შესაძლებელი, რომ ერთ-ერთი მათგანი გელა ჩიხლაძეა.

247 იხ. ინტერვიუ რომან ნადირაძესთან, ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ 15 აგვისტოს ქ. თბილისში, 176-ე საჯარო სკოლაში.

გელა ჩიხლაძის მკვლელობის ისტორია ამერიკული გამოცემის „CHICAGO TRIBUNE"-ის[248] გვერდებზეც მოხვდა. სადაც მის ამბავს დეტალურად აღწერს მკვლელობის თვითმხილველი გივი ჩიხლაძე.

ამ საზარელი მკვლელობის მოტივად, თვითმხილველების გადმოცემით, ოსები გელა ჩიხლაძის საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან მეგობრობას ასახელებდნენ.


ნოდარ ბუტაურის დაბომბილი სახლი.

### *ნოდარ ბუტაურისა და შამილ ოქროპირიძის მკვლელობა*

სახლის გაძარცვის დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის საკუთარი სახლის წინ დაცხრილეს 56 წლის **შამილ ოქროპირიძე**. ოქროპირიძეს 10 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ჩვენი რესპონდენტი იხსენებს, რომ მომდევნო დღეებში შედარებით სიმშვიდე იყო და მკვდრების დამარხვა მოახერხეს.

**თამარ სურამელი** გვიყვება, რომ, როდესაც გელა ჩიხლაძის ცხედარი იპოვა, სწორედ იმ დროს შეიტყო შამილ ოქროპირიძის მკვლელობის შესახებ.

*„სოფელში ჩვენი მეზობლის, შამილ ოქროპირიძის, რძალი დადიოდა და საფლავის ამოთხრაში დახმარებას ითხოვდა. ამოიარა ჩვენთან უბანში და მე რომ მნახა, მითხრა, შამილა მოკლესო, მაგრამ ხელები მტკივა, მიწას ვერ ვიღებ, მაგარიაო, და არ ვიცი, რა ვქნაო. შემდეგ ციცომ წაიყვანა ბიჭები შამილის დასამარხად."*

**ევგენია ნასყიდაშვილმა-ოქროპირიძემ** 13 აგვისტოს დილით თავისი მაზლი, შამილ ოქროპირიძე საკუთარ სახლში მკვდარი იპოვა.

> *„შამილის ეზოში რომ შევედი, ვნახე, მისი ცხედარი იქვე, ეზოს შესასვლელ კარებთან იყო დასვენებული. 2008 წლის 12 აგვიტოს, ბაღებიდან შეპარულან ეზოში სოფლის ბიჭები და შეუსვენებიათ შამილის ცხედარი მისივე სახლის ეზოში. რომ ავხადე, სახეზეც ჰქონდა ჭრილობები და ტანზეც სულ დაცხრილული იყო. მისი სახლის ფანჯრებს ჰქონდა ნასროლი და კედელი გამონგრეული იყო."*[249]

თამარ სურამელმა იმავე დღეს კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ შეიტყო.

> *„ნოდარი ბუტაურიც მოკვდაო, მეზობელმა კაპანაძე თამაზიმ გაგვაგებინა. მაგან იპოვა მკვდარი და ადიალაში შეახვია. სულ სისხლიანი იყო თურმე."*

შემდეგ ახალგაზრდების დახმარებით დამარხეს გვამი. „მაგრამ თურმე ღრმად არ ამოუთხრიათ მიწა და მერე ძაღლებმა გააფუჭეს და ჩანდა ნოდარიო". – იხსენებს გულნატკენი თანასოფლელი თამარ სურამელი.

ნოდარ ბუტაურს, ოსური ბანდფორმირების წევრებმა მანქანის (კამაზის) წართმევა დაუპირეს. მან სიტყვიერი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ ამის გამო მოკლეს.

### *იოსებ (სოსო) ოდიაშვილის მკვლელობა*

ტყვიაველები კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ ყვებიან.

248 იხ. „Georgians flee as friends die and villages burn; Pro-Moscow fighters make the region a netherworld of lawlessness", by Alex Rodriguez, CHICAGO TRIBUNE, 14 September 2008

249 იხ. ინტერვიუ ევგენია ოქროპირიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 17 ივლისს, გორის რაიონის სოფელ ტყვიავში.

დევნილები გვიყვებოდნენ, რომ 25 წლის იოსებ ოდიაშვილი სხვა ქართველებთან ერთად ოსებმა 12 აგვისტოს გაიტაცეს და ტყვედ აიყვანეს. ლევან გიგუაშვილი იხსენებს, რომ სამარშრუტო ტაქსში ასვლის შემდეგ იქ მყოფი ქართველები შეათვალიერა, ძირითადად მეზობელი სოფლებიდან იყვნენ, თუმცა, რამდენიმე ტყვიაველიც იყო მათ შორის, „სოსო ოდიაშვილი ვიცანიო". მეზობლები იმასაც ყვებიან, რომ სოსო მანქანიდან გადმოხტა და გაქცევა სცადა. და სწორედ ამ დროს, მაშინ დაეწივნენ და ავტომატის ჯერით ჩაცხრილეს.

ჩვენ დავინტერესდით სოსო ოდიაშვილის მკვლელობით და კითხვა-კითხვით **გიორგი ხაბაზიშვილს**[250] მივაკვლიეთ, ვინც დაჭრილი თანასოფლელი სახლში გადაიყვანა და ჭრილობები დაუმუშავა. სამწუხაროდ, მან 25 წლის ოდიაშვილის გადარჩენა ვერ შეძლო. გიორგი ხაბაზიშვილი გვიყვება, რომ 12 აგვისტოს, შუადღეს იპოვეს დაჭრილი ახალგაზრდა და მეზობელთან, ამირან ლაფაჩთან ერთად ტყვიავში გადაიყვანა.

> *„სოსო მარჯვენა მკლავსა და მუცლის არეში ჭიპთან ახლოს იყო დაჭრილი. მუცელზეც და მკლავზეც ღრმა ჭრილობა ჰქონდა. საკმაოდ ბევრი სისხლი მოსდიოდა. სოსო ჩემთან სახლში გათიშულივით იყო. როგორც ჩემ მეუღლეს უთხრა, ოსმა სამხედროებმა სხვა ტყვიაველებთან ერთად ერთ-ერთი ქართველის მარშუტკაში ჩასვეს და ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს. გზაში, არ მისული სოფელ ტირძნისამდე, ავარია მოუვიდათ სწორედ ამ დროს სოსო და კიდევ რამდენიმე ქართველი გაიქცნენ. ოსმა სამხედროებმა სროლა აუტეხეს და სწორედ ამ დროს დაიჭრა. ამის მეტი მას არაფერი უთქვამს."*

ანალოგიურ ისტორიას გვიყვება მისი მამა ვლადიმერ ოდიაშვილიც[251], რომელიც შვილთან იყო სიცოცხლის ბოლომდე. სოსო ოდიაშვილი 13 აგვისტოს გარდაიცვალა. მაგრამ, ვინაიდან სოფელში ისევ რუსი სამხედროები იყვნენ, ხოლო ოსები ძარცვას და ძალადობას განაგრძობდნენ, მისი სასაფლაოზე დაკრძალვა ვერ გაბედეს და იქვე, სახლის წინ ბაღში დამარხეს.[252]

### *ტყვიავის სამარშრუტო ტაქსი, თამაზ მახარაშვილის სიკვდილი*

სამარშრუტო ტაქსს, რომლითაც სოსო ოდიაშვილი და სხვა ტყვეები გადაჰყავდათ, ტირძნისის გზაზე ავარია მოუვიდა, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა. ავარიის დროს ადგილზე გარდაიცვალა ეროვნებით ოსი მძღოლი, რომლის სახელიც ჩვენთვის უცნობია და მერეთელი ტყვე **თამაზ მახარაშვილი**. როგორც თვითმხილველები ყვებიან:

> *„ერთ-ერთი ქართველი მარშუტკის ქვეშ იყო მოყოლილი. როგორც ჩანს, ფანჯრიდან გადმოვარდა მარშუტკის გადატრიალების მომენტში და მარშუტკა ზემოდან დაეცა."*[253]

თამაზ მახარაშვილის ქალიშვილი, **ხათუნა ჯანაშვილი** გვიყვება, რომ მამამისის ცხედარი პირველად 16 აგვისტოს მისმა მეგობარმა იპოვა.

> *„მამაჩემის ცხედარი რომ ნახა სოფელ ტირძნისში,*



*ტყვიაველი სამოქალაქო ტყვეების გადაყვანისას ავარიის დროს დაღუპული თამაზ მახარაშვილის გვამი.*

---

250 იხ. ინტერვიუ გიორგი ხაბაზიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 16 ოქტომბერს, სოფელ ტყვიავში.

251 იხ. ინტერვიუ ვლადიმერ ოდიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 16 ოქტომბერს, სოფელ ტყვიავში.

252 სოსო ოდიაშვილისა და 12 აგვისტოს გატაცებული სხვა ქართველების ისტორიის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ მომდევნო ქვეთავში თამაზ მახარაშვილის სიკვდილის შესახებ.

253 იხ. ინტერვიუ ლევან გიგუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 15 ოქტომბერს.

*თონესთან ახლოს, იქვე იყო გადატრიალებული სამარშრუტო ტაქსიც".*

ვინაიდან სოფელში გადაადგილება ჯერ კიდევ საშიში იყო, ვერ გაბედა იმავე დღეს ცხედრის სანახავად და გადმოსასვენებლად წასვლა. მამის მეგობარმა უთხრა:

*„ცხედარი მზის გულზე ევდო რამდენიმე დღის განმავლობაში, მთლიანად გასისხლიანებული იყო სხეული, სახე და თავი სისხლით ჰქონდა დაფარული. შიშით მისი სხვა ადგილზე გადასვენება და საფლავის გათხრაც კი ვერ შევძელით და გზის პირას, სადაც იდო გვამი, იქვე მივაყარეთ მიწა."*

ცხედარი მხოლოდ სექტემბერში გადაასვენეს სოფლის სასაფლაოზე.

ტყვიავის სამარშრუტო ტაქსში მყოფი ყოფილი ტყვეები **სოსო ოდიაშვილის** მკვლელობის შესახებ ყვებიან. ისიც ახსოვთ, როგორ დახვრიტეს ოსებმა იქ მყოფი კიდევ ერთი ახალგაზრდა, თუმცა მისი სახელი, სამწუხაროდ, არავინ იცოდა. ლევან გიგუაშვილისა და თამაზ ჩალაურის მონაყოლიც იდენტურია. **თამაზ ჩალაური** გვიამბობს:

*„ჩემს გვერდით სუსტი ბიჭი იყო, ეტყობა, მოძრაობდა და ოსმა ერთი-ორჯერ კონდახი ჩაარტყა თავში. იმას რომ ურტყავდა, მეც მომხვდა კონდახი მარჯვენა გვერდსა და თეძოს არეში. მერე უცებ ოსმა სამხედრომ ავტომატი გადატენა და ამ ბიჭს ორჯერ ესროლა შიგ თავში. ზედ დამაკლეს ის ბიჭი, სისხლი სულ ზედ გადმომესხა. იმ მომენტში ვიფიქრე, რომ მეც მესროდნენ და სიკვდილს ველოდებოდი."*[254]

**ლევან გიგუაშვილიც** ადასტურებს ამ ისტორიას. მეტიც, თავად ყოფილი ტყვე და სიკვდილს გადარჩენილი, გვიამბობს, როგორ მოიშორეს გვამი ოსებმა:

*„ახალგაზრდის მოკვლის შემდეგ ოსმა მძღოლმა მარშუტკა გააჩერა და იმ ბიჭის გვამი მარშუტკიდან გზაზე გადააგდეს. გარეთაც კიდევ ერთი ტყვია დაახალეს, შემდეგ გზა გავაგრძელეთ. ეს ამბავი დაახლოებით სოფელ ბროწლეთის მიდამოებში მოხდა."*

### *ალექსანდრე ბიბილაშვილის მკვლელობა*

*„13 აგვისტოს სოფელ კარალეთში შეიარაღებული უფორმო ადამიანები ისროდნენ და არავის ინდობდნენ, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა. ასე მოკლეს ერთ-ერთი ჩემი თანასოფლელი ალიკა ბიბილაშვილი. ის ოსებს წინააღმდეგობასაც კი არ უწევდა, უბრალოდ იდგა სოფლის ბირჟაზე და ესროლეს."*[255]

ალექსანდრე ბიბილაშვილის მკვლელობის შესახებ თვითმხილველმა **ბიძინა სუხიტაშვილმა** გვიამბო.

მოკლული ალექსანდრე ბიბილაშვილის მეუღლე **ზოია ბიბილაშვილი** გვიყვებოდა:

*„12 აგვისტოს 4 ან 5 საათი იქნებოდა, ალიკა სახლიდან სიგარეტის საყიდლად გავიდა. უკან რომ ბრუნდებოდა, სოფლის ბირჟაზე კაცები მსხდარან და იქ მისულა. დაჯდომას აპირებდა, ყავისფერი, „ჟიგულის" ტიპის ავტომანქანიდან რომ ესროლეს. ოსები იყვნენ. მაშინ ჯერ არ იყვნენ რუსები შემოსული და არც ფორმები სცმიათ. ავტომატიდან ესროლეს. ჩემი მეუღლე იქვე დაიღუპა."*[256]

ქალბატონ ზოიას მეზობელი **იზოლდა თედლიაშვილიც** ადასტურებს ალექსანდრე ბიბილაშვილის მკვლელობას.

*„ალიკა გამოსულა სახლიდან, პური ეჭირა ხელში. „ბირჟაზე" რომ მისულა, ვასიკო*

---

254 იხ. ინტერვიუ თამაზ ჩალაურთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 13 ოქტომბერს.

255 იხ. ინტერვიუ ბიძინა სუხიტაშვილთან, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2008 წლის 4 დეკემბერს.

256 იხ. ინტერვიუ ზოია ბიბილაშვილთან და იზოლდა თადლიაშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ 2008 წლის 4 დეკემბერს.

*მჯდარა იქ, ჩვენი სოფლელი, ზაალიშვილია. ისიც მისულა და იქ ჩამომჯდარა. 12 აგვისტო იყო, კარგად მახსოვს. მაგ დღეს დაიწყო ჩვენს სოფელში დიდი დაძაბულობა. ოსებმა ამოიარეს მანქანით. ალიკას დაუძახნია, რა არის, ბიჭებო, რა მოხდაო, ჩვენები ეგონა – ფორმები არ ეცვათ და არაფერი. შენ აქ ხარ კიდევ, რატომ არ წახვედიო და ავტომატით ორჯერ გადაცხრილეს, თან მიდიოდა მანქანა და თან ესროდნენ.*

*„ალიკას ოსებმა რომ ესროლეს, ჩვენს მეზობელს მარო სამხარაძეს დაუნახავს ფანჯრიდან. ჩვენს სოფლელებს, გივის და გელასაც ესროლეს, მანქანის წართმევა უნდოდათ. ის მომენტი იყო. ეს სწორედ ის ოსები იყვნენ, რომლებმაც ალიკას ესროლეს. მაგ დროს გივის მანქანას ჩაბმული ჰქონდა გიას მანქანა. რომ დაინახა, ოსები მოსდევდნენ, გაწყვიტა ღვედი და გაიქცა. გივი რომ ვერ დაიჭირეს და მანქანა ვერ წაართვეს, გამწარებულები იყვნენ. მაშინ გივი დაიჭრა. მერე ამოიარეს და უმისამართოდ ისროდნენ. ბირჟაზე ალიკა რომ დაინახეს. გადაცხრილეს.“*[257]

შესაძლოა, სწორედ ამ მკვლელობის შესახებ არის ლაპარაკი ეუთოს 2008 წლის ნოემბრის ანგარიშშიც. მიუხედავად იმისა, რომ იქ მსხვერპლის სახელი და გვარი მითითებული არ არის, მკვლელობის ისტორია და გარემოებები იდენტურია. სწორედ ოსებით დატვირთული მანქანიდან სროლის ფაქტია აღწერილი აღნიშნულ ანგარიშშიც, რაც სოფლის მცხოვრებლების მიერ აღწერილი სოფელში შექმნილი მძიმე მდგომარეობის კიდევ ერთი დადასტურებაა.[258]

### *მორის პაპუაშვილის მკვლელობა*

სოფელ ახალდაბის მოსახლის, **მორის პაპუაშვილის** მკვლელობის ისტორიას იხსენებს მისი კოლეგა **მერაბ ხეხელაშვილი**, რომელთან ერთადაც 12 აგვისტოს იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით სოფელ ახალდაბის გორის ტელე-რადიოგადამცემ სადგურზე გაემგზავრა.



*ვახტანგ შავდათუაშვილის მანქანა, რომელშიც მოკლეს მორის პაპუაშვილი.*

*„დაახლოებით 11 საათისათვის საჰაერო დაბომბვა კვლავ განახლდა. უშუალოდ ანძაზე ბომბები არ ჩამოუყრიათ, მაგრამ ანძიდან დაახლოებით 100 მეტრში, ტყეში ჩამოყარეს ბომბები. იქაურობა სულ კვამლში იყო გახვეული. დაბომბვა გარკვეული შუალედებით დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა. მე და მორის პაპუაშვილს შეგვეშინდა, რომ თვითმფრინავებს უშუალოდ სადგურიც არ დაებომბათ, ამიტომ ტელე-რადიოსადგურის შენობიდან გამოვედით და იქაურობას გავერიდეთ. იქვე, სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიტოვებულ სანაგვეს შევაფარეთ თავი.“*

მალე ახალდაბის ანძაზე ტელე-რადიოსადგურის დირექტორი ვახტანგ შავდათუაშვილი ავიდა და შეეცადა, მორისი და მერაბი მისი კუთვნილი ავტომანქანა „ჟიგულით“ იქაურობისათვის გაეცილებინა. თუმცა, როგორც **მერაბ ხეხელაშვილი** გვიყვება,

*„ერთი კილომეტრი არც გვექნებოდა გავლილი, რომ ტელე-რადიოსადგურისკენ მიმავალი ტანკები დავინახეთ. როდესაც ტანკები მოგვიახლოვდნენ დაახლოებით 20-30 მეტრის მანძილზე, მათზე მსხდომმა ჯარისკაცებმა ინტენსიური ცეცხლი გაგ-*

---

257 ალექსანდრე ბიბილაშვილის მკვლელობის ანალოგიურ ისტორიას ყვება სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან ინტერვიუში სოფელ კარალეთის მცხოვრები ელდარ გოგიშვილიც. ინტერვიუ ჩაწერილია 2008 წლის 16 აგვისტოს, ქ. თბილისის 169-ე საჯარო სკოლაში.

258 იხ. "Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, 27 ნოემბერი, 2008 გვ.23

*ვიხსნეს. ჩვენ მანქანის სალონში ჩავიმალეთ“.*[259]

თავად ვახტანგ შავდათუაშვილი დეტალურად იხსენებს იმ მომენტს, როდესაც მოულოდნელად ტანკის პირისპირ აღმოჩნდა:

*„უცაბედად რაღაც ხმა შემოგვესმა. მოულოდნელად ამ შესახვევიდან ტანკი გამოჩნდა. თავდაპირველად მარტო ერთი ტანკი დავინახე. ტანკზე ზემოდან სამხედროები ისხდნენ, რომლებსაც მომწვანო ფერის სამხედრო ფორმები ეცვათ და ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. ტანკზე დაახლოებით 7-8 სამხედრო იჯდა. სამხედროების ნაწილმა, რომლებიც ტანკზე ისხდნენ, ცეცხლი გახსნეს ჩემი მანქანის მიმართულებით. ეს ტანკი ჩვენგან დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით იყო. სამხედროები ავტომატებიდან გვესროდნენ. ტანკი დავინახე თუ არა, მანქანა მაშინვე გავაჩერე, ბილიკზევე. მიუხედავად ამისა, სამხედროებმა მაინც განაგრძეს ჩვენსკენ სროლა.“*[260]

ამის შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდა. დაჭრილები ბოლო სამხედროების გავლას ელოდებოდნენ და შემდეგ მანქანიდან ხოხვით გადმოსვლას შეეცადნენ. სწორედ ამ დროს აღმოაჩინეს, რომ მორის პაპუაშვილი სისხლში ამოსვრილი უკვე მიწაზე იწვა.

*„მორის პაპუაშვილს ტყვია ყელში ჰქონდა მოხვედრილი, საიდანაც სისხლი სდიოდა და მალე გონებაც დაკარგა. დაჭრილი იყო ვახტანგ შავდათუაშვილთან ერთად ჩვენთან ამოსული გიორგი ხოსრუაშვილიც. შედარებით მსუბუქად იყო დაჭრილი თავად ვახტანგ შავდათუაშვილი.“*[261]

გადარჩენილები მეგობრის და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად სამედიცინო დახმარების მოსაძებნად გაეშურნენ. უკან დაბრუნებულებმა კი მორის პაპუაშვილი მანქანიდან დაახლოებით 200 მეტრში უკვე გარდაცვლილი იპოვეს.

*„მორისს მუხლები და მკლავები მთლიანად დაგლეჯილი და სისხლიანი ჰქონდა, როგორც ჩანს, ბევრი იხოხა და ხოხვით მოაღწია ამ ადგილამდე. სისხლის ნაკვალეევი მთელ სიგრძეზე იყო“. – გვიყვება ვასილ პაპუაშვილი.*[262]

უცნაური კი ის იყო, რომ მორისს უკვე ორი ჭრილობა ქონდა:

*„ერთი მარცხენა მხარეს ყელში ჰქონდა მოხვედრილი, საიდანაც სისხლი მოსდიოდა და ორი ტყვია შუბლში, თვალების მაღლა ჰქონდა ნასროლი.“*

ვასილ პაპუაშვილი ვარაუდობს, რომ „ალბათ, დაჭრილი რომ ფოფხავდა, მაშინ შეამჩნიეს სამხედროებმა და ესროლეს, ვინაიდან, როდესაც მისმა მეგობრებმა დატოვეს, მხოლოდ ყელში ჰქონდა ერთი ტყვია მოხვედრილი.“

ახალი ნატყვიარების შესახებ გვესაუბრებოდა **გიორგი გიორგაშვილიც:**

*„შუბლში მარჯვენა თვალის ზემოდან ჰქონდა ტყვია მოხვედრილი, რომელიც კოკროჭინასავით იყო გამოსული.“*[263]

---

259 იხ. ინტერვიუ მერაბ ხეხელაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. გორში, 2008 წლის 12 ოქტომბერს.

260 იხ. ინტერვიუ ვახტანგ შავდათუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გორის რაიონის სოფელ ახალდაბაში 2009 წლის 27 ოქტომბერს.

261 იხ. ინტერვიუ მერაბ ხეხელაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. გორში, 2008 წლის 12 ოქტომბერს.

262 იხ. ინტერვიუ ვასილ პაპუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 29 ოქტომბერს.

263 იხ. ინტერვიუ გიორგი გიორგაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 2 ოქტომბერს. მორის პაპუაშვილის მკვლელობასა და ახალდაბის ტელე-რადიოგადამცემთან მომხარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის მიცემულ ინტერვიუში ადასტურებენ გიორგი ხოსრუაშვილი, ვახტანგ შავდათუაშვილი და ვასილ პაპუაშვილი.

### *ვალიკო ჯოჯიშვილის მკვლელობა*

სოფელ ვანათის დატოვება ყველამ ვერ მოახერხა საოკუპაციო ჯარების მიერ სოფლის პატრულირების გამო. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დარჩენილი იყო სოფელში, ტყვედ მიჰყავდათ, ამიტომ დაბომბვის დასრულების შემდეგაც სოფელში დარჩენილი მოხუცები ძირითადად სარდაფებში იმალებოდნენ, ხოლო ვინც წინააღმდეგობის გაწევას ბედავდა, ადგილზე კლავდნენ.

**ვაჟა ჯოჯიშვილი** სწორედ სოფელში დარჩენილ ერთ-ერთ მოხუცს იხსენებს სინანულით:

> *„ჩემთან ერთად სოფლიდან გამოსვლა ვერ მოახერხა ბიძაჩემმა, ვალიკო ჯოჯიშვილმა, რომელიც 13 დეკემბერს მოკლეს რუსმა სამხედროებმა“.*[264]

### *ალიჩკა მინდიაშვილის მკვლელობა*

**გია ბაბუციძემ** სოფელი აჩაბეთი ოჯახთან ერთად 8 აგვისტოს დატოვა. თუმცა თავისი 70 წლის დედის გამოსაყვანად უკან შებრუნება ვეღარ შეძლო. უკვე მოგვიანებით. სოფლის ოკუპაციის დროს რუსი ჯარისკაცების დახმარებით შევიდა სოფელში და საკუთარი სახლის ნანგრევებში ჩამწვარი დედის ცხედარი ეზოში დაასაფლავა.

> *„მანქანიდან შევნიშნე, რომ სახლების სრული უმრავლესობა დამწვარი იყო. საკუთარ სახლს რომ მივუახლოვდი, რუსებს მანქანის გაჩერება ვთხოვე, რათა მომეძებნა დედაჩემი, რომელსაც გადაადგილება უჭირდა და ამიტომაც ვვარაუდობდი, რომ მას სადმე სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვნახავდი. ჩემი სახლი და ეზოში მდგარი სხვა დამხმარე ნაგებობები სრულიად იყო დამწვარი. სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დედაჩემი რომ ვერსად ვნახე და მისი ცოცხლად ხილვის იმედი გადამეწურა, გადავწყვიტე, დამწვარ სახლში შევსულიყავი, რომ მისი ცხედარი მაინც მეპოვნა.*
>
> *სახლში შევედი თუ არა, მისი საძინებელი ოთახისკენ გავემართე, რადგან, როგორც წესი, იგი იშვიათად ტოვებდა ამ ოთახს. საძინებელში შესულს საშინელი სურათი დამხვდა, საწოლზე დედაჩემის ძვლები და ფერფლი ეყარა. მართალია, სახლი და შიგნით ავეჯი სრულად იყო დამწვარი, მაგრამ რკინის საწოლზე დარჩენილი დედაჩემის ძვლები და ფერფლი კარგად შევამჩნიე. ცხადი გახდა, რომ მან ცეცხლწაკიდებული სახლიდან გამოსვლა ვერ მოახერხა.“*[265]

### *ვასილ მექარიშვილის მკვლელობა*

სოფელ დვანში რუსები პირველად 12 აგვისტოს გამოჩნდნენ. ისევე როგორც ყველგან, რუსებს აქაც ოსები შემოჰყვნენ და სახლების ძარცვა, დარჩენილი მოსახლეობის დაშინება და აწიოკება დაიწყეს.

„13 აგვისტო იყო, სოფლის ცენტრში ვიყავით, როდესაც ვასიკო მოკლეს“ – სევდანარევი ხმით გვიყვება გიორგი მექარიშვილი. თავად ბატონ გიორგის ფიზიკური შესაძლებლობები შეზღუდული აქვს და ამიტომ ვერ დატოვა სოფელი. ნაშუადღევსაც სოფლის ცენტრში იყო როდესაც გაჩერდა ავტომობილი, საიდანაც სამი შეირაღებული და ნასვამი ოსი გადმოვიდა. სამივეს სამხედრო ფორმა ეცვა და იარაღი ჰქონდა. ერთ-ერთმა იქ მყოფებს თავის მკერდზე ჯვრების კოცნა მოსთხოვა.

> *„მგონი, სამი ჯვარი ეკიდა, თეთრი, წითელი და შავი. ქართულად გველაპარაკებოდნენ, მაგრამ ოსური აქცენტით. სოფელში ალიოშა კოკოშვილი შეხვედრიათ და, როგორც თავად მითხრა, იარაღი პირში ჩაუდვიათ ჯვრებზე კოცნის მოთხოვნით. მიადგნენ ვასიკოს და მისგანაც იგივეს ითხოვდნენ. მაგრამ უარი მიიღეს. ის*

264 იხ. ინტერვიუ ვაჟა ჯოჯიშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ 2008 წლის 25 დეკემბერს.

265 იხ. ინტერვიუ, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ 2008 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში, 117-ე ბაგა-ბაღში, ჟვანიას ქ. 42.

*ავად იყო გონებრივად და კოცნის ნაცვლად, ფეხზე ადგა და შეაგინა. ამის შემდეგ ერთ-ერთ მათგანს ხელიც კი ჰკრა. სამხედრომ პასუხად იარაღი ვასიკოს ყელზე დაადო და ესროლა. იმწამსვე გათავდა.“*[266]

**ვასიკო მექარიშვილის** მკვლელობას **თემურ კოპაძეც** გვიდასტურებს. მართალია, ბატონ თემურს ზუსტად არ ახსოვს, 12 აგვისტო იყო თუ 13, მაგრამ სოფლის ცენტრში, მის თვალწინ ადამიანის მკვლელობა კარგად ახსოვს.

*„მისგან კოცნას მოითხვდნენ. ვასიკომ ალბათ უბრალოდ ვერ გაიგო, ვერ მიხვდა რა უნდოდათ. ის ხომ სულით ავადმყოფი იყო. ესროლეს და მოკლეს. შემდეგ იქვე დააგდეს და წავიდნენ“*[267].

### *ერვანდ ბეჟაშვილის მკვლელობა*

**თემურ კოპაძე** 16 აგვისტომდე სოფელ დვანში იყო. 11 აგვისტოს სოფელში თანდათან სხვადასხვა ჯურის ხალხი მატულობდა. სახლებს წვავდნენ. მის მეზობელს, ვაჟა კოკოშვილს დაურეკეს, „შენი სახლი იწვისო“ და სარდაფიდან ამოვიდნენ სახლის სანახავად. სწორედ ამ დროს გაიგეს ქალის ტირილის ხმა.

*„ხმას გავყევი და ნატო ბეჟაშვილი დავინახე.* ***ერვანდ ბეჟაშვილი****, მისი ქმარი, მკვდარი იყო. ნატომ გვითხრა, რომ დაინახა, მის ქმარს როგორ ესროლა და მოკლა ოსებისა და რუსებისაგან შემდგარმა მძარცველების ჯგუფმა, რომელიც სოფლის ეკლესიაზე რუსული დროშის აღმართვის „ცერემონიალიდან“ ბრუნდებოდა. ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაინც რატომ მოკლეს ერვანდი.“*

თემურ კოპაძის მსგავსად **მანანა გოგალაძე-ივანიშვილიც** გვესაუბრა ერვანდ ბეჟაშვილის მკვლელობაზე. ქალბატონი მანანა თავად თვითმხილველი არ არის, მაგრამ მეზობლების მონაყოლს იხსენებდა, რომელმაც, შესაძლოა, ცოტათი ნათელი მოჰფინოს მკვლელობის გარემოებებს. მეზობლები კი ამბობდნენ, რომ დროშის კოცნაზე უთხრა უარი ოსებს და ამიტომ ესროლესო. მკვლელობის ეს კონკრეტული მიზეზი ჩვენ ვერ გადავამოწმეთ, თუმცა მკვლელობის ფაქტი ბევრი სხვა ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.[268]

V

## *ჩაცხრილვა თედოწმინდაში*

### *როლანდ ბურნაძისა და ტარიელ (ბეგლარ) გოგიშვილის მკვლელობა*

**ნათელა ჭოველიძე** პირველი ომის დროს ცხინვალიდან გამოიქცა და სოფელ ხვითში, დევნილობაში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან ერთად. ბატონი როლანდ ბურნაძე 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოკლეს.

*„მყავდა მეუღლე, როლანდი ბურნაძე, რომელიც დაიღუპა რუსული აგრესიის შედეგად. აგვისტოს 7-ში უკვე დაიწყო ჭურვების ჩამოყრა, ამ დროს ქართული ჯარი უკვე აქ იყო. 9 აგვისტოს ჩემმა მეუღლემ მე და დედაჩემი გაგვიყვანა სოფლიდან, ჩემი შვილი გიორგი უკვე წასული იყო, ჩემი მეუღლე კი სოფელში უკან დაბრუნდა.*

*12 აგვისტოს სოფელ ხვითში მასობრივი დაბომბვა იყო. ჩემი მეუღლე და მისი მამიდაშვილი ტარიელ გოგიშვილი შეშინდნენ და გადაწყვიტეს წამოსულიყვნენ.*

266 იხ. ინტერვიუ გიორგი მექარიშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ, 2008 წლის 23 ოქტომბერს, სოფელ დვანში.

267 იხ. ინტერვიუ თემურ კოპაძესთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ, 2008 წლის 11 სექტემბერს, გორში, ავტოსადგურში.

268 იხ. ინტერვიუ მანანა გოგალაძე-ივანიშვილთან, ჩაწერილი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, 2008 წლის 8 სექტემბერს, გორში, №10 საბავშვო ბაღში.

*წამოვიდნენ ჩემი მეუღლის მანქანით, თეთრი 07-ით, სახელმწიფო ნომრით BOY 041. ვარიანთან, ქარელის გადასახვევიდან ცოტა მოშორებით ჩაუცხრილავთ ჯარისკაცებს.*

*მე ზუსტად არ ვიცი, რუსები იყვნენ თუ ოსები. მათი დაღუპვის ამბავი გავიგე ვარიანელი ბიჭისგან, დუაშვილი მერაბისგან და ფხვენელი ომაძე როინისგან. ისინი ამ დროს იქ იმყოფებოდნენ. მანქანა გაუძარცვავთ და დაუწვავთ. ოთხი დღე იყვნენ ასე უპატრონოდ მიცვალებულები და მერე პატრიარქის დახმარებით გადმოასვენეს."*[269]



2008 წლის 12 აგვისტოს, სოფელ ვარიანთან გზაზე საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილული როლანდ ბურნაძე

**პაატა მჭედლიძემ** სოფლის დატოვების დროს, 14 აგვისტოს, თავად ნახა ამ შემზარავი ფაქტის შედეგი.

*„შევედით მეურნეობის გადასახვევთან. ვნახეთ ავტომობილი 07, რომელშიც სამი ადამიანი იყო ავტომატით ჩაცხრილული. ჩამსხვრეული ჰქონდა ყველა მინა. კორპუსზე მანქანას დაზიანება არ ეტყობოდა. ავტომანქანა გადასული იყო გზის სავალი ნაწილიდან".*[270] ნათელა ჭოველიძის მიერ ნახსენებ პირებს ჩვენმა მკვლევარებმა მიაკვლიეს და გამოჰკითხეს. **მერაბ ადუაშვილი** თავის მეზობლებთან ერთად რუს სამხედროებს ჰყავდათ დაკავებული და სწორედ ამ დროს გახდა თეთრი 07-ის დაცხრილვის მოწმე.

*„ახალი გათენებული იყო 12 აგვისტო, როცა შინდისის მხრიდან თეთრი ფერის 07-მა შემოუხვია. ჩვენ ჯერ კიდევ პირქვე ვიწექით. რუს ჯარისკაცებს არც გაუფრთხილებიათ და არც არაფერი, ისე გაუხსნეს ცეცხლი. ორივე პოსტიდან ცეცხლი ერთდროულად გაუხსნეს. მანქანა გასცდა პირველ პოსტს, მეორე პოსტს და სავალი გზიდან გადავარდა. რომ გადავარდა მანქანა, კიდევ ესროდნენ, ასი ტყვია მაინც ესროლეს. სროლის დროს იცინოდნენ და ხარხარებდნენ ჯარისკაცები. მანქანა რომ გადავარდა, მერე მიცვალებულებისთვის აღარც მიუხედავთ ჯარისკაცებს."*[271]

იმავე ისტორიის თვითმხილველია **როინ ომაძეც**[272], რომელიც მერაბ ადუაშვილთან ერთად ჰყავდათ დაკავებული რუს ჯარისკაცებს.

ტარიელ (ბეგლარ) გოგიშვილის მკვლელობის შესახებ მისმა მეუღლემ **ლამარა გოგიშვილმაც**[273] გვიამბო, თუმცა ქალბატონ ლამარას მხოლოდ მეზობლებისაგან ჰქონდა ინფორმაცია და ადასტურებს იმას, რაც ჩვენთვის თვითმხილველთა ჩვენებებით უკვე ცნობილია.

12 აგვისტოს ჩაცხრილული ავტომანქანები ნახა სოფელ ნიქოზის მკვიდრმა თეიმურაზ ლაზარაშვილმაც, რომელიც თავის ცოლისძმასთან ერთად მიდიოდა გორიდან სოფელ

---

269 იხ. ინტერვიუ ნათელა ჭოველიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 23 ივლისს, ქ. გორში ინფორმაცია ბურნაძისა და გოგიშვილის გადმოსვენების შესახებ, ასევე ფოტომასალა დაბეჭდილია ამერიკულ გაზეთებში. იხილეთ, „Georgia Calls on Russia to Pull Back its Troops Immediately", New York times, August 16, 2008

270 იხ. ინტერვიუ, ჩაწერილი სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მიერ 2008 წლის 16 აგვისტოს ქ. თბილისში, დადიანის ქ. 22-ში.

271 იხ. ინტერვიუ მერაბ ადუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 21 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ვარიანში.

272 იხ. ინტერვიუ როინ ომიაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 23 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ვარიანში. თავად რომან ომიაძის, მერაბ ადუაშვილის და კიდევ რამდენიმე დაკავებულის ისტორია დაწვრილებით იხილეთ ტყვიავის სამარშრუტო ტაქსის ავარიისა და ტყვეობის ეპიზოდებში.

273 იხ. ინტერვიუ ლამარა გოგიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 23 ივლისს, ქ. გორში.





*2008 წლის 12 აგვისტოს სოფელ ვარიანთან მოკლული როლანდ ბურნაძის, ტარიელ გოგიშვილისა და ამირან რაზმაძის ცხედრების გადმოსვენება.*

ნიქოზში სიდედრისა და სიმამრის გამოსაყვანად. აი რას გვიამბობს **თეიმურაზ ლაზარაშვილი**:

*„12 აგვისტოს [..] რუსების სამხედრო კოლონასთან – დაახლოებით 50 მეტრში დაცხრილული იყო „ვაზ 2107“ მარკის მსუბუქი მანქანა, სახელმწიფო ნომრით 041. მძღოლი – **როლანდი ბურნაძე** სიდენიაზე იყო მიყუდებული მკვდარი და მისი მეზობელიც მკვდარი იყო. ორივე სოფელ ზემო ხვითიდან იყვნენ. მე მათ ორივეს ვიცნობდი ძალიან ახლოს, რადგან ქვემო ნიქოზის საშუალო სკოლაში ერთად ვსწავლობდით. მანქანა გზიდან იყო გადასული მარჯვენა მხარეს.*

*ზუსტად რუსების ბლოკ-საგუშაგოსთან ტანკზე იყო შეხეთქებული „ვაზ 2410“ ბულდოგი მარკის მანქანაც ე.წ. „ვოლგა“ მისი მფლობელი **ამირან რაზმაძეც სოფელ ფხვენისიდან მკვდარი იყო მანქანაში**.“*[274]

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „21-ე საუკუნემ“ გორის წმინდა სამების ტაძრის მოძღვარ **მამა კონსტანტინეს** ისტორიაც ჩაიწერა, რომელიც 2008 წლის 12 აგვისტოს წირვის შემდეგ დედასთან და გზად შეხვედრილ სამ თანასოფლელ ქალთან ერთად სოფელ შინდისში მიემგზავრებოდა. სწორედ ამ დროს აღმოჩნდა ის საქაშეთში მომხდარი ტრაგედიის მოწმეც და დაზარალებულიც.

როგორც მამა კონსტანტინე აცხადებს, ცეცხლი რუსმა სამხედროებმა გაუხსნეს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ჩანდა – მანქანაში ქალები და სასულიერო პირი იმყოფებოდნენ:

*„ოკუპანტი განუწყვეტლივ ისროდა. ავტომობილს 12 ტყვია მოხვდა: წინა საქარე მინაში, წინა ორივე კარების მინებში, მარჯვენა კარებში, უკანა საქარე მინაში და სახურავზე.“*

სროლის დროს თავად მამა კონსტანტინე მძიმედ დაიჭრა, ხუთი ჭრილობა მიიღეს დედამ **ნორა ბაბიაშვილმა** და თანამგზავრმა **ფიქრია მაზმიშვილმა**.

*„მათ სროლა მაშინაც არ შეუწყვეტიათ, როცა შევძელი და ავტომობილი მოვაბრუნე. სისხლისაგან ვიცლებოდით, ისინი კი კვლავ გვესროდნენ. ალბათ გამწარდნენ, რომ ცოცხლები გადავრჩით. სულ მთლად სისხლში ვცურავდით და ასე სასწაულის ძალით ჩავაღწიეთ გორის საავადმყოფოში.“*[275]

### *თინათინ გიორგაძის მკვლელობა*

ადამიანების პირდაპირი დამიზნებით განზრახ მკვლელობა იშვიათი არ იყო აგვისტოს ომის დროს და გორის რაიონის სოფელ თედოწმინდასთან მანქანების დაცხრილვა სწორედ ამ სამწუხარო ტრაგიკული ისტორიების გაგრძელებაა.

გორელმა **პაატა გიორგაძემ**, რომელიც თავად სამხედრო სამსახურში იყო, 11 აგვისტოს დატოვა კონფლიქტის ტერიტორია, თუმცა გორის დაბომბვის გახშირების შემდეგ უკან დაბრუნება და მოხუცი დედის სოფელ არაშენდაში გარიდება გადაწყვიტა. 12 აგვიტოს

274 იხ. ინტერვიუ თეიმურაზ ლაზარაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 19 მაისს.

275 იხ. ინტერვიუ გორის წმინდა სამების ტაძრის მოძღვარ მამა კონსტანტინესთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ.

დილით სოფელ არაშენდისკენ მიმავალი ტყვიების წვიმაში აღმოჩნდა.

> *„სოფელ თედოწმინდის სახლების გაყოლებაზე მივდიოდით. გზის მარცხენა მხარეს ჟიგულის ტიპის დაცხრილული მანქანა შევამჩნიეთ. მინები ჰქონდა ჩამსხვრეული, გარშემო არავინ ჩანდა. გავცდით თუ არა რამდენიმე მეტრით ამ მანქანას, მოულოდნელად ჩვენსკენ ტყვიების წვიმა წამოვიდა. უცებ აზრზეც ვერ მოვედი, საიდან გაგვიხსნეს ცეცხლი, რადგან არავინ ჩანდა. პირველი ტყვიები წინა საქარე მინას მოხვდა, ესე იგი ჩრდილოეთის მხრიდან ისროდნენ. თუმცა მინამ ტყვიები აისხლიტა და გადავრჩით. ამ დროს არც ერთი ჩვენგანი არ დაჭრილა, ისე გავასწარით. იქვე გზის გაყოლებაზე, თედოწმინდის აღმართზე, ერთი ბეემპე თუ ბეტეერი შევამჩნიე. შეუჩერებლივ გვესროდნენ, სავარაუდოდ, ავტომატიდან და ტყვიამფრქვევიდან. ტყვის წვიმა გრძელდებოდა. უცებ ვიგრძენი, რომ მარცხენა ფეხში დავიჭერი. მძღოლის კარები (მარცხენა წინა კარები) გახვრიტა ტყვიამ და მერე მარცხენა ფეხში მომხვდა. მანქანას პრაქტიკულად ვეღარ ვმართავდი. ვყვიროდი, შველას ვითხოვდი. მანქანიდან გადმოვფორთხდი. სროლას ისევ განაგრძობდნენ. ამ დროს მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. დავინახე დედაჩემი. ისიც მანქანიდან გადმოფორთხდა, მერე ერთი ამოიკვნესა და თავი მიწაზე დადო. დედას ჭრილობები ჰქონდა მარცხენა მხარეს, მუცელთან. მამაჩემმა დედაჩემის ნეშტი სოფელ არაშენდაში გადაასვენა და მესამე დღეს, 14 აგვისტოს იქვე, სოფლის სასაფლაოზე დაკრძალა.“*[276]

პაატამ მიმალვა მოახერხა და შემდეგ სოფლის მცხოვრებლებმა გორის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს. სადაც შემთხვევით თავისი კლასელი მამუკა ბერკაცაშვილი შეხვდა, რომლისგანაც ანალოგიური ისტორია მოისმინა.

მამუკას მანქანასაც დაახლოებით იმავე ადგილას, სოფელ თედოწმინდასთან, იმავე დღეს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც მის მანქანაში მჯდომი ორი ქალბატონი დაიღუპა, თვითონ კი ძლივს გადარჩა.



*სამოქალაქო პირების დაცხილვა თედოწმინდასთან.*

### *დოდო გარსევანიშვილისა და ნინო აბრამიშვილ-კაციაშვილის მკვლელობა*

პაატა გიორგაძესთან მისი კლასელის მამუკა ბერკაცაშვილის მიერ ნახსენები ქალბატონები დოდო გარსევანიშვილი და ნინო აბრამიშვილ-კაციაშვილი იყვნენ.

ვარიანელი მამუკა ბერკაცაშვილი ტაქსის მძღოლად მუშაობდა და საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს მოსახლეობას გადაადგილებაში ეხმარებოდა. მათ შორის 12 აგვისტოს სოფელ ორთაშენთან მანქანაში ჩაისვა ორი ქალბატონი, რომლებიც სოფელ ვარა-

---

276 იხ. ინტერვიუ პაატა გიორგაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 16 ივნისს.

იანამდე უნდა წაეყვანა. თედოწმინდის აღმართზე მათი მანქანაც ინტენსიური სროლის ქვეშ მოჰყვა.

> *„ჩრდილოეთის მხრიდან ავტომატებიდან ისროდნენ. ვცადე მანქანის მარცხენა მხარეს შეტრიალება, მაგრამ ძალა აღარ მეყო, და მთას შევეჯახე. ამ მომენტისთვის უკვე დაჭრილი ვიყავი. ერთი ტყვია გულის მხარეს მომხვდა, ხოლო მეორე ჯერ მარჯვენა მხარში, შემდეგ მხარმა ეს ტყვია გაატარა და იქიდან სახის მარჯვენა მხარე დამიზიანა. მხედველობა უცებ დამიქვეითდა. კარები გავაღე და მანქანიდან გადმოვფორთხდი. მანქანიდან ისე გადმოვედი, რომ მგზავრები ვერ დავინახე, რადგან მარჯვენა თვალით ფაქტიურად ვეღარ ვხედავდი. ამ დროს მანქანას მუხა ესროლეს. მარჯვენა მხარეს წინა კარებს მოხვდა, იქ, სადაც დოდო გარსევანიშვილი იჯდა. აფეთქების შედეგად წნევამ მანქანა ჰაერში ააგდო, ხოლო მე მთას მივასკდი. მუხის და შუშის ნამსხვრევები სახეში და მარცხენა ხელში მომხვდა. სროლები რომ შეწყდა, თავი წამოვწიე და სამხედროები დავინახე. მანქანიდან ქალების ხმა საერთოდ აღარ მესმოდა. შემდეგ რუსი სამხედრო მომიახლოვდა. გარეგნობით მივხვდი, რომ რუსი იყო. ჭრელი ფოთლიანი სამხედრო ფორმა ეცვა და ქუდი ეხურა. ძალიან გაუკვირდა, ცოცხალი რომ დამინახა და ავტომატი მომიშვირა. შეტრიალდა და საიდანაც ისროდნენ, იქითა მხარეს გადასძახა „живого нашел“ და წავიდა. მალე ის რუსი სამხედრო მობრუნდა და მას კიდევ სამი პირი მოჰყვა. მკითხეს „ползать можешь“? მე ვუპასუხე „уйду как-нибудь, только не стреляйте“. მანქანას დავეყრდენი და წამოვდექი. მაინტერესებდა, ეს ქალები როგორ მდგომარეობაში იყვნენ. მანქანაში ჩავიხედე და ორივე უკვე დახოცილი იყო. არც სუნთქვა ისმოდა, არც კვნესა, იმათი სახეები რომ დავინახე, შიშმა ამიტანა. შემოვტრიალდი და წამოვედი.“*[277]

გზად მომავალმა მამუკა ბერკაცაშვილმა კიდევ ორი სხვა მანქანა ნახა დაცხრილული.

### *ამირან რაზმაძის მკვლელობა*

ვარიანელი **მერაბ ადუაშვილი** სოფელ ვარიანში 11 აგვისტოს დაბრუნდა და სოფელი თითქმის მთლიანად დაცარიელებული დახვდა. სამდღიანი (8-10 აგვისტო) ინტენსიური დაბომბვის შემდეგ სოფელში სამოც კაცამდე თუ იქნებოდა დარჩენილი და ისინიც სოფელს ტოვებდნენ. თავად მერაბ ადუაშვილი მეზობლებთან ერთად 11 აგვისტოს სოფლის სასაფლაოზე წავიდა დაჭრილი თანასოფლელის მოსანახულებლად და სწორედ ამ დროს კიდევ სამ ვარიანელთან ერთად ტყვედ აიყვანეს რუსებმა.

> *„დაახლოებით 15 სამხედრო მაინც იქნებოდა. მკლავზე ზოგის ფორმას რუსული დროშის მსგავსი რაღაც ნაჭერი ქონდა მიკერებული. ჯარისკაცებმა ალყა შემოგვარტყეს, იარაღები მოგვიშვირეს და გვანიშნეს, წამოგვყევითო.“*[278]

დაკავების ადგილზე კიდევ რამდენიმე ქართველი დახვდათ სოფელ ფხვენისიდან და ორი ქუთაისელი ახალგაზრდა. სწორედ დაკავების დროს გახდნენ რუსი სამხედროების მიერ სოფლებიდან გამოქცეული ქართველების თედოწმინდასთან დახოცვის მოწმე.

> *„იქნებოდა დაახლოებით ღამის პირველი საათი, შავი ფერის ვოლგა. რომ გამოჩნდა ეს მანქანა სასაფლაოს რომ გამოსცდა, მე-2 ტანკი სადაც იდგა, იქიდან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაუხსნეს ცეცხლი. მანქანამ გზა გააგრძელა და კალონკასთან მდგომმა ჯარისკაცებმაც გაუხსნეს ცეცხლი. მანქანა სადღაც პირველ და მეორე პოსტს შორის იქნებოდა, როცა ორივე მხრიდან ესროდნენ და მანქანა ბოლოს ვარიანისკენ მდგომ ტანკს დაეჯახა. იქ მდგომმა ჯარისკაცებმა*

---

277 იხ. ინტერვიუ მამუკა ბერკაცაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 12 ივნისს.

278 იხ. ინტერვიუ მერაბ ადუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 21 აგვისტოს, გორის რაიონის სოფელ ვარიანში.

*კიდევ ესროლეს უკვე გაჩერებულ მანქანაში მძღოლს და შემდეგ გადმოიყვანეს მიცვალებული და იქვე დააგდეს. ტირიფის ხე იყო, იმას ტოტები დაატეხეს და ზედ დააყარეს. იმ მანქანაში კიდევ ქალი იჯდა (გარდაცვლილის მეუღლე ყოფილა), რომელიც გადმოიყვანეს და იმისი ქმარი სადაც დააგდეს, იმ ადგილიდან ერთი 5 მეტრის მოშორებით დააწვინეს.*

*ქალი დაჭრილი იყო. იქვე ეგდო მთელი ღამე. მთელი ღამე ტიროდა და შველას ითხოვდა ხან რუსულად და ხან ქართულად. გამთენიისას ქალი ტანკზე დაგვაწვენინეს და ტანკით ცხინვალისკენ წაიყვანეს."*

ქალბატონი, რომლის შესახებაც მერაბ ადუაშვილი მოგვითხრობს ნუნუ ჩლაიძეა, გარდაცვლილ ამირან რაზმაძის მეუღლე. ქალბატონმა ნუნუმ ჩვენს მკვლევარებს უამბო, რომ მანქანაში რაღაც აფეთქდა და შემდეგ გონება დაკარგა, ამიტომ არაფერი ახსოვს. როდესაც თვალი გაახილა, მისი მეუღლე, გარდაცვლილი, იქვე მიწაზე იწვა თავად კი ბენზინგასამართი სადგურის კედელთან იჯდა.

*„სულ სისხლიანი ვიყავი. დაჭრილი ვიყავი მხარში, ბეჭში, საჯდომზე, ასევე მარჯვენა ფეხში და მარცხენა ხელი მქონდა მაჯაში მოტეხილი, გარდა ამისა, შუბლი მქონდა დარტყმული."*[279]

ქალბატონი მანანა ტანკით საველე საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც პირველადი დახმარების აღმოჩენისთანავე წამოვიდა და ფეხით გორის ჰოსპიტალში ჩავიდა.

ამ ფაქტს **მიხეილ ღოღაძეც** შეესწრო, რომელიც სხვებთან ერთად რუსებს სამხედრო ბლოკ-პოსტზე ჰყავდათ დაკავებული.

*„რუსმა სამხედროებმა ვაზ 31-ს გაუხსნეს ცეცხლი, გასროლა გაუფრთხილებლად დაიწყეს, მათთვის არც დაუძახიათ, რომ მანქანა გაეჩერებინათ. სროლის შეწყვეტის შემდეგ ყრუ შეძახილების ხმა გავიგე. მანქანა ტანკს შეეჯახა. დაჯახების მერე მალევე კვლავ სროლის ხმა გაისმა, რუსი სამხედროები მანქანასთან მივიდნენ და მანქანაში ისროლეს. შემდეგ მანქანა დაათვალიერეს, თუმცა გავიგე, რომ რუსები ამბობდნენ, სამხედროც მკვდარიაო."*[280]

მერაბ ადუაშვილი იმასაც გვიყვება, რომ შავი ვოლგის დაცხრილვის დროს საკუთარ ჯარისკაცსაც შემთხვევით მოარტყეს და დაჭრეს, მაგრამ იქვე არხში გადააგდეს და ამის შემდეგ, სამწუხაროდ, მისი ბედით აღარავინ დაინტერესებულა.

თედოწმინდასთან ქართველი დევნილების ჩაცხრილვის შესახებ 2008 წლის 15 აგვისტოს გაზეთი „The New York Times" წერდა. გაზეთში გამოქვეყნებულია საპატრიარქოს მიერ ცხედრების გადმოსვენების ფოტო.[281]

---

279 იხ. ინტერვიუ ნუნუ ჩლაიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 13 ოქტომბერს.

280 იხ. ინტერვიუ მიხეილ ღოღაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 21 აგვისტოს, სოფელ ფხვენისში.

281 იხ. Rice, in Georgia, Calls on Russia to Pull Out Now, By ANDREW E. KRAMER and CLIFFORD J. LEVY, on 15 August, 2008 http://www.nytimes.com/2008/08/16/world/europe/16georgia.html

3.1 სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები ეთნიკური წმენდის შესახებ

3.2 რუსეთის პოზიცია ქართული სოფლების განადგურებასთან დაკავშირებით

3.3 საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია ქართული სოფლების განადგურებასთან დაკავშირებით

3.4 ქართული სოფლების განადგურება საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის ანგარიშში

3.5 ქართული სოფლების განადგურება საერთაშორისო მედიაში

3.6 შეტევა ქართულ სოფლებზე – ეთნიკური წმენდა

- სოფელი თამარაშენი
- სოფლები ავნევი და ნული
- სოფელი კეხვი
- სოფელი ვანათი
- სოფელი ქურთა
- სოფელი ბელოთი
- სოფელი დისევი
- სოფელი აწრისხევი
- ზემო და ქვემო აჩაბეთი
- სოფელი ზემო აჩაბეთი
- სოფელი ქვემო აჩაბეთი
- ერედვი – ბერულა – არგვიცი
- სოფელი ხეითი
- სოფელი კარალეთი
- სოფელი გუგუთიანთკარი
- სოფელი ქსუისი
- სოფელი ზარდიაანთკარი
- სოფელი საცხენეთი
- სოფელი თორტიზა
- სოფელი კარბი
- სოფელი ერგნეთი







# 3

***„საქართველოში ამჟამად ყოველი მეთერთმეტე ადამიანი დევნილია.“***

თომას ჰამარბერგი*

***„ეთნიკური წმენდა ნამდვილად განხორციელდა ეთნიკური ქართველების მიმართ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მას შემდეგ.“***

საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის ანგარიში**

***„სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართულ სოფლებში ისტორიები თანაბრად შემაძრწუნებელია. გასამხედროებული ფორმირებები შედიან სოფლებში, მანქანებს და საბარგულებს ავსებენ ყველაფრით, რასაც ფასი აქვს, შემდეგ კი წვავენ სახლებს და შემდეგი სოფლისაკენ მიემართებიან.“***

*რადიო „თავისუფლება“****

***„სამოქალაქო პირების საკუთრების ძარცვისა და განადგურების პოლიტიკამ ყოფილი ქართული სოფლები აჩრდილების ქალაქებად აქცია“***

*„Human Rights Watch“*****

***არსებობს თანხმობა, რომ „ეთნიკური წმენდის“ მიზანია მოსახლეობის გადაადგილება იმგვარად, რომ შეიცვალოს მოცემული ტერიტორიის ეთნიკური შემადგენლობა, და მივიღოთ ეთნიკურად ჰომოგენური, ანუ „სუფთა“ ტერიტორია***

*ვილიამ შაბასი******

***არც ერთი ქართველი აქ არ უნდა დარჩესო. მოხუცები აქ თუ დარჩებით, მერე ახალგაზრდებიც მოვლენ და ამიტომ უნდა წახვიდეთო.***

*ნოდარ დემეტრაშვილი, დევნილი სოფელ ბელოთიდან*

* "Human Rights in the Areas Affected by the south Ossetia Conflict", September 2008

** Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, September 2009

*** RADIO FREE EUROPE – „Rights Groups Say South Ossetian Militias Burning Georgian Villages“, by Brian Whitmore 30 September 2008

**** *Up in Flames,* Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 2009

***** William Schabbas, Genocide in international law: the crime of crimes, Cambridge University Press, 2000

## 3.1 სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები ეთნიკური წმენდის შესახებ



2008 წლის 15 აგვისტოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი *ედუარდ კოკოითი* გაზეთ „კომერსანტის" ჟურნალისტის კითხვაზე „რა ხდება ამჟამად ქართული ანკლავების ტერიტორიაზე?" აცხადებდა: **„არაფერი, ყველაფერი დაინგრა, სამხრეთ ოსეთის საზღვრები დადგენილია**". იქვე, იმავე ინტერვიუში, იგი დაჟინებით იმეორებდა, **„ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმე ოდესმე უკან დავაბრუნოთ**. საქართველოდან დაახლოებით 18 ათასი ოსი დევნილია ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთში და სწორედ ისინი უნდა დაბრუნდნენ სამხრეთ ოსეთში"[282].

ეს არ იყო დე ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითისა და, ზოგადად, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთადერთი განცხადება. ისინი რეგულარულად და ნებაყოფლობით ამცნობდნენ მსოფლიოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ „გაენადგურებინათ სამოქალაქო მოსახლეობის საცხოვრებლები, რათა ხელი შეეშალათ ეთნიკურად ქართული მოსახლეობის დაბრუნებისათვის".[283] 2008 წლის 19 აგვისტოს ამერიკული გამოცემა „USA Today" იუწყებოდა ედუარდ კოკოითის განცხადებების შესახებ.

> *„თავს ნუ შეიწუხებენ ქართველები უკან დაბრუნებით. მათი სოფლები ეთნიკურ ოსებს უნდა გადავცეთ".*[284]

---

282 იხ. რუსულ გაზეთ „Коммерсантъ" ინტერვიუ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტ ლიდერთან ედუარდ კოკოითისთან, „Komersant" 15.08.08; No144. http://www.kommersant.ru/

283 იხ. „Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.47

284 იხ. „Homecoming may be impossible for Georgians" By Jeffrey Stinson, 19 August, 2008, USA Today, at http://www.usatoday.com/news/world/2008-08-19-georgia_N.htm



*ედუარდ კოკოითი განადგურებული ქართული სოფლების დათვალიერების დროს.*

**„ყველაფერი დაინგრა, სამხრეთ ოსეთის საზღვრები დადგენილია.“**

ედუარდ კოკოითი
„Коммерсантъ“, 15 აგვისტო, 2008

**„ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმე ოდესმე უკან დავაბრუნოთ.“**

ედუარდ კოკოითი
„Коммерсантъ“, 15 აგვისტო, 2008

**„სამხრეთ ოსეთში ქართული ანკლავები ლიკვიდირებულია. სოფლები კეხვი და თამარაშენი, სამხედრო ოპერაციის შედეგად ახლა სრულიად განადგურებულია.“**

ედუარდ კოკოითი
REGNUM.RU, 22 აგვისტო, 2008

2008 წლის 22 აგვისტოს რუსულ გამოცემა „Комсомольская Правда“-სათვის მიცემულ ინტერვიუში, დე ფაქტო ხელისუფლების პარლამენტის თავმჯდომარე *ზნაურ გასიევი* აღიარებს ეთნიკურ წმენდას, თუმცა იმავდროულად ცდილობს მისი გარდაუვალობის დამტკიცებას:

> **„ომი აღარ იქნება... ჩვენ სასტიკი ქმედება ჩავიდინეთ, ვიცი. მაგრამ ქართველები აქ აღარ დაბრუნდებიან. ჩვენ გადავწვით მათი ყველა სახლი ანკლავების ტერიტორიაზე. სხვა გზა არ არსებობდა, რომ ომი შეგვეჩერებინა და კვანძი გაგვეხსნა**“.[285]

იმავე დღეს, 2008 წლის 22 აგვისტოს, რუსული სააგენტო „Regnum.ru” ბეჭდავს *ედუარდ კოკოითის* მორიგ ინტერვიუს, სადაც მისი განწყობა ერთი მისხლითაც არ არის შეცვლილი – „**სამხრეთ ოსეთში არსებული ქართული ანკლავები ლიკვიდირებულია. სოფლები კეხვი და თამარაშენი, რომლებიც უკონტროლო იყო (სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან), სამხედრო ოპერაციის შედეგად ახლა სრულიად განადგურებულია**“[286].

მოგვიანებით ეუთოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დამდგენ სპეციალურ მისიას (OSCE/ODIHR HRAM), რომელიც საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

---

285 იხ. Дмитрий СТЕШИН, „Южную Осетию отбили. Что с ней делать дальше?“, „Комсомольская Правда“, 22 Август 2008, http://www.kp.ru/daily/24150/366813

286 იხ. „სამხრეთ ოსეთში ქართული ანკლავები აღარ არსებობს.“ ინტერვიუ ედუარდ კოკოითისთან, სააგენტო REGNUM.RU, 22 აგვისტო 2008. გადმობეჭდილი იმავე დღეს, 22 აგვისტოს civil.ge-ს მიერ.

მოადგილემ, **ელეონორა ბედოევამ** ინტერვიუში განუცხადა:

> **„თუკი ქართველი, რომელიც რჩება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ვერ გაამართლებს ჩვენს მოლოდინს, მათ განვდევნით... მე არ მჭირდება ქართველების დაბრუნება ჩრდილოეთის სოფლებში თამარაშენსა და სხვებში, და მათ ამის შესაძლებელობა არ ექნებათ**".[287]

გარდა ამისა, 2008 წლის 13 აგვისტოს, მაშინ ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი **ანატოლი ბარანკიევიჩი**, რუსული გამოცემა „Российская газета"-ს ჟურნალისტთან აღიარებს მათთვის წაყენებულ ბრალდებებს ქართველთა ქონების განადგურებისა და მოროდიორობის შესახებ, მაგრამ იქვე საკუთარი ქმედებების გასამართლებლად დასძენს: **„ომი ომია**"[288].

საკუთარი მოქმედებების გამართლების კიდევ ერთი ქრესტომათიული მცდელობაა სამხრეთ ოსეთის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელის, **ირინა გაგლოევას** ინტერვიუ რუსეთის ადამიანის უფლებათა ცენტრ „მემორიალისათვის". ქალბატონი გაგლოევა შეეცადა აეხსნა და გაემართლებინა ქართულ სოფლებში განხორციელებული ძალადობა:

> *„ისინი თბილისთან და ქართველ სამხედროებთან თანამშრომლობდნენ – განსხვავებით იმ ქართული სოფლებისაგან, რომლებიც ოსური ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ იყო – და ამიტომ,* **მათ მიიღეს ზუსტად ის, რისთვისაც ბოლო 18 წლის განმავლობაში თავად ემზადებოდნენ**".[289]

ამგვარ განცხადებებს დამატებითი კომენტარები და ანალიზი არ სჭირდება. ისინი თავად იძლევა პასუხებს ყველა კითხვაზე დე ფაქტო ხელისუფლების მოტივაციის შესახებ.

ერთია ხელისუფლების მოტივაცია და მეორე – რიგითი ადამიანების მოქმედებები, რომელებიც მიღებულ ბრძანებებს ხალისით ასრულებენ. როდესაც დანაშაულის, დამნაშავეების, მიზეზების ძიება იწყება, არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „Human Rights Watch"-ის წარმომადგენლის ანა ნეისტატის განცხადება 2008 წლის 14 აგვისტოს ბრიტანული გაზეთისათვის „The Guardian", რომელიც შემდეგ ორგანიზაციის ანგარიშშიც აისახა:

> **„იმ სოფლებში** *(იგულისხმება ქართული სოფლები)* **სახლების განადგურება, გარკვეულწილად, რუსეთის მასობრივი პროპაგანდის მანქანის დამსახურებაცაა, რომელიც გამუდმებით ახსენებდა გენოციდს და მსხვერპლს აზვიადებდა. შემდგომში სწორედ ეს გამოიყენებოდა ანგარიშსწორების არგუმენტად**".[290]

უფლებადაცვითი ორგანიზაციები არ იყვნენ ერთადერთი, ვინც აგვისტოს ომის დროს ქართულ სოფლებში ჩადენილ სისასტიკეს, ქართველების მიერ არ მომხდარი „გენოციდის" ჩადენისათვის ანგარიშსწორებას უკავშირებდა. ჩვენ მიერ დევნილებთან საუბრების დროს ამგვარ მსჯელობასა და არგუმენტს ხშირად მოისმენდით. ერთ-ერთი ასეთი სოფელ ზემო ხვითის მცხოვრები **თამაზ გოგიშვილიცაა**, რომელსაც კარგად ახსოვს მის სოფელში შესული ოსების ბრალდებები.

> *„ოსები დამტვრეული ქართულით გველაპარაკებოდნენ, დასახვრეტები ხართ, თქვენებმა 12 წლის ბავშვები ჩაგვიხოცეს ცხინვალშიო".*

---

287 იხ. „Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.48

288 იხ. „South Ossetian Authorities acknowledged cases of looting: 'war is war'", August 13, 2008, at www.newsru,com/world/13aug2008/maroderstvo.htlm

289 იხ. *Up in Flames,* Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 2009, p.152

290 იხ. Tom Parfitt, „Human Rights Watch: Russia inflating casualty figures", on 14 August 2008, http://www.guardian.co.uk/world/2008/aug/14/georgia.russia1

### ***ხანძრის კერები სამხრეთ ოსეთში 7-24 აგვისტო, 2008 (სატელიტი 1)***




***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 24 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

რუკაზე ნაჩვენებია სატელიტის მიერ დაფიქსირებული ხანძრის კერები სამხრეთ ოსეთში ქ. ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, საქართველოში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს და მის შემდეგ, 2008 წლის 7-24 აგვისტოს შუალედში. ეს რუკა ცალსახად ადასტურებს დევნილთა ნაამბობს, რომ 2008 წლის 22 აგვისტოს რეგიონში ჩნდება ახალი ცეცხლის კერები.

**ცეცხლის კერები თარიღების მიხედვით**

- … 10 აგვისტო 2008
- … 12 აგვისტო 2008
- … 13 აგვისტო 2008
- … 17 აგვისტო 2008
- … 19 აგვისტო 2008
- … 22 აგვისტო 2008

## 3.2 ქართული სოფლების განადგურება: რუსეთის პოზიცია

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებისაგან განსხვავებით, **საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის დამოუკიდებელი მისიისათვის** გაგზავნილ ოფიციალურ კომუნიკაციაში, რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ყოფილი ავტონომიის ტერიტორიაზე კონფლიქტის მიმდინარეობის დროს „სამოქალაქო ობიექტების დაწვის, ძარცვის ან განადგურების" ფაქტებს, ისევე როგორც „ეთნიკურად ქართული მოსახლეობის გადაადგილების იძულებას".

> „რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, სამხრეთ ოსეთის სამართლადამცავებსა და სამხედრო შენაერთებთან ერთად, უზრუნველყვეს ქართულ სოფლებში მიტოვებული სახლებისა და მიწის ნაკვეთების ოცდაოთხსაათიანი დაცვა. ამასთანავე, უზრუნველყოფდნენ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვასა და უსაფრთხოებას მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად."[291]

და კიდევ, რუსეთის ფედერაცია იმავე კომუნიკაციაში აცხადებდა:

> „საქართველოს წინააღმდეგ მშვიდობის იძულების ოპერაციის მიმდინარეობის პერიოდში საერთაშორისო ჰუმანიტარული ან ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა აღმოჩენილი".

მიუხედავად რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირების მტკიცებისა, დევნილი ქართველების ისტორიები და სხვა ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებები რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობაზე მეტყველებს და ედუარდ კოკოითის განცხადებებს ადასტურებს. სოფელ თამარაშენის მკვიდრი, 31 წლის **დავით ძაძამია**, რომელმაც 10 აგვისტოს, დატყვევებულმა, ცხინვალის იზოლატორისაკენ მიმავალმა გაიარა ქართული სოფლები, ჩვენს მკვლევარებთან ინტერვიუში იხსენებდა:

> *„10 აგვისტოს ცხინვალისკენ გზაზე ვუყურებდი, როგორ ძარცვავდნენ და წვავდნენ სახლებს. აჩაბეთიდან თამარაშენამდე სულ ცეცხლის ალში იყო გახვეული მიდამო. თამარაშენში თეგაშვილი ოთარის სახლი პირველი დაიწვა. გოგიძე ავთოს სახლიც უკვე სულ დამწვარი იყო, ბოლიც აღარ ასდიოდა. დათაშვილი ოლინას და ქართლოსის სახლებიც იწვოდა და მაგათ მაღაზიასაც ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული."*[292]

კეხველი **თინა ნებიერიძის** მონათხრობიც იდენტურია:

> *„14 აგვისტოს გამოსვლა ვცადეთ სოფლიდან. საშინელი სანახაობა იყო. გზის ნაპირებზე ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. კვამლისაგან მზე არ ჩანდა და საშინელი სიმხურვალე იდგა."*[293]

---

291 იხ. Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, ტომი III, სექტემბერი 2009, გვ.484-486

292 იხ. ინტერვიუ დავით ძაძამიასთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 30 იანვარს.

293 იხ. ინტერვიუ თინა ნებიერიძესთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის" მიერ, 2008 წლის 24 ნოემბერს.



*რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები, სოფელი აჩაბეთი (სამხრეთ ოსეთი), აგვისტო, 2008 წელი*

**„რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, სამხრეთ ოსეთის სამართლადამცავებსა და სამხედრო შენაერთებთან ერთად, უზრუნველყვეს ქართულ სოფლებში მიტოვებული სახლებისა და მიწის ნაკვეთების ოცდაოთხსაათიანი დაცვა. ამასთანავე, უზრუნველყოფდნენ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვასა და უსაფრთხოებას მათი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.“**

რუსეთის პასუხები
საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის დამოუკიდებელი მისიის
ანგარიში, ტომი III, სექტემბერი, 2009

**„საქართველოს წინააღმდეგ მშვიდობის იძულების ოპერაციის მიმდინარეობის პერიოდში, საერთაშორისო ჰუმანიტარული ან ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა აღმოჩენილი.“**

რუსეთის პასუხები
საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი ევროკავშირის დამოუკიდებელი მისიის
ანგარიში, ტომი III, სექტემბერი, 2009

## 3.3 ქართული სოფლების განადგურება: საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია

რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირებისაგან განსხვავებით, ქართული სოფლების განადგურებას ადასტურებს ყველა, ვინც შეძლო 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საკუთარი თვალით ენახა ქართველთა ნასახლარები.

**ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი Memorial**:

> „ამჟამად, ეთნიკურად ქართული სოფლები, რომლებშიც ჩვენ ვიყავით (კეხვი, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, ერედვი, ვანათი, ავნევი), პრაქტიკულად მთლიანად გადამწვარია. დღესაც, საომარი მოქმედებების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ბოლო გადარჩენილ სახლებს წვავენ ყოველდღიურად. ჩვენ ამ სოფლებში ახალ-ახალი ცეცხლის გაჩენის მოწმენი ვხდებით."[294]

**ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია Human Rights Watch:**

> „ჩვენ აგვისტოში ვიყავით თამარაშენში, ზემო აჩაბეთში, ქვემო აჩაბეთში, ქურთაში, კეხვში. ჩვენმა მკვლევარებმა თავად ნახეს, როგორ იძარცვებოდა და ინგრეოდა ეს სოფლები. როდესაც სექტემბერში დავბრუნდით, სოფლები თითქმის მთლიანად განადგურებული დაგვხვდა. კეხვში, გზის პირას სახლების ნარჩენებს, ეტყობა, ბულდოზერი გადაატარეს. სექტემბერშივე ვიყავით ერედვში, ვანათში, ავნევსა და ნულში, რომელიც იმ დროისათვის მთლიანად ჩაფერფლილი იყო. ნოემბერში ვიყავით ბელოთში, საცხენეთში, აწრისხევსა და დისევში. ისინიც მთლიანად განადგურებულია.
>
> ადგილზე დათვალიერებამ და ინტერვიუებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ სამხრეთ ოსეთის ძალების ამოცანა იყო ამ სოფლების ეთნიკური წმენდა.

სახლების დანგრევა იყო წინასწარ განზრახული, სისტემატური და ამ სოფლების მცხოვრებთა ეთნიკური და პოლიტიკური კუთვნილებით ნაკარნახევი, ნათლად გამოკვეთილი მიზნით, რომ ყველას, ვინც გადარჩა, იძაურობა დაეტოვებინა და ამით უზრუნველეყოთ, რომ უკან აღარასოდეს არავინ დაბრუნებულიყო."[295]

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დროებითი კომიტეტი:**

> „მათი ასეთი მოქმედებები შესაძლებელია დავადასტუროთ დელეგაციის სოფელ ქსუისში ვიზიტით. სოფელი მთლიანად გაძარცული და დანგრეულია. დელეგაციამ მიიღო ინფორმაცია, რომ ზოგან, მთლიანად სოფლებს ბულდოზერი გადაატარეს და თითქოს წაშალეს."[296]

**ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია Amnesty International:**

ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ ტოვებს სატელიტური ფოტო-

294 იხ. Memorial Human Rights Center-ის სპეციალური პრეს-რელიზი: „A Month after the War, Violations of Human Rights and Norms of Humanitarian Law in the Conflict Zone in South Ossetia", September 11, 2008

295 იხ. Up in Flames, Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 2009, p.131

296 იხ. Memorandum: The situation on the ground in Russia and Georgia in the context of the war between these countries, *ad hoc* Committee of the Bureau of the Assambly, prepared by Mr.Luc Van den Brande (Belgium, EPP/CD), 29 September 2008. Doc.11720 Addandum II




ები, რომლებიც ინტერნეტში ადვილად ხელმისაწვდომია.[297] „ეს სურათები არ იტყუება“, აცხადებდა საერთაშორისო ამნისტიის წარმომადგენელი **არიელა ბლატერი**.[298] მიუხედავად იმისა, რომ ომის პირველი დღეების ამსახველი სატელიტური მასალა პრაქტიკულად ყველა ინტერნეტ-წყაროში დახურულია[299], ჯერ კიდევ შესაძლებელია კონფლიქტის დასრულების შემდგომი მდგომარეობის შესწავლა. იმ სატელიტურ ფოტოებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია, კარგად ჩანს ზიანი, რაც ქართულმა სოფლებმა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს და მათი დასრულების შემდეგ განიცადა. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, ერთმანეთს შევადაროთ 2008 წლის 10 და 19 აგვისტოს ფოტოები, სადაც თვალნათლად ჩანს ზიანის ზრდის დინამიკა. სწორედ ამ ფაქტებზე მიუთითებდა

297 იხ. www.unosat.org; და www.aaas.org/international/geotech/ge/georgia.kml

298 იხ. „Amnesty International Satellite images Revieal Damage to the Southe Ossetian Villages After Major Fighting Ended“; Amnesty International Press Release. October 9, 2008

299 “Satellites Operated by Major Commercial vendors (GeoEye, DigitalGlobe, and ImageSat International) were fully booked, preventing the tasking of a new image by AAAS for the duration of this conflict. Therefore, AAAS was forced to rely upon imagery requested by other entities to meet the needs of the project. Fortunately, it was possible to acquire imagery of the region surrounding Tskhinvali, one of the major sites of damage upon areas of civilian infrastructure, with a time scale concurrent to the conflict in the region. Specifically, AAAS acquired satellite imagery of the region for the dates of August 10 and August 19, 2008 to establish whether satellite imagery analysis supported AI’s witness reports”, *High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia*, Summary Report, October 9, 2008, American Association for the Advancement of Science, Science and Human Rights Program

***19 აგვისტო, 2008. სოფელი თამარაშენი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 2)***



„ეს სურათები არ იტყუება.“

**არიელა ბლატერი**
**Amnesty International**
**9 ოქტომბერი, 2008**

*წყარო: High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia, Summary Report, October 9, 2008,*

**Amnesty International,** 2008 წლის 9 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაში ამბობს:

> „დამატებითი ნგრევა ჩანს 10-დან 19 აგვისტომდე პერიოდში და აუცილებლად უნდა დადგინდეს, ვინ არის პასუხისმგებელი მილიციის შეტევებისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვაზე.”[300]

**ეუთოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის მისია**

ეუთო კონფლიქტის ზონაში 2008 წლის ნოემბერში იმყოფებოდა და შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად ენახა და გადაემოწმებინა ყველა ისტორია, რომელიც დევნილთა ბანაკებში უამბეს სიკვდილს გამოქცეულმა ქართველებმა. მისიამ თავის ანგარიშში განაცხადა:

> „ჩვენ ვიყავით ყველა ამ სოფელში და დავადასტურეთ ნგრევა. ზოგიერთ სოფელში სახლები მიწასთანაა გასწორებული ბულდოზერებით ან სხვა მძიმე ტექნიკით”.

იმავე ანგარიშში ვკითხულობთ:

> „სამხრეთ ოსეთში, ცხინვალის მახლობლად მდებარე ბევრი ქართული სოფელი, რომლებიც ძირითადად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, მთლიანად განადგურებულია. ქართული ჯარის გასვლის შემდეგ ეს სახლები ჯერ გაიძარცვა, ხოლო შემდეგ გადაწვეს; როგორც ირკვევა, ამგვარი მოქმედებები დე ფაქტო ხელისუფლებამ უპასუხოდ/დაუსჯელად დატოვა. ამჟამად ამ სოფლებში მოსახლეობის მცირე რაოდენობაა დარჩენილი და უმძიმეს პირობებში იმყოფება”.[301]

---

300 იხ. “Amnesty International Satellite images Revieal Damage to the Southe Ossetian Villages After Major Fighting Ended”; Amnesty International Press Release. October 9, 2008

301 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia”, OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.18, 43

**ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი**

მნიშვნელოვანია განცხადება „სამხრეთ ოსეთში ეთნიკური წმენდა გრძელდება“, რომელიც ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტმა 2008 წლის 24 ოქტომბერს გამოაქვეყნა. ამ განცხადების მნიშვნელოვნება იმაშიც მდგომარეობს, რომ ორგანიზაციის მკვლევარები რამდენიმე დღე კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ და საკუთარი თვალით ნახეს იქ არსებული მდგომარეობა და ბევრი უკანონობის თვითმხილველები გახდნენ:

> „ჩვენ მიერ მოპოვებული მასალიდან კარგად ჩანს, რომ მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმები სისტემატურად ხდება დღემდე, და მისი მიზანი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლაა. შეიარაღებული კონფლიქტის პირველ ეტაპზე (რომელიც მოიცავს 5 დღეს 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე) კონფლიქტის ორივე მხარემ სავარაუდოდ ომის დანაშაული ჩაიდინა სამხედრო ობიექტებისა და არასამხედრო ობიექტების დაბომბვითა და მათ წინააღმდეგ დისპროპორციული ძალის გამოყენებით. კონფლიქტის მეორე ეტაპზე **მშვიდობიანი მოსახლეობა ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა რუსული სამხედრო ძალების აქტიური კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, რომლის შედეგი იყო ეთნიკური წმენდა**.
>
> მოროდიორობის უამრავ ფაქტს თან ახლდა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: მკვლელობები, გაუპატიურება, მძევლად აყვანა, თავისუფლების აღკვეთა, ცემა, მუქარა, სახლების სისტემური გადაწვა და სახელმწიფო თუ პირადი საკუთრების განადგურება. ჩვენ მოგვეპოვება მასალა რუსეთის სამხედრო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 16 მშვიდობიანი ადამიანის მოკვლის შესახებ (აღსანიშნავია, რომ ისინი არ არიან სამხედრო ოპერაციების დროს ურთიერთსროლისას, დაბომბვისას და საარტილერიო ცეცხლის შედეგად ან აუფეთქებელ ნაღმებზე აფეთქების შედეგად მოკლულნი). ნათელია, რომ ბევრი მათგანი ადგილზევე მოკლეს. “[302]

**საერთაშორისო ორგანიზაცია FLARE**

FLARE თავის დასკვნაში მრავალი სხვადასხვა ისტორიის შესახებ გვიამბობს, რომელიც, მათი განცხადებით, „ეთნიკური წმენდის დადასტურებაა“.

> „კონფლიქტის ზონაში, სოფლები ერედვი, ავნევი, ნული, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, კეხვი, დისევი მიზანმიმართულად არის გადამწვარი და დანგრეული. ამ ტერიტორიების ნაწილი (ერედვი, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, კეხვი, ტყვიავი, ფხვენისი, ნიქოზი) ასევე დაიბომბა 8–10 აგვისტოს .“[303]

## 3.4 ქართული სოფლების განადგურება: საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის პოზიცია

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართველების ეთნიკურ წმენდას ადასტურებს საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიაც:

> „სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების და არარეგულარული ფორმირებების მიერ

302 იხ. „Georgia-Russia conflict: Ethnic Cleansing Continues in South Ossetian Conflict Zone in Georgia“, by Aage Borchgrevink, The Norwegian Helsinki Committee, 24 ოქტომბერი, 2008 წელი, http://www.nhc.no/php/index.php?module=article&view=784

303 იხ. International Monitoring Group of Freedom Legality and Rights in Europe (FLARE) „Report on the Conditions of the Civil Population during the Conflict between the Russian Federation and Georgia” September 2008, p.10, at http://peace.yhrm.org/files/EUreport_final.pdf

ეთნიკურ წმენდის დანაშაულთან დაკავშირებით მისიამ აღმოაჩინა იმ ეთნიკური ქართველების იძულებითი დევნის შემთხვევები, ვინც საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს საკუთარ სახლებში რჩებოდა. დამატებით სახეზეა სამხრეთ ოსეთში ეთნიკურად ქართული სოფლების სისტემური ძარცვისა და განადგურების მტკიცებულებები. შესაბამისად, მრავალი ელემენტი გვაფიქრებინებს, რომ ეთნიკური წმენდა ნამდვილად განხორციელდა ეთნიკური ქართველების მიმართ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მას შემდეგ."

გარდა იმისა, რომ მისიამ დაადგინა სისტემური ეთნიკური წმენდა, ანგარიშში საუბარია რუსეთის პასუხისმგებლობის შესახებაც, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, უშუალოდ ომის დღეებში და მას შემდეგ ამ ტერიტორიაზე სწორედ ეფექტური კონტროლის მქონე ძალას ეკისრებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ვალდებულება.

„7/8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე განხორციელებული ქმედებების გარდა, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დამატებითი მოქმედებები განხორციელდა, რაც სერიოზული შეშფოთების საგანია იმ ძალის პასუხისმგებლობის თაობაზე, რომელიც აკონტროლებდა ვითარებას და ვისი ვალდებულებაც იყო, დაეცვა სამოქალაქო მოსახლეობა."[304]

## 3.5 ქართული სოფლების განადგურება: საერთაშორისო მედიის პოზიცია

მსოფლიოს გავლენიან პრესაში ქართული სოფლების ეთნიკური წმენდის შესახებ კონ-სენსუსია. იმ დღეებში ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენი ანგარიშის ფურცლები ვერ გასწვდება 2008 წლის აგვისტო-სექტემბრის პრესის მიმოხილვას, ამიტომ საილუსტრაციოდ გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს.

„ქართველების ეთნიკური წმენდის მტკიცებულება ნათელია... "წინ თბილისისკენ" მიწერილია რუსულად ერთ-ერთი დანგრეული სახლის ჭიშკარზე"

ჟურნალი „*The Economist*", 25 სექტემბერი, 2008.




*„წინ თბილისისაკენ", სამხრეთ ოსეთი, აგვისტო 2008*

304 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, ტომი I, გვ.26-27; სექტემბერი 2009

ჟურნალი „*The Economist*" 2008 წლის 25 სექტემბერს კვლავაც ამცნობდა მსოფლიოს:

„სისტემატური ნგრევა, ძარცვა და ქართული სოფლების ეთნიკური წმენდა გრძელდება, როგორც სამხრეთ ოსეთის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც".[305]

2008 წლის 4 სექტემბერს ბრიტანული „The Guardian" ასევე წერდა:

„ახლა, როდესაც ამას კითხულობთ, ევროპის კიდევ ერთი კუთხე ეთნიკურად გაასუფთავეს. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდა კაცები დახოცეს, მოხუცი ქალები გარეკეს მათი საცხოვრებელი სახლებიდან, სოფლები გაძარცვეს და გადაწვეს.

„**დიახ, ჩვენ ჩავატარეთ ეთნიკური წმენდის ოპერაცია**" – განუცხადა მილიციის მეთაურმა „კაპიტანმა ელრუსმა" „The Guardian"-ის ლუკ ჰარდინგს. ეს სასტიკი დანაშაულები ჩადენილია რუსი სამხედროების ცხვირწინ, ამჟამად მშვიდობისმყოფელებთან მხოლოდ იმიტომ, რომ ცისფერი ჩაფხუტები ახურავთ. ეთნიკური წმენდა გადავიდა ბუფერულ ზონაშიც მთელ სამხრეთ ოსეთში".[306]

12 აგვისტოს Associated Press-ის კორესპონდენტიც იტყობინებოდა, რომ მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ იწვოდა სულ ცოტა ათი ქართული სახლი და რეგიონში მრავალი ძარცვის მოწმეც გახდა.[307]

2008 წლის 14 აგვისტოს „New York Times" წერდა:

„რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის მეორე კვირას, კონფლიქტის ზონის რამდენიმე ქართულ სოფელში სულ უფრო მატულობს ძარცვის და ეთნიკური წმენდის მტკიცებულება. თავდასხმები – რომელიც საკუთარი თვალით ნახეს რეპორტიორებმა და ადამიანის უფლებათა დამცველებმა – მოიცავს ქურდობას, სოფლების გადაწვას და მკვლელობებსაც. {...}. თავდამსხმელები განსხვავდებიან, მაგრამ სახეზეა ეთნიკურად ოსების მხრიდან ეთნიკურ ქართველებზე შეტევა. ამას ადასტურებენ რუსეთის ფედერაციის ჩინოვნიკებიც. „ამჟამად ოსები დასდევენ და კლავენ საწყალ ქართველებს მათსავე სოფლებში", განგვიცხადა გენერალმა ვიაჩესლავ ბორისოვმა, რომელიც რუსების მიერ ოკუპირებული გორის კომენდანტია."[308]

2008 წლის 15 აგვისტოს ანალოგიური მასალა დაიბეჭდა კიდევ ერთ ამერიკულ გაზეთში „The Washington Times", რომელიც ასევე ვარაუდობდა, რომ საქართველოში ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი.[309]

2008 წლის 29 აგვისტოს გაზეთი „USA Today" წერდა:

„Associated Press"-ის რეპორტიორმა, 22 აგვისტოდან მოყოლებული ხუთშაბათამდე, საკუთარი თვალით ნახა ქართველთა სახლების ძარცვა სულ მცირე 6 სხვადასხვა სოფლებში: აჩაბეთში, კეხვში, თამარაშენში, ქსუისსა და ერედვში, ისევე როგორც ცხინვალის მახლობლად.

„მაშინ როდესაც ქართველების უმრავლესობა წასულია, შთაბეჭდილება რჩება,

305 იხ. „Coping with the fraught aftermath of August's war, Georgia and Russia-Tense times", THE ECONOMIST, 25 September 2008

306 იხ „Only a combination of deterrence and détente can meet this challenge", by Timothy Garton Ash, The GUARDIAN, 4 September 2008

307 იხ. „თბილისი აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში მოხდა „ეთნიკური წმენდა", „სივილ ჯორჯია", თბილისი / 13 აგვ. 08 / 17:43

308 იხ. Sabrina Tavernise and Matt Siege, „Signs of Ethnic Attacks in Georgia Conflict", August 14, 2008, New York Times, at http://www.nytimes.com/2008/08/15/world/europe/15ethnic.html?_r=1

309 იხ. Kelly Hearn „Georgia claims ethnic cleansing, U.S. envoy cites credible reports of violence by 'irregular forces", August 15, 2008, The Washington Times, at http://www.washingtontimes.com/news/2008/aug/15/georgia-claims-ethnic08

რომ საქმე გვაქვს მცდელობასთან გაქრეს მეხსიერებიდან მათი აქ ყოფნის ფაქტი. ხუთშაბათს, სამხრეთ ოსეთის პოლიციამ ჩამოაგდო საგზაო ტრაფარეტი რომელსაც ქართულად და ლათინურად ეწერა ქართული სოფლის, თამარაშენის სახელი. ეს კი მაშინ ხდებოდა, როდესაც ბულდოზერი ბოლო გადარჩენილ სახლებსაც მიწასთან ასწორებდა. თვითმხილველთა მიხედვით, სულ მცირე კიდევ სამი სხვა ქართული სოფელი გაასწორეს მიწასთან ბულდოზერით ამ დღებში.“[310]

## 3.6 შეტევა ქართულ სოფლებზე – ეთნიკური წმენდა

პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც ომის დროს და მის შემდეგ მოახერხა და შევიდა კონფლიქტის ზონაში, ერთხმად აღიარებს, რომ 2008 წლის აგვისტოში მიმდინარეობდა მიზანმიმართული შეტევა ქართულ მოსახლეობაზე დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში. მკვლევარები, ჟურნალისტები და, რაც მთავარია, თვითმხილველები, ყვებიან მრავალ ისტორიას სოფლების ძარცვის, გადაწვის, მოსახლეობის იძულებით განდევნის, მკვლელობების, ყაჩაღობის, დამცირების, მუქარისა და წამების შესახებ.

### *სოფელი თამარაშენი*

თამარაშენის სატელიტური ფოტოები სრულ ინფორმაციას იძლევა, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ გამოკითხული თვითმხილველების ისტორიების დასადასტურებლად, ხოლო მეორე მხრივ, თვალნათელს ხდის ზარალის ხარისხს, რომელიც სოფელს მიადგა.

***10 აგვისტო, 2008. სოფელი თამარაშენი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 3)***



*2008 წლის 10 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ სოფელს ზიანი ჯერ არა აქვს მიყენებული*

***წყარო:*** *High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia, Summary Report, October 9, 2008, AAAS, Science and Human Rights Program*

310 იხ. “AP IMPACT: Georgians uprooted in South Ossetia”, By Yuras Karmanau, on 29 August, 2008 at http://www.usatoday.com/news/world/2008-08-29-3937720385_x.htm

ამ ქვეთავში მოცემულია სოფელ თამარაშენის ორი სატელიტური სურათი. პირველი გადაღებულია 2008 წლის 10 აგვისტოს და სურათზე კარგად ჩანს, რომ სოფელი ჯერ კიდევ თითქმის უვნებელია. 10 აგვისტოს გადაღებულ სატელიტურ ფოტოზე არ ჩანს განსაკუთრებული ძალადობის, მასირებული დაბომბვის ან რაიმე სხვა სერიოზული საბრძოლო ოპერაციის კვალი, არ ჩანს ცეცხლის კერები. როგორც შემდეგ თვითმხილველთა ისტორიებითაც დასტურდება, სოფლის ძარცვა, გადაწვა და განადგურება ძირითადად 2008 წლის 11 აგვისტოს დაიწყო.

მეორე სურათი გადაღებულია 2008 წლის 19 აგვისტოს. სატელიტიდან გადაღებული ფოტოს დეტალური შესწავლის შედეგად ნათლად ჩანს, რომ სოფელი პრაქტიკულად მთლიანად განადგურებულია. სატელიტური წყაროს ანგარიშის მიხედვით სულ განადგურებულია 152 ობიექტი. რადგან საუბარია სოფელზე შეზღუდული ინფრასტრუქტურით, ბუნებრივია, რომ გადამწვარი, დანგრეული და დაბომბილი ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, სკოლა, საბავშვო ბაღი და სხვა, ერთმნიშვნელოვნად სამოქალაქო ინფრასტრუქტურისათვის განკუთვნებული შენობა-ნაგებობებია.

2008 წლის 9 ოქტომბერს, სწორედ სოფელ თამარაშენთან დაკავშირებით, სწორედ სატელიტურ ფოტომასალაზე დაყრდნობით, **Amnesty International** მთელ მსოფლიოს ამცნობდა:

> „თამარაშენში, რომელიც კონფლიქტამდე ძირითადად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული, 10 აგვისტოს არ ჩანს პრაქტიკულად არავითარი ზიანი. ცხრა დღის შემდეგ კი ანალიზი აჩვენებს 152 დანგრეულ შენობას, ანუ სოფლის საერთო ინფრასტრუქტურის დიდ ნაწილს".[311]

***19 აგვისტო, 2008, სოფელი თამარაშენი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 4)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 152 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

311 იხ. „Amnesty International Satellite images Revieal Damage to the Southe Ossetian Villages After Major Fighting Ended"; Amnesty International Press Release. October 9, 2008

ანალოგიურ ინფორმაციას იძლევა სატელიტური ფოტოების მეორე წყაროს, UNOSAT-ის მასალაც, სადაც ფოტოები კიდევ უფრო მოგვიანებით არის გადაღებული. მათი მონაცემებით თამარაშენში უკვე 205 დაზიანებული ობიექტი ჩანს. თვითმხილველების განცხადებით კი ცეცხლი ქართულ სახლებში სექტემბრის ბოლომდე გიზგიზებდა და როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თავად გახდა თამარაშენის ბულდოზერებით მიწასთან გასწორების თვითმხილველი.


*სოფელი თამარაშენი. 2008 წლის აგვისტო*

ეთნიკური წმენდის, ქართველების მასობრივი დევნისა და ქართველთა ნასახლარების ამოძირკვის კიდევ ერთ დასტურს ქმნის სტატისტიკა.

2002 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების შესაბამისად, სოფელ თამარაშენში 241 ოჯახი ცხოვრობდა. 1989 წლის აღწერის მონაცემებით, რომელიც ეთნიკურ შემადგენელზეც გვაწვდის ინფორმაციას, ქართველები 63, ხოლო ოსები მოსახლეობის 35 პროცენტს შეადგენდნენ. თამარაშენი 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ პრაქტიკულად მთელი დროის განმავლობაში საქართველოს იურისდიქციაში რჩებოდა და, შესაბამისად, ძირითადად ქართველებით ან შერეული ოჯახებით იყო დასახლებული. მას სეპარატისტები მუდამ ერთ-ერთ მთავარ „ქართულ ანკალავად" მოიხსენიებდნენ.

თუკი ვივარაუდებთ, რომ მაქსიმალური სტატისტიკური ნიშნული დაახლოებით 241 ოჯახია, შესაბამისად, 205 დანგრეული შენობა-ნაგებობა, რომელიც 19 აგვისტოს გაეროს სატელიტურ ფოტოებზე ჩანს, თვითმხილველთა ჩვენებები (მათ შორის, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, ვინც თამარაშენში 2008 წლის სექტემბერში იმყოფებოდა), რომ სახლები თამარაშენში სექტემბერშიც იწვოდა, ასევე ჩვენს ხელთ არსებული ფოტო- და ვიდეომასალა, იმის თვალნათელი ფაქტობრივი მტკიცებულებაა, რომ **თამარაშენი, როგორც სოფელი, აღარ არსებობს**. *დე ფაქტო* პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის განცხადება, რომ სოფლების „არსებობის კვალი წაშლილია", ამ კონკრეტული სოფლის შემთხვევაში დადასტურებულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.[312]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მასალებში, გარდა ამ კვლევაში მოცემული ინფორმაციისა და ფოტოსურათებისა, არის უამრავი სხვა ფოტო- და ვიდეოკადრი, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია ინტერნეტის ღია რესურსებით, ან გადაღებულია თავად დაზარალებულების მიერ სოფელში. ამ ვიდეომასალაში კარგად ჩანს, რომ ცხინვალის ჩრდილოეთით და სამხრეთით, მთავარი გზის გაყოლებაზე არც ერთი ქართული სოფელი აღარ არსებობს და ტერიტორიის დიდი ნაწილი ბულდოზერით არის გადასწორებული.

---

312 იხ. 2008 წლის 22 აგვისტოს, ედუარდ კოკოითის ინტერვიუ „სამხრეთ ოსეთში ქართული ანკლავები აღარ არსებობს", რუსული სააგენტო „REGNUM.RU", „სამხრეთ ოსეთში არსებული ქართული ანკლავები ლიკვიდირებულია. სოფლები კეხვი და თამარაშენი, რომლებიც უკონტროლო იყო სამხედრო ოპერაციის შედეგად, ახლა სრულიად განადგურებულია". ინტერვიუ იმავე დღეს, 22 აგვისტოს, გადმობეჭდა ქართულმა სააგენტომ civil.ge. აგრეთვე იხ. „Села грузинского анклава в Южной Осетии Курта и Тамарашени", ვიდეო მასალა გადაღებულია დიმიტრი სტეშინის მიერ, რომელიც 2008 წლის 17 აგვისტოს იმყოფებოდა ცხინვალსა და მის შემოგარენში, http://kp.ru/video/8997/

სოფლის მკვიდრმა, **ალექსი ნასუაშვილმა** და მისმა მეუღლემ, **ეთერ დათაშვილ-ნასუაშვილისამ**[313] პრაქტიკულად უკანასკნელებმა დატოვეს თამარაშენი. ალექსი ნასუაშვილი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ გადაადგილდებოდა და ამიტომ მოხუცები სოფელში დარჩნენ, თანაც იმის იმედით, რომ მთელი ცხოვრების ნაწვალებს გადაარჩენდნენ. მათი იმედი არ გამართლდა – ვერც საკუთარი სახლი გადაარჩინეს და ვერც ვინმეს უშველეს. თუმცა, ვინაიდან კონფლიქტის მიმდინარეობის დროს მუდმივად სოფელში იმყოფებოდნენ, თავიანთ სამეზობლოში ჩადენილი მრავალი დანაშაულის, ძარცვისა და ქართველთა სახლების მასობრივი გადაწვის მოწმენი გახდნენ.

81 წლის **ეთერ დათაშვილი** იხსენებს, რომ ოსები სოფელში პირველად 2008 წლის 10 აგვისტოს გამოჩნდნენ, მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის ჯარის კოლონებმა ჩაიარეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ქართველთა სახლებში თარეში. მათთანაც სხვადასხვა ჯგუფები მიდიოდნენ. ჯერ იარაღს ეძებდნენ, შემდეგ ამოწმებდნენ. 11 აგვისტოს დაახლოებით ხუთი ფორმიანი მივიდა, ოსები და რუსები. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი ალექსი ნასუაშვილი სახლში იყო, ცეცხლი გააჩინეს და სიცილით წავიდნენ.

> *„ერთ ოსის ბიჭს ერთ ხელში ნავთით სავსე ბოთლი ეჭირა, ხოლო მეორე ხელში ასანთი. რუსმა მკითხა რუსულად, მარტო ხართო? კი, მე და ჩემი ავადმყოფი ქმარი-მეთქი.* **რატომ დარჩით, სახლი უნდა დავწვათო.** *ავარდა მაღლა სახლის მეორე სართულზე. კიდევ ორი ოსი გაჰყვა. ამ რუსს გვერდზე სხვა რუსი ედგა. უცებ კიბეზე ჩამოირბინეს ოსებმა, ეზოდან გადიოდნენ რომ ჭიშკართან მოტრიალდა, თითი დამიქნია და ქართულად მითხრა: მაღლა არ ახვიდე, თორემ გესვრიო. ამ რუსებს ვეუბნები, სახლი ხომ არ იწვის-მეთქი? არაო, მიპასუხა და გავიდნენ. ავვარდი ზევით. ლეიბებზე ჰქონდათ ნავთი გადასხმული. ლეიბებს ეკიდა ცეცხლი. ავიღე ბალიში და ვაქრობდი. როგორც იქნა, ჩავაქრე. გამოვედი გარეთ, აივანზე, დავინახე, ჩემი მეზობლების სახლებს ასდიოდა უკვე ცეცხლი. სახლები ეკუთვნოდათ ივანე ნასუაშვილს, იოსებ დათაშვილს, გაგნიძე ზეზვას, სამსონ დათაშვილს, ელბაქიძე ელზას, რობინზონ დათაშვილს. სიცხე, კვამლი, ჭვარტლი გვახრჩობდა მე და ჩემს ქმარს.*
>
> *12 აგვისტო იქნებოდა, ჩემი სახლის აივნიდან დავინახე, რომ ჩემი ძმის, გურამ დათაშვილის სახლს და ძმისშვილის, გოჩას სახლს ეკიდა ცეცხლი. მაგ დროისათვის სახლებს წვავდნენ ოსები და რუსები ერთად, სამხედროფორმიანები. ვხედავდი, უფორმო ოსებიც წვავდნენ სახლებს.*
>
> *13 თუ 14 აგვისტო იქნებოდა. დავინტერესდი, ჩემი შვილის, მერაბ ნასუაშვილის სახლი რა მდგომარეობაში იყო. გადავედი მეზობლის ბაღში და დავინახე, რომ მერაბის სახლი, ჩემი ძმისშვილის, ალექსანდრეს სახლი და მეზობლების, გოჩაშვილების და მაისურაძეების სახლები უკვე იწვოდა.“*




*„ელიტ ელექტრონიქსის“ გადამწვარი მაღაზია სოფელ თამარაშენში*

კიდევ ერთი თვითმხილველი, **რამაზ მინდიაშვილი,** სოფლიდან 15 აგვისტოს გამოვიდა. გზად ტყვედაც ჩავარდა, თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. *„საძარცვავი ჰქონდათ ბევრი და ჩვენთვის ალბათ მაგიტომ ვერ მოიცალეს”* – იხსენებს დაზარალებული.

> *„ვუყურებდი, როგორ დაიწყეს „ელიტ ელექტრონიქსის” მაღაზიის ძარცვა. გამოჰქონდათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა და მანქანებში ტვირთავდნენ. გაძარცვეს იქვე მდებარე აფთიაქიც. ვნახე, როგორ დაიბომბა თამარაშენის საჯარო სკოლა.*

---

313 იხ. ინტერვიუ ალექსი ნასუაშვილთან და ეთერ დათაშვილ-ნასუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 5 დეკემბერს. დაზუსტებული ინტერვიუ დამატებით ჩაწერილია 2009 წლის 29 სექტემბერს.

*მერე სახლების დაწვა დაიწყეს. პირველი დაწვეს ლიახვის გამგებლის, დავით დათაშვილის სახლი, მერე მიჰყვნენ და მიჰყვნენ დანარჩენებს."*[314]

**ანა დათაშვილი** თამარაშენში 14 აგვისტომდე იყო. 75 წლის მოხუცი სოფლის დატოვებას არც აპირებდა, რომ არა მისი ტყვეობა. ჯერ სახლი დაუწვეს, მერე ცხინვალის დროებითი დაკავების საკანში ჰყავდათ და მხოლოდ რვა დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

*„სოფელში 14 აგვისტომდე ვიყავი. ვუყურებდი, როგორ ძარცვავდნენ სახლებს. ჯერ დატოვებული მანქანები თუ ტრაქტორები მიჰყავდათ. მერე სახლებში შედიოდნენ და რაც იყო, ეზიდებოდნენ. ბოლოს სახლებს წვავდნენ. ისროდნენ რაღაცეებს, შავი კვამლი ავარდებოდა და სახლი ერთიანად იწყებდა წვას.*

*14-ში ორი შეიარაღებული ოსი მოვიდა. სახლი დატოვე და წამოდიო. უარი ვუთხარი. მეორე სართულზე ავიდა და სახლს შიგნით დაუწყო სროლა. მერე ცეცხლის ალი ავარდა და სახლმა დაწვა დაიწყო. შიშისგან ვერაფერი ვუთხარი.*

*ხალათით და ფრატებით წამომიყვანეს, სახლშიც კი არ შემიშვეს, რომ კაბა ჩამეცვა. ამის შემდეგ ქვემოთ, თამარაშენის ცენტრისკენ წამომიყვანეს. ორივე უკან გამომყვა. ჩემ მიმართ მათი მხრიდან არანაირ ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონდა. გზად ჩემი მეზობლის სახლებსაც ვათვალიერებდი, ყველას სახლი დამწვარი იყო, მათ შორის ემზარ და ვლადიმერ დათაშვილების სახლები."*[315]

## *სოფლები ავნევი და ნული*

სოფლების ავნევისა და ნულის ისტორია 2008 წლის აგვისტოს ომის კიდევ ერთი უმძიმესი ტრაგედიაა. სოფელ ავნევის მკვიდრი, თავად ეთნიკურად ოსი, **ტანია ტასოევა-დურგლიშვილისა,** გვიყვება, რომ 13 აგვისტოს დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ თავად ჩამოიარა გადამწვარი სოფლები. *„ის და დედაჩემი ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ჩემს გვერდით ჩაიარა. დამცინავად გამომხედა. კმაყოფილი იყო".* – კარგად ახსოვს ქალბატონ ტანიას.[316]

19 აგვისტოს UNOSAT-ის მიერ გადაღებული სატელიტური ფოტო სოფლების ავნევის და ნულის მასშტაბური განადგურების დოკუმენტურ მტკიცებულებას ქმნის. ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ ზიანი მიყენებული აქვს პრაქტიკულად ყველა საცხოვრებელ სახლს. პირველადი ანალიზის საფუძველზე დოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფელ ავნევში 153 (იხ. სატელიტი 5), ხოლო სოფელ ნულში 119 (იხ. სატელიტი 6) შენობაა დაზიანებული.[317] სამწუხაროდ, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება უფრო გვიანი პერიოდის სატელიტურ ფოტოებზე, რაც დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდიდა სექტემბრის თვეში გადამწვარი სახლების შესახებ. ასევე შეუძლებელია სოფლების, ავნევისა და ნულის ნახვა, ვინაიდან ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს და ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისათვის, დახურულია.

თავად ქალბატონმა ტანიამ ომის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ მოახერხა სოფელში შესვლა და სწორედ მაშინ ნახა, რომ მთელი სოფელი განადგურებული იყო. „მე პირადად შევიპარე ავნევში 2008 წლის სადღაც ოქტომბრის შუა რიცხვებში და

---

314 იხ. ინტერვიუ რამაზ მინდიაშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის" მიერ, 2009 წლის 7 თებერვალს

315 იხ. ინტერვიუ ანა დათაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 5 დეკემბერს, თბილისში, ვაზისუბნის მე-4 მკ.რ.-ში, №149-ე საბავშვო ბაღში

316 ინტერვიუ ტანია ტასოევასთან ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 29 მაისს თბილისში.

317 იხ. *High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia,* Summary Report, October 9, 2008, American Association for the Advancement of Science, Science and Human Rights Program

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ავნევი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 5)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 153 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with World-View-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

ჩემი თვალით ვნახე, რომ მთელი სოფელი გადამწვარი იყო. მხოლოდ 4 სახლიღა იყო დასაწველი. ჯერ კიდევ იდგა ზალინა ბესტაევას და კოკოევა ანას სახლები". – აცხადებს ქალბატონი ტანია.

იმავეს გვიამბობს სოფლის კიდევ ერთი მცხოვრები, **კონსტანტინე კაცელაშვილი,** რომელმაც სოფელი ავნევი 1 სექტემბერს დატოვა.

> *„მთელი სოფელი გადამწვარი იყო. მხოლოდ დამწვარ და ცეცხლმოკიდებულ სახლებს ვხედავდი. ჩემი სახლი ჩემი იქ ყოფნის დროს დაწვეს. ეზოში ვიდექი და ვუყურებდი, როგორ იწვოდა. მერე იმასაც შევესწარი, რომ ჩემი თანასოფლელი* ***შურა ჯავახიშვილი მოკლეს****, მისი ბიძაშვილის, ყალფევა ჯავახიშვილის თვალწინ."*

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ორივე სოფელი 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ იყო და, შესაბამისად, ამ ტერიტორიებზე 2002 წელს აღწერა ჩატარდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, 2002 წელს სოფელ ავნევში 262, ხოლო ნულში 124 ოჯახი ცხოვრობდა, რაც უკვე აგვისტოს შუა რიცხვებში ზარალის შესახებ არსებული ინფორმაციის შესაბამისად სოფელ ნულის სრულ, ხოლო ავნევის მნიშვნელოვან განადგურებაზე მეტყველებს. აქვე ნიშანდობლივია კიდევ ერთი გარემოება. 1989 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემებით, სადაც სოფლების ეთნიკური შემადგენლობაცაა მოცემული, ორივე სოფელი, ავნევიცა და ნულიც ძირითადად ოსებით დასახლებულ სოფლებადაა მოხსენიებული. თუმცა 90-იანი წლების საომარი მოქმედებების შემდეგ ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე დაწყებული დემოგრაფიული ცვლილებების, შიდა მიგრაციისა და სოფლების ქართული მხარის კონტროლის ზონში მოქცევის გამო შესაბამისად შეიცვლა მოსახლეობის ეთნიკური ბალანსიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის განსაკუთრებული სისასტიკე, რომელიც თეთრსახვევიანმა ოსმა მაროდიორებმა ამ სოფლებში ჩაიდინეს, სწორედ წარსულის გამოძახილი იყო.

ამგვარი მსჯელობის შესაძლებლობას ქმნის თვითმხილველთა მონაყოლიც. მაგალითად, ტანია ტოსიევა-დურგლიშვილისა სოფელში 50 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა.

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ნული, სატელიტური ფოტო (სატელიტი 6)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 119 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

მართალია, ქართველი ქმარ-შვილი ჰყავს, მაგრამ თავად ოსია და სწორედ ამიტომ თითქმის ყველას იცნობდა, ვინც სოფელში შემოდიოდა საძარცვავად და ასაოხრებლად. ქალბატონი ტანია დეტალურად იხსენებს ერთი თვის მანძილზე განცდილსა და ნანახს. მან ავნევი მხოლოდ სექტემბრის დასაწყისში დატოვა. როდესაც 12 აგვისტოს მასთან შესულმა მაროდიორების ჯგუფმა მისი გვარი (ანუ ოსური წარმოშობა) გაიგო დაამშვიდეს: *„ნუ გეშინიათ აქ იყავით, თქვენ არაფერს გავნებენო.* **თქვენ სამაჩაბლოს პირველ ომში ოსებისთვის არაფერი დაგიშავებია***თო.“* კიდევ ერთი ჯგუფი მის ჭიშკარს 14 აგვისტოს მიადგა.

*„შუადღეს მოვიდნენ ოსები. ჟიგულით იყვნენ ოთხნი. გადმოვიდნენ და სახლში შემოვიდნენ. თეთრი სამკლაურები ეკეთათ. ამ ოსებმა მიცნეს – მე ოსი ვარ წარმოშობით სოფელ მუგუთიდან. ისინიც მუგუთელები იყვნენ. ერთ-ერთი ჩემი მოგვარე აღმოჩნდა. მითხრეს, კარებს დააწერე ოსური გვარი, ის, რომ ოსი ხარო და ეგება არ დაგიწვან სახლიო“.* მაგრამ მისი სახლი გადაწვას მაინც ვერ გადაურჩა. ქალბატონი ტანია გვიხსნიდა, *„ჩემი შვილი რადგან ქართველია და თანაც პოლიციელი, ალბათ ამიტომ არ გაითვალისწინეს, რომ მეც ოსი ვარ და მაინც დამიწვეს სახლიო.“* უფრო მეტიც, მოროდიორებს შორის მისი შვილის თანაკლასელებიც იყვნენ, რომელთაც, ბუნებრივია, იცოდნენ, რას საქმიანობდა მისი შვილი პეტრე დურგლიშვილი. ეძებდნენ კიდეც: *„ერთმა სამხედრო ფორმიანმა ოსმა ბიჭმა, რუსული ფორმა ეცვა, მწვანე დაფოთლილი. დამიწყო ჩხუბი: სად არის შენი კაცისმკვლელი ბიჭიო“*, იხსენებს ქალბატონი ტანია.

იმას, რომ პირველ დღეებში სახლებს შერჩევით ანადგურებდნენ, სხვა ისტორიები და დეტალებიც ადასტურებს. მაგალითად, იგივე ტანია ტოსიევა გვიამბობს, რომ დაბომბვისას თვითმფრინავებში რუს პილოტებს გვერდზე ოსები ესხდნენ და თავად აჩვენებდნენ მფრინავებს, რომელი სახლები უნდა დაებომბათ.

*„დავინახეთ, თვითმფრინავში იჯდა ზნაურელი ოსი თიბილოვი. როგორც ჩანს, ეგ აჩვენებდა, რომელი სახლები დაებომბა. ორნი იჯდნენ. მფრინავი რუსი იყო, თვითმფრინავი – რუსული. სულ პირველად დაბომბეს ჩემი მაზლისშვილის სახლი, რომელიც ადრე ზნაურში მუშაობდა და ამ თიბილოვს იცნობდა.“*

იმას, რომ დასაწყისში მონიშვნით, შერჩევით ნადგურდებოდა ქართველთა სახლები, **გურგენ დურგლიშვილიც** ადასტურებს:

*„ანა კოკოევას სახლი იმიტომ არ დაწვეს, რომ კოკოითის ნათესავია. ზალინა ბესტაევას ძმისშვილები კი ბოევიკები არიან, მთელ სოფელში ცნობილია ეს.*

*ზალინას სახლში ჰქონდათ ოსებს 2008 წლის ომის დროს შტაბი."*[318]

ეს სახლები ოქტომბერში ჯერ ისევ უვნებლად იდგა სოფელში.

მრავალი ფაქტორი მიგვანიშნებს, რომ ამ ორი სოფლის შემთხვევაში შეგვიძლია დარწმუნებით ვილაპარაკოთ ეთნიკური წმენდის მიზანმიმართულ პოლიტიკაზე.

იმავეს ადასტურებს **ეუთოს** მისია, რომელმაც მოინახულა სოფელი ავნევი და თავის ანგარიშში აღწერა, რომ „სოფელი ავნევი... პრაქტიკულად მთლიანად დამწვარია."[319]

სოფელ ავნევში რუსები და ოსები 9 აგვისტოს შევიდნენ. ისევე, როგორც სხვა სოფლებში, აქაც თვითმხილველთა მონაყოლის თანახმად, 5-6 კაციან ჯგუფებად დადიოდნენ „ჯგუფურად შევიდოდნენ ხოლმე სახლში, ჯერ გამოზიდავდნენ ვეშს, დააწყობდნენ მანქანებზე – კამაზები იყო ვერცხლისფერი, ღია, გადასხნილი და რაფები, სამხედრო ფერის და კრემისფერი, მერე დაწვავდნენ ხოლმე სახლს".

**ტანია ტასოევას** სახლში 14-ში საღამოს კიდევ ერთხელ შევიდნენ.

*„მოვიდა ის სამი ოსი, რომლებმაც 13 აგვისტოს გურგენს ფეხებში დაუშინეს. ჭიშკართან ვიდექი, კრემისფერი რაფიკი მანქანა რომ მოვიდა. გატენილი იყო ავეჯით. ვიცანი, ჩვენი მეზობლის, კოჩიევი პავლეს შვილიშვილები იყვნენ, ორი ძმა და მაგათი ბიძაშვილი. ერთ-ერთმა ძმამ – რობერტამ მოულოდნელად ავტომატის კონდახი დაარტყა თავში გურგენს. ისეთი ძალით დაარტყა, რომ წააქცია. მერე წაქცეულს ახრჩობდა. გურგენი ზურგზე ეგდო. ზემოდან დააჯდა ის ოსი და ხელით ახრჩობდა. პარალელურად მეორე ძმა წიხლებსა და მუშტებს ურტყამდა. ძირითადად გვერდებში სცემდა. ვყვიროდი, ვწიოდი. ვეხმარებოდი გურგენს. ხან ერთ ოსს ვურტყამდი, ხან მეორეს და მაშინ ერთ-ერთმა, ვინც წიხლებით სცემდა გურგენს, მეც დამარტყა ავტომატის კონდახი მხარზე.*

*მერე აცვივდნენ მაღლა მეორე სართულზე. ადიელას წაუკიდეს. ზევით დაიწყეს მტვრევა. სანამ ისინი მეორე სართულზე იყვნენ, მე და გურგენი გავიქეცით ტყეში. ტყიდან დავინახეთ, რომ ჩვენს სახლს ცეცხლი ეკიდა. კრიშა ჩავარდა. ბაღებში გვეძებდნენ, სროლით დადიოდნენ. ოსურად გვაგინებდნენ. რომ ვეპოვეთ, მოგვკლავდნენ, იმიტომ, რომ ვიცანით.*

*ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაწვეს სალომე დურგლიშვილის, ჰამლეტ კაპანაძის და სეირან დავითიძის სახლები. სალომეს სახლი 9 აგვისტოს დაწვეს, სეირან დავითიძის სახლი – 13 აგვისტოს, იმათ, ვინც ჩვენი სახლი დაწვა."*





*სოფელი ავნევი. 2008 წლის აგვისტო*

ავნეველები, ისევე როგორც ბევრი სხვა სოფლის მკვიდრნი, ძირითადად ოსების მაროდიორობისა და სისასტიკის შესახებ საუბრობენ. თუმცა საგულისხმოა ის, რასაც ხეობიდან გამოქცეული მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს რუსეთის ფედერაციის

318 იხ. ინტერვიუ გურგენ დურგლიშვილთან ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 29 მაისს თბილისში.

319 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.43





*სოფელი ნული. 2008 წლის აგვისტო*

შეიარაღებული ძალების შესახებ. **გურგენ დურგლიშვილის** სიტყვები, შესაძლოა, ყოველი მათგანის მიერ ნათქვამად მივიჩნიოთ:

**„ოსები რომ მარადიორობდნენ და სახლებს წვავდნენ, ამ დროს რუსები ტანკებით სოფლის შუაგულში იდგნენ. მუდმივად იდგნენ ტანკებით რუსები მთელი ის პერიოდი, სანამ ოსები სოფელში იყვნენ. ოსები რომ ვეშს იპარავდნენ, ისინი სასმელსა და საჭმელს ზიდავდნენ. ტანკებზე შემოაწყობდნენ ხოლმე ქათმებს, ბიდონებით გამოჰქონდათ არაყი**.”

ანალოგიურ ისტორიებს იხსენებენ სოფელ **ნულის** მცხოვრებლებიც.

ნულის მცხოვრები **რამაზ ცერცვაძე** სოფლის ტრაგედიაზე საუბრისას ცდილობს, ახსნა მოუძებნოს ოსების მოქმედებებს, რასაც საკუთარი თვალით უყურა:

*„წინა ომის დროსაც 90-იან წლებში, ოსები სულ იმას დარდობდნენ, ნული როგორ დარჩათ ქართველებსო და ახლა მოახერხეს მისი დაკავება. ჩვენ იქ შესვლის ნებას აღარავინ გვაძლევს.”*[320]

**იაშა ტოროშელიძე** ფრონეს ხეობიდან დევნილთა მრავალრიცხოვანი არმიის კიდევ ერთი წარმომადგენელია, რომელსაც სახლ-კარის გადაწვა არ აკმარეს და შეპასუხებისათვის, 72 წლის მოხუცი სასტიკად სცემეს.

*„თარიღი არ მახსოვს, მაგრამ, როდესაც ომი დაიწყო, სახლში ვიყავი საქონელთან ერთად. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ოსები შემოვიდნენ. ჩემს ეზოში შემოვიდნენ და საქონლის წაყვანა უნდოდათ. უარი ვუთხარი. სასტიკად მცემეს იარაღის ტარით და მითხრეს, რომ დამეტოვებინა სოფელი. ბრძანება ჰქონდათ, გაეწმინდათ სოფელი ქართველებისაგან* ***„ან წახვალ ან მოკვდე****ბი“. ასეთი იყო პირობა. შემდეგ ბენზინი გადაასხეს ჩემს სახლს და დაწვეს. მეც დავტოვე იქაურობა და ქარელში ჩამოვედი ჩემს დასთან ერთად, რომელიც 75 წლისაა.“*[321]

სახლი **რამაზ ცერცვაძესაც** გადაუწვეს. სახელებით და გვარებით იცის ყველა, ვინც მის სოფელში დადიოდა და ძარცვითა და სახლების გადაწვით ირთობდა თავს. სოფელ ნულის მცხოვრებთა განცხადებით, მათი უმრავლესობა გვერდით მდებარე სოფელ უბიათიდან იყო.

*„რუსი სამხედროების შემოსვლის შემდეგ, მეზობელი ოსური სოფლიდან – უბიათიდან გადმოდიოდნენ ოსები და ძარცვავდნენ და წვავდნენ სახლებს. ყველა ეს ოსი, ვიცი, ვინ არიან, რადგან სოფელი უბიათი ძალიან ახლოსაა ნულთან, ჩრდილოეთით პირველი სოფელია და ხალხი ყველა ერთმანეთს იცნობს. ისინი და საერთოდ, ოსურ სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდა კაცების უმრავლესობა წლების მანძილზე ოსურ სამხედრო დაჯგუფებებში ე.წ. „აპალჩენიაში“ იყვნენ გაერთიანებულნი, სამხედრო ფორმაც ეცვათ, იარაღიც ჰქონდათ და საკმაოდ მაღალ ხელფასსაც იღებდნენ. სამხედრო ფორმებს მკლავებზე ეწერა ხოლმე „Россия“.*

მასირებული დაბომბვის, ქონების განადგურებისა და შეურაცხყოფის უმძიმეს ისტორიებს

---

320 იხ. ინტერვიუ რამაზ ცერცვაძესთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 11 დეკემბერს დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ცენტრში, დაბა სურამში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლების შენობაში.

321 იხ. ინტერვიუ სოფელ ნულის მცხოვრებ 72 წლის იაშა ტოროშელიძესთან, ჩაწერილი გორის მე-2 საბავშვო ბაღში, 2008 წლის 7 სექტემბერს.



*სოფელი ავნევი. 2008 წლის აგვისტო*

ყვებიან სოფელ ნულის სხვა მცხოვრებლებიც: **გლახო, ზინა და ნინა ჭავჭავაძეები, თინათინ ქსოვრელი, რომან, დავით და ვაჟა ტყემალაძეები, ასევე, ზურაბ და ვალიკო ცერცვაძეები**[322]. მათი სახლებიც გაძარცვეს და დაწვეს, საქონელი გაიტაცეს, ხოლო თავად ისინი სიკვდილის მუქარით იძულებული გახადეს, საკუთარი სოფელი დაეტოვებინათ. როგორც თავად ნულის მაცხოვრებლები ამბობენ, სოფელში საფლავების და მოგონებების გარდა, აღარც არაფერი დარჩათ. ამ ადამიანების ისტორიები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. ყველა გამოაძევეს, სახლები გაუძარცვეს და შემდეგ გადაუწვეს.

მოგვიანებით ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი **თომას ჰამარბერგი** თავის ანგარიშში წერდა:

„ყველა იძულებული იყო გაქცეულიყო“.[323]

ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მოსახლეობის გადაადგილების მოტივაციასთან გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს **ვალტერ კაილინსაც**:

„უმრავლესობა გაიქცა უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინა ომის საშიშროება და საფრთხე“.[324]

**ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისია**, რომელიც ასევე იმყოფებოდა კონფლიქტის ზონაში და შესაძლებლობა ჰქონდა, გასაუბრებოდა, როგორც დევნილ, ასევე სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას, აღნიშნავს:

„ძარცვა და სახლებისა და საკუთრების გადაწვა იყო იმ ეთნიკური ქართველების გაქცევის მიზეზი, რომლებიც ცხინვალის გარშემო სოფლებში ცხოვრობდნენ. ეს განსაკუთრებით ეხებათ მათ, ვინც, ომის მიუხედავად, გადაწყვიტა დარჩენა, მაგრამ შემდეგ აიძულეს გაქცეულიყო.”[325]

---

322 იხ. ინტერვიუები ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ორგანიზაცია „42-ე მუხლის” მიერ 2008 წლის ოქტომბრის შემდეგ. სოფელ ნულის მცხოვრებლების გლახო, ზინა და ნინა ჭავჭავაძეების, თინათინ ქსოვრელის, რომან, დავით და ვაჟა ტყემალაძეებისა და რამაზ, ზურაბ და ვალიკო ცერცვაძეების საქმეები გაგზავნილია სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

323 იხ. Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights of the Council of Europe, Human Rights in Areas Affected by the South Ossetia Conflict, Special Mission to Georgia and Russian Federation, 22-29 August 2008, CommDH(2008)22, 8 September 2008, para 31.

324 იხ. Report of the Representative of the Secretary-General on the human rights of internally displaced persons, Walter Kälin, A/HRC/10/13/Add.2, 13 February 2009, para. 10.

325 იხ. Report of the International Fact-Finding mission on the conflict in Georgia, ტომი II, გვ.392, სექტემბერი, 2009

## *სოფელი კეხვი*

### *19 აგვისტო, 2008. სოფელი კეხვი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 7)*




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 252 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

სოფელ კეხვის ტრაგედია 80 წლის ქალბატონმა, **მაყვალა ელბაქიძემ** აღგვიწერა:

> *„8 აგვისტოს, დილიდან სოფელში ისმოდა თვითმფრინავების ფრენის ხმა. დაბომბვა მთელი დღე გრძელდებოდა. ვხედავდი ალმოკიდებულ სახლებს, როგორ შერბოდნენ ჩემი თანასოფლელები სახლში და ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას. ბევრი სახლი დაიწვა ამ დაბომბვების შედეგად, სახლში ყოფნის დროს მე პირადად ვხედავდი კახნიაშვილი კოლიას, კახნიაშვილი ნოდარის, კახნიაშვილი კობას, ელიჯან ღონღაძის, ლაურა ნებიერიძის ალმოკიდებულ სახლებს."*

**მალხაზ კახნიაშვილი** კი იხსენებს, რომ დაბომბვები 12 აგვისტომდე არ შეწყვეტილა.

> *„იბომბებოდა მწვერვალებიდანაც და თვითმფრინავებიდანაც, დღეც და ღამეც. დილიდან დაიწყებოდა თუ არა, მოდიოდა და მოდიოდა. ჯავის მხრიდან მოფრინავდნენ. დაბლა დაფრინავდნენ ოთხი ვერტალიოტი და ბომბდამშენები. ეგენი რომ წავიდოდნენ, მოდიოდნენ თვითმფრინავები. ვერტალიოტს და თვითმფრინავებს წითელი ვარსკვლავები ჰქონდა ფრთებთან. ორივე მუქი ბალახისფერი იყო."*

მალხაზ კახნიაშვილმა ამ დაბომბვების შედეგად დაღუპული ქალბატონებიც ნახა.



**ციცინო გაგნიძე:**
„იმდენი ტანკი შემოვიდა, რომ მთელ საქართველოს დაფარავდა. მწვანე ფერის იყო, რუსული დროშები ეკეთათ".

„წვერიახოს მთაზე დაეცა ჭურვი და 2 ქალბატონი დაიღუპა. მათი ქმრები ჩემი ალალი დეიდაშვილები, ნოდარა და მიტო კახნიაშვილები იყვნენ." ჭურვებმა არც მისი ოჯახის წევრები დაინდეს და დედას ჭურვი საკუთარი სახლის აივანზე მოხვდა ფეხში. მალხაზ კახნიაშვილის დედა სისხლისგან დაიცალა.

> *„11-ში დავიწყე ეზოში დედის საფლავის გათხრა, მაგრამ სამჯერ მომიწია გაქცევა მინდვრისკენ, რადგან სოფელი იბომბებოდა".*[326]

**ნაზი ბერუაშვილმა** დასაწყისშივე განგვიმარტა, რომ მეზობელი ოსური სოფლებიდან ისროდნენ. საარტილერიო დაბომბვა მიმდინარეობდა თლიაყანიდან, წვერიახოდან, ქიწინიდან, ზალდადანიდან და ითრაფისიდან. *„დიდად ანათებდა და ანგრევდა ყველაფერს."* – იხსენებს ქალბატონი ნაზი. 7 და 8 აგვისტოს კი უკვე ავიაცია ბომბავდა.

> *„ჰაერიდან ცვიოდა ბომბები. წივილ-კივილი იყო და გარეთ საერთოდ არ გამოგვიხედავს. სადღაც 100-150 მეტრში ჩამოვარდა ჭურვი და მეზობლებს ფანჯრები სულ ჩაულეწა. მთელი დღე იბომბებოდა."*[327]

**მერაბ კასრაძეც** ადასტურებს პირველ დღეებში ინტენსიურ დაბომბვებს. თავად სწორედ „ჰაერიდან სეტყვასავით მფრინავ" ბომბებს გამოექცა სოფლიდან 8 აგვისტოს.

> *„8 აგვისტოს მთელი ღამის განმავლობაში ყრიდნენ ბომბებს. დაბომბვა პერმანენტულად გრძელდებოდა. ზოგჯერ იყო ათწუთიანი, ნახევარსაათიანი ან ზოგჯერ ერთსაათიანი შუალედებით. თუმცა საღამოს 6 საათის შემდეგ ისევ დაიწყო ისეთივე სიძლიერით, როგორც 7-ში ღამე. 7 აგვისტოს საარტილერიო დაბომბვის შედეგად დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, მათ შორის რობერტ ზანგალაძისა და გოდერძი ბლიაძის."*[328]

---

326 იხ. ინტერვიუ მალხაზ კახნიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 4 ივლისს თბილისში.

327 იხ. ინტერვიუ ნაზი ბერუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 29 აპრილს, თბილისი თამარაშვილის ქ. 35

328 იხ. ინტერვიუ მერაბ კასრაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 35, 2009 წლის 27 აპრილს

**ციცინო გაგნიძე** ქურთის საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად, რის გამოც მუდმივად გზაზე იყო, დაჭრილებს უვლიდა. სოფელი 14 აგვისტოს დატოვა და ნათლად ახსოვს, რომ სოფლების კეხვისა და დიცის ინტენსიური დაბომბვები 12 აგვისტომდე მიმდინარეობდა.

**მაყვალა ელბაქიძე** 9 აგვისტოს საღამოს ჯარის შემოსვლას იხსენებს:

*„შემოვიდნენ ტანკებითა და ქვეითი ჯარით. ყველა რჯულის ხალხი იყო. ტანკების მერე რუსები მოდიოდნენ, მერე სხვა ერის ხალხი მოჰყვებოდათ. ჯარისკაცებს ყველას ფორმა ეცვათ და ავტომატები ეჭირათ. ბევრნი იყვნენ. ისინი სოფელში ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ.“*

სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა ჩვენთან საუბარში იხსენებს, რომ სოფლის ძარცვა და სახლების დაწვა 11 აგვისტოს, საღამოს დაიწყო.

**ციცინო გაგნიძე:**

*„11-ში საღამოს დავინახე, რომ ნაზი ბერუაშვილის სახლს ძარცვავდნენ. სახლთან იდგა პატარა კამაზი. ცოტა ხანში ისევ რომ გამოვიხედე, სახლს უკვე ცეცხლი ეკიდა.*

*12-ში საღამოს საბძლიდან დავინახე (ჩემს სახლამდე 50 მეტრია დაშორება), შევიდა 6-7 კაცი. გზის პირას იდგა კამაზი და იმაზე ტვირთავდნენ. რომ დატვირთეს, შვებით ამოვისუნთქე, ნეტა არ დაწვან-მეთქი. შევბრუნდი უკან, წასვლაც აღარ დამინახავს. 2 საათის შემდეგ გამოვიხედე და უკვე ცეცხლი ეკიდა.“*[329]

როგორც თვითმხილველების მონათხრობიდან ჩანს, სოფელი კეხვის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, სწორედ დაბომბვების შედეგად განადგურდა.[330] შესაძლოა, ამით აიხსნას სატელიტურ ფოტოებზე დაფიქსირებული ზიანის სიმრავლეც. 2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებული სატელიტური ფოტოს მიხედვით სოფელში არსებული შენობების 44 % უკვე განადგურებულია. (იხ. სატელიტური ფოტო 7).

**მაყვალა ელბაქიძე** იხსენებს**:**

*„მეზობლის სახლში ვიყავით. უკან რომ წამოვედით, ჩემმა შვილმა დაინახა, რომ ჩვენი სახლიდან ბოლი ამოდიოდა. შეშინებული გაჰყვიროდა, მიშველეთ, ჩემ სახლს ცეცხლი უკიდიაო. სახლის კარი რომ გამოვაღე, ალი გამოვარდა, შიგნიდან ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. მაინც შევვარდი, ვიფიქრე, რამეს გადავარჩენ-მეთქი. სახლში ყოფნის დროს მარცხენა ფეხზე მივიღე დამწვრობა.“*[331]

**დავით კასრაძემ** სოფელი 23 აგვისტოს დატოვა. იხსენებს, რომ სოფელში ამ დროისთვის მისი და მისი მეუღლის გარდა, სხვა ქართველი არ ყოფილა.

*„14 აგვისტოს ტანკი მიადგა მეზობლის, კახნიაშვილი გოდეს სახლს და სახურავი ჩამოანგრია. მერე ტანკი გამოვიდა გოდეს სახლიდან და შევიდა კახნიაშვილი ნოდარის სახლში. იმის სახურავიც ჩამოანგრია, ეს სახლები ჩემი სახლის მოპირდაპირე მხარესაა და ჩემი აივნიდან ყველაფერს კარგად ვხედავდი.*

---

329 იხ. ინტერვიუ ციცინო გაგნიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის ოქტომბერი, გორის რ-ნი, წმინდაწყლის დასახლება, კოტეჯი №19

330 სოფელი კეხვისათვის მიყენებული ზიანი იხილეთ ვიდეო მასალაში, „Georgia: Kekhvi is deserted“, France 24, http://www.dailymotion.com/video/x6hgjr_georgia-kekhvi-is-deserted_news

331 იხ. ინტერვიუ მაყვალა ელბაქიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის ოქტომბერი, თბილისი, კივის ქ. საბავშვო ბაღის შენობა

*სოფლის შემოსასვლელში მაღაზიასთან იდგა ორი მწვანე ფერის ტანკი და ორი ბულდოზერი. ირგვლივ მაღაზია და სახლები სულ დანგრეული იყო.*

*15 აგვისტოს, დავინახე, რომ ჩემი ძმის სახლთან იდგნენ ჯარისკაცები, დაახლოებით 10 კაცი იქნებოდა, მკლავზე თეთრი ლენტა ეკეთათ. სახლთან იდგნენ და უყურებდნენ, ჩემი ძმის სახლს ცეცხლი ეკიდა და იწვოდა. ჩემი მეორე ძმის, ვალოდიას სახლიც ამ დროს უკვე დანგრეული იყო, მაგრამ დამწვარი ჯერ არ იყო. 19-ში დაწვეს.“*[332]

**მალხაზ კახნიაშვილი** სოფლის განადგურებას სოფლიდან 200-300 მეტრის მოშორებით ადევნებდა თვალს:

*„12-13 აგვისტო იქნებოდა. სოფელში როკის გვირაბის მხრიდან შემოიყვანეს სპეციალური მანქანა, რომელზეც იდგა ყუმბართმტყორცნისნაირი რაღაც. შემდეგ ეს მანქანა სოფელში ცეცხლს ისროდა. ასე გადაწვეს მთელი სოფელი. ჩემი თვალით ვუყურებდი, როგორ წვავდნენ სოფელს. ამ მანქანას მოჰყვებოდა მძიმე ტექნიკა (რუსი სამხედროები და ოსი ბოევიკები). ისინი ჯერ სახლებს ძარცვავდნენ და შემდეგ წვავდნენ.*

*ვუყურებდი, როგორ გაძარცვეს და გადაწვეს კახნიაშვილი ნუგზარას, კახნიაშვილი რამანას, მერანაშვილი გეშილოს, ზანგალაძე გიას და კახნიაშვილი გოგას სახლები”.*

**ჯულეტა მაღალდაძე** და მისი მეუღლე 19 აგვისტოს წითელმა ჯვარმა გამოიყვანა. მეუღლის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლეს სოფლიდან გამოქცევა. ქალბატონი ჯულეტა იხსენებს: *„გასროლის ხმას გავიგებდი ხოლმე და სახლს უკვე ცეცხლი ეკიდა”*. 12 აგვისტოს დილით, სამალავიდან გამოსულს, ორივე ქალიშვილის სახლი გადამწვარი დახვდა.

*„სანამ იქ ვიყავი, იწვოდა სახლები. ჩემი სახლი ჯერ არ იყო დამწვარი. 5 სექტემბერს დაუწვავთ. მეზობელმა ნახა. სულ გადაწვეს ყველაფერი.“*[333]







*სოფელი კეხვი. 2008 წლის აგვისტო*

12 აგვისტოს სახლების გადაწვას HRW-იც ადასტურებს.

„სოფელ კეხვში, 12 აგვისტოს 6:30–დან 7:30–მდე ბევრი სახლი გადაწვეს. ისინი სწორედ მაშინ იწვოდა როდესაც ჩვენი მკვლევარები ცენტრალური გზის გასწვრივ გადაადგილდებოდნენ.“[334]

სოფლის დატოვებას არც **მერი ქარელიშვილი** და მისი მეუღლე აპირებდნენ – შვილის საფლავს ვერ მივატოვებდითო. დაბომბვები რომ დაიწყო, მათი სახლიც შეტევის ქვეშ აღმოჩნდა. *„ზემოდან ცვიოდა და მწვერვალებიდანაც მოდიოდა ჭურვები.*

332 იხ. ინტერვიუ დავით კასრაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 29 აპრილს, თბილისი თამარაშვილის ქ. 35

333 იხ. ინტერვიუ ჯულეტა მაღალდაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის სექტემბერი, გორის რ-ნი, წყალწმინდის დასახლება, კოტეჯი №21

334 იხ. HRW: Georgian Villages in South Ossetia Burnt, Looted, August 12, 2008, http://www.hrw.org/en/news/2008/08/12/georgian-villages-south-ossetia-burnt-looted

*დიდი რაღაც სკდებოდა, გლეჯდა ხეებს."* მოხუცები ბომბებისაგან გაქცევას ლამობდნენ და უსაფრთხო ადგილებს ეძებდნენ. ბაღებში იმალებოდნენ.

> *„ჩვენს სახლს რაღაც მოხვდა. წინა მხრიდან კედელი გადმონგრეული ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ დავინახეთ, რომ ცეცხლი ეკიდა. ვერ ჩავაქრეთ, სულ ჩაიწვა."*[335]

2008 წლის აგვისტოს ტრაგედია **დალი ბაგალიშვილსაც** მთელი სისასტიკით დაატყდა თავს. ქალბატონი დალის სახლი მრავალჯერ გაძარცვეს და შემდეგ დასაწვავად მიადგნენ.

> *„დასაწვავად რომ მოვიდნენ, კარებების და ფანჯრების დალეწვა დაიწყეს. ტირილით მივვარდი, შვილი საავადმყოფოშია, შემიცოდეთ, შვილი არ გვყავთ, დედა არ გვყავთ, ამ ბოროტ საქმეს რომ სჩადიხართ, ღმერთის მაინც არ გეშინიათ-მეთქი. ორჯერ ჩამარტყეს ავტომატის კონდახი ზურგში და გინებით წავიდნენ".*[336]

თუმცა ქალბატონ დალისათვის ყველაზე მძიმე დღეები წინ იყო. მეორე დღეს ოსების სხვა ჯგუფმა ტყვედ აიყვანა და ცხინვალის „საკონცენტრაციო ბანაკში" აღმოჩნდა, ხოლო მისი სახლი განადგურებას მაინც ვერ გადაურჩა და ფერფლად აქციეს.

## *სოფელი ვანათი*

> *„9-ში თუ 10-ში ჩემმა ქმარმა მითხრა, დროა წავიდეთო და წასვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ რუსული და ოსური შენაერთები ამ დროს უკვე სოფელში შემოვიდნენ. დაახლოებით 13 საბრძოლო ტანკი და 6 კამაკებით სავსე სატვირთო მანქანა შემოვიდა. ჩვენ ტყეში გავიქეცით და 14 დღე იქ ვიყავით. იქიდან ყველაფერს ვხედავდით, რაც სოფელში ხდებოდა.*



*რუსეთის ფედერაციის სამხედრო ტექნიკა ალმოდებულ ქართულ სოფელში, ცენტრალურ გზაზე, აგვისტო, 2008 წელი*

---

335 იხ. ინტერვიუ მერი ქარელიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის სექტემბერი, გორი, საბავშვო ბაღი №17

336 იხ. ინტერვიუ დალი ბაგალიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 14 აგვისტოს, გარდაბანში, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში.

*ჯარს უკან მძარცველები მოჰყვნენ. პირველი ჯგუფი 4 მანქანით იყო. ერთი ოპელი, ერთი ძველი და ერთი ახალი რუსული სამხედრო ჯიპი და ერთიც სატვირთო. სახლიდან სახლში გადაადგილდებოდნენ. ჯერ ისროდნენ სახლებში და შემდეგ იწყებდნენ ძარცვას. აავსებდნენ სატვირთოს, შემდეგ ბენზინით ბრუნდებოდნენ და სახლს წვავდნენ".*

იგივე ისტორია ყოველდღე მეორდებოდა.

*„პირველი, რაც გადაწვეს, პოლიციის შენობა იყო, შემდეგ სოფლის ადმინისტრაცია და სკოლა. როგორც წესი, ძარცვა დღის 1 საათზე იწყებოდა და საღამოს 8-9 საათამდე გრძელდებოდა. ყველა გაძარცულ სახლს იმავე საღამოს წვავდნენ.*

*ჯგუფი დაახლოებით 15 კაცისაგან შედგებოდა. პირველ ჯგუფს ძირითადად ძვირფასეულობა მიჰქონდა. ხოლო მცირე საგნები მეორე ჯგუფისათვის იყო განკუთვნილი. დაწვის ბრძანებასაც სხვა ჯგუფს აძლევდნენ. დაწვას გადარჩა მხოლოდ ოსების სახლები, რომლებსაც სპეციალური თეთრი ლენტები შეაბეს.*

*რუსი სამხედროები სოფლის თავსა და ბოლოში იდგნენ ძარცვის დროს. მომდევნო დღეებში რუსული ჯარი სოფლის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, მძარცველების საქმიანობა მათ არ აინტერესებდათ.*

*ერთადერთი, რასაც რუსი ჯარისკაცები აკეთებდნენ, ტყისკენ ისროდნენ ღამღამობით, იქ თავშეფარებული სოფლის მოსახლეობის დასაშინებლად.*

*ჩვენს სოფელში, ვანათში, დაახლოებით 50 სახლი იდგა. ჩვენი სოფელი, ისევე როგორც სხვა ქართული სოფლები ამ გზაზე, მდინარე პატარა ლიახვის გასწვრივ –* ***საცხენეთი, აწრისხევი, გოჯაანი*** *– აღარ არსებობს. ისინი ყველა ფერფლად აქციეს."*

სოფელ ვანათის ისტორია, რომელიც დიდად არ განსხვავდება სხვა ქართული სოფლების ისტორიისაგან, გორის მე-13 ბაღში განთავსებულ დევნილთა ჩასახლებაში თავშეფარებული დაახლოებით 65 წლის წყვილი მოუყვა „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მკვლევარებს 2008 წლის 8 სექტემბერს. მათ გვარისა და სახელის გამხელაზე უარი განაცხადეს.

იმავე სოფლის მცხოვრები **ციალა ზაქაროშვილი** იხსენებს, რომ ქართული ჯარი მის სოფელში არ შესულა, მაგრამ, მიუხედავად ამისა რუსები და ოსი მძარცველები სოფელში დაახლოებით 9-10 აგვისტოს მაინც გამოჩნდნენ.

*„პირველად რომ ცეცხლი დავინახე, საბჭო და პოლიციის შენობა იწვოდა. იქით გაყოლებაზე ყველაფერი იწვოდა. ვანათში შეხვალ თუ არა, ხიდზე გადახვალ და ჩემი სახლია. რამაზის სახლისგან არის 150 მეტრით დაშორებული. 11-ში ჩემი სახლიდან დავინახე ბ-ნი რამაზის კარებთან იდგა დიდი სატვირთო მანქანა (ტენტიანი). ფორმიანები, შეიარაღებულები იყვნენ. სახლს ცეცხლი წაეკიდა. 12-ში ვუყურე ჩემი სახლის გაძარცვას. ბაღში ვიყავი, მე და ჩემი ნათესავი ქალი იქ ვიმალებოდით. ფორმიანები იყვნენ. სხვების სახლებსაც ძარცვავდნენ. არ ლაპარაკობდნენ საერთოდ. რაღაც სასროლი ჰქონდათ და იმით უკიდებდნენ. ჩემი სახლი სადღაც 14-15-ში დაწვეს."*[337]

**რამაზ ციცილოშვილმა** კი ძალიან მოკლედ აღგვიწერა საკუთარი სოფლის ტრაგედია:

*„დანგრეულია სოფელი. მიწის პირზეა გასწორებული".*[338]

---

337 იხ. ინტერვიუ ციალა ზაქაროშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის თებერვალი, თბილისი, ისნის სამხედრო ჰოსპიტალი.

338 იხ. ინტერვიუ რამაზ ციცილოშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის თებერვალი, თბილისი, ისნის სამხედრო ჰოსპიტალი.

სოფლის მცხოვრებლების მიერ მოყოლილი ისტორია დასტურდება UNOSAT-ის მიერ 2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებული ფოტოთიც. აღნიშნული წყაროს შესაბამისად, განადგურებულია 42 ნაგებობა. ამასთანავე, „პირველადი ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ძლიერი ზიანი აქვს მიყენებული გამოკვეთილ საცხოვრებელ უბანს“.[339]

1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფლის მოსახლეობის 59% ქართველი, ხოლო 40% ოსი იყო. მართალია, 90-იანი წლების ე.წ. „პირველი ომის“ შემდეგ საქართველოს კონტროლქვეშ დარჩენილ სოფლებში ეთნიკური ბალანსი შეიცვალა, მაგრამ ოსური მოსახლეობის მცირე ნაწილი ქართული სოფლების ნაწილში მაინც რჩებოდა. სატელიტურ სურათზე ნაჩვენები 42 დანგრეული ნაგებობა და ის ფაქტი, რომ 2008 წლის 19 აგვისტოსათვის ძლიერი ზიანი გამოკვეთილად კონკრეტულ საცხოვრებელ უბანს აქვს მიყენებული, შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ სწორედ ქართველებით დასახლებული უბანია განადგურებული, ხოლო პროპორციულად ზიანი აღწერით დადასტურებულ ეთნიკურ თანაფარდობას ემთხვევა.

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ვანათი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 8)***




*2008 წლის* ***19 აგვისტოს*** *გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 42 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

339 Village Damage Summary: Vaneti, South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All, at www.unosat.org;

## *სოფელი ქურთა*



*განადგურებული სოფელი ქურთა. აგვისტო 2008 წელი.*

ქართველთა მასობრივი გამოძევებისა და მათი საკუთრების განადგურების უმძიმესი ისტორია შეიქმნა სოფელ ქურთაში. აქ საქართველოს ხელისუფლების მიერ 2006 წელს შექმნილი დროებითი ადმინისტრაცია იყო განლაგებული და სოფლის წინააღმდეგ განხორციელებული ძლიერი აგრესიის მიზეზად, შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი მივიჩნიოთ.

სოფელ ქურთის დაბომბვა **ეუთოს** ანგარიშშიც მოხვდა.

> „ქურთა, სადაც თბილისიდან დანიშნული ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის საცხოვრებელი იყო, ძლიერი დაბომბვის ქვეშ მოჰყვა. განსაკუთრებით დაზარალდა სამეზობლო სანაკოევის საცხოვრებლის გარშემო“.[340]

სერიოზული პრობლემები სოფლის მცხოვრებლებს უკვე 2007 წლიდან ექმნებოდათ, როდესაც ოსებმა გორისკენ მიმავალი გზა ჩაკეტეს და მთელი წლის განმავლობაში სოფელი დანარჩენ საქართველოსთან დასაკავშირებლად შემოვლით გზას იყენებდა.

სოფლის მცხოვრები **გივი გუჩმაზაშვილი** იხსენებს, რომ სწორედ დიმიტრი სანაკოევის რეზიდენციისკენ ისროდნენ.

> *„სიტუაცია სოფელ ქურთაში მთელი მაის-აგვისტოს განმავლობაში იძაბებოდა. ქ.ცხინვალიდან და ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან გამუდმებით ისროდნენ. ამ პერიოდში დაიჭრა რამდენიმე მშვიდობიანი მოსახლე. მაგალითად, დაიჭრა ჩემი მეზობელი მევლუდ ჭულუხაძე, როდესაც შემოვლით გზაზე მოძრავ ავტომანქანების კოლონას გაუხსნეს ცეცხლი. 3-4 აგვისტოს სროლები გაძლიერდა ავნევ-ნულის მიმართულებით. სოფლებში სახლები დაინგრა და მოსახლეობამ სოფლის დატოვებაც კი დაიწყო“.*[341]

340 იხ., Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia”, OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p.41

341 იხ. ინტერვიუ გივი გუჩმაზაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, სოფელ ბერბუკში.

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ქურთა, სატელიტური ფოტო (სატელიტი 9)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. სულ 166 ობიექტი.*

***წყარო:** South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

სოფელ ქურთაში, 19 აგვისტოს სატელიტური ფოტოების შესაბამისად უკვე 166 შენობაა განადგურებული, მაშინ როდესაც სოფელში 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სულ 269 ოჯახი ცხოვრობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შენობა-ნაგებობების ნახევარზე მეტი კონფლიქტის ცხელი ფაზის დასრულების მომენტისათვის უკვე აღარ არსებობდა. იმავე 19 აგვისტოს ფოტოზე ცეცხლის კერები კვლავაც ჩანს, რაც თვითმხილველთა ქვემოთ მოყვანილი ისტორიების დასტურია, რომ ბევრი სხვა ქართული სოფლის მსგავსად, ქურთაშიც ქართველთა სამოსახლოების განადგურება მათ სრულ ლიკვიდაციამდე მიმდინარეობდა და კიდევ ერთხელ ბატონი კოკოითი თავის დანაპირებს სრულმასშტაბიანად ახორციელებდა.

ჩვენი რესპონდენტების მონათხრობით შესაძლებელია 2008 წლის 6 აგვისტოდან სოფელ ქურთაში განვითარებული მოვლენების აღდგენა და ამ პატარა, ლამაზი ქართული სოფლის ტრაგედიის აღწერა.

**გოჩა ხეთაგური** გვიყვება:

> *„დაბომბვა 9 აგვისტომდე გრძელდებოდა. დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ* ***ბიძინა ყოჩიშვილი, ქსენია ჩიბიროვა****“.*[342]

ამ დროს ხალხი სოფელს უკვე მასობრივად ტოვებდა. გოჩა ხეთაგურმაც თავისი მანქანით დატოვა სოფელი და 50 ადამიანის გამოყვანა მოახერხა. **გურამ ხაჭაპურიძეც** იხსენებს, რომ სროლები 6 აგვისტოს დაიწყო, *„სოფელში ისმოდა აფეთქებების და იარაღის სროლის ხმებიც“*, მაგრამ იქვე დასძენს, რომ *„მსგავსი მდგომარეობა ხშირად იყო ლიახვის ხეობაში და ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდითო.“*[343]

თუმცა ქურთელები ყვებიან, რომ სროლები 7 აგვისტოდან უფრო ინტენსიური გახდა, ხოლო 8-ში უკვე თვითმფრინავებიც გამოჩნდა და საარტილერიო დაბომბვას საჰაერო დაბომბვა დაემატა. **თემურ ყაულაშვილს** კარგად ახსოვს, რომ მის სოფელში რუსები 10 აგვისტოს შევიდნენ.

> *„ქუჩაში ვიდექი, უბნის ჩასახვევში. გამოჩნდნენ ტანკები. ბევრი იყო. ჯარისკაცე-ბიც. დროშები იყო ტანკებზე: ლურჯი, თეთრი და წითელი. ტანკებიდან ისროდ-ნენ, ყველა მხარეს. ოსებიც შემოვიდნენ. რამდენიმე ჯგუფი იყო.“*

რუსების შემოსვლა **ომარ ხუცინაშვილსაც** დაამახსოვრდა**:**

> *„10 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ჯავის მხრიდან შემოვიდნენ რუსის ტანკები, რომლებიც ცხინვალის მიმართულებით მიდიოდნენ. იქნებოდა დაახლოებით 300-მდე ტანკი, ქვეითი ჯარიც ბევრი ძალიან. მწვანე ტანკები იყო (ჯავშნოსანი) და წითელი ვარსკვლავები ჰქონდათ. 10 აგვისტოს რუსის ჯარის შემდეგ სოფელ-ში უკვე ოსები შემოვიდნენ. ოსებს ყველას სამხედრო ფორმები ეცვათ და შეია-რაღებულები იყვნენ. მანქანებით იყვნენ ძირითადად, ჰყავდათ დიდი სატვირთო მანქანები, ასევე მსუბუქი საბჭოთა მანქანებიც. ჩემი სახლი და ბაღიც ცენტრალუ-რი გზის პირას არის და იქიდან ყველაფერი კარგად ჩანდა. რუსებს და ოსებს კი იმით ვარჩევდი, რომ რუსები ძირითადად სამხედრო კოლონას მოჰყვებოდნენ, ტანკებით და პეხოტაც იყო, ჯარის ფორმა ეცვათ, ხოლო ოსები ცალ-ცალკე და-დიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, და უფრო გვარდიის მსგავსი ფორმა ეცვათ.”*[344]

**ომარ ხუცინაშვილი** დევნილობის პირველ თვეებში თავდაცვის სამინისტროს სამ-ხედრო ჰოსპიტალში ცხოვრობდა და ჩვენთან საუბარში რუსებისა და ოსების შემოსვლის პირველ საათებს იხსენებს.

> *„10-ში ღამის 12-01 საათი იქნებოდა, ტკაცატკუცი მომესმა. ჩემი სახლის მეორე სართულზე ვიყავი. დავინახე, რომ მერი და გუსეინ (გურამ) მაისურაძეების სახლს ცეცხლი ეკიდა. იმავე ღამით, ვნახე ჩემი ბიძაშვილის, ავთო ხეთაგურის და მისი ბიჭის, გოგიტა ხეთაგურის სახლის დაწვა. მათი სახლებიც ჩემს სახლთან ახლოს დგას, ავთოს სახლი ჩემი სახლის პირდაპირ დაახლოებით 15 მეტრშია, ხოლო მისი ბიჭის, გოგიტა ხეთაგურის სახლი მარჯვენა მხარეს, დაახლოებით 50 მეტრში.”*

---

342 სოფელ ქურთაში დაბომბვის დროს დაღუპული ბიძინა ყოჩაშვილისა და ქსენია ჩიბიროვას შესახებ, რაზეც გოჩა ხეთაგური გვიამბობს, დამატებითი ინფორმაციის მოძიება ვერ მოვახერხეთ. ქსენია ჩიბიროვას სიკვდილს გუსეინ მაისურაძეც ადასტურებს: „ქურთაში ვიყავით ჯერ კიდევ, მოვდიოდით გზაზე, როცა ვნახეთ, რომ ქსენია კოჩიევას დაფლეთილი გვამი ეგდო მისი სახლის II სართულზე. სოფლის გზიდან ჩანდა.“ თუმცა ჩვენთვის უცნობია მისი სიკვდილის ზუსტი გარემოებები, კეროდ, როდის და რა ვითარებაში გარდაიცვალა.

343 იხ. ინტერვიუ გურამ ხაჭაპურიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 4 ნოემბერს გორში, კარალეთ-წმინდაწყლის დასახლებაში.

344 იხ. ინტერვიუ ომარ ხუცინაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 4 ნოემბერს, თბილისში.

ამის შემდეგ ბატონი ომარი შეშინებული გაიქცა დასამალად და სამალავიდან თავისი თვალით უყურა, როგორ იწვოდა მისი საკუთარი და მეზობლების, ემზარ ელბაქიძის, გია ყოჩიშვილისა და ლერი ჯოხაძის სახლები. ხოლო 11-ში, როდესაც სოფელს ტოვებდა, მწვერვალებიდან სოფელ ერედვსაც ხედავდა. იგი ნანახს გვიზიარებს:

> *„მწვერვალიდან რომ ჩამოხვალ, დაბლა სოფელი ერედვია. ისიც სულ განადგურებული იყო.“*

**თემურ ყაულაშვილიც** შეესწრო სახლების დაწვას.

> *„11-ში ოსები უკვე წვავდნენ სახლებს. რამდენიმე კაცი მივიდა გოჩა ხეთაგურის სახლთან. ბაღში ვიმალებოდი. 100 მეტრი იყო დაახლოებით ჩემიდან გოჩას სახლამდე. ერთი 5-6 კაცი იქნებოდა – ყველა შეიარაღებული. ავტომატები ეჭირათ. შევიდნენ სახლში და, რომ გამოვიდნენ, ცეცხლი ავარდა.*
>
> *გოჩას სახლიდან გამოვიდნენ და გერონტისაში შემოვიდნენ. გერონტის სახლში შევიდა 5-6 კაცი სამხედრო ფორმაში. 5 წუთი და ავარდა ალი გერონტის სახლსაც და ასე დაუსრულებლად. დადიოდნენ და წვავდნენ.“*

**გურამ ხაჭაპურიძე** სოფელ ქურთაში 2008 წლის 12 სექტემბერს შევიდა რუსი სამხედროების დახმარებით. მისი მეგობრის, ჯონი ბასიშვილის მამას, ტარიელ ბასიშვილს ეძებდნენ. **ტარიელ ბასიშვილი** საომარი მოქმედებების დროს სოფელში დარჩა და მისი არაფერი იცოდნენ.

რადგან მამა ვერ იპოვა, **ჯონი ბასიშვილი**, სოფელში კიდევ ერთხელ 18 სექტემბერს დაბრუნდა.



*ტარიელ ბასიშვილი, სოფელი ქურთა. 2008 წელი, სექტემბერი*

*„მაშინ ვნახე ნოდარის სახლი. სოფლის შესასვლელშია. პირადად შევედი, რომ მენახა. ცეცხლწაკიდებული იყო. ერთ-ორ სახლს მოხვედრილი ჰქონდა, ანუ დაბომბილი იყო, მე როგორც ვხვდები, და სხვები კი დამწვარი იყო. კედლები იდგა და მაგაზე მივხვდი."*[345]

თუმცა სანამ ქურთაში შევიდოდნენ დიდი ლიახვის სოფლები უნდა გაევლოთ.

*„გავიარეთ დიდი ლიახვის სოფლები: თამარაშენი, ქვემო და ზემო აჩაბეთი. სოფლები დაცარიელებული იყო, სახლები გადამწვარი. სოფელ ქურთაში, ყველა სახლი დამწვარი იყო. მხოლოდ ორი სახლი ვნახეთ ქურთაში გადარჩენილი – მორის ბასიშვილის და ვალე ზოზიაშვილის, სალოცავთან ახლოს არის და ვიფიქრეთ, ამიტომ არ დაწვესო. დანარჩენი ყველა სახლი დამწვარი იყო. მერე, როგორც ვიცი, ეს სახლებიც დაწვეს, ვალე ზოზიაშვილის დედას, რომელიც იმ დროს ისევ სოფელში იყო, თავის ხელით დააწვევინეს სახლი და გამოაგდეს სოფლიდან ოსებმა. ჩემს უბანში ჩემი სახლიც დამწვარი იყო."*

**გუსეინ (გურამ) მაისურაძე** სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში ეკონომიკის განვითარების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. სოფელი 10 აგვისტოს დატოვა და მისი სახლი იმავე დღეს გადაწვეს. ასევე მეზობლების სახლების გადაწვის მოწმეც გახდა.

*„დავინახე, იწვოდა ავთო ხეთაგურის სახლი და ელბაქიძე ემზარის სახლი. ამას ვუყურებდით წვერიახოდან. ხელისგულზე ჩანდა ყველაფერი: იწვოდა თამარაშენი, იწვოდა კეხვი. დანარჩენი ყველა სახლი იწვოდა ელბაქიძის უბანში. ყველას ცეცხლი ჰქონდა მოდებული."*[346]

## *სოფელი ბელოთი*

*„ომის დაწყების შემდეგ ოსები ჩვენს სოფელში ყოველდღე მოდიოდნენ და მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც ფასი ჰქონდა. მარტო ჩემი სამეზობლოდან 200 ძროხა და ბევრი ღორები წაიყვანეს. 60 ოჯახის სახლ-კარი მთლიანად გადაწვეს".* – იხსენებს 75 წლის **ნადია ტერაშვილი**, რომელიც ინტერვიუს ჩაწერის დროისათვის, ქ. გორში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ბანაკში ცხოვრობდა.[347] ქალბატონი ნადია თავად ოსია და სწორედ ამიტომ დარჩა სოფელში 8 სექტემბრამდე. ბევრი რამ საკუთარი თვალით ნახა. მათ შორის ისიც, თუ როგორ გადაწვეს მისი ქალიშვილის, ირა ტერაშვილის სახლი. თავად **ირინა ტერაშვილი** სოფელ ბელოთის რწმუნებული იყო და ამის გამო მოსაკლავად დასდევდნენ.

*„ტყეში ვიმალებოდი 2008 წლის 28 აგვისტომდე. ათი დღე ნახევრად მშიერი, მიწაზე გართხმული, გაუნძრევლად ვიწექი. ვუყურებდი, როგორ გაცამტვერდა ჩემი სახლი."*[348]

ქალბატონმა ნადიამ ამოიცნო ბელოთის მძარცველები და მათი ხელმძღვანელი. ისინი, მისი განცხადებით, ოსურ სოფელ ელტურიდან იყვნენ, ასე 30-40 წლის ძმები

345 იხ. ინტერვიუ ჯონი ბასიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 4 ნოემბერს გორში კარალეთ-წმინდაწყლის დასახლებაში.

346 იხ. ინტერვიუ გუსეინ (გურამ) მაისურაძესთან ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 8 აგვისტოს თბილისში.

347 იხ. ინტერვიუ ნადია ტერაშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ 2008 წლის 9 სექტემბერს, გორის დევნილთა ბანაკში.

348 იხ. ინტერვიუ ირინა ტერაშვილთან, ჩაწერილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ ქ.თბილისში, გამომცემლობა „სამშობლოში", კოსტავას ქ. №14.

სიუხაევები. *„სწორედ ისინი აკონტროლებდნენ ყველაფერს ჩვენს რეგიონში."* – აცხადებს თვითმხილველი.

იმავე სოფლის, ბელოთის მცხოვრებ **ვასო არჩვაძის** ისტორიაც ანალოგიურია და ქალბატონი ნადიას ეჭვებს ადასტურებს:

*„ერთი ოსი იყო, რომელმაც სახლებში დაიწყო სიარული. გვაფრთხილებდა, წადით, თორემ გადაგწვავთ სუყველასო. რობე ერქვა. გვარდიის ფორმით დადიოდა. სამხედროებს რომ აცვიათ, აი, ეგეთი მწვანე ფორმა ეცვა. ვიცნობდი ამ რობეს, ჩვენი მეზობელი იყო და მოდიოდა ხოლმე. სოფელ ელტურიდან იყო, ბელოთიდან ორ-სამ კილომეტრში.*

*ახალ სახლში ვცხოვრობდით მე და ჩემი მეუღლე. ორსართულიანი სახლი იყო, კაპიტალური, ეზოც ჰქონდა წინ, 8-9 მეასედი.*

*50 მეასედამდე მიწა მქონდა ცალკე, სიმინდი მეთესა, ლობიო, ვაზი და ხილიც მქონდა, ვაშლი. ბაღებით ვცხოვრობდით სუყველანი. ცხინვალში გაგვქონდა და იქ ვყიდდით. სახლში ავეჯი გვქონდა, ჭურჭელი, 700 ლიტრა ღვინო, არაყი 90 ლიტრა. ბაღების მოსავალი, კარტოფილი, ლობიო, სიმინდი. ყველაფერი მანდ გვქონდა, ვერაფერი წამოვიღეთ. 10 სული საქონელი გვყავდა, 10 სული თხა და ცხვარი, 5 ღორი თავის გოჭებიანად.*

*ჩემმა შვილიშვილებმა გვითხრეს, რომ სახლი დაგვიწვეს. ნახეს, როგორ იწვოდა სახლი, მაგრამ წყალი არ იყო არსად და ვერ ჩააქრეს."* [349]



*დაბომბილი სახლი,*
*სოფელი ბელოთი. 2008 წელი, სექტემბერი*

ერთმანეთისაგან არ განსხვავდება სოფელ ბელოთის სხვა მკვიდრთა ჩვენებები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ სოფელ შავშვებში გამოკითხული ორი მოხუცის, **ნოდარ დემეტრაშვილისა** და მისი ოსი მეუღლის, **ჟენია დემეტრაშვილის** ჩვენებებს[350] კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეაქვს სოფლის ტრაგედიაში.

**ნოდარი:**

*„პირველ დღეს 5 სახლს წაუკიდეს ცეცხლი.*

*პირველად რომ შემოვიდნენ, ლიმონკა შეაგდეს ჩვენ სახლში და წინა კარიდორი, რაც იყო, სულ დაანგრიეს. ჩვენ ერთი თვე მაინც ვცხოვრობდით, სახლი გვინდოდა გადაგვერჩინა. სულ მოდიოდნენ, ეს სახლი მაინც უნდა დავწვათო.* ***არც ერთი ქართველი აქ არ უნდა დარჩესო. მოხუცები აქ თუ დარჩებით, მერე ახალგაზრდებიც მოვლენ და ამიტომ უნდა წახვიდეთო.*** *ჩვენ იქ ყოფნაში ჩვენი საქონელიც გარეკეს."*

**ჟენია:**

*„ოსებს რომ ვხედავდით, მეზობლები ტყეში გარბოდნენ.*

---

349 იხ. ინტერვიუ ვასო არჩვაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 7 თებერვალს გორის №5 საბავშვო ბაღში.

350 იხ. ინტერვიუ ნოდარ და ჟენია დემეტრაშვილებთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის 29 სექტემბერს გორის „კარვების ქალაქში". დაზუსტებული ინტერვიუები ჩაწერილია 2009 წლის თებერვალში წილკნის დევნილთა ჩასახლებაში, კოტეჯი №302.

*მე ოსი ვარ. ჩემთან სახლში რომ შემოდიოდნენ, ოსურად ველაპარაკებოდი. სახლში ვრჩებოდი, რომ არ დაეწვათ. ეზოში ვიჯექი და ველოდებოდი ხოლმე მათ მოსვლას.*

*სხვები რომ მოდიოდნენ, მეუბნებოდნენ, ბრძანება გვაქვს, მთელი სოფელი უნდა გადავწვათ და წადით აქედანო.*

*ოსი სამხედროები სოფელში ჩარჩენილ ოს ქალებს გვიფრთხილდებოდნენ. ერთხელ გვითხრეს, რომ თეთრი ნაჭრები გაგვეკეთებინა მკლავებზე, რომ არავის ესროლა ჩვენთვის. ერთხელ ისიც მითხრეს, სახლზე თეთრი პროსტინა ჩამომეკიდა.*

*ჩვენ იქ ყოფნაში ბევრი სახლები დაწვეს, ვუცქეროდით, ცეცხლი როგორ ეკიდა სახლებს. ჩვენ ვცდილობდით ჩვენი სახლის გადარჩენას, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ, მოსავალი საერთოდ ვერ ავიღეთ. ღორი, ქათმები, საქონელი – ყველაფერი იქ დაგვრჩა."*

**ნოდარი:**

*„გიორგის, ჩემი ძმის, სახლი 20 აგვისტოს დაწვეს. ცოტა მოშორებიდან ვუყურებდით, კვამლი როგორ ასდიოდა. ცეცხლის ჩაქრობა ვერ შევძელით, რადგან გვეშინოდა, რომ ვინმეს არ მოვეკალით. მეორე დღეს სულ დამწვარი იყო სახლი.*

*მანქანა მანქანაზე მოდიოდა ყოველდღე, სახლებს ცლიდნენ და მერე ცეცხლს უკიდებდნენ."*

**ჟენია:**

*„ყოველდღე მოდიოდნენ ოსები მასიურად, მანქანებით. მე რომ ვხვდებოდი, რუსულად მესალმებოდნენ, მე კი ოსურად ვპასუხობდი, რომ გაეგოთ, რომ ოსი ვიყავი. 7 სექტემბერს გამოგვიყვანა წითელმა ჯვარმა. სოფელი უკვე სულ გადამწვარი იყო. ჩვენ რომ გამოვედით, მერე შევიტყვეთ, რომ ჩვენი სახლიც გადაუწვავთ."*

პრაქტიკულად იმავეს იმეორებენ სოფლის სხვა მკვიდრნი. **ჯემალ რთველაძე** და მისი მეუღლე, **ზინაიდა საბანოვა**, რომლებსაც სოფელ შავშვებში დევნილთა თავშესაფარში გამოჰკითხეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მკვლევარებმა სოფელში დატრიალებული ტრაგედიის დეტალები: ოსების მუქარას, რომ ყველა სახლის გადაწვა გადაწყვეტილი იყო და ყველას დახოცავდნენ, ვინც სოფელს არ დატოვებდა, , რომ ოსებს, თუკი ისინი სოფელში იყვნენ, თეთრი სახვევი უნდა გაეკეთებინათ ან სახლებზე გამოეკიდათ დაცვის მიზნით. ისინიც ტყეში იმალებოდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს მაროდიორების. *„ჩვენთან რომ შემოვიდნენ, პირდაპირ სახლებს წაუკიდეს ცეცხლი, ჯერ ჩიფჩიური გურამის სახლს, შემდეგ ფისაძე გოგიას სახლს და მერე ჩვენ სახლს".* – იხსენებენ მოხუცები.

*„ყოველდღე შემოდიოდნენ ოსები ჯგუფ-ჯგუფად, ცლიდნენ სახლებს, მერე კი ცეცხლს უკიდებდნენ. 4-5-კაციან ჯგუფებში დადიოდნენ. სამხედრო ფორმა ეცვათ და შეიარაღებულები იყვნენ. ზოგს ნიღაბიც კი ეკეთა სახეზე, მეზობელი სოფლებიდან იყვნენ უმრავლესობა.*

*ერთ დღეს ვუყურეთ, რობინზონ დემეტრაშვილის სახლი როგორ დაწვეს, ალბათ 23 აგვისტო იქნებოდა.*

*ჩვენ წამოსვლამდე სოფელი თითქმის სულ გადამწვარი იყო. ტყიდან ვუყურებდით, როგორ ცლიდნენ სახლებს და მერე ცეცხლს უკიდებდნენ. უცებ ეკიდებოდა ხოლმე ცეცხლი, რაღაცას შეაგდებდნენ და მერე ცეცხლი ჩნდებოდა."*[351]

351 იხ. ინტერვიუ ჯემალ რთველაძესთან და ზინაიდა საბანოვასთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 8 თებერვალს შავშვების კოტეჯი №11.

## *სოფელი დისევი*

დარბევის, ძარცვის, სასტიკი მოპყრობის და მკვლელობის ისტორიებს ყვებიან სოფელ დისევის[352] მცხოვრებლებიც, რომლებიც ინტერვიუს დროს გორის დევნილთა ბანაკში იმყოფებოდნენ.

*„9 აგვისტოს რუსული ჯარი შემოვიდა ჩვენს სოფელში ბევრი ტანკებით და სამხედრო პუნქტი გაიხსნა. ოსების გასამხედროებული ფორმირებებიც მათ მოჰყვნენ და სახლების ძარცვა და დაწვა დაიწყეს. მთელი სოფელი გაძარცვეს.*



*დამწვარი საცხოვრებელი სახლი, სოფელი დისევი, 2008 წლის აგვისტო*

*მე რაც ვიცი, ჩვენი სოფლის 300 სახლიდან მხოლოდ 20-25 თუ გადაურჩა დაწვას. გუშინაც კი (იგულისხმება 10 სექტემბერი), 3 სახლი კიდევ გადაწვეს.*

*პირველად ოსები 9 აგვისტოს საღამოს შემოვიდნენ. დაახლოებით ოცნი იყვნენ. ეზოდან ეზოში დაძრწოდნენ. პირველი ორი დღის მანძილზე არაფერს იპარავდნენ, მხოლოდ ერთმანეთის მიყოლებით წვავდნენ სახლებს. ჩემი სახლი, მაგალითად, არ გაუძარცვავთ, პირდაპირ გადაწვეს.*

*ჩემი სახლი რუსების სამხედრო პუნქტიდან 200-300 მეტრშია და, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხედავდნენ, მაგრამ მარადიორებს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. თვითონ სამხედრო პუნქტის გვერდით მდებარე სახლიც გადაწვეს.* **ისინი არაფერს აკონტროლებდნენ. მხოლოდ ეხლა, როდესაც სახლების 90-95 % გადამწვარია, დაიწყეს პატრულირება***.*

*სამი დღის წინ ოსები ისევ დაბრუნდნენ ჩემს ბაღში, 150 ყუთი ატამი მოკრიფეს და გაიტანეს.“*[353]

იმავე სოფლის კიდევ ერთი მცხოვრები, **ვალიკო ხელაშვილ**ი, რომელსაც სოფელი არ დაუტოვებია და, შესაძლოა, სოფლის ერთადერთი ქართველი მცხოვრებია, იხსენებს:

---

352 სამწუხაროდ, 2009 წლის შემოდგომაზე, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ვერ შევძელით სოფელ დისევში შესვლა და დევნილების მიერ აღწერილი მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. სოფელი დისევი თავისთავად მნიშვნელოვანი და საინტერესო შემთხვევაა განგრძობადი ეთნიკური წმენდის პოლიტიკის დასადასტურებლად. ამასთანავე, საინტერესოა პირობითი საზღვრების თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სოფელი ოკუპირებული არ არის, სოფელში უსაფრთხოებაზე არავინ იღებს პასუხისმგებლობას. დისევში დღესაც პერიოდულად შედიან სამხრეთ ოსეთის გასამხედროებული ფორმირებების წარმომადგენლები და პატრულირებენ, რათა ქართველებმა ვერ შეძლონ საკუთარ ნასახლარებზე დაბრუნება.

353 იხ. ინტერვიუ სოფელ დისევის მცხოვრებ, 51 წლის ვახა ოქროპირიძესთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ 2008 წლის 11 სექტემბერს, სოფელ დისევში.

*„20 წელი ვაშენებდი ჩემს სახლს ჩემი ხელით. არც ერთი დღით სოფელი არ დამიტოვებია და ვუყურებდი, როგორ იწვოდა მთელი სოფელი. რიცხვები არ მახსოვს, არ მახსოვდა კალენდარი.*

*ერთ დღესაც ჩვენი სამხედროები მოვიდნენ. სოფელში ხალხს ხოცავდნენ.* **მოხუცი კაცი მოკლეს. ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი სასტიკად სცემეს. მის ტანსაცმელს ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი მოუკიდეს. გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა**.

**ნატო ოქროპირიძე საკუთარ სახლში დაწვეს.** *მისი ქმარი თავად უყურებდა ამ ამბავს.*

*„ყოველდღე ახალ-ახალი სახლები იწვოდა, უფრო სწორედ, ყოველ ღამე. ყოველ ღამე ისროდნენ. ჩემი სახლი საკმაოდ მოშორებულია სოფლიდან და ხალხი ჩემთან მოდიოდა, თავს აფარებდა, სოფლის ამბებს მიყვებოდა, მათი მოკლული ახლობლების და გადამწვარი სახლების შესახებ.*

*ჩემი დათვლებით სოფელში მხოლოდ 4 სახლი უნდა იყოს დარჩენილი, რომელსაც არ შეხებიან.”*[354]

სოფელ დისევში მომხდარ შემაძრწუნებელ ამბებს ამავე სოფლის დევნილობაში მყოფ სხვა მცხოვრებლებთან ჩაწერილი ინტერვიუებიც ადასტურებს.

მაგალითად, **ოთარ რაზმაძე** ნატო ოქროპირიძის საკუთარ სახლში დაწვის ამბავს იხსენებს, რომელზეც მანამდე დისეველი ვალიკო ხელაშვილი გვიყვებოდა.



*ოსი გასამხედროებელი ფორმირების წარმომადგენლები საცხოვრებელ სახლში, სოფელი დისევი, 2008 წლის სექტემბერი*

354 იხ. ინტერვიუ 52 წლის ვალიკო ხელაშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ 2008 წლის 20 ოქტომბერს, სოფელ დისევში.

*„13 აგვისტოს სროლების ხმა ჯერ კიდევ ისმოდა. დავინახე, რომ კაცი ტყისკენ მირბოდა, და სახლი გადამიწვესო, ყვიროდა. როდესაც უკან დაბრუნდა, თავის გადამწვარ სახლში თავისი მეუღლის დამწვარი ცხედარი იპოვა. მთლიანად დამწვარი იყო. სულიკო ოქროპირიძე, კიდევ ერთი მეზობელი და მე დავეხმარეთ მის დაკრძალვაში სახლის ეზოში“.*[355]

თავად **ოთარ რაზმაძე** სოფლის ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული ოჯახის უფროსი იყო. მას სოფელში 4 სახლი, 2 ტრაქტორი „ბელარუსი“, სამი პატარა ტრაქტორი, კამაზი და ორი ზილი ჰყავდა, ასევე 6 კამეჩი, 2 ძროხა, და მრავალი შინაური ფრინველი.

*„12 აგვისტოს, როდესაც რუსები და ოსები სოფელში შემოვიდნენ, იცოდნენ, რომ მდიდარი ვიყავი და პირდაპირ მომადგნენ. ჩემი სახლები გადაწვეს. ტექნიკა წაიყვანეს. მეორე დღეს ისევ მოვიდნენ და მეოთხე სახლიც გადაწვეს. მერე ხილის ბაღი გაძარცვეს და ეზო და კარ-მიდამო გადამიწვეს.*



*ოსი გასამხედროებელი ფორმირების წარმომადგენლები ქართული სოფლიდან ნაძარცვის გადატანის დროს.*

*ესეც არ მაკმარეს და ჩემი ცოლი და მისი 98 წლის დედა სასტიკად სცემეს, თან იმუქრებოდნენ. ჩემი მოკვლა უნდოდათ.“*

კიდევ ერთი დისეველი, **შოთა ოქროპირიძე** გვიამბობს თავისი და სხვა მეზობლების სახლების გადაწვის ისტორიას.

*„12 აგვისტოს, შუადღეს, რუსის ტანკები შემოვიდნენ სოფელში. ტანკებს დროშები ეკეთათ. ტყეში ვიმალებოდი და იქიდან ვუყურებდი. არ ვიცი, რუსებთან ერთად ოსები იყვნენ თუ არა. ჩემი სახლი ტყესთან ახლოსაა. სახლიდან კილომეტრ-ნახევარში ვიყავი. ტყიდან დავინახე, რომ ჩემი ეზოს კარებთან მოაყენეს წითელი იკარუსი. ეზოში 8 სამხედროფორმიანი, შეიარაღებული კაცი შევიდა. ერთნაირი ფორმა ეცვათ მწვანე, ჭრელი. ამათში ორს თეთრი სამკლაური ეკეთა. ამ ორმა გამოზიდა სახლიდან ნივთები და მერე დაწვეს სახლი. უცებ ავარდა ბოლი და წაეკიდა ცეცხლი სახლს.*

*ჩემი სახლის გვერდზე რძის მიმღები ქარხანა იყო და დანარჩენებმა იქიდან გამოზიდეს ყველაფერი.“*

ბატონმა შოთამ ისიც გაიხსენა, რომ ტყიდან ხედავდა, იმავე ხალხმა მისი მეზობლების,

---

355 იხ. ინტერვიუ ოთარ რაზმაძესთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ 2008 წლის 20 ოქტომბერს სოფელ მერეთში.

შალვა ოქროპირიძის, გელა თუხარელის, სიმონა ოქროპირიძის, მალხაზ ოქროპირიძის, ელიოზა ოქროპირიძის, ჰამლეტ ოქროპირიძის, კობა ბეღელურის და ელგუჯა ოქროპირიძის სახლები როგორ გაძარცვეს და დაწვეს.

კიდევ ერთმა დისეველმა, **ოთარ ოქროპირიძემ**[356] სოფელი 2008 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში დატოვა. *„მანამდე კი სოფლის განაპირა ტყეში ვაფარებდი თავს და რასაც იქ ვნახავდი საკვებს, იმას ვჭამდიო.”* ბატონი ოთარი სახლში იყო, როდესაც მძარცველები მიადგნენ და იარაღის მუქარით აყურებინეს საკუთარი სახლის ძარცვა და განადგურება. სწორედ ამიტომ მძარცველების ამოცნობაც შეძლო:

> *„ოსური დაჯგუფებები დადიოდნენ, გობოზოვები რომ არიან, იმათი მეთაურობით. ჩემი სახლი 14 აგვისტოს დაწვეს. 5-6 კაცი გარშემო შემომეხვია. ჩემს სახლს ცეცხლი წაუკიდეს. სახლს თვალწინ მიწვავდნენ და ვერაფერი გავაკეთე. ავტომატები მომაბჯინეს მუცელზე, ადგილიდან არ დაიძრაო.* **ეს ტერიტორია ჩვენია, თქვენი არ არის და რასაც გვინდა, ვიზამთო. აქედან ყველა უნდა წახვიდეთო.**
>
> *რაც დაწვეს, ხომ დაწვეს და რაც დარჩა, იდგნენ მერე და თავიანთ სოფელში ეზიდებოდნენ. ალაყაფის კარებებიც კი დახსნეს და წაიღეს. პირუტყვიც ბევრი მყავდა – 5 ძროხა და 2 ხარი. წაიყვანეს. ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ძარცვევდნენ სოფელს”.*

დისევის გადაწვის მოწმე გახდნენ ამერიკელი ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა ცენტრის მკვლევრებიც, რომლებიც სოფელში იყვნენ 2008 წლის სექტემბერში. სტუმრობდნენ. **ჯეფრი კეი სილვერმენი** თავის სტატიაში წერს:

> „ოსმა ბოევიკებმა ორგანიზებულად გადაწვეს ქართველების სახლები სოფელ დისევში რუსი სამხედროების დახმარებით. ქართული სოფლების მასობრივი გადაწვა, შესაძლოა, დიდი გეგმის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველების გამოდევნას ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან (განსაკუთრებით კი, ოსებით მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან). დისევში 300 სახლიდან მხოლოდ 20-25 დგას. დანარჩენი მიწასთანაა გასწორებული. სოფელში ამჟამად 30 კაცამდე იქნება. მათი უმრავლესობა 70-80 წლისაა.“[357]

## *სოფელი აწრისხევი*

მკითხველისათვის გასაკვირი არ იქნება, თუკი დასაწყისშივე ვიტყვით, რომ სოფელ აწრისხევიდან დევნილების ისტორიები არაფრით განსხვავდება სხვა ქართული სოფლების მცხოვრებთა ისტორიებისაგან. როდესაც 9 აგვისტოს, დილით, სოფლის თავზე ვერტმფრენები გამოჩნდა, მომწვანო ფერისა, საბჭოთა სიმბოლიკით, ყველასათვის გასაგები გახდა, რომ რუსები შემოვიდნენ. ვერტმფრენები ძალზე დაბლა დაფრინავდნენ და იქაურობას ზვერავდნენ. ადგილ-ადგილ ბომბებს ყრიდნენ. **ასიათ ბიჩენოვს** კარგად ახსოვს ის დილა[358]:

> *„ვერტმფრენები ღრმად რომ შევიდნენ ხეობაში, წიფორისკენ, რამდენიმე ძლიერი აფეთქების ხმა გავიგე. სამი*



*რუსეთის შეიარაღებული ძალების კუთვნილის საბჭოთა სიმბოლიკიანი ვერტმფრენები ქართული სოფლების თავზე. აგვისტო 2008*

356 იხ. ინტერვიუ სოფელ დისევის მცხოვრებ ოთარ ოქროპირიძესთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის” მიერ გორში 2008 წლის 18 დეკემბერს.

357 იხ. ჯეფრი ქეი სილვერმანი, „ქართველები გასაჭირში - სოფელი დისევი, სამხრეთ ოსეთი”, 1 ოქტომბერი, 2008 http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=3165; ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი და „ადამიანის უფლებთა ცენტრის“ თანამშრომელი სიმონ პაპუაშვილი 2008 წლის 27-28 სექტემბერს სოფელ დისევში იმყოფებოდნენ.

358 იხ. ინტერვიუ ასიათ ბიჩენოვთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, სასტუმრო „კოლხეთში”.





*დაბომბილი სოფელი აწრისხევი, აგვისტო 2008 წ.*

*ვერტმფრენი იყო დაახლოებით. დამალული ვიყავი სათონეში. ვერტმფრენები მოტრიალდნენ და ლამის ჩვენი სახლის სახურავს გაეხახუნნენ. ჯერ ერთმა ჩაიარა, მერე მეორემ. მერე მესამემ ჩაიარა და ზონკრის წყალსაცავთან ჩამოყარეს ბომბები. ჩვენი სოფელი მაღლაა და კარგად ჩანს“.*

აწრისხევშიც, ისევე როგორც სხვა სოფლებში, ვერტმფრენებს უკან რუსი ჯარისკაცები მოჰყვნენ, მათ კი მომწვანო ფორმებში ჩაცმული, თეთრსამკლაურიანი შეიარაღებული ოსები. ნათელი იყო, რომ საჰაერო დაბომბვით ჯარს გზას უწმენდდნენ და მოულოდნელობებისაგან იცავდნენ. ამის შემდეგ მოვლენები ჩვენთვის უკვე ნაცნობი სცენარით განვითარდა – მოსახლეობის დაშინება, სროლა, დევნა, შემდეგ კი მათი სახლების ძარცვა, საქონლისა და ფრინველის დატაცება და კარმიდამოს გადაწვა.

სოფელ აწრისხევის მცხოვრები **გოჩა ასკილაშვილი** იხსენებს:

*„სოფლიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით ვიყავით და კარგად ვხედავდით, როგორ გაიყვანეს ოსებმა ჩემი მანქანა ეზოდან. ასევე წაიყვანეს ჩემი მეგობრის, ვალერი გელაშვილის ორი მანქანა, ნივა და ვილისი და გივი ასკილაშვილის უაზი. 11 აგვისტოსვე დაწვეს ჩემი სახლი. დავინახე, როგორ ასდიოდა ჩემს სახლს ბოლი. ამ დროს იწვოდა ვეფხია ასკილაშვილის სახლიც. დედა, მამა და ჩემი ძმა გამოიყვანეს სახლიდან და აყურებინეს ამ ყველაფერს. მამაჩემს რამდენჯერმე დაარტყეს. ჩემი ოჯახის წევრები იქ იყვნენ, როცა დაწვეს ჩემი მეზობლის, გივი ასკილაშვილის სახლიც”.*

მაროდიორები ყველაფერს იტაცებდნენ და ანადგურებდნენ: საცხოვრებელს, ხილის ბაღებს, ტექნიკას, საყოფაცხოვრებო ნივთებს – ყველაფერს, რის გამოყენება, ყიდვა და გაყიდვაც შესაძლებელი იყო. **გოჩა ასკილაშვილი** იხსენებს, როგორ გაიტაცეს მისი სკები და ფუტკარი:

*„ჩვენი სოფლის თავზე ქედიდან დავინახე, რომ „გაზელი” იყო მიყენებული სკებთან და 3 კაცი ფუტკარს ტვირთავდა. საღამო ხანი იყო. კარგა ხანს ვუყურეთ. რომ ჩავსულიყავით, იარაღი არ გვქონდა, თან მშივრები და ძალაგამოცლილები ვიყავით და აბა რას ვიზამდით”.*

ძარცვა და სახლების გადაწვა ქართველების შეურაცხყოფის და დაშინების ფონზე მიმდინარეობდა. მართალია, გამოკითხულთა უმრავლესობა გაურბოდა შეურაცხყოფასა და დამამცირებელ მოპყრობაზე საუბარს, მაგრამ **ილია ასკილაშვილმა**, მიუხედავად განცდილის სიმძიმისა, მაინც გვიამბო:

*„დამაყენეს და წინ მესროდნენ ტყვიებს.*

*ჩემი სახლის წინ იქვე იყო ტლაპო, ღორების ტლაპო. შიგ დამაწვინეს. არც ეხლა იტყვით, სად არის ხალხიო? სულ ისროდნენ ამ ტლაპოშიც. მერე ერთმა ქართულად დაუძახა, მოკვდებაო, არ გვაწყობს, ეს კაცი რომ მოკვდესო”.*

იგივე ბედი ეწია სოფლის კიდევ ერთ მცხოვრებს, **ჯემალ ვაზაგაშვილს**, რომელიც იხსენებს, რომ რუსების და ოსების შემოსვლის შემდეგ სოფლის „ბირჟაზე” შეხვდა მათ.

*„ამ დროს დამაყარა ფეხებში ავტომატი. ასკოლკები მომხვდა ფეხებშიც და მუცელშიც. სისხლი წამომივიდა და მინდოდა დამეხედა, მაგრამ არ მომცა საშუალება, წამიყვანა ტყეში. ერთ სახლს ცეცხლი იმ წუთში მოუკიდეს.*

*ქალებს ეძებდნენ. რომ ჩამოვედით, უკვე მეორე სახლიც იწვოდა. იქვე, 15-20 მეტრში დამსვეს. სოფლის 6 მანქანა შეაგროვეს. ერთ-ერთმა ამოიღო იარაღი და ჩემსკენ ისროლა. ჩემ წინ 2 ღორი იყო და ერთი მოკლეს.*

*ცეცხლი კიდევ 3 სახლს წაუკიდეს და წავიდნენ. ჩემი სახლი ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული. სამს აკლდა 20 წუთი, რომ წაუკიდეს და ერთ საათში უკვე დამწვარი იყო."*[359]

## ზემო და ქვემო აჩაბეთი

ორივე ქართული სოფელი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მორიგ ქართულ ნასახლარად იქცა. აჩაბეთი ჯერ დაიბომბა, შემდეგ ცეცხლში ჩაიწვა, ბოლოს კი, როგორც თვითმხილველები ყვებიან, სპეციალური ტექნიკით მთლიანად დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

UNOSAT-ის სატელიტური ფოტოები ზემო და ქვემო აჩაბეთისათვის მიყენებული ზიანის მძიმე და სასტიკ სურათს ასახავს. 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოებზე კარგად ჩანს არა მხოლოდ სოფლებისათვის იმ მომენტში უკვე მიყენებული ზიანის მასშტაბები, არამედ ისიც, რომ 19 აგვიტოს, ანუ საბრძოლო მოქმედებების დასრულებისა და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგაც სახლები ისევ იწვოდა. ფოტოზე მონიშნულია 5 ადგილი, როგორც მოქმედი ცეცხლის კერა. ეს უკანასკნელი ქმნის ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანების მიერ განცდილი და მათ გონებაში აღბეჭდილი ტრაგედიის დოკუმენტურ მტკიცებულებას.

UNOSAT-ის პირველად ანალიზში მითითებულია, რომ ფოტოებზე ნათლად ჩანს მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული 199 შენობა. (იხ. სატელიტური ფოტო 10) აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე ფოტოების თანახმად, სახლების დაწვა 19 აგვისტოს შემდეგაც გრძელდებოდა.

2002 წლის მონაცემების შესაბამისად სოფელ ქვემო აჩაბეთში 175 ოჯახი იყო რეგისტრირებული, ხოლო ზემო აჩაბეთში 160 ოჯახი. მოსახლეობის უმეტესობა ქართული იყო. ეს მცირედი სტატისტიკა კი იმის დასტურია, რომ 19 აგვისტოსათვის სახლების უმრავლესობა უკვე განადგურებულია. ხოლო ამ ფოტოების გადაღებიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, როგორც ადგილზე ჩასული ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია „მემორიალის" წარმომადგენლები აცხადებდნენ, სოფელი აჩაბეთი, სხვა ქართულ სოფლებთან ერთად უკვე მთლიანად იყო გადამწვარი.[360] გადამწვარი სოფელი აჩაბეთის მტკიცებულებები მრავლად არის განთავსებული ინტერნეტში ფოტო- და ვიდეოფაილების სახით. [361]

ზემო აჩაბეთელი **ალექსი ჩლაიძე** გაოცებული გვეუბნებოდა, „ჩვენს ტერიტორიაზე ქართული ჯარი საერთოდ არ შემოსულაო",[362] და რუსებისა და ოსების აქტიურობა სოფელში უფრო მეტად ამიტომ უკვირდა. ბატონი ალექსიც და სხვა აჩაბეთლებიც ხაზგასმით გვეუბნებოდნენ, რომ მათი სოფლების ძარცვასა და გადაწვაში ოსებთან ერთად რუსებიც პირადად მონაწილეობდნენ.

---

359 იხ. ინტერვიუებე გოჩა ასკილაშვილთან, ილია ასკილაშვილთან და ჯემალ ვაზაგაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, სასტუმრო „კოლხეთში", განმეორებითი ინტერვიუ ჩაწერილია 2009 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში.

360 იხ. Special press-release by the Memorial Human Rights Center: "A Month after the War, Violations of Human Rights and Norms of Humanitarian Law in the Conflict Zone in South Ossetia", September 11, 2008

361 იხილეთ ვიდეომასალა http://www.myvideo.ge/?video_id=277990; ასევე http://www.myvideo.ge/?video_id=338027

362 იხ. ინტერვიუ ალექსი ჩლაიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 14 აპრილს თბილისში.

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ზემო და ქვემო აჩაბეთი, სატელიტური ფოტო (სატელიტი 10)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული. წითელი რგოლებით მონიშნულია ხანძრის კერები – სულ 199 ობიექტი.*

***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

## სოფელი ზემო აჩაბეთი

ზემო აჩაბეთელმა **ილია ჭულუხიძემ** მრავალ სისასტიკეს თავად უყურა და ბოლოს ტყვეობაც გამოცადა. მოხუცი ჩვენს მკვლევარებს დეტალურად უყვებოდა თავისი თვალით ნანახსა და განცდილს. მისი მონათხრობი შემდგომში ამავე სოფლის სხვა მცხოვრებლებმაც დაადასტურეს[363]. ილია ჭულუხაძე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მკვლევარებთან საუბრისას იხსენებს, რომ *„სოფელში ქართული ჯარიც იყო და მილიციაც, მაგრამ რუსები რომ შემოვიდნენ, აღარც ქართული ჯარი იყო და აღარც მილიცია"*. მის სახლში შესულმა რუსმა ჯარისკაცებმა ოჯახი დაუწიოკეს. ისინი იარაღსა და ჯარისკაცებს ეძებდნენ. ბატონი ილია ადასტურებს, რომ მასთან სახლში სწორედ რუსები შევიდნენ.

*„იარაღი მომადეს პირთან, ჩქარა თქვი, იარაღი სადა გაქვსო. მილეწ-მოლეწეს*

363 ილია ჭულუხაძის ჩვენებას ემთხვევა ზემო აჩაბეთის მცხოვრებ ნელი მჭედლიძის ინფორმაცია, რომლის სახლიც ასევე გადაწვეს და თავად ტყვეობაში ჰყავდათ ცხინვალში. ანალოგიურია მისი მეზობლის, გივი ჭულუხაძის ჩვენებაც. იმავეს ადასტურებს სოფლის მკვიდრი ბესიკ მაისურაძეც, რომელმაც 8 აგვისტოს ქართულ ჯართან და პოლიციასთან ერთად დატოვა სოფელი. ზეინაბ ბასიშვილიც იხსენებს, რომ 8 აგვისტოს რუსული ჯარი შემოვიდა სოფელში. ისიც ადასტურებს, რომ 8 აგვისტოს ქართული ჯარი სოფელში უკვე აღარ იყო.

*იქაურობა. რუსები იყვნენ, მწვანე სამხედრო ფორმები ეცვათ. გარეგნობასა და ლაპარაკზე ეტყობოდათ, რომ რუსები იყვნენ. ცოტა რუსული ვიცი. მითხრეს: ჩვენ არ დაგხოცავთ, მაგრამ ჩვენ ოსები მოგვყვებიან და იმათ შეიძლება დაგხოცონო."*

**ილია ჭულუხაძე** სოფელში რუსული ჯარების შემოსვლის შესახებ გვიამბობს:

*„ყველა სახის თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ტანკები: რუსული დროშები ეკეთათ. რა სახის იარაღი არ მოჰქონდათ – ყველანაირი. ჩემი ეზოდან ვხედავდი. ნაწილი კოლონისა, 2-3 ტანკი, გაჩერდა ხიდთან, გადასახვევთან, დანარჩენი მიდიოდა ცხინვალისკენ. დღე და ღამე სულ მიდიოდნენ უწყვეტლივ, თან მაღლიდან თვითმფრინავები დასდევდნენ. დაბომბვები მაშინვე დაიწყო. სახლის სიმაღლეზე დაფრინავდნენ თვითმფრინავები და ვერტმფრენები. ბომბავდნენ."*[364]

სწორედ საჰაერო დაბომბვების დროს დაზიანდა მრავალი საცხოვრებელი სახლი. სოფლის მცხოვრებთა თქმით დაბომბვა მუდმივად მიმდინარეობდა. მოსახლეობის უმეტესობამ სოფელი ქართულ ჯართან ერთად დატოვა. სოფლის მცხოვრები, **ბესიკ მაისურაძე** ჩვენთან ინტერვიუში სოფლის დატოვების მიზეზებზე მოგვითხრობს:

*„9 აგვისტოს ისევ დაიბომბა ჰაერიდან აჩაბეთი. 9 აგვისტოს, დღის 12 საათისთვის მე და ჩემი მეზობელი ჩემს სახლში პადვლის კარებთან ვიდექით, როცა სახლს რაღაცა მოხვდა და წნევის ძალით შევამტვრიეთ პადვლის კარები. შიგ შევცვივდით. სახლს სახურავი სულ აეხადა. მინები სულ ჩაილეწა".*

**მამუკა მაისურაძე** გვიყვება, რომ 9 აგვისტოს, შუადღის 1 საათისათვის, სოფელში დაბრუნდა მშობლების გამოსაყვანად და სწორედ მაშინ შეესწრო სოფლის კიდევ ერთ დაბომბვას.



*გადამწვარი სოფელი ზემო აჩაბეთი, აგვისტო 2008 წელი*

*„ზურა მაისურაძის სახლს (რომელიც ჩემგან 30 მეტრის მოშორებითაა) დაეცა ბომბი. ჩემი სახლიდან დაახლოებით 50 მეტრის მოშორებითაა ასევე ბაბუციძეების სახლი და იმასაც ბომბი დაეცა, ბომბი დაეცა გიორგი ხეთაგურის სახლსაც და 2 ბომბი ჩემი სახლიდან დაახლოებით 50 მეტრში ხეხილის ბაღშიც ჩავარდა.*

*შემოვლით გზაზე წამოვედი გორისკენ. შემოვლით გზაზე გადმოსვლისას ვხედავდით, როგორ იბომბებოდა სოფლები* ***ხვითი***, ***ძარწემი, ქურთა, კეხვი***. *ეს იყო მწვერვალებიდან დაბომბვა და არა საჰაერო იერიში. იბომბებოდა პოლიციის შენობები, ის ადგილები, სადაც სამშვიდობოები იდგნენ და დროებითი ადმინისტრაციის შენობა იყო".*[365]

ის, რაც დაბომბვას გადაურჩა, საგულდაგულოდ, სათითაოდ გადაწვეს.

364 იხ. ინტერვიუ ილია ჭულუხაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 8 აპრილს ქ.თბილისში, თამარაშვილის ქ. 9.

365 იხ. ინტერვიუ მამუკა მაისურაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 17 აპრილი თბილისში. №200 ბაგა-ბაღში.

**ბაგრატ ხალაძემ** 10 აგვისტოს ღამე კიბის თავზე გაათენა.

*„მომადგნენ კარებზე – 7 ოსი, ქართულად მითხრეს, აუშვი შენი ხელით საქონელიო. ხბო იქვე დაკლეს, შუადღეს ისევ მოვიდნენ, სახლიდან გამოზიდეს ყველაფერი, დადეს მანქანაზე და წაიღეს, 5 საათზე მოვიდნენ, დამსვეს კარებთან, წყლის ონკანთან და მითხრეს, ღორო, უცქირე, შენი სახლი როგორ დაიწვებაო. თავს დამადგა 7 ავტომატიანი. რომ ვნახო, ყველას ვიცნობ. სახლში შევიდნენ და რაღაც მავთულს ცეცხლი წაუკიდეს. ჯერ ლოგინებს მოეკიდა, მერე სულ დაიწვა. ბოლომდე იქ ვიდექი და ვუყურებდი".*[366]







*სოფელი ზემო აჩაბეთი, სექტემბერი 2008 წ.*

იმავე დღეს ბაგრატ ხალაძე და მისი რამდენიმე მეზობელი დაატყვევეს და ორი კვირის მანძილზე, 23 აგვისტომდე ცხინვალის ციხეში ჰყავდათ.

**ზეინაბ ბასიშვილი,** 13 აგვისტოს ბესიკ მაისურაძის სახლის გადაწვას იხსენებს.

*„13 აგვისტოს დაწვეს ბესიკ მაისურაძის სახლი. სანამ დაწვავდნენ, მანამდე ბომბი დაეცა. 3 ოსის ბიჭი იყო, ასე 22 წლამდე ასაკისა. სამოქალაქო დაძონძილი ტანსაცმელი ეცვათ. იარაღები იმათ ხელში არ დამინახავს. შევიდნენ სახლში, გამოზიდეს რაღაცეები და დაალაგეს დიდ მანქანაზე. დავინახე 5-ლიტრიანი ბენზინიანი კალისტრა ეჭირათ ხელში. მივედი მათთან და ოსურად ვუთხარი: ნუ დაწვავთ სახლს მეთქი. ოსურადვე მიპასუხეს, თუ არ გინდა, რომ შენც დაგწვათ, მოშორდი აქედანაო.*

*ჯერ დაბლა სართულზე მოასხეს ბენზინი, მერე მეორე სართულს წაუკიდეს. სანამ არ გაძლიერდებოდა ცეცხლი, არ გადიოდნენ ხოლმე ეზოდან. ეზოში იდგნენ და უყურებდნენ.*

*ასე დაწვეს: გუჩმაზაშვილი გივის, ოთინაშვილი ნუგზარის და ქარქუსოვი ზვიადის სახლებიც. რაც მე პირადად ვნახე."*[367]

**ილია ჭულუხიძეც** იხსენებს, რომ 8 აგვისტოს უკვე ჯგუფებად დაიწყეს სიარული. დღეში რამდენჯერმე შედიოდა სხვადასხვა ხალხი ქართველების სახლებში. იარაღს ეძებდნენ.

*„ერთი დღის განმავლობაში 5-ჯერ შემოვიდნენ სხვადასხვა ჯგუფები. ერთ-ერთს ვკითხე: შენ რუსი არ ხარ-მეთქი? მითხრა, ჩეჩენი ვარო. იარაღი რო არა მქონდა, მცემდნენ, მცემდნენ უმოწყალოდ. შერეულები დადიოდნენ: რუსებიც იყვნენ და ოსებიც. რუსულადაც ლაპარაკობდნენ, ოსურადაც და ზოგი – ქართულადაც. იარაღი ჰქონდათ, ერთნაირი ფორმები ეცვათ ბალახისფერი, ზოგს მიწისფერი. გარეგნობით და აქცენტით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთმა ოსმა მითხრა, სულ დასახოცები ხართ, ერთი არა ხართ ქართველები გადასარჩენიო.*

*ორჯერ-სამჯერ ისე მცემეს, გონი დავკარგე. მე მხოლოდ*

---

366 იხ. ინტერვიუ ბაგრატ ხალაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში.

367 იხ. ინტერვიუ ზეინაბ ბასიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, თბილისში.



*სოფელ აჩაბეთში განადგურებული ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი. აგვისტო 2008 წ.*

*სახლის კედელზე მიწერილია: „Грузины не хотели жить в мире!!!*

*получили чему стремились“*

*ოსები მცემდნენ, რუსებს არ ვუცემივარ.* ***რუსები იქ იდგნენ და მიყურებდნენ****.*

*9 აგვისტოს დაიწყეს ოსებმა მასობრივად სოფელში სახლების დაწვა. რაც მოეწონებოდათ, იმას გაიტანდნენ ხოლმე სახლიდან და მერე სახლებს წვავდნენ. შეასხამდნენ ბენზინს და ასანთს უკიდებდნენ. ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაწვეს ჩემი მეზობლის, ჭულუხიძე ნოდარის სახლი. შევიდნენ იმასთან სახლში. შეასხეს სახლს ბენზინი და დაწვეს.*

*შემდეგ ტრისტან ჭულუხაძის სახლი დაწვეს. ჯერ გამოზიდეს სახლიდან ყველაფერი და მერე დაწვეს. ორი დიდი ძროხა და ღორი წაიყვანეს.*

*არც ერთი სახლი არ დაუტოვებიათ. რუსები ხედავდნენ, როგორ წვავდნენ ჩვენს სახლებს, ზოგი სურათსაც უღებდა. მერე ჩვენი დამწვარი სახლის სურათი ინტერნეტში ვნახეთ.*

*ბრიგადასავით იყო გამოყოფილი, ვინც სახლებს წვავდა. თან ბენზინით სავსე მანქანა დაჰყავდათ. ხუთნი იყვნენ ფორმიანები, ოსები. ზუსტად ამ ხალხმა 11 აგვისტოს დაწვა ჩემი სახლიც. ტრისტანის სახლის დაწვის მერე ჩემს ეზოში შემოვიდნენ. მე მითხრეს ოსურად და ქართულადაც, შენ თვითონ ხომ არ მოუკიდებ სპიჩკასო, რა საცოცხლებლები ხართო, არც ერთი ქართველი არ არის საცოცხლებელიო. ერთ-ერთმა დაურეკა ტელეფონზე ვიღაცას და ოსურად უთხრა: აქ ერთი ბებერი კაცია, რა ვუყოთ, რა გავუკეთოთო? მე ოსური ვიცი. იმან უთხრა, წამოიყვანეთო. იმ ოსმა, ვინც ტელეფონზე ლაპარაკობდა, დანარჩენებს უთხრა, სახლი გადაწვითო. ბენზინი შეასხეს, სპიჩკა მოუკიდეს და ჩემ თვალწინ დაწვეს ჩემი სახლი.*

*ფრატები მეცვა და ტანსაცმლის ჩაცმის საშუალებაც არ მომცეს, ისე შემაგდეს ვილისში და წამიყვანეს ცხინვალში.”*

**ნელი მჭედლიძე** იხსენებს თავისი საკუთარი და მეზობლის, ირმა ოთინაშვილის, სახლების გადაწვის ისტორიას. ამ ისტორიაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ სწორედ რუსები მონაწილეობდნენ დარბევას, ძარცვასა და გადაწვაში და, ბევრი სხვა სოფლისაგან



*რუსი ჯარისკაცი სოფელ ზემო აჩაბეთში სახლის დაწვის დროს, აგვისტო, 2008 წ.*

განსხვავებით, მარტო პასიური მაყურებლის კი არა, აქტიურად მოროდიორობდნენ კიდეც.

*„10 აგვისტოს დილა რომ გათენდა, , გადავედი სახლში. ორი სამხედროფორმიანი შემოვიდა ჩემს ეზოში. ერთი რუსი იქნებოდა ქერა თმითა და აწეული ცხვირით, ხოლო მეორე ალბათ კაზაკი – ბრტყელი ცხვირით და თვალით ბოლოში რომ წვრილდება. სახლი დაჩხრიკეს.*

*ესენი რომ გავიდნენ, 5 წთ-ში აივნიდან დავინახე, კიდევ ვიღაცეები მოდიოდნენ. 6 შეიარაღებული, რუსულ სამხედროფორმიანი კაცი შემოვიდა. ორ მათგანს სხვანაირი ავტომატი ეჭირა, თითქოს ავტომატებზე მერე რაღაც იყო მიბმული. (მოგვიანებით დავინახე, რომ იმ სამხედროს, რომელმაც ჩემი მეზობლის, ირმა ოთინაშვილის სახლი დაწვა, ასეთივე ავტომატი ეჭირა). ცხინვალელ ოსებს არ ჰგავდნენ. 24 წელი ცხინვალში ვმუშაობდი და ცხინვალის ოსებს მიმიკითაც კი ვცნობ. რუსულად ლაპარაკობდნენ.*

*ეზოში რომ შემოვიდნენ იარაღიდან ისროლეს.*

*გამოზიდეს ტელევიზორი, საოჯახო ნივთები და დაბლა ეზოს კარებთან დააწყვეს. ამ დროს მობილურზე დამირეკა ჩემმა გოგომ. ვინც ჩემ გვერდზე იდგა, რუსულად მითხრა: მომეცი ტელეფონიო. მე რუსულადვე ვუპასუხე, რაც მიგაქვთ, ის აღარა გყოფნით-მეთქი და დავახეთქე ტელეფონი ძირს. იმან კი დაბლა ისროლა. ტელეფონი აიღო.*

*მე ვთხოვე, ერთ პატარა ჩანთას ავიღებ, შიგ წამლების რეცეპტები მიდევს-მეთქი. არ ამაღებინა. მითხრა, თქვენი აქ არაფერი არ არის, ჩვენია ყველაფერიო.*

*4 თვის ავჩარკა მომიკლეს.*

*მეზობლის, ირმა ოთინაშვილის სახლიდან ლაპარაკის ხმა მესმოდა. არ დამინახავს, რამდენნი იყვნენ. რაღაც სროლის და აფეთქების ხმა იყო და ცეცხლიც წაეკიდა*

*სახლს. ჩემი სახლისკენაც რომ მივიხედე, დავინახე, რომ იმასაც ცეცხლი ეკიდა."*[368]

81 წლის **ალექსი ჩლაიძე** გვიყვება:

*„16 აგვისტოს სახლში ვიყავი. შემოვიდა დაახლოებით 10 კაცი, ფორმიანები, შეიარაღებულები, ხაკისფერ ფორმებში. მკლავზე თეთრი ეკეთათ. რუსულად ლაპარაკობდნენ.*

*დღე იყო, 12 საათი იქნებოდა. დაათვალიერეს სახლი, რაციით გამოიძახეს მანქანა, ყველაფერი გაიტანეს სახლიდან, დატვირთეს მანქანა და წავიდნენ (შეფუთული და გაუხსნელი ნივთები წაიღეს). სამხიდიანი მანქანები, ურალები ეყენათ გარეთ და იმათ ტვირთავდნენ. ჯერ მეზობლის ბინიდან გამოიტანეს ყველაფერი და მერე – ჩვენი. ვხედავდი,*

*ისროდნენ.* ***ბაბუციძე ჟორა მოკლეს****. ცოლი ტირილით ჩამოვიდა. იმ ღამეს გზი-დან სროლა ამიტეხეს. რომ მივხოხავდი, ალბათ რაღაცას მივედე და ხმა რომ გაიგონეს, დამიწყეს სროლა. გავიქეცი და ბაღებში დავიმალე".*

**სოგრატ ბაბუციძე** კი, რომელმაც სოფელი მხოლოდ 5 სექტემბერს დატოვა, იხსე-ნებს, რომ 2 სექტემბერს საკუთარი სახლის ეზოში იყო, როდესაც შეირაღებული და სამ-ხედროფორმიანი ოსები სპეციალური მანქანებით მოვიდნენ.

*„ტანკები ჯერ ისევ იქ იდგნენ. ოსებმა რომ სახლი გადამიწვეს. რუსებიც იქ იდგნენ და არაფერი უთქვამთ".*

სახლების დაწვაზე **ალექსი ჩლაიძე** მოკლედ გვპასუხობს:

*„სახურავი აღარც ერთ სახლს აღარ ჰქონდა, ფანჯრები სულ გამობოლილი იყო."*

## *სოფელი ქვემო აჩაბეთი*

ქვემო აჩაბეთის მცხოვრებლები იხსენებენ, რომ სოფელ ქვემო აჩაბეთში 2008 წლის 6 აგვისტოდან ისროდნენ. მწვერვალებიდან დაბომბვაც მიმდინარეობდა. თუმცა ინტენსიური დაბომბვა მხოლოდ 7 აგვისტოს, ღამით, დაახლოებით 11:00 საათზე დაიწყო და დილამდე არ შეჩერებულა. **მანანა გალეგაშვილის**[369] ინფორმაციით, *„8 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, ისევ დაიწყო დაბომბვა და არ შეწყვეტილა 10 აგვისტოს დილამდე. მგონი, ამ დაბომბვას შუალედი არც ჰქონია, სულ შეუწყვეტლივ გრძელდებოდა. 10 აგვისტოს დილამდე სარდაფიდან გარეთ არ გამოვსულვართ"*. 9 აგვისტოს სოფელში უკვე რუსული ტანკები იდგა. 9 აგვისტოს დილიდან აჩაბეთში აღარც ქართული პოლიცია იყო და აღარც ჯარისკაცები იყვნენ[370].

ქვემო აჩაბეთელების ნაამბობის მიხედვით რუსი სამხედროები და ოსი ბოევიკები ერთგვარი წინასწარ დამუშავებული სისტემით მოქმედებდნენ. რამდენიმე ჯგუფად და-დიოდნენ და ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა: ზოგს საქონელი მიჰყავდა, ზოგი სახლებს ძარცვავდა, კიდევ სხვა ჯგუფი დარჩენილი „წვრილმანების" გატანით იყო დაკავებული. ბოლოს კი, სრულიად სხვა ჯგუფი მოდიოდა, რომელიც სახლებს წვავდა და დარჩენილ ქართველებს იარაღის მუქარით სოფლიდან დევნიდა. მათი მოქმედებები **სონია ლომ-საძემაც** სხვების მსგავსად აღგვიწერა:

---

368 იხ. ინტერვიუ ნელი მჭედლიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, თბილისში, დევნილთა ჩასახლებაში თამარაშვილის ქ. №9.

369 იხ. ინტერვიუ მანანა გალეგაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, მცხეთის რაიონის წეროვანის დასახლებაში, მე-18 რიგი, კოტეჯი №15, 2009 წლის 22 იანვარს. მანანა გალეგაშვილი საომარი მოქმედებების დროს ტყვედ ჩავარდა.

370 სოფლის მცხოვრებლები სონია ლომსაძე, თენგიზ რაზმაძე, შმაგი ბაბუციძე, გიორგი შერაზადიშვილი იდენტურ ჩვენებებს აძლევდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას.





სოფელი ქვემო აჩაბეთი,
აგვისტო 2008 წელი.

*„პირველად რომ შემოვიდნენ ჩემს ეზოში, მე თვითონ გავუღე ჭიშკარი. სამნი იყვნენ, შეიარაღებულები, სამხედრო ფორმები ეცვათ.* ***რუსები იყვნენ*** *და ალბათ ოსიც ერია მათ შორის. სახლში შევიდნენ, ყველაფერი გადმოანგრიეს და დაჩხრიკეს. იარაღს ეძებდნენ.*

*რაც მოეწონათ, წაიღეს. მანქანაში ჩაალაგეს.*

*იმავე დღეს მეორე პარტიაც მოვიდა. ჩემს ეზოში გარეთ ჰქონდათ გამოტანილი ტელევიზორი. სამი თუ ოთხი კაცი იყო, სამხედრო ფორმაში. ოსებიც იყვნენ და რუსებიც.* ***ჩემთან მარტო ოსი არ შემოსულა****. რომ დამინახეს ერთ-ერთმა რუსულად მითხრა: შედი სახლშიო და თან ავტომატის კონდახი დამიბრახუნა მიწაზე. ამ პარტიამაც გაზიდა სახლიდან, რაც უნდოდათ. ორი ძროხა მყავდა და ისინიც წაიყვანეს.*

*ჩემი შვილი, ანზორ ბაბუციძე ახლოს ცხოვრობდა 100 მეტრში და დავინახე, მისი სახლიდანაც გამოიყვანეს ძროხები და წაიყვანეს. ვხედავდი, მეზობლების სახლებიდან როგორ გამოჰყავდათ ტრაქტორები.*

*ერთ დღესაც შემოვიდნენ სახლში ხუთნი. ფორმიანები იყვნენ. ერთ-ერთმა ქართულად მითხრა: გადიო, სახლი უნდა დაიწვასო.*

*უკან რომ მოვიხედე, უკვე ალი ასდიოდა სახლს. სათონესა და საბძელსაც მოუკიდეს. ერთ-ერთს ხელში ეჭირა რაღაც, გეგონება პოლის ჯოხიაო. შორიდანვე ესროდა და ცეცხლი ჩნდებოდა.*

*მერე ეს ხალხი წავიდა ჩემი შვილის, ანზორის სახლისკენ და მაგასაც წაუკიდეს ცეცხლი. ვხედავდი, როგორ ასდიოდა ალი სახლს.”*

**თენგიზ რაზმაძის** სახლი 13 აგვისტოს გაძარცვეს და გადაწვეს:

*„13 აგვისტოს დავინახე, ჩემი სახლის ეზოში შევიდა დაახლოებით 5 შეიარაღებული პირი. ოსები იყვნენ, დაფოთლილი სამხედრო ფორმა ეცვათ, ოსურად ლაპარაკობდნენ. ჯერ ნივთები გამოზიდეს სახლიდან. სულ რომ გამოიტანეს სახლიდან ყველაფერი, რაც უნდოდათ, ამის შემდეგ ერთ-ერთმა, რომელსაც ხელში რაღაცა ეჭირა, გამოსწია და იმწამსვე გაჩნდა ცეცხლი”.*

**როლანდი (ცაცი) ბაბუციძე**, ბევრი თავისი მეზობლის მსგავსად მრავალი სახლის გადაწვას შეესწრო, მათ შორის თავისი მეზობლის, შმაგი ბაბუციძის სახლისაც.

*„12 აგვისტოს დავინახე ექვსი სამხედროფორმიანი უკიდებდა შმაგის სახლს ცეცხლს. რუსებისნაირი, ფოთლიანი ფორმა ეცვათ. ამ ექვს ადამიანში ოსებთან ერთად რუსებიც ერივნენ.* ***ოსები მარტო არ დადიოდნენ ხოლმე****.*

*სახლების დაწვა 9-ში დაიწყეს.*

*მე სანამ სოფელ აჩაბეთში ვიყავი, 24 სახლი დაწვეს, ვითვლიდი. 14 აგვისტოს, დილას, გამოვედი სოფლიდან და, როგორც მერე მითხრეს, ჩემი სახლი ჩემი წამოსვლის მერე, იმავე დღეს, საღამოს დაუწვავთ.“*[371]

**ედუარდ ბაბუციძის** სახლი 8 აგვისტოს სოფლის დაბომბვას შეეწირა.

*„8 აგვისტოს 12 საათისთვის ჩემი სახლი დაინგრა. თვითმფრინავები ძალიან*

371 იხ. ინტერვიუ როლანდ ბაბუციძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 15 აპრილს, რუსთავში.

*დაბლა დაფრინავდნენ და ვხედავდი, სამხედრო ფერის იყვნენ და რუსული ვარსკვლავები ეხატათ. ეზოში ჩამოვარდა ბომბი და სამი სახლი ერთად დაანგრია: ჩემის გარდა, ბაბუციძე ნაზის, ხოჩიშვილი გიასი და ბაბუციძე ვანოსი. ყველანი გარეთ ვიყავით და ვუყურებდით, როგორ დაინგრა ჩვენი სახლები."*

## ერედვი – ბერულა – არგვიცი

**1-31 აგვისტო, 2008. ცეცხლის კერები. სოფლები ერედვი, ბერულა და არგვიცი (სატელიტი 11)**




***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 1-31 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

**ნოდარ ყოჩიშვილი** თბილისში, 149-ე საბავშვო ბაღში იყო თავშეფარებული, როდესაც მოვინახულეთ. სოფელი ქართული ჯარის გამოსვლისთანავე დატოვა.

*„ხეითის გზით წამოვედი, იბომბებოდა ერედვი. ერედვს ერთი გამანადგურებელი ბომბავდა. ჩემს წინ მიმავალ ავტომობილ ნივას მოხვდა, 2 კაცი დაიღუპა იქ."*

სოფელ ბერულის მცხოვრები **გელა ცოტნიაშვილი** ჩვენთან საუბრისას იხსენებდა:

*„როცა მე დავბრუნდი ბერულაში, 10 აგვისტოს, სახლები არ იყო დამწვარი. რუსები და ოსები ჯერ არ იყვნენ შემოსულები."*

ნოდარ ყოჩიშვილისა და გელა ცოტნიაშვილის ნაამბობის დასტურად, სატელიტური ფოტოების მონაცემებიც ანალოგიურ ვითარებას აღწერს. 2008 წლის 19 აგვისტოსათვის, ფოტოებზე აღბეჭდილი მონაცემების შესაბამისად, დანგრეულია 294 შენობა. მათ შორის 10 აგვისტოს დილის 8 საათისათვის, დანგრეული იყო მხოლოდ 12 და დაზიანებული – 5 შენობა.

სამი სოფლის სატელიტური ფოტოს ანალიზი მრავლის მთქმელია. უმნიშვნელოვანესია სურათზე დატანილი დანართიც, რომელიც განგრძობადი ხანძრის კერების შესახებ გვაძლევს ფაქტობრივ ინფორმაციას. (იხ. სატელიტური ფოტო 11) კერძოდ, საუბარია ხანძრის კერებზე 2008 წლის 1-31 აგვისტოს პერიოდში. პირველი ცეცხლის კერები, რომელსაც სატელიტი აჩვენებს, 12 აგვისტოთი თარიღდება და არგვიციდან ერედვის მიმართულებით სამივე სოფელში შეინიშნება. გაცილებით ნაკლები ხანძარია გამოვლენილი 13 აგვისტოს. ხოლო, მას შემდეგ, 22 აგვისტომდე, სატელიტი პრაქტიკულად არც ერთი სერიოზული ხანძრის შემთხვევას აღარ აჩვენებს.

***10 აგვისტო, 2008. სოფლები ერედვი, ბერულა და არგვიცი (სატელიტი 12)***




***წყარო:*** *South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 10 & 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

ჩვენთვის ხელმისაწვდომი სატელიტური ფოტომასალა მხოლოდ რამდენიმე დღეს, 10 და 19 აგვისტოს აღწერს სრულყოფილად და, შესაბამისად, 22 აგვისტოს შემდეგ ამ ტერიტორიებზე განცდილი ზარალი დეტალურად აღწერილი არ არის. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუკაზე ცალსახადაა მითითებული (შავი ფერითაა მონიშნული) ის ტერი-ტორიები, სადაც 22-24 აგვისტოს ახალი ხანძრების კერები შეინიშნებოდა. რაც შეეხება 10, 12, 13, 17 და 19 აგვისტოს ხანძრებს, ისინი ფოტოზე სხვადასხვა ფერითაა დატანი-ლი და ადვილად ამოსაცნობია. ინფორმაცია ხანძრების შესახებ UNOSAT-მა, მერილენ-დის უნივერსიტეტის მასალის შესაბამისად, ნასადან მოპოვებული ინფორმაციის საფუძ-ველზე მიიღო. (იხ. სატელიტური ფოტები 11 და 11)

ანალოგიური ინფორმაციის მატარებელია მეორე, ამერიკის მეცნიერების ხელშეწ-ყობის ასოციაციის სატელიტური მონაცემებიც, სადაც ამ სამი სოფლის ზარალი ასევე დეტალურად არის გაანალიზებული. წინამდებარე სატელიტური ფოტო (იხ. სატელიტი 13), სოფელ ერედვის ტერიტორიის ერთ მცირე ფრაგმენტს გვიჩვენებს, რომლითაც ილუსტრირებულია ზონის მასშტაბი და ხარისხი.

მართალია, ჩვენ არ გვაქვს სატელიტური ფოტომტკიცებულება 22 აგვისტოს შემდეგ სოფელ ერედვის მიერ განცდილი ზიანის შესახებ, მაგრამ 2008 წლის ნოემბერში კონ-ფლიქტის ზონაში მყოფმა **ეუთოს** ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შემსწავლელმა მისიამ დაადასტურა თვითმხილველთა ისტორიები სოფლის სრული განადგურების შესა-ხებ. კერძოდ, ანგარიში გვამცნობს:

„მიზანმიმართული ცეცხლის წაკიდებისაგან სოფლისათვის მიყენებული ზიანი იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ერთ-ერთმა იძულებით გადაადგილებულმა გვითხრა: „ამჟამად, აღარ არსებობს სოფელი, რომელსაც ერქვა ერედვი". მისია თავად იმყოფებოდა ერედვში და დაადასტურა ფართომასშტაბიანი ზიანი, რომელიც სოფელს მიადგა".[372]



*თეთრსახვევიანი ოსები, გადამწვარი სოფელი ერედვი, აგვისტო 2008 წელი.*

**გივი ხადურმა** სოფელი 10 აგვისტოს დატოვა, თუმცა პერიოდულად ბრუნდებოდა დედის მოსანახულებლად. ჯერ 2008 წლის 22 სექტემბერს, ხოლო შემდეგ 26 სექტემბერს რუსი ჯარისკაცების დახმარებით ისევ დაბრუნდა სოფელში:

> ***„22 სექტემბერს სულ გადამწვარი დამხვდა სოფელი: ერედვიც და ბერულაც. ზოგ სახლს ჯერ ისევ ბოლი ასდიოდა, ახალი წაკიდებული ჰქონდა ცეცხლი.*** *ჩემი ბურიკოს სახლს ცეცხლი ეკიდა. ჩემს სახლს რომ გავხედე, სახლი მაშინ ჯერ არ იყო დამწვარი. ელნარ ვახტანგაშვილის სახლთან რომ მივედით, იმასაც მოკიდებული ჰქონდა ცეცხლი. მისი სახლი გზის ნაპირზეა.*
>
> *გელა ცოტნიაშვილის სახლი ცოტა შორიდან დავინახეთ. სახლს ბოლი ასდიოდა. სახლთან იდგნენ 3 თუ 4 სამხედრო-ფორმიანი შეიარაღებული კაცები. რუსული სამხედრო ფორმები ეცვათ. გზიდან 50 მეტროში დავინახე, ტარიელ ბერუაშვილის სახლსაც ბოლი ასდიოდა."*[373]

ამ ამბიდან 4-5 დღის შემდეგ გივი ხადური ისევ დაბრუნდა სოფელ ბერულაში რუსების დახმარებით. და სწორედ მაშინ ნახა, რომ მისი **სახლი, რომელიც 22 სექტემბერს უვნებელი იდგა, უკვე დამწვარი იყო.**

2002 წლის აღწერის მონაცემების შესაბამისად, სოფელ ერედვში 238 ოჯახი იყო რეგისტრირებული, სოფელ ბერულაში – 209, ხოლო სოფელი არგვიცი, (ან არაგვისი, როგორც იგი 2002 წლის აღწერაში მოიხსენიება), შედარებით პატარაა და იქ 141 ოჯახი ცხოვრობს. 19 აგვისტოს სატელიტური ფოტოების მონაცემებით, სოფლების ნახევარი იმ დროისათვის უკვე გადამწვარი და განადგურებულია. ინფორმაცია და სატელიტური მტკიცებულება განგრძობადი ხანძრების შესახებ, რომელიც დასტურდება თვითმხილველებისა და დაზარალებული დევნილების ისტორიებით, კიდევ ერთი სოფლის ქართველებისაგან გაწმენდის დამატებით ფურცელს ქმნის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის უმძიმეს ისტორიაში.

---

372 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia", OSCE-ODIHR, Warsaw, ნოემბერი 27, 2008 გვ.42

373 იხ. ინტერვიუ გივი ხადურთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 17 ივნისს, სოფელ შაუმიანში.

***19 აგვისტო, 2008. სოფელი ერედვი, ფრაგმენტი (სატელიტი 13)***



***წყარო:*** *Figure 3C: Subset of Damage to the Eredvi-Berula-Argvitsi Region. Subset of August 19, 2008. High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia, Summary Report, October 9, 2008, AAAS, Science and Human Rights Program*

## *სოფელი ერედვი*

სოფელ ერედვის ტრაგედიას მრავალი თვითმხილველი გვიამბობს. ჩვენმა მკვლევარებმა სხვადასხვა დროებით ჩასახლებებში ოცდაათამდე ერედველის ინტერვიუ ჩაწერეს. ეს ისტორიები ერთმანეთს ჰგავს, ხანდახან ერთმანეთის მონაყოლს ავსებს, დეტალებს აზუსტებს, თუმცა ზოგჯერ თარიღები არეულია. ამ ადამიანების მიერ მოთხრობილი განცდილი და ნანახი დაბომბვა, ძარცვა, გადაწვა, ადამიანების დახოცვა მძიმე მოსასმენია.

**დავით ქრისტესიაშვილი** გვიამბობს:

*„დილით, 8-ში, ბომბავდნენ ცხინვალის შემოგარენს, საცა ჩვენი ჯარი იდგა. პირველად სოფელი ერედვი დაბომბეს ვერცხლისფერმა თვითმფრინავებმა, უფრო 8-ში, საღამოს 6 საათისთვის. პირველი ბომბი დაეცა ეკლესიის გალავანთან, ზედ გზაზე. IX საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა. ჩემი სახლი ეკლესიასთან ახლოს იდგა და სახლს ჩაემტვრა მინები. ჭურჭელი, ჭაღები, ნივთები წნევისაგან ძირს ეყარა. ეკლესიის გალავნიდან დაახლოებით 30 მეტრში ვიდექი, როცა ბომბი ჩამოვარდა. მეორე ბომბი ალბათ 15 წთ-ის მერე ჩამოვარდა საცხოვრებელ სახლებში. მეორე დღეს, 9 აგვისტოს, საღამოს ისევ დაიწყეს დაბომბვა ვერცხლისფერი თვითმფრინავებით. დღისით ვერტალიოტი, მუქი მწვანე*

*ფერის, გადაიფრენდა ხოლმე და სხვა სოფლებსაც ბომბავდა.“*[374]

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ბევრი სხვა სოფლის ისტორიის მსგავსად, შესაძლებელი იყო აქაც ბევრი მოწმის ჩვენების სხვადასხვა ფრაგმენტები მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობ ის, რასაც ერთი 83 წლის მოხუცი, **მიხეილ ვახტანგაშვილი**[375] იხსენებს, მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის 2008 წლის 8 აგვისტოდან ერთი თვის განმავლობაში სოფელ ერედვში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. მით უფრო, რომ ყველაფერი, რასაც ის ყვება, ჩვენ მიერ გამოკითხული სხვა თვითმხილველების მონაყოლითაც დასტურდება. მიხეილ ვახტანგაშვილმა სოფელი 4 სექტემბერს დატოვა თავის რამდენიმე მეზობელთან ერთად.

*„ჩემს სახლს დაბომბვისას ჩაემტვრა სახურავი, მინები. ალექსანდრე მაისურაძის სახლი ჩემი სახლიდან 300 მეტრის დაშორებითაა. დაბომბვისას სახურავი დაემტვრა.*

*ოსები შემოვიდნენ რუსის ტანკებთან ერთად. ქალებიც იყვნენ. ჯერ ქალები შედიოდნენ სახლებში, გამოჰქონდათ ნივთები და შემდეგ კაცები წვავდნენ სახლებს.*

*სახლების დაწვა დაიწყეს 13-ში.*

*ჩემს სახლში შემოვიდნენ, ზუსტად არ მახსოვს – 12 ან 13-ში. 10-12 უფორმო ოსი – სულ უნდა ამოგწყვიტოთ ქართველებიო – და წაუკიდეს სახლს ცეცხლი.*

*ერთი დიდი ღორი მომიკლეს. ჩემი სამი ძროხა წაიყვანეს. ცეცხლი წაუკიდეს ჯერ ბოსელს და მერე სახლს. ეზოში ვიდექი. გამოზიდეს მაგიდა, სკამები, ლოგინი, მაცივარი, სამი ტელევიზორი წაიღეს შვილის სახლიდან გამოტანილი.*

*ჯერ შვილის სახლს წაუკიდეს ცეცხლი, მერე ჩემს სახლს. ჩემს სახლს ცეცხლი რომ წაუკიდეს, ერთმა ოსმა თვითონ გამხადა ტუფლები და ცეცხლში შეაგდო. აქედან წადიო, თორემ მოგკლავთო. მერე ჩემი ჭიშკრიდან გავიდნენ და სხვა სახლებს დაუწყეს დაწვა.*

*მეორე-მესამე დღეს დაწვეს ალექსანდრე მაისურაძის სახლი. არც ერთ სახლში აღარ იცხოვრებოდა, ისე დაიწვა ორივე. მარტო კედლებიღა დარჩა.*

*ბაღში მეძინა ხოლმე. ფეხშიშველი ვიყავი. ბაღში ბოსტნეული და ხილი მქონდა და იმით ვიკვებებოდი. სახლის დაწვიდან 5-6 დღის შემდეგ შემოვიდნენ ბაღში რუსები და წაიღეს ატამი, ვაშლი, ხახვი. იქ ვიყავი, რო მოვიდნენ. ხუთნი იყვნენ. ფორმები ეცვათ, ავტომატებით იყვნენ. რუსები კარგად მექცეოდნენ. რუსულად მთხოვეს, „მოჟნო“ რო წავიღოთო. ნება მივეცი. ატამი თვითონ მოკრიფეს. ცუდი არაფერი უთქვამთ ჩემთვის. სანამ ერედვში ვიყავი, ბევრი რუსი მხვდებოდა, მაგრამ ცუდი არაფერი უთქვამთ.*

*როცა ჩემი სახლი დაწვეს, რუსის ტანკები იქვე ახლოს იდგნენ გზაზე. რუსები ხედავდნენ, ჩემი სახლი რო*



*ოსური გასამხედროებული ფორმირების წარმომადგენლები ნაძარცვის გატანის დროს, სოფელი ერედვი, აგვისტო, 2008 წელი*

374 იხ. ინტერვიუ დავით ქრისტესიაშვილთან, ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დევნილთა ჩასახლებაში, სოფელი კოდაში, მე-10 კორპ.

375 იხ. ინტერვიუ მიხეილ ვახტანგაშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 31 ივლისს, გორში.







*დაბომბილი სოფელი ერედვი, აგვისტო 2008 წელი.*

*იწვოდა. ერთხელ ვიჯექი სკამზე ღობესთან, ვტიროდი. ერთმა რუსმა ჩამოიარა წყლის დასალევად. გამომელაპარაკა: სად გძინავსო? ბაღში-მეთქი. ხვალ პურს მოგიტანო. მეორე დღეს მომიტანა ორი ბუხანკა პური. ლამის 10 დღე მეყო. ქართულად რო მელაპარაკებოდა, ვუთხარი: რა კარგი ქართული იცი-მეთქი და – დედა მყავს ქართველიო.*

*2 სექტემბერს ქათმებიც ავტომატით დახოცეს ოსებმა და ისე წაიღეს. სახლი რო დამიწვეს, ორი ტრაქტორი წაიყვანეს. წინ გადავუდექი, არ წაიყვანო-მეთქი. ხელი მკრეს და წაიღეს. 3 სექტემბერს ეზოში ვიყავი. 20 ოსი შემოვიდა ეზოში. ხვალ თუ აქ კიდევ დაგინახე, თავს მოგაჭრიო და წალდი დამადო თავზე. ფორმა არ ეცვათ, მაგრამ ავტომატები ყველას ეკეთათ. ერედვი თქვენი აღარ არისო.*

*ყველას სახლი დამწვარია ერედვში. სახეზე ვიცნობ ოსებს, რომლებმაც სახლი გამიძარცვეს. ვეტყვი, აი, შენ იყავი, რო გამძარცვე-მეთქი.*

*დილაობით დავდიოდი დამწვარი სახლების სანახავად, ოსები დილის 9 საათამდე არ ამოდიოდნენ ერედვში.* **ადამიანები ვნახე თავიანთი დამწვარი სახლების ეზოში მკვდრები: ნიკო ბერუაშვილი, ჯუმბერ ბერუაშვილი, ნათელა ქრისტესაშვილი, ციალა ტარიელაშვილი, თენგიზ ტარიელაშვილი.**[376] *ნიკოს და ჯუმბერს ძაღლები ჭამდნენ, გზაზე ეყარნენ. ახლოს გვამებთან ვერ მივდიოდი, გზიდან ვხედავდი, რო თავიანთ ეზოებში მკვდრები ეყარნენ. სოფლის მცხოვრებლები ვინც დაიხოცნენ, ძაღლებმა შეჭამეს, დამმარხავი არავინ ჰყავდათ.*

*ჩემს ბაღთან ვნახე 5 ქართველი მკვდარი ჯარისკაცი.*

*4 სექტემბერს ჯერ მზე არ იყო ამოსული, წამოვედი. რუსები და ოსები ისევ იყვნენ სოფელში. აღარც ღორი მყავდა, აღარც ძროხა, აღარც ქათმები, აღარც სახლი მქონდა, არც რამე მებადა და რაღა მეკეთებინა, წამოვედი ფეხშიშველი ხელში ყავარჯნით."*

სოფლის მცხოვრებთა ისტორიები ყველა ერთმანეთს ჰგავს, მხოლოდ ზარალის ოდენობაა განსხვავებული. სხვა მხრივ სახელები და გვარები შეგვიძლია შევცვალოთ: **ლია ბაბუციძე, მარო ვახტანგაშვილი, გივი გრძელიშვილი, სამსონ ბერუაშვილი, მანია თუაევი-ბერუაშვილი, ტრისტან ბერუაშვილი** და მრავალი სხვა მოხუცი და ახალგაზრდა ერედველი ცრემლიანი თვალებით გვესაუბრებოდა ნანგრევებში დაუმარხავად დარჩენილ მეზობლებზე, ფერფლად ქცეულ მთელი ცხოვრების ნაშრომ-ნაჯაფზე, განსაკუთრებული სისასტიკით დახოცილ შინაურ ცხოველზე და ა.შ.

თვითმფრინავებსა და ბომბებს ერედვშიც რუსეთის ჯარი და ოსები შემოჰყვნენ და შემდეგ ყველაფერი სტანდარტულად განმეორდა, იძარცვებოდა და იწვოდა ქართველებისაგან მიტოვებული სახლები.

*„10 აგვისტოა. ვენახში ავედი. ვენახიდან დავინახე 4-5 სამხედროფორმიანი კაცი. დაფოთლილი ფორმა ეცვათ, ერთი-ორს მუხისმაგვარი რაღაცა ეჭირა ხელში.*

---

376 სოფელ ერედვში მოკლული ადამიანების შესახებ იხილეთ თავი სიცოცხლის მოსპობის შესახებ. 2008 8-9 აგვისტოს სოფელ ერედვისათვის მიყენებული ზიანი სრულად იხილეთ ვიდეომასალაში http://www.ireport.com/docs/DOC-61149; აგრეთვე, http://www.youtube.com/watch?v=T5UoyWlet0k

*ნუგზარის ეზოში შევიდნენ, ის რაღაც მუხისმაგვარი ესროლეს ჩემი ძმის სახლს და იმ წუთშივე წაეკიდა ცეცხლი.*

*წამოვედი ქვემოთ, სახლისკენ. დაახლოებით 80 მეტრის დაშორებით დავინახე, როგორ შევიდა 3-4 სამხედროფორმიანი პირი ჩემი მეზობლის, კოლია ოზგებიშვილის სახლში. ისეთივე მუხა ეჭირათ ხელში. შევიდნენ თუ არა, მალევე აალდა კოლიას სახლი.*

*წავედი გამგეობის შენობისკენ. გამგეობის შენობა და პოლიციის შენობაც იწვოდა.“*[377]

**ვენერა არბოლიშვილი** შვილის სახლიდან უყურებდა სოფლის აოხრებას.

*„12 აგვისტოს მე და ჩემი მეუღლე ჩემი შვილის, გულივერის სახლში ავედით. გულივერის სახლი აღმართზეა, სოფლის განაპირას. იქიდან როცა გადმოვხედეთ სოფელს, დავინახეთ, რომ მთელი სოფელი იწვოდა. 12 აგვისტოს საღამოს ზევითა მხრიდან წამოვიდნენ სოფელში ტანკები.* ***ტანკები სოფლის განაპირას, სასაფლაოს მხარეს დადგნენ და იქიდან დაუწყეს სროლა სოფელს.*** *13 აგვისტოს გათენებისას მინდორში ვიყავით. თენგიზმა მითხრა, ჩემი თვალით უნდა ვნახოო, დაიწვა თუ არა ჩვენი სახლიო. როცა დაბრუნდა უკან, მითხრა, გული გაიმაგრე, დაუწვავთ სახლიო. ჩემი სახლი რომ დამწვარი დავინახე, გული შემიღონდა.“*[378]

თუმცა სახლ-კარის დაწვა მხოლოდ დასაწყისი იყო. იმავე დღეს, 13 აგვისტოს მოკლეს ქალბატონ ვენერას მეუღლე, თენგიზ ტარიელაშვილი.

ერედვში ქართველთა სახლების განადგურებას **გაიოზ ბორცვაძეც** შეესწრო.



*დაბომბილი სოფელი ერედვი, აგვისტო 2008 წელი.*

*„მარტო ჩვენ უბანში დაბომბვის შედეგად 5 სახლი დაინგრა. სოფელში ძირითადად ხანდაზმულები დარჩნენ. მე თვითონ სოფელში დავრჩი. 12 აგვისტოს სოფლის გადაწვა დაიწყო. სოფელში თარეში 12-დან 21 აგვისტომდე გრძელდებოდა. ჩემი სახლი 12 აგვისტოს გაძარცვეს და დაწვეს ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა.*

*21 აგვისტოს, შუადღე არ იქნებოდა, ჩემს ნასახლარზე ვიყავი, გავიგონე, მანქანა მოდიოდა. შემეშინდა და ბაღში წავედი. სამნი შემოვიდნენ. ამ დროს დამადგა ერთი გალეული სამხედრო ფორმაში გამოწყობლი ბიჭი, რომელმაც ქართულად მკვეთრად გამოხატული ოსური აქცენტით მითხრა, გამოდი მანდედანო. თან რევოლვერი მომიშვირა. ფოფხვით გავედი ჩემი სახლისკენ, რომელიც მთლიანად იყო ამ დროისთვის დანგრეული. რახან ხანძარმა ვერ წააქცია, ტროსებით წააქციეს.*

---

377 იხ. ინტერვიუ ვაჟა ქრისტესიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 30 აპრილს, თბილისში.

378 იხ. ინტერვიუ ვენერა არბოლიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 142-ე საჯარო სკოლაში.

*დავინახე დიდი სამხედრო მანქანა, რომელსაც ტროსები ჰქონდა გამობმული. სახურავი, ეტყობა, იმით გადმოათრიეს. სახლი მიწასთან იყო გასწორებული. გზის ჩაყოლებაზე სხვა მანქანებიც იდგნენ, რომლებიც ჩემი მეზობლების სახლებს ანგრევდნენ."* [379]

**მარო ვახტანგაშვილი, 84 წლის**

*„თვითმფრინავი ბომბავდა მცხეთისჯვრის ტყის იქით. მერე ჩვენკენ წამოვიდა. პირველი ბომბი პოლიციის შენობას მოხვდა, მეორე კულტურის სახლს, მერე საცხოვრებელ სახლებს. კულტურის სახლის წინ გაჩერებულ ავტობუსს დაუშინეს ბომბი. ავტობუსი დიდი ლიახვის ხეობიდან მოდიოდა, გამოქცეული ხალხი მოჰყავდა, კეხველები. ბომბი ნაძვს დაეცა.*

*შუადღის მერე დაიწყო ტკაცატკუცი. მოადგნენ ჩემი ეზოს კარებს, დანით გაჭრეს ჭიშკარზე თოკი. რომ შემომესმა რუსული ლაპარაკი, დავიმალე სარდაფში. სარდაფს ფანჯარა აქვს და იმ ფანჯრიდან დავინახე 4 სამხედრო. იარაღი ჰქონდათ. კარებს გააღებდნენ თუ არა, ჯერ ისროდნენ და მერე შედიოდნენ შიგ. ალბათ ფიქრობდნენ, სახლში ვინმე ხომ არ არისო. მთლიანად დაწვეს. კვამლი შემოვიდა სარდაფში. გავიქეცი. ვაზებში დამალული ვიჯექი და დავინახე, რომ ჩემ შვილსაც უწვავდნენ სახლს. რომ მოუკიდეს ცეცხლი, მერე სხვის სახლში გადავიდნენ და დაწვეს.*

*სანამ ვიმალებოდი, საქონელი წამისხეს. სახლში სადღა დავწვებოდი. სახლის უკან ძარი მედგა, იმ ძარში სიმინდი მეყარა და იმ ძარში გავათენე ღამე. ერთი კვირა ჭანჭურს ვჭამდი და ტყემალს. დადიოდნენ ოსები და იპარავდნენ. მერე 200-ლიტრიანიც გამოიტანეს. სკები, თაფლები, ცემენტი წაიღეს სამსონასგან."* [380]

მოხუცებმა მეორე დღეს დატოვეს სოფელი.

## სოფელი ბერულა

სოფელი ბერულა ერთხანს მოხუცების იმედად რჩებოდა, თუმცა სექტემბრის დასაწყისში აქაც, ისევე როგორც სხვა ქართულ სოფლებში, ქართველები აღარ იყვნენ. შიმშილი, სიკვდილის შიში და საკუთარი თვალით ნანახი ასობით ჩაფერფლილი სახლ-კარი აიძულებდა მათ, მიეტოვებინათ კარ-მიდამო და საკუთარ სამშობლოში დევნილობაში ცხოვრების მძიმე ბედი გაეზიარებინათ**. გივი გრძელიშვილსაც** არ ეგონა, თუ სახლ-კარის მიტოვება მოუწევდა, მაგრამ, როდესაც აღარც სახლი ჰქონდა და აღარც თავშესაფარი, იძულებული გახდა, ჯერ გორში და შემდეგ კი დროებით ჩასახლებაში ეძებნა გადარჩენის იმედი.

*„10 კაცი შემოვიდა ჩემთან სახლში, შეიარაღებული. ფორმა ეცვა ისეთი, როგორიც რუსებს. მყავდა საქონელი. ოსებმა მათი წაყვანა მოინდომეს. ერთ-ერთმა ხბოს დაარტყა. შევაგინე და ამ ოსმა კონდახი დამარტყა, გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი, ოსები აღარ იყვნენ. საქონელი წაეყვანათ.*

*მეორე დღეს ფეხით ბაღ-ბაღ ვიარე. სახლში რო მივედი, დამხვდა დამწვარი, სულ შედუღებული იყო ერთიმეორეში ხრუსტალი. ჯერ ჩემი სახლი ვნახე, მერე ტერეზასი, მერე ქსენიასი – ყველა დამწვარი იყო."*

**თამარ ხადური, 82 წლის**

*„ვუყურებდი, როგორ ძარცვავდნენ მოსახლეობას. ოსიც დადიოდა, რუსიც. კაზაკებიც იყვნენ, წვრილთვალებიანი ხალხი. მანქანებით გაჰქონდათ ვეში. ჩემი*

379 იხ. ინტერვიუ ბაგრატ ბორცვაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სანერგის ქ. 8-ში, მისი რძლის, გულნაზის თანდასწრებით.

380 იხ. ინტერვიუ მარო ვახტანგაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2008 წლის 28 სექტემბერს, თბილისში №170 ბაგა-ბაღი.

*შვილიშვილის ბოსელში ვიმალებოდი. მეშინოდა, სახლში არ ჩამწვან-მეთქი და ღამეს ბოსელში ვათენებდი. ერთ დღეს შემოვიდნენ ჩემი შვილიშვილის, ზურიკოს ეზოში. საქონელი გაჰყავდათ. მანქანა რომ მიაყენეს და ძარცვავდნენ, ბოსლიდან ვუყურებდი."*[381]

თამარ ხადურის შვილი, **გივი ხადური,** იხსენებს:

*„ბერულა ჰაერიდან 8 აგვისტოს დაახლოებით დღის 13:00 – 14:00 საათისთვის დაბომბეს პირველად. 3-4 თვითმფრინავი დაფრინავდა. სახლები დაბომბვისას დაზიანდა. დაახლოებით 20 ადამიანი დაიღუპა მთლიანად დიდი ერედვიდან (იგულისხმება ბარულა, ერედვი და არგვიცი).*

თავად სოფელი 10 აგვისტოს დატოვა, თუმცა პერიოდულად ბრუნდებოდა დედის მოსანახულებლად და იქაური ამბების გასაგებად. სექტემბრის ბოლოს სოფელში დაბრუნებულს ერედვიც და ბერულაც სულ გადამწვარი და განადგურებული დახვდა.

*„მანქანის კუზაოდან ვხედავდი, რომ ოსები, ქალებიან-ბავშვებიან-კაცებიანად მოდებული იყვნენ სოფელს. ზოგი ბაღებში პამიდორს კრეფდა, ზოგი სიმინდს, ვაშლს. დავინახე, სამნი როგორ დებდნენ თივას სამხიდიან მანქანაზე."*

სოფლის კიდევ ერთმა მკვიდრმა, **ელნარ ვახტანგაშვილმაც** რუსი ჯარისკაცების დახმარებით ერთი თვის შემდეგ ნახა თავისი და მეზობლების გადამწვარი სახლები. ბატონი ელნარი ჩვენთან საუბრისას იმასაც იხსენებს, რომ დამწვარი იყო სოფლის მაღაზიებიც.

**ელენე ბერუაშვილმა** სოფელი ბერულა აგვისტოს ბოლო დღეებში დატოვა. სწორედ ის იხსენებს, როგორ გადაწვეს სახლები 28 აგვისტოს.

*„ბაღ-ბაღ მივდიოდი და გავჩერდი ტურაშვილი ლიზოს ბაღში, რადგან დავინახე, ელგუჯა ბერუაშვილის სახლთან დიდი ცისფერი სატვირთო მანქანა იდგა და 5 სამხედროფორმიანი ელგუჯას სახლიდან ავეჯს ტვირთავდა. მანქანა რომ წავიდა, 2 კაცი დარჩა. ოსები იყვნენ. ოსურად ლაპარაკობდნენ. ერთ-ერთს მკლავზე შემოხვეული ჰქონდა შნური, მობილურის მსგავსი, ანტენიანი რაღაც ეჭირა, აჭერდა ხელს და სახლს უკვე ცეცხლი ეკიდა. ასე ჩემი სახლისნაირად დაწვეს ელგუჯას სახლიც."*[382]

## სოფელი ხეითი

**გიორგი ქულიჩიშვილს** კარგად ახსოვს, რომ *„6 აგვისტოს, ღამით, სოფელი ხეითი დაიბომბა არტილერიით. 8 აგვისტოს სოფელზე განხორციელდა საჰაერო დაბომბვა. 4 თვითმფრინავი დაფრინავდა ერთდროულად, ვერცხლისფერი, დაბლა დაფრინავდნენ."*[383]

სოფლის მცხოვრებლებს, რომლებსაც ჩვენ შევხვდით, არ ახსოვთ, რომ სოფელში დამატებითი ქართული ძალები შესულიყვნენ. მეტიც, *„8 აგვისტოდან სოფელ ხეითში აღარ იყო აღარც ადგილობრივი მილიცია და აღარც სანაკოევის დაცვა".* – იხსენებს **უშანგი შერაზადიშვილი.**

ამის მიუხედავად, სოფელი მაინც უმოწყალოდ იბომბებოდა. ხოლო 9 აგვისტოს უკვე

381 იხ. ინტერვიუ თამარ ხადურთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 17 ივნისს, სოფ. შაუმიანში.

382 იხ. ინტერვიუ ელენე ბერუაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, თამარაშვილის 9.

383 იხ. ინტერვიუ გიორგი ქულიჩიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 4 ივლისს, გორის რაიონის წყალწმინდის დევნილთა ჩასახლებაში.

რუსეთის ჯარები შევიდნენ სოფელში. *„შემოვიდა ტანკების კოლონა, რუსული დროშები ეკეთათ: სამფერა დროშა. ნაწილი დაბანაკდა სოფელ ხეითში. სანაკოევის ადმინისტრაციის შენობაში შევიდნენ“.* – გვიყვება ბატონი უშანგი. რუსებს ოსებიც მოჰყვნენ და იმავე დღეს დაიწყო სოფლების გადაწვა. *„9 რიცხვიდან დაიწყო სახლების გადაწვა. მე ჩემს ბაღში ვიმალებოდი. მაღლობ ფერდობზეა. 9 აგვისტოს საღამოს, შებინდებულზე, ჩემი ბაღიდან დავინახე, გიორგი ქულიჩიშვილის სახლი იწვოდა.“*[384]

**თამაზ ქულიჩიშვილმა** სოფელში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ 42 დღე გაატარა. თავისი თვალით ნახა და გადაიტანა ყველაფერი. სექტემბრის ბოლოს წითელმა ჯვარმა გამოიყვანა. სასტიკად იყო ნაცემი. ღუდუშაურის კლინიკაში ოპერაცია გაუკეთეს.

> *„8 აგვისტოდან მამაპაპისეულ ბაღებში ვიმალებოდი, დასახლებიდან 200-300 მეტრის დაშორებით. ბაღები მაღალ ადგილზეა და იქიდან მთელი სოფელი კარგად ჩანს.*
>
> *10 აგვისტოს შემდეგ გადაწვეს ჩემი სახლი. ჩემი ძმის სახლში ვიყავი და იქიდან ვუყურებდი. რამდენიმე კაცი, ზოგი ფორმაში და ზოგიც უფორმო, შედიოდა სახლებში და გამოჰქონდათ ყველაფერი. გარეთ იდგა რუსების სამხედრო მანქანა და იმაში აწყობდნენ ყველაფერს. დავინახე, უკვე თვითონ სახლი რომ აალდა და იწვოდა.*
>
> *ჩემს უბანში შევესწარი ბევრი სხვა სახლის გადაწვას. მიდიოდნენ ჯგუფურად, ქალებიც დაჰყავდათ. თვითონ შეიარაღებულები გარეთ იდგნენ.*
>
> *დღე არ მახსოვს, 20 აგვისტოს შემდეგ, დილა იყო. დავინახე, ზაურ ზუბაშვილის სახლიდან როგორ გამოჰქონდათ ზოგს საწოლი და ზოგს სხვა ნივთები. სახლთან რუსების სატვირთო მანქანა იდგა (ჭრელი ტენტი რომ აქვს გადაფარებული) ოსებს ასეთი მანქანები არ ჰყავდათ. ცოტა ხანში დავინახე, ბატონი ზაურის სახლიდან ბოლი როგორ ამოდიოდა. რაღაც პატარა ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ, რომელიც გაზით არის დატუმბული, დაიშხუილებდა ხოლმე და მომენტალურად ცეცხლი ეკიდებოდა ყველაფერს. რუსი მხოლოდ ძვირფასეულობით იყო დაინტერესებული. ისინი შედიოდნენ და მერე შედიოდნენ ოსები, რომლებიც ძარცვავდნენ და წვავდნენ ყველაფერს.*
>
> *ყველანაირი ხალხი დადიოდა, ზოგს რკინის კარი უნდოდა, ზოგს საქონელი, ზოგს პროდუქტი და ა.შ.“*[385]

**თამაზ ქულიჩიშვილი** მასზე განხორციელებული ძალადობის შესახებაც გვიყვება.

> *„შემოსვლიდან მე-4 დღეს მცემეს ოსებმა. სამნი იყვნენ, სამხედრო ფორმებში და შეიარაღებულნი. მკითხეს „გრუზინ“? კი-მეთქი. დამაგდეს და იარაღის კონდახი მირტყეს. გონება დავკარგე. იმ ღამეს წვიმა წამოვიდა და იმან გამომაფხიზლა. თვალები ისეთი დასიებული მქონდა, ვერაფერს ვხედავდი.*
>
> *ჩემს სახლში ხეითში ვიყავი. ერთ დღეს გაჩერდა უაზი და იქიდან ვიღაცეები გადმოვიდნენ. შემოცვივდნენ შეიარაღებული სამხედროები. ოსები იყვნენ. არაფერი უთქვამთ, პირდაპირ უმოწყალოდ ცემა დამიწყეს, ზოგი მაფურთხებდა, ზოგი წიხლს მირტყამდა, ფეხით გამაგორებდნენ და გამომაგორებდნენ. მლანძღავდნენ ყველანაირი ბილწი სიტყვებით, თან მიყვიროდნენ, რამდენი ოსი გყავს მოკლულიო“.*

---

384 იხ. ინტერვიუ უშანგი შერაზადიშვილთან, ჩაწერილი „21-ე საუკუნის“ მიერ 2009 წლის თებერვალში.

385 იხ. ინტერვიუ თამაზ ქულიჩიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ.

## სოფელი ქარალეთი

სოფელი კარალეთი, სხვა ქართული სოფლების მსგავსად, 8 აგვისტოდან ოთხი დღის განმავლობაში იბომბებოდა. **თამაზ თიბილაშვილი** სოფლიდან 12 აგვისტოს გამოვიდა, „ციდან მომავალ ცეცხლის ენებს" გამოექცა. გარდა იმისა, რომ ყველას სახლები გადაუწვეს და სარჩო-საბადებელი წაართვეს, ყოველ დაზარალებულს საკუთარი ისტორია აქვს. ცალკეული მცირე დეტალები საერთო, დიდ ტრაგედიაში კიდევ უფრო ამძიმებს მათ ყოფას. საომარი მოქმედებების დაწყების დროს ბატონი თამაზი ავტოავარიის შემდეგ ახალი ნაოპერაციები იყო და აგვისტოში გადატანილმა უბედურებამ მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა.

> *„ოპერაცია გავიკეთე 2008 წლის მაისის თვეში და 6 თვის განმავლობაში არ უნდა გამევლო ფეხზე. ამ მოვლენების გამო მომიწია კასტილების გარეშე სიარული. ექიმმა რომ გამსინჯა, გაირკვა, რომ დაწყებული მაქვს ძვლის დაშლა."*[386]

სოფელ კარალეთშიც სახლებს ძირითადად უფორმო, შეირაღებული ადამიანები არბევდნენ და წვავდნენ. **ბიძინა სუხიტაშვილის,** ისევე როგორც ბევრი მისი მეზობლის, სახლიც სწორედ ასე დაიწვა.

> *„12 აგვისტოს, შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა მოსახლეობის გაფრთხილება დაიწყეს, რომ სოფელი დაგვეტოვებინა, და იმავდროულად ძარცვასაც მიჰყვეს ხელი. 13-ში სახლი დამიწვეს და დავტოვე სოფელი. მივდიოდი და კვამლი მომყვებოდა."* [387]

**იზოლდა თედლიაშვილი**

> *„13 აგვისტოს, ოთხშაბათი რომ გათენდა, მანქანებით ჩამოიარეს უცხო ადამიანებმა. ღობეებს ესროლეს, ალბათ შესაშინებლად. ჯერ თაზო სუხიტაშვილის სახლს წაუკიდეს ცეცხლი. მერე მოთეთრო-კრემისფერი „ჟიგულით" გადაინაცვლეს სუხიტაშვილი ვალას სახლისკენ, მერე მეზობლად გელას სახლსაც წაუკიდეს ცეცხლი და ბოლოს ბიძინა სუხიტაშვილის სახლთან ამოვიდნენ. ეს სახლი ჩვენგან რამდენიმე მეტრშია. გავედი ბაღში და ხეებს ამოფარებული ვუყურებდი. კრემისფერი „ჟიგული" გაჩერდა ბიძინას სახლთან. ოთხი ადამიანი გადმოვიდა. ფორმები არ ეცვათ, ოსები იყვნენ. მაშინ ჩვენს სოფელში რუსები არ იყვნენ შემოსულები.*










*დაბომბილი სოფელი კარალეთი, სექტემბერი 2009 წელი.*

386 იხ. ინტერვიუ თამაზ თიბილაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ.თბილისში, მე-100 საჯარო სკოლაში. ინტერვიუერები ადასტურებენ, რომ თამაზ თიბილაშვილი ინვალიდია.

387 იხ. ინტერვიუები ბიძინა სუხიტაშვილთან და იზოლდა თედლიაშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ 2008 წლის 4 დეკემბერს.

*სახლი დაიწვა, დანახშირდა, ჩაიფუშა ყველაფერი. ბიძინა რომ ჩამოვიდა, ნახა, რომ ხატები გამოუტანიათ სახლიდან, ვიდრე ცეცხლი წაუკიდეს და იქვე ახლოს სათონის შენობასთან დაუწყვიათ."*

**ვლადიმერ სუხიტაშვილისა (ვალას)** და მისი ძმის **ვეფხვიას** სახლების დაწვას, რომლის შესახებაც იზოლდა თედლიაშვილი გვიყვება, მათი დედა შეესწრო.

*„დედაჩემმა თავისი თვალით უყურა, როგორ დაწვეს ჩემი სახლი. მამაჩემი უსინათლოა და დაახლოებით ორი კვირა არ იცოდა, ჩემი და ჩემი ძმის სახლები რომ დაწვეს, მერე შემთხვევით გაიგო ლაპარაკი და ინსულტი დაემართა. ერთ კვირაში გარდაიცვალა. დედაჩემის თქმით, სამი მანქანა დადიოდა, ბევრნი იყვნენ, 15 ადამიანი. ჯერ ჩვენს წინა სახლში შევიდნენ ჩემს მეზობელთან, შემდეგ ჩვენთან შემოსულან და ასე შედიოდნენ და გადიოდნენ. გაძარცვით არ გაუძარცვავთ, არაფერი არ იყო გამოტანილი. ავეჯის ნამწვები ისევ იყო, რომ ავედით. ალბათ ოქროულს ეძებდნენ. ერთბაშად ამოვარდა დიდი კვამლი და მერე მოჰყვა ცეცხლიო. ორივე სახლს ერთდროულად წაუკიდეს ცეცხლი 13 აგვისტოს, ჩემი მეზობლისას და ჩემსას."*[388]

## *სოფელი გუგუთიანთკარი*

გუგუთიანთკარი ერთ-ერთი ბოლო სოფელია, სადაც ქართველებს პერიოდულად შესვლის ნებას რთავენ. სწორედ მასზე გადის დღეს პირობითი ადმინისტრაციული საზღვარი. ფორმალურად იგი საქართველოს ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არის. თუმცა, 2009 წლის ოქტომბერში, ადგილობრივებმა, უსაფრთხოების მოტივებით არ გვირჩიეს სოფელში გადამწვარი სახლების სანახავად წასვლა.

2008 წლის აგვისტოში გუგთიანთკარშიც, ისევე როგორც ბევრ მის მომიჯნავე სოფელში, რუსეთის ფედერაციის ჯარები ჩადგა.

**თინა ბიძინაშვილი:**

*„13 აგვისტოს შემოვიდნენ ოსები და კაზაკები სოფელ გუგუთიანთკარში. უმრავლესობას სამხედრო ფორმა ეცვა. ჩემი მაზლისცოლი შეეფეთათ და დაუწყეს ავტომატის კონდახებით ცემა, გვითხარი, სად არიან თქვენი ბოევიკებიო. თან სადღაც მიათრევდნენ.*

*ბაღში ვიმალებოდით. ბაღის ბოლოდან ვხედავდით, სახლები რომ იწვოდა. ჩემი მეზობელი,* ***დათო ჩალაური*** *დაუჭერიათ ოსებს და როცა ის ჩამოატარეს ჩემს სახლთან, დათოს დაუნახავს 5 ბიჭი ჩემი სახლის ეზოში. 2 ქერა იყოო და სამნიც ხელჩუელი ოსები იყვნენო. სახელიცა და გვარებიც ვიცით მათი. ავტომატზე რაღაცა ჰქონდათ მიმაგრებული. იმას ესროდნენ სახლს და ჩნდებოდა ცეცხლი. ამ პარტიამ დაწვა სხვა სახლებიც. ჩემს უბანში 4 სახლი დაწვეს. ყველა სახლი 13-ში დაიწვა.*

*ვისი სახლიც გადარჩა დაწვას, იმასთან ვათენებდით ღამეს. ჩემს დამწვარ სახლში გადავდიოდი ხოლმე. ერთხელაც სექტემბრის დასაწყისი იყო, გადავედი ჩემს სახლში და ვნახე ორი ოსი. რაღაცეებს იპარავდნენ ჩემს სახლში. რომ დამინახეს, დანა მომიშვირეს – ვეღარ გაიგეთ, რომ აქ არ უნდა იყოთ ქართველებიო! – მითხრეს."*

ქალბატონი თინა ომის დასრულებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგაც დევნილობაშია. გუგუთიანთკარში დაბრუნება დღეს უსაფრთხოების მინიმალური პირობების

---

388 იხ. ინტერვიუები ვლადიმერ და ვეფხვია სუხიტაშვილებთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ 2009 წლის 26 იანვარს.

არარსებობის გამო შეუძლებელია.[389]

გუგუთიანთკარში სახლების გადაწვასა და ქართველების ცემის შესახებ იუწყებოდა 2008 წლის 15 სექტემბერს ბრიტანული გაზეთი „Daily Telegraph", სადაც ხუთი ქართველი მამაკაცის ცემის ფაქტია აღწერილი[390].

სწორედ ამგვარი მუქარით, სახლების გადაწვით, დარჩენილი მოხუცების ცემითა და მძევლად აყვანით აიძულებდნენ ქართულ მოსახლეობას თავიანთი საცხოვრებლის დატოვებას.

## სოფელი ქსუისი

ქსუისელები გაზეთ *„USA Today"*-ს ჟურნალისტებს საბჭოთა პერიოდში ქართველებისა და ოსების თანაცხოვრების შესახებ უამბობდნენ – „ქართველები და ოსები ჰარმონიულად ვცხოვრობდით სიმინდის მინდვრებით, ვენახებითა და ატმისა და ვაშლის ბაღებით გარშემორტყმულნიო". თავად ჟურნალისტი, რომელმაც ქსუისი და მიმდებარე სოფლები მოინახულა, ვითარებას ასე აღწერს:

> *„ამჟამად ქართველებით დასახლებულ ნაწილში დაახლოებით 400 სახლი გადამწვარი და გაძარცვულია. ხოლო ოსების დაახლოებით 700 სახლიდან, მხოლოდ მცირე ნაწილს – სკოლის ჩათვლით – ატყვია ქართული არტილერიის მიერ გახსნილი ცეცხლის კვალი.*
>
> *ბევრი ოსი ამბობს, რომ მათ ქართველ მეზობლებს თბილისის მიერ ჩადენილ დანაშაულზე კოლექტიური პასუხისმგებლობა აქვთ.*
>
> *„ქართველები ჩემი შვილის გვერდით უნდა იწვნენ," – ამბობს 70 წლის ეკატერინე დოგუზოვა.*
>
> *პაველ პანიკაევი კი აცხადებს: „ჩვენ გვაქვს ანგარიშის გასწორების უფლება. ჩვენ არ დავტოვებთ ქართელების სახლებს, ბაღებს, არაფერს. ჩვენ მათ გავაქრობთ პირისაგან მიწისა".*[391]

ეს მუქარა ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ბევრ ქართულ სოფელში ნამდვილად შეასრულეს.

**შოშიტაშვილების ოჯახი**

> *„სოფელში შეხვალ თუ არა, პირველივე სახლი დამწვარია და ასე გრძელდება ბოლომდე. ქრისტეფორემ მითხრა, 10-11 აგვისტოს დილით რომ დაიწყეს, მიჰყვნენ და მთელ სახლებს წვავდნენო."*[392]

**ოფელია შოშიტაშვილმა** სოფელი 10 აგვისტოს დატოვა.

---

389 გუგუთიანთკარში ასვლის მცდელობა რამდენჯერმე გვქონდა 2009 წლის შემოდგომაზე, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც მოსახლეობა ამბობს, სოფელ მერეთში ადგილობრივები ბილიკებით ხანდახან ახერხებენ სოფელში ასვლას, თუმცა ქართველების ტყვედ აყვანის გახშირებული შემთხვევების გამო უსაფრთხოების ზომები სულ უფრო გამკაცრებულია და, შესაბამისად, პირობითი საზღვრის დარღვევა სერიოზულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. ინტერვიუ თინა ბიძინაშვილთან ჩაწერილია თინათინ ხიდაშელის მიერ 2009 წლის 24 ოქტომბერს, გუგუთიანთკარში.

390 იხ. „British police to join EU peace force in Georgia" by Bruno Waterfield, DAILY TELEGRAPH, 15 September 2008

391 იხ. "AP IMPACT: Georgians uprooted in South Ossetia", By Yuras Karmanau, on 29 August, 2008 at http://www.usatoday.com/news/world/2008-08-29-3937720385_x.htm

392 იხ. ინტერვიუ ოფელია შოშიტაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 9 აგვისტოს, თბილისში, გლდანის IV მ/რ, III კორპუსი.





*დაბომბილი სოფელი ქსუისი, დეკემბერი 2008 წელი*

*„ყველაზე მასირებული შეტევა 7 აგვისტოს ღამეს იყო, ყველანი პადვალში ვიმალებოდით. ქართული ჯარი სოფელში 8 აგვისტოს დილით შემოვიდა და ამავე დღეს გამოჩნდნენ თვითმფრინავებიც. დაბომბვა დაიწყეს. შემოფრინდებოდა სამი, წრეს დაარტყამდა, ოსურ სოფლებს გვერდს აუქცევდა და ჩვენს სოფლებს ბომბავდა. ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, ყველას ვარსკვლავები ეხატა. ბომბები ჰაერშივე სკდებოდა, ნაწილებად იშლებოდა და ცეცხლის მასა მოდიოდა ძირს, ზოგი მიწაზე ეცემოდა და შემდეგ ფეთქდებოდა. დაბომბვის პირველივე დღეს, 8 აგვისტოს, ორი სახლი დაიწვა:* **ჯავახიშვილი პაატასი** *და* **ოლეგი შოშიტაშვილის**. **რამაზი შოშიტაშვილის** *სახლსაც რაღაც ნაწილი მოხვდა და დაინგრა.“*

მიუხედავად მისი თხოვნისა, მამა და ძმები სოფელს არ ტოვებდნენ და საკუთარი თვალით ნახეს, თავიანთი სახლების გადაწვა. თავად ქალბატონი ოფელია სოფელში ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა და თავისი და ბიძაშვილის, ქრისტეფორეს დამწვარი სახლები ნახა. გადამწვარ სოფელში ტირილით მოსიარულე ქალბატონს რუსები დასცინოდნენ: „а вы в первый раз“.

ოფელია შოშიტაშვილის ძმის, **იოსებ შოშიტაშვილის** სახლიდან კარგად ჩანდა, როგორ ცვიოდა სოფელზე ჭურვები. *„ჩემს სახლთან 40 მეტრში ჩამოაგდო სნარიადი და მოხვდა ჩემს მეზობელს, 75 წლის სალომე შოშიტაშვილს, ბეჭებში მოხვდა.“*[393] იოსებ შოშიტაშვილი დაჭრილებს ეხმარებოდა და მთელი დღე მანქანით გამოჰყავდა სოფლიდან ხალხი.

როგორც თავად იხსენებს, 8-ში განსაკუთრებით ბევრი იყო დაბომბვისაგან დაზარალებული და დაჭრილი, როგორც სოფელ ქსუისში, ასევე სოფელ ჭარებში და მანაც მთელი დღე იქაურების დახმარებაში გაატარა.

> *„ჭარებში რომ შევედი, დავინახე, ლაფაჩების სახლი იწვოდა. დაბომბილი დამხვდა ჭარები. ვახო რაზმაძეა დაჭრილიო. ვახოს სახლთან რომ მივედი, იქაც ერთი ბომბი იყო ჩამოვარდნილი. სახლი დანგრეული იყო და ვახო დაჭრილი იწვა ლოგინში. მარცხენა მხარი ჰქონდა მოგლეჯილი, მკერდთან, თავში ჰქონდა მორტყმული, ჩავსვი მანქანაში, გამოვიყვანე და წამოიყვანეს საავადმყოფოში გორში. მერე ისევ შევედი ჭარებში და კახა ლაფაჩი წავიყვანე.“*

მეორე დღეს მისი სახლიც დაიწვა ქსუისში და მეზობლებთან ერთად დატოვა სოფელი. უკან მხოლოდ 25 აგვისტოს დაბრუნდა. სოფელი მთლიანად გადამწვარი დახვდა.

393 იხ. ინტერვიუ იოსებ შოშიტაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 9 აგვისტოს, თბილისში, გლდანის IV მ/რ, III კორპუსი.

## *სოფელი ზარდიაანთკარი*

სოფელ ზარდიაანთკარის მცხოვრებლებმა კარგად იციან, რომ მათ სოფელში არასოდეს მდგარა არც ქართული ჯარი და არც სამშვიდობოები. სოფელს ადგილობრივი მილიციაც კი არ ჰყავდა და ტყვიავის მილიციის განყოფილება ემსახურებოდა საჭიროების შემთხვევაში. სოფლის მცხოვრებლები გვიყვებიან, რომ 7 აგვისტოს ქართული ჯარი სოფელ ქსუისის შესასვლელში შევიდა. ქსუისი კი ზარდიაანთკარიდან კილომეტრ-ნახევარში მდებარეობს. მიუხედავად ამისა, სროლებსა და ძალადობას ვერც ეს ქართული სოფელი გადაურჩა.

> *„7 აგვისტოს ოსური სოფლების – დმენისისა და ხელჩუას მხრიდან დაიწყო ინტენსიური სროლები ჩვენი მიმართულებით. მომდევნო დღეებშიც: 8, 9 და 10 აგვისტოს მასირებულად გვესროდნენ.“*[394]

12 აგვიტოს სოფელი თითქმის მთლიანად დაიცალა ადგილობრივებისაგან, თუმცა ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ხალხმა უკან დაბრუნება დაიწყო.

ბატონი **გიორგი გაბლიშვილი** სოფელში 12 სექტემბერს დაბრუნდა.

> *„დავრჩი 22 სექტემბრამდე. ამ დროს სოფელში მოსახლეობის ნაწილიც დაბრუნდა, მაგრამ სექტემბრის ბოლოსთვის ყველანი, ვინც დაბრუნდნენ, ისევ გაიქცნენ. ოსებს როცა უნდოდათ, შემოვარდებოდნენ სახლებში. არ იყო მოსახლეობა დაცული. სახლს ვყარაულობდი, არ დამიწვან-მეთქი. სახლებს ჯერ კიდევ წვავდნენ მეზობელ სოფლებშიც.*
>
> *22 სექტემბერს, ღამის 11.30 საათი იქნებოდა, სახლში ვიყავი. გავიგონე სროლების ხმა მერეთის მხრიდან. სროლის ხმა რომ გავიგონე, გამოვედი სახლიდან და მდინარე ჭარებულას ხევში დავიმალე. დავინახე 6 ავტომატიანი სამხედროფორმიანი კაცი. ოსურად ლაპარაკობდნენ. ექვსივე სახლში შევიდნენ. შევიდნენ თუ არა, ცეცხლი მოედო სახლს. ამის მერე დაახლოებით ნახევარი საათი იდგნენ ეზოში. სანამ მაგრად არ მოეკიდა სახლს ცეცხლი, არ გასულან.*
>
> *მერე გადავიდნენ ჩემი სახლის უკან დაახლოებით 60 მეტრში მდებარე ჩემი ბიძაშვილის,* ***გელა გაბლიშვილის*** *სახლში და იმასაც ისევე წაუკიდეს ცეცხლი.*
>
> *მე რომ დავინახე, ბიძაშვილის სახლში შევიდნენ, ჩავირბინე მდინარეზე. დავუწყე ჩემს სახლში ცეცხლს ჩაქრობა. ალბათ მდინარიდან წყალს რომ ვეზიდებოდი, მაშინ შემამჩნიეს. დამიწყეს სროლა. ამის შემდეგ გამოვიქეცი და მას მერე ზარდიაანთკარში ვეღარ ვბრუნდები.“*

ბატონი გიორგის ინფორმაციით სოფელში სექტემბრის ბოლოსათვის მხოლოდ ერთი შერეული ოსურ-ქართული ოჯახი იყო დარჩენილი.

## *სოფელი საცხენეთი*

სოფლის მკვიდრნი ადასტურებენ, რომ საცხენეთში ქართული ჯარი არასოდეს მდგარა. სოფელში სამშვიდობოების პოსტიც არ ყოფილა, საკუთარი პოლიციაც კი არ ჰყავდათ და პოლიციის ფუნქციებს ვანათის პოლიცია ასრულებდა. პირველი ომის შემდეგ სოფელში დაძაბულობა მუდმივად იყო, ვინაიდან, ბევრი სხვა ქართული სოფლისაგან განსხვავებით, საცხენეთი დაბლობშია და მაღლობებიდან სულ ოსური სოფლებითაა გარშემორტყმული. ესენია: ღვრია, ორტევი, მარმაზეთი, ელტურა და დმენისი. სოფლის ასეთი მდებარეობის გამო იგი ხშირად ექცეოდა სროლების ეპიცენტრში.

---

394 იხ. ინტერვიუ გიორგი გაბლიშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 6 სექტემბერს, თბილისი.

**გოდერძი ხადური** იხსენებს, რომ 2008 წლის აგვისტოს დასაწყისიდან სროლა გახშირდა.

*„ისროდნენ თითქმის ყოველდღე და ყოველი მხრიდან. დილის 6 საათიდან დაიწყებოდა და დაახლოებით 20 წუთი გრძელდებოდა, შებინდებისას ისევ“.*

სოფელში სროლა არ გაჰკვირვებიათ, სარდაფებში იმალებოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი ისევ ჩვეულ რიტმში ჩადგებოდა. თუმცა 8 აგვისტოს ბომბდამშენებმა საჰაერო დაბომბვა დაიწყეს და მოსახლეობამაც სოფელი დატოვა. გოდერძი ხადური სოფელში დარჩა სახლ-კარისა და საქონლის საპატრონოდ.

9 აგვისტოს მის სახლს ოსები მოადგნენ. ჩხრეკის დროს რამდენიმე ვაზნა აღმოაჩინეს სახლში, რის გამოც ბატონი გოდერძი ჯერ სასტიკად სცემეს, ხოლო შემდეგ გონებადაკარგული ტყვედ აიყვანეს. იქვე ოსური სოფლის, დმენისის სკოლაში მიიყვანეს და საკლასო ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი ოთხი დღის განმავლობაში. ტყვეობის პერიოდში არც დაუკითხავთ, არც რამე მოუთხოვიათ მისგან და როგორც უმიზეზოდ დაიჭირეს, ასევე უსიტყვოდ გაათავისუფლეს 13 აგვისტოს.

გოდერძი ხადური ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ საცხენეთში აღარ დაბრუნებულა, რადგან იქ უკვე რუსული ჯარი იდგა და სოფელი მთლიანად ოსი მაროდიორების ხელში იყო. თუმცა, როგორც მეზობელებისაგან იცის, მისი ორივე სახლი დამწვარია.

*„ნინომ მითხრა, შენი ორივე სახლი დამწვარი ვნახეო. ცარიელი კედლებიაო. ის, რომ ჩემი ორივე სახლი დამწვარია, მითხრა ტყვეობაში ჩემმა დარაჯმა ოსმა ბიბილოვმაც.“*[395]

**გიორგი ბიძინაშვილი** დიდხანს დარჩა სოფელში და საკუთარი და მეზობლების სახლების გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

*„ჩემი სახლის აივანზე ვიჯექი, ეზოს ჭიშკარი გააღო სამმა ოსმა და შემოვიდნენ. მეზობელი სოფლის, დმენისის, ოსები იყვნენ, ვიცნობდი. შეიარაღებულები იყვნენ. ერთ-ერთმა ქართულად მითხრა: რაღას ხარ აქ, რატომ არ მიდიხარო? ავად ვარ, სად წავიდე--მეთქი?* ***შენი საქართველოს მიწაზე მოკვდი, რაღა აქ უნდა მოკვდეო*** *და გარეთ გამომაგდო. ის ორნი მაღლა იყვნენ. მილეწ-მოლეწეს იქაურობა. რომ ჩამოვიდნენ, ვხედავდი, როგორ შეასხეს ბენზინი სახლს და წაუკიდეს ცეცხლი. მერე გადავიდნენ მეზობლების: მთვარისა ჯანაშვილის, კობალაძე ლოკას, ჭიოტაშვილი გელას, ჭიოტაშვილი ზურას და ხადური გოგიტას სახლებში და იმათაც წაუკიდეს.*

*მეორე დღეს დაბრუნდნენ და საქონელი წაასხეს.“*[396]

78 წლის **ნინა ჯანაშვილის** სახლიც ჯერ მთლიანად გაძარცვეს. „ქვაბი რომ ქვაბია, ისიც კი





*სოფელი საცხენეთი, აგვისტო 2008 წელი. სურათზე კარგად ჩანს, ოსი მოსახლის სახლი უვნებლად დგას. მისი სახლის ღობე თეთრი სახვევით არის მონიშნული.*

395 იხ. ინტერვიუ გოდერძი ხადურთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 10 ივლისს, თბილისში.

396 იხ. ინტერვიუ გიორგი ბიძინაშვილთან, ჩაწერილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ დევნილთა ჩასახლებაში, ს.კოდა, მე-10 კორპ; 1-ლი სართ; ბ-11

წაიღეს", საქონელი გაიტაცეს, და ბოლოს თავად მოხუციც არ დაინდეს. *„თავში სკამი ჩამარტყეს. თავი და ცხვირი გატეხილი მქონდა, სულ სისხლში ვიყავი ამოსვრილი."* ხოლო წასვლის წინ დაემუქრნენ: *„აქედან დროზე წაეთრიე, სანამ უარესი მოგსვლიაო".* მოხუცს სახლიც რომ გადაუწვეს, ამის შემდეგ სოფელში აღარაფერი აკავებდა და გორის გავლით თბილისში წამოვიდა დევნილობაში[397].

## *სოფელი თორტიზა*

2008 წლის 12 აგვისტოს „Georgian Daily" სოფელ თორტიზის ინტენსიური დაბომბვის შესახებ იუწყებოდა.[398]

**ლალი გოგიძე** სოფლიდან 9 აგვისტოს გამოიქცა. ის სიკვდილსა და ცეცხლს გაურბოდა. თორტიზაში პირველივე დაბომბვას მსხვერპლი მოჰყვა, რასაც ლალიმ თავად უყურა. სოფელში აღარაფერი აჩერებდა. სახლი დაენგრა და ყველაფერი დაეწვა, მრავალჯერ აღმოჩნდა სიკვდილის პირისპირ. მისი მეზობლები ზუსტად ისეთივე ჭურვის ნამსხვრევებით კვდებოდნენ, როგორიც მრავლად ცვიოდა მის ეზოშიც. ამიტომ 9 აგვისტოს დატოვა სოფელი.

> *„8 აგვისტოს, დაბომბვის დაწყებისთანავე ერთ-ერთი პირველივე ბომბი მოხვდა ჩემს საცხოვრებელ სახლს, სახლი ჯერ დაინგრა, შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა. მეორე ბომბი მეზობლის, ეთერ მერებაშვილის ეზოში შესასვლელ ჭიშკარს მოხვდა. ეთერ მერებაშვილი ამ დროს ეზოში იყო და ჭურვის აფეთქების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, მესამე ჭურვი დაეცა სხვა მეზობლის სახლს. ჩემი მეზობელი ქრისტინე მერებაშვილი დაიჭრა, ხოლო მეორე მეზობელი მაქსიმე, გვარი ზუსტად არ მახსოვს, რომელიც ამ დროს ქრისტინე მერებაშვილს ესაუბრებოდა, ადგილზე გარდაიცვალა. ერთ-ერთი ჭურვი დაეცა ჩემი მეზობლის, ნუგზარ ახალკაცის საცხოვრებელ სახლს. ამ დროს გარდაიცვალა მისი თექვსმეტი წლის შვილიშვილი, ნუგზარ ახალკაცი. დაბომბვა გრძელდებოდა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. სოფელს ერთდროულად სამი თვითმფრინავი ბომბავდა."*[399]

ამის შემდეგ სოფელი თორტიზა კიდევ რამდენიმე დღე იბომბებოდა, და ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, ქართულმა მოსახლეობამ დატოვა იქაურობა და საკუთარ ქვეყანაში დევნილთა არმიას შეუერთდა.

## *სოფელი კარბი*

სოფელ კარბში[400] ინტენსიური დაბომბვები 8 აგვისტოს დაიწყო. დაბომბვას მრავალი ადამიანი შეეწირა, კიდევ უფრო მეტი მძიმედ დაიჭრა, დაიხოცა შინაური ცხოველი და ფრინველი, განადგურდა სახლები, ხილის ბაღები, ჰექტრობით ნათესები, ხეივნები, და სოფლის ინფრასტრუქტურა. ჭურვები ყველგან ცვიოდა, სახლების ეზოებში, თავშეყრის ადგილებზე, მაღაზიებთან, შემოგარენში, გზაზე.

---

397 იხ. ინტერვიუ ნინა ჯანაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის სექტემბერში ქ.თბილისში ჩუბინიშვილის ქ. 27, № 139 ბაგა-ბაღში.

398 იხ. „Village of Tortiza is being Bombed" by InterpressNews, on 12 August, 2008, at http://georgiandaily.com/index.php?option=com_content&task=view&id=5720&Itemid=1

399 იხ. ინტერვიუ ლალი გოგიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ.თბილისში, № 100 საჯარო სკოლაში.

400 ინტერვიუები სოფელ კარბის მცხოვრებლებთან, ჩაწერილია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ.

**ნუგზარ ბიბილური:**

*„9 აგვისტოს დილიდან 3-ჯერ აფეთქდა სოფელში ჭურვები, რის შედეგადაც დაიღუპნენ და დაიჭრნენ მცხოვრებლები. ჩვენ ოჯახი არ დაგვიტოვებია, მიუხედავად საფრთხისა".*



დაბომბვებმა ბატონ ნუგზარს გაუნადგურა სახლი, ხილის ბაღები. თუმცა, ყველაზე უარესი წინ იყო. ნუგზარ ბიბილურის მეუღლემ ნერვიულობისა და შიშის გამო 23 აგვისტოს მწვავე ინსულტი მიიღო და დღესაც პარალიზებულია, დაკარგა მეტყველება, ვერ გადაადგილდება.

9 აგვისტოს დაბომბვების შედეგად განცდილ ზარალზე **ციალა თევდორაშვილიც** მოგვითხრობს:

*„დაბომბვისას დაინგრა ჩვენი სახლი. ბომბი სახლიდან დაახლოებით 20 მეტრის მოშორებით ჩამოვარდა, ამ დროს სახლის სარდაფში ვიმალებოდით მე და ჩემი მეუღლე."*

საკუთარი დანგრეული სახლის სარდაფში გაატარეს შემდეგი ოთხი დღე და ღამე. დაზარალებულს ეზოში ორი სახლი ედგა და ორივე შეიწირა 2008 წლის აგვისტოს დაბომბვებმა.

დაბომბვების დროს სოფელში გამეფებულ შიშზე ყვებიან **მზია ჩემია** და **სოფიო გიორგიშვილიც**.

*„სულ ისმოდა სროლები. თვითმფრინავები დაფრინავდნენ და გვბომბავდნენ. სოფელში იყო პანიკა, შიში."*

ქალბატონებმა ყველაფერი დაკარგეს, დაინგრა და დაიწვა მათი შრომით შექმნილი კარ-მიდამო. სოფიო გიორგიშვილი კი დაბომბვის დროს მხარში დაიჭრა.

ასევე მძიმედ იყვნენ დაჭრილი **თენგიზ თევდორაშვილი** და მისი მეუღლე **ეთერ თევდორაშვილი.** 70 წლის თენგიზ თევდორაშვილი ბიძინაანთ უბანში აფეთქების დროს ბევრ სხვასთან ერთად დაიჭრა, თუმცა გადარჩა. მის გვერდით იმ დღეს მისი მრავალი თანასოფლელი დაიღუპა.[401] მას ჯერ ტყვიავის, შემდეგ გორის საავადმყოფოში დაუმუშავეს ჭრილობები, შემდეგ სამი დღე თავის ქალიშვილთან მკურნალობდა და სასწრაფოდ უკან სოფელში დაბრუნდა, სახლკარს მივხედავო. სახლი უკვე დანგრეული დახვდა.

*„მისგან მხოლოდ კედლები იყო დარჩენილი, ასევე მთელი მოსავალი, ხეივანი, ვენახი, ნათესები იყო განადგურებული, დამეღუპა ძროხა და ღორი."*

80 წლის **ოთარ მარიამიძე** თვეების განმავლობაში საკუთარი დანგრეული სახლის კიბის ქვეშ ცხოვრობს. თავადაც დაიჭრა დაბომბვის დროს მარჯვენა ფეხში. თბილისში იმკურნალა და სასწრაფოდ უკან, სოფელში დაბრუნდა. საკუთარი გადამწვარი სახლკარისა და მეუღლის საფლავის მიტოვება ვერ შეძლო.

დაბომბვის დროს მიყენებულ ჭრილობებს სამი კვირის განმავლობაში, სოფელ აწყურში მეგობართან შეხიზნული იშუშებდა უსახლკაროდ დარჩენილი **ვლადიმერ უნაფქოშვილიც,** რომელიც მარჯვენა წინა მხარეს იღლიაში დაიჭრა.

ბიძინაანთ უბანში დაბომბვის დროს ბევრი ადამიანი დაიღუპა, რის შესახებაც დეტალურად გიამბეთ შესაბამის თავში სიცოცხლის მოსპობის შესახებ.

---

401 სოფელ კარბში, 9 აგვისტოს ბიძინაანთ უბანში დაბომბვის დროს დაღუპული ადამიანების შესახებ წაიკითხეთ სიცოცხლის უფლების თავში.

## *სოფელი ერგნეთი*

7 აგვისტოს **ტარიელ კასრაძემ** თავისი ოჯახი გორში ჩაიყვანა და სოფელში მარტო დარჩა საქონლის და სახლ-კარის საპატრონოდ. ერგნეთელები ყვებიან, რომ მათი სოფელი მთლიანად ქართული იყო და მხოლოდ რამდენიმე შერეული ოჯახი ცხოვრობდა. სწორედ ამით ხსნიან იმასაც, რომ მთელი სოფელი დამწვარი და განადგურებულია.

ერგნეთში 7-ში უკვე ინტენსიური სროლა იყო.

> *„7 აგვისტოს ღამე დაახლოებით ცხრის ნახევრიდან სროლა რომ დაიწყო, დილის რვა საათამდე არ გაჩერებულან. რაკეტებსაც ისროდნენ. იმ დღეს თვითმფრინავები სოფელში არ გამოჩენილა, მაგრამ აფეთქებების საშინელი, ძლიერი ხმა გვესმოდა.“*[402]

შესაბამისად, სოფელი მოსახლეობისგან თითქმის მთლიანად დაიცალა. *„მხოლოდ მოხუცები ვიყავით სოფელში“*[403] – გვიამბობს **თამარ დოიჯაშვილი**. 12 აგვისტოს ცხინვალის მხრიდან რუსეთის ჯარი შემოვიდა, ხოლო მათ ფეხდაფეხ სამოქალაქო ტანსაცმლიანი და მკლავზე თეთრსახვევიანი ოსებიც მოჰყვნენ. სოფელში უამრავი რუსული ტანკი და სამხედრო მანქანა იყო და, როგორც თვითმხილველები გვიყვებიან, პირდაპირი დამიზნებით ესროდნენ სახლებს.

> *„კარგად ჩანდა, როგორ მიუახლოვდნენ რუსი სამხედროები ტანკებით და ბეტეერებით ჩემ სახლს. დავინახე, როგორ ესროლეს ჩემ სახლს ერთ-ერთი ტანკიდან ჭურვი. მთელ სახლს ცეცხლი მოეკიდა. ამ დროს ოსებიც თუ იყვნენ მანდ, არ ვიცი. ნამდვილად მახსოვს, რომ ტანკებს რუსული სამფერიანი დროშები ჰქონდა.“*[404]

ერგნეთელების განცხადებით, 12 აგვისტოს დაიწყო სოფლის ძარცვა და გადაწვა, და როგორც **მერი დვალაშვილი** გვიყვება, 17 აგვისტოს სახლების უმეტესობა უკვე დამწვარი იყო.

> *„დამწვარი იყო ჩემი მეზობლების, ჯემალ დოიჯაშვილის, გოჩა დოიჯაშვილის, ნუგზარ დოიჯაშვილის, ნოდარ დოიჯაშვილის, ზაურ დოიჯაშვილის, ივანე დვალიშვილისა და გაიოზ დვალიშვილის სახლები. მათი*



*თამარ დოიჯაშვილს სოფელი ერგნეთი საომარი მოქმედებების დროს არ დაუტოვებია. სოფელი ერგნეთი, ოქტომბერი 2009 წელი.*

---

402 იხ. ინტერვიუ მერი დვალაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 22 ივლისს სოფელ ერგნეთში.

403 იხ. ინტერვიუ თამარ დოიჯაშვილთან, ჩაწერილი თინათინ ხიდაშელის მიერ 2009 წლის 24 ოქტომბერს სოფელ ერგნეთში.

404 იხ. ინტერვიუ ტარიელ კასრაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 10 სექტემბერს სოფელ ერგნეთში.







*დაბომბილი სახლები.*
*სოფელი ერგნეთი, სექტემბერი 2009 წელი*

*სახლებიდანაც კვამლი გამოდიოდა. 17 აგვისტო იყო, დოიჯაანთ უბნიდან წერეთლიანთ უბანში გადავედით. გზაში არავინ შეგვხვედრია, მთელი სოფელი დაცლილი იყო. წერეთლიანთ უბანში, მაია წერეთლის სახლთან ახლოს, ბოძებთან გავჩერდით დასასვენებლად. ამ უბანშიც თითქმის ყველა სახლი დამწვარი იყო, მათ შორის მაია წერეთლის და დავით ჯოხაძისა."*

თავად ქალბატონ მერის სახლი 12 აგვისტოს დაწვეს.

*„სამხედროები გოჩა დოიჯაშვილის სახლს მიუახლოვდნენ. ცოტა ხანში დავინახე, როგორ ავარდა კვამლი გოჩას სახლის სახურავიდან. მერე ეს სამხედროები ჩვენი სახლის ეზოში შემოვიდნენ. მათ შორის რამდენიმე ქალიც იყო. ერთ-ერთმა ქალმა, ოსური აქცენტით, ქართულად თქვა, ამ სახლში ნამყოფი ვარო. მინდოდა გავსულიყავი, მენახა, ვინ იყო, მაგრამ ჩემმა მეუღლემ არ გამიშვა. უეცრად ჩვენი სახლის სახურავიდან შავი კვამლი ამოვიდა. ამის შემდეგ ოსებმა ოსური სიმღერები ჩართეს და ცეკვა დაიწყეს."*

სახლის განადგურებიდან ერთი წლის შემდეგაც კარგად ახსოვს ის მძაფრი ემოცია, რომელიც თავის დაფერფლილი სახლის დანახვაზე დაეუფლათ მას და მის მეუღლეს:

*„საშინელი სანახავი იყო ჩემი სახლი. მთლიანად დამწვარი იყო, სახლიდან ჯერ კიდევ კვამლი გამოდიოდა. ლამის გული გამისკდა, სახლი ასეთ მდგომარეობაში რომ დავინახე. დავიწყე ტირილი. სახლის შემხედვარე, ჩემი მეუღლე უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა, ჭკუიდან შეიშალა, ღრიალებდა, ტიროდა და ყვიროდა, ჩემი სახლი იწვის, გამიშვით, წყალი მომიტანეთ, უნდა ჩავაქროო. ძლივს დავაწყნარე."*

2009 წლის სექტემბერში ჩვენი თვალით ვნახეთ სოფელი ერგნეთი. სისასტიკის საუკეთესო მტკიცებულება თავად სოფლის დღევანდელი მდგომარეობაა. სოფელში გადარჩენილ სახლებს თითებზე დაითვლით. ერთ დროს საკმაოდ დიდი და ძლიერი ქართული სოფელი დღეს ნანგრევებად და ფერფლად არის ქცეული. ამასთანავე, სოფელი გაყოფილია და მისი ერთ ერთი უბანი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დარჩენილი, რის გამოც სოფელში დაბრუნებული ქართველები მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობენ.

თუმცა სახლების ძარცვა და დაწვა არ ყოფილა ერთადერთი უკანონობა, რომელსაც შემოსული სამხედროები თუ გასამხედროებული ფორმირებების წარმომადგენლები სჩადიოდნენ.

**მერი დვალაშვილი** იხსენებს, რომ 11 აგვისტოს, დღის დაახლოებით 12 საათზე მეზობელთან, ზაურ დოიჯაშვილთან იმყოფებოდა.

*„ზაურის სახლის ეზოში ვიდექით, როდესაც უცბად გაისმა წუილის ხმა. მარცხენა ფეხსა და მარცხენა ხელში ტკივილი ვიგრძენი. დავიხედე ფეხზე და დავინახე, რომ ბარძაყიდან სისხლი მომდიოდა. სისხლი წამომივიდა მკლავიდანაც. ზაური დაჭრას გადაურჩა, ხოლო მისი მეუღლე და შვილი დაიჭრნენ, ნათიას ნეკნებში მოხვდა, ხოლო ნანულის – თავში. მე ამ ჭრილობებით ეგრევე სახლში წამოვედი. ჩემი მეუღლეც დაჭრილი დამხვდა. სახლში რომ არ დავხვდი, ჩემ საძებნელად გამოსულა. ტრასისკენ წასულა. ტრასაზე ერთი ბეტეერი იდგა, რომელზეც ფორმიანი სამხედროები ისხდნენ და უმისამართოთ ისროდნენ. ჩემ მეუღლეს უკითხავს, რატომ ისვრითო, მათ კიდევ რუსულად უპასუხიათ, „дядя, война, война". გურამი უკან გამოტრიალებულა და უცბად იგრძნო, რომ სისხლი მოსდიოდა მარცხენა ხელიდან."*



*დაბომბილი სახლი, სოფელი ერგნეთი, სექტემბერი 2009 წელი.*

***10 აგვისტო, 2008 წელი, სოფელი ერგნეთი (სატელიტი 14)***



*ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ სოფელში დაზიანებულია მხოლოდ ერთი შენობა.*

***წყარო:** High-Resolution Satellite Imagery and The Conflict in South Ossetia, Summary Report, October 9, 2008, AAAS, Science and Human Rights Program*

„Amnesty International"-ის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტურ მასალაში ნათლად ჩანს, რომ 2008 წლის 10 აგვისტოს სოფელ ერგნეთში დაზიანება მხოლოდ ერთ შენობას აქვს მიღებული. (სატელიტი 14)

სოფლის მცხოვრებთა განცხადებებიც სატელიტის მიერ გადაღებული ფოტოს დადასტურებაა, რომ 2008 წლის 11 აგვისტომდე რაიმე განსაკუთრებულ ძალადობას ან სახლების დაწვა-განადგურებას, სოფელ ერგნეთში ადგილი არ ჰქონია.

უკვე მოგვიანებით, UNOSAT-ის მიერ გავრცელებულ მასალაში 2008 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით სოფელ ერგნეთში მნიშვნელოვნად განსხვავებული ვითარებაა. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ სოფელში 58 შენობა-ნაგებობა სრულად ან მნიშვნელოვნად განადგურებულია. კერძოდ, თავად UNOSAT-ის მიერ ფოტოზე დატანილი მონაცემების შესაბამისად, 19 აგვისტოს მდგომარეობით 41 შენობა მთლიანად განადგურებულია, ხოლო 17 ძალზე დაზიანებული. შესაბამისად, ფოტოზე (სატელიტი 15) წითლად მონიშნულია ის შენობები, რომლებიც განადგურებულია, ხოლო ყვითლად – დაზიანებული.

***19 აგვისტოს. 2008 წელი, სოფელი ერგნეთი (სატელიტი 15)***




*2008 წლის 19 აგვისტოს გადაღებულ ფოტოზე წითლად მონიშნულია ის ობიექტები, რომლებიც ამ დროისათვის განადგურებულია, ხოლო ყვითლად – ის ობიექტები, რომლებიც მძიმედ არის დაზიანებული – სულ 58 ობიექტი.*

***წყარო:** South Ossetia, Georgia. Damage Assessment with WorldView-1 & Formosat-2 Satellite Imagery recorded on 19 August, 2008; UNOSAT, Satellite Solutions for All*

თვითმხილველთა ინფორმაციით სახლების გადაწვა 2008 წლის 19 აგვისტოს შემდეგაც გრძელდებოდა, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სოფელში სტუმრობით საკუთარი თვალით დღესაც იხილოს.

2009 წლის ბოლოს სოფელ ერგნეთში მხოლოდ 6-7 სახლი დგას დაუზიანებელი. ყველა დანარჩენი ან უბრალოდ აღარ არსებობს, ან განადგურებული და საცხოვრებლად უვარგისია. სოფლის დღევანდელ მდგომარეობას ნაწილობრივ წინამდებარე ანგარიშში მოცემული ფოტომასალაც ადასტურებს, თუმცა ჩვენს არქივში სოფელი ერგნეთის 100-ზე მეტი ფოტოა დაცული, რომლებიც 2008 წლის შემოდგომაზე და 2009 წლის ოქტომბერში არის გადაღებული და დაინტერესების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომია. თავად სოფელი ერგნეთიც ღიაა სტუმრებისათვის და „რუსული ხელოვნების ნიმუში", რომელიც, ერთი მხრივ, ავია-გამანადგურებლებით, ხოლო მეორე მხრივ, ცეცხლის წაკიდებით არის შექმნილი, ყველას შეუძლია საკუთარი თვალით იხილოს.

# | ტყვეობა |






4.1 სამოქალაქო ტყვეები

4.2 სამხედრო ტყვეები



# 4

***„ვეხვეწებოდით, ტელეფონზე მაინც დაგვარეკინეთო. ამაზე აუწიეს ტელევიზორს ხმა და გვითხრეს: თქვენ ხალხს არა სჭირდებითო. აი, მოუსმინეთ, თქვენ აქ რა დღეში ხართ და იქ კონცერტი აქვთ გამართულიო. პირველი კვირა დიდ უბედურებაში ვიყავით.“***

*ნელი მჭედლიძე, ქართველი ტყვე*

***„ათეულობით ადამიანი აიყვანეს ტყვედ, მათ შორის ისეთებიც, ვინც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებდა ჯარისკაცის კრიტერიუმს – ქალები, ბავშვები და მოხუცები. ტყვეებს იყენებდნენ ქართველი ჯარისკაცების ცხედრების გადასატანად და დასამარხად.“***

*ვარვარა პახომენკო**

* იხ. Varvara Pakhomenko „South Ossetia: fear and loathing in the buffer zone“, 15 November 2008, at http://www.opendemocracy.net/article/russia-theme/south-ossetia-fear-and-loathing-in-the-buffer-zone

## 4.1 სამოქალაქო ტყვეები

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 163, ეროვნებით ქართველი, სამოქალაქო პირი იმყოფებოდა ტყვედ. (იხილეთ დანართი 6: სამოქალაქო ტყვეების სია)

განსხვავებულია, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ომბუდსმენის, დავით სანაკოევის ინფორმაცია. 2008 წლის 29 აგვისტოს გაზეთ „USA Today“-სთან ინტერვიუში დავით სანაკოევი აცხადებდა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას სულ 182 ქართველი სამოქალაქო პირი ჰყავდა დატყვევებული „მათივე უსაფრთხოების დაცვის მიზნით“.[405] ამგვარი განსხვავებული მონაცემები, შესაძლებელია, იმით იყოს გამოწვეული, რომ ქართველი ტყვეები ერთ საპატიმროში არ ყოფილან მოთავსებული, ისინი არც ერთდროულად გაუთავისუფლებიათ. სოფელ საცხენეთის მკვიდრის, გოდერძი ხადურის და სოფელი ზემო ხვითის მოსახლის, თამაზ გოგიშვილის ტყვეობის ისტორია სწორედ იმას ადასტურებს, რომ ტყვეები სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა მიზნით ჰყავდათ განაწილებული. შესაბამისად, განსხვადება სტატისტიკაც.



*ქართველი სამოქალაქო ტყვეები. ფოტოზე ჩანს თემურ ლაზარაშვილი.*

საომარი მოქმედებების მიმდინარეობისა და მის შემდგომ დღეებში ქართველი სამოქალაქო ტყვეების შესახებ ბევრს წერდა და აშუქებდა საერთაშორისო მედია. მაგალითად, გაზეთი „Telegraph“ 18 აგვისტოს იუწყებოდა 130 ქართველი ტყვის შესახებ, რომლებიც ცხინვალში ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ჰყავდათ დაკავებული.[406] გაზეთის ინფორმაციით, ტყვეთა შორის იყო 12 წლის გოგონაც. ამასთანავე, პრაქტიკულად ყველა დასავლურ მედიასაშუალებაში ხაზგასმულია სამოქალაქო ტყვეების მდგომარეობით გამოწვეული შეშფოთება. მაგალითად, გაზეთი „The Guardian“ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაზე მიანიშნებდა და წერდა, რომ „სამოქალაქო ტყვეების აყვანა ჟენევის მეოთხე კონვენციის მესამე მუხლით არის აკრძალული“.[407]

მძევლებად ნამყოფი ქართველები, მიუხედავად გადატანილი წამების, შეურაცხყოფის და ძალადობისა, დეტალურად იხსენებენ ტყვედ აყვანასა და ტყვეობაში გატარებულ დღეებს. ამ ისტორიებს არა აქვს, რაიმე ერთი მახასიათებელი, გარდა ადამიანების ეროვნული კუთვნილებისა. ტყვედ აჰყავდათ სოფლებში ჩარჩენილი ეთნიკური ქართველები ან ოსები, რომლებიც შერეულ ოჯახებში ცხოვრობდნენ.

ეთნიკური ქართველების ტყვედ აყვანის და მათ მიმართ არასათანადო, დამამცირებელი და ხშირად სასტიკი მოპყრობის შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი **ეუთოს** 2008 წლის ანგარიშში, თუმცა, იმის გამო, რომ ჩვენთვის უცნობია იმ ადამიანების გვარები და სახელები, რომელთა ისტორიებიც მის ფურცლებზეა მოყოლილი, რთულია დაზარალებულების აბსოლუტური სიზუსტით იდენტიფიცირება. მიუხედავად ამისა, უდავოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების მოხსენება „ადამიანის უფლებები ომით დაზარალებულ ტერიტორიებზე საქართველოში კონფლიქტის შემდეგ“, სადაც ბევრი ინფორმაციაა ტყვეების მიმართ არა-ადამიანური, შეურაცხმყოფელი მოპყრობისა და ძალადობის შესახებ.[408]

---

405 იხ. „AP IMPACT: Georgians uprooted in South Ossetia“, By Yuras Karmanau, on 29 August, 2008, at http://www.usatoday.com/news/world/2008-08-29-3937720385_x.htm

406 იხ. „Georgians held hostage by South Ossetia“, 18 August, 2008, telegraph.co.uk, http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/georgia/2576779/Georgians-held-hostage-by-South-Ossetia.html

407 იხ. „South Ossetia holds civilian Georgians hostage“, The Guardian, 18 August 2008

408 იხ. Human Rights in the War-Affected Areas Following the Conflict in Georgia“, OSCE-ODIHR, Warsaw, November 27, 2008 p. 37-40

84 წლის ტყვე, **ილია ჭულუხაძე** მთელი მონდომებითა და ემოციით გვიყვება საკუთარი გამწარებული სიბერის შესახებ.

> *„ფრატები მეცვა და ტანსაცმლის ჩაცმის საშუალებაც არ მომცეს, ისე შემაგდეს ვილისში და წამიყვანეს ცხინვალში. პირდაპირ მილიციის შენობაში მიმიყვანეს. 11 აგვისტო იყო. 23-მდე ტყვედ ვიყავი. კამერაში ჩემთან ერთად იყვნენ:* **ხალაძე სოკრატი** და მისი ცოლი, **მჭედლიძე ნელი, გოგიძე ანდრო** *და მისი ცოლი* **შურა ხაბარელი, ბაბუციძე ასმათი, ჭულუხაძე ალიოშა, ჭულუხაძე გივი, ხეთაგური ალექსანდრე, ბაბუციძე ენვერი** *და* **ივანე** *და სხვები.“*[409]

ილია ჭულუხაძესთან ერთად მყოფი მისი თანასოფლელი, მძევალი **ნელი მჭედლიძე** მეზობლის სახლიდან გაიყვანეს.

> *„აველი გზაზე და დავინახე, მოგროვილი ჰყავდათ ხალხი. ხაბარელებთან ჩაველი. შეველი თუ არა, თან მომყვნენ ავტომატიანები. შერეულები იყვნენ: ოსებიც და კაზაკებიც. ოსურადაც ლაპარაკობდნენ და რუსულადაც. გამოგვყარეს სახლიდან და მიგვიყვანეს იმ მოგროვილ ხალხთან. დავუყევით ფეხით ცხინვალის გზას. სანამ მოვდიოდით, გზაზე აივლიდა და ჩაივლიდა ხოლმე თეთრი 07, შიგ ახალგაზრდა ბიჭები ისხდნენ და მანქანიდან გვაგინებდნენ ხან რუსულად, ხან ოსურად, გვაფურთხებდნენ. მოგვიშენდნენ ფეხებში ავტომატს, მოხუცები წაწვებოდნენ ხოლმე ძირს კივილით, მერე მოხუცებს ძლივძლივობით წამოვაყენებდით ხოლმე და განვაგრძობდით გზას. პირდაპირ ცხინვალში მიგვიყვანეს, კაპეზეს შენობაში.“*[410]

**დავით ძაძამიამ** დედასთან ერთად 10 აგვისტოს დატოვა თამარაშენი და აჩაბეთის გავლით გორში ჩასვლას გეგმავდა. ირგვლივ რუსი ჯარისკაცები, სამხედრო ტექნიკა და თეთრსამკლაურიანი ოსები იყვნენ. ამიტომ გზადაგზა იმალებოდნენ, რომ ვინმეს არ დაენახა. აჩაბეთში ილია ხაბარელის სახლში გაჩერდნენ, სადაც მისი მეუღლე სალიმათი, მათი შვილი ნატო ხაბარელი და მეზობლები, ასმათ ბაბუციძე, ნელი მაისურაძე, მარუსა და ასმათ ჭულუხაძეები დახვდნენ. მოგვიანებით შემოუერთდნენ თამარაშნელები რამაზ და გივი მინდიაშვილებიც, რომლებიც ასევე სოფლის დატოვებას ცდილობდნენ, თუმცა ვერ მოასწრეს.

> *„ცოტა ხანში ორი ოსი შემოვიდა ილოს სახლში. იარაღი მოგვიშვირეს და გარეთ გაგვიყვანეს ყველანი. გარეთ კიდევ ოთხი ოსი იყო. ყველას სამხედრო ფორმა ეცვა, ოღონდ სხვადასხვანაირი, ზოგს შავი ფორმა, ზოგს მხოლოდ შავი მაისურები და ჭრელი სამხედრო შარვალი, ზოგს ღია მწვანე რუსული სამხედრო და ზოგს კიდევ – ე.წ. ომონის ფორმა. ხელზე ყველას თეთრი ლენტი ეკეთა. ვინც კი ვიყავით, სახლიდან ყველა გამოგვიყვანეს: მე, დედაჩემი –* **ვალენტინა აიდარაშვილი, ტასიკო ლაშხი, ილო, სალიმათ** *და* **ნატო ხაბარელები, ასმათ ბაბუციძე, მარიამ** *და* **ასმათ ჭულუხაძეები, უშანგი (შიო) ჭულუხაძე***. ცოტა ხანში იქვე მოიყვანეს ძმები* **გიორგი და ვიგენტი ჭულუხაძეები** *და* **ჟუჟუნა ჭულუხაძე***.“*[411]

ტყვეები ცხინვალისაკენ ფეხით წაიყვანეს, თუმცა მალევე გზაზე მანქანა დაეწიათ, რომელშიც კიდევ სამი ტყვე – დედა-შვილი **ანასტასია (ტასიკო) ხეთაგური** და **ლევან ხეთაგური** და მათი მეზობელი, **ქეთევან ჭულუხაძე** იყვნენ და ყველანი ერთად ცხინვალში მილიციაში ჩაიყვანეს.

---

409 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებ ილია ჭულუხაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 8 აპრილს, თბილისში, თამარაშვილის ქ. 9.

410 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებ ნელი მჭედლიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ თბილისში, თამარაშვილის ქ. 9.

411 იხ. ინტერვიუ დავით ძაძამიასთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 30 იანვარს, თბილისში. ტყვეობიდან სხვებთან ერთად გამოიყვანა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა თომას ჰამამბერგმა 2008 წლის 27 აგვისტოს. გათავისუფლებას ესწრებოდა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ომბუდსმენი დავით სანაკოევიც.



ქართველი სამოქალაქო ტყვეები, გოგიტა ქიტუაშვილი და ნიკოლოზ დარბუაშვილი.

სოფლის დატოვების მცდელობისას დააკავეს ქურთელი **ლევან ელბაქიძე** და **ვეფხვია ლაფაჩიც**.

*„მეზობლის მანქანით, ფორცვაგენით, წაგვიყვანეს ცხინვალში, მანქანის ბაგაჟნიკში ჩაგვყარეს და ისე. ბაგაჟნიკის კარები რომ გააღეს და გადმოგვყარეს, დავინახე, მილიციის შენობაში ვიყავით. სანამ კამერაში შეგვიყვანდნენ, კორიდორშივე გვცემეს:* ***ქართველები რომ ხართ, იმიტომ გცემთო****. თავიც არ აგვაღებინეს, სასტიკად გვირტყამდნენ. მაიკა მეცვა, რომელსაც ეწერა „იტალია“.* ***ეხლა გიშველოთ იტალიამ და ამერიკამო****. ნეკნები მტკიოდა, ტუჩი და ცხვირი გახეთქილი მქონდა. ამის შემდეგ კამერაში შეგვყარეს. მგონი, 11 აგვისტო იყო.“*[412]

**სონია ლომსაძე** და **რეზო ბაბუციძე** საკუთარი სოფლიდან, აჩაბეთიდან კი გამოექცნენ სიკვდილს და ტყვეობას, მაგრამ 12 აგვისტოს თამარაშენში თავშეფარებულები, ერთ-ერთი დამწვარი სახლის სარდაფში იპოვეს ოსებმა და სხვა ქართველების მსგავსად ისინიც ცხინვალის მილიციის შენობაში მიიყვანეს.

*„კიბეებით ჩაგვიყვანეს ქვევით, იზოლატორში. იმდენი ხალხი იყო, რომ კამერები სავსე იყო. მე და რეზო შეგვიყვანეს ღია ოთახში. ზემოდან მავთულები იყო, ცა მოჩანდა, პატარა ეზოსავით იყო. ფეხის დასადგამი ადგილი არ გვქონდა, ისე იყო ხალხით სავსე. მთელი სამი დღე და ღამე აქ გავატარე. რო დამჯდარიყავი, იმის ადგილიც არ იყო, არათუ დასაძინებელი.“*[413]

ილია ჭულუხაძესთან ერთად საკანში მყოფი **გივი ჭულუხაძე** 9 აგვისტოს თავისი ძმის სახლში იყო და სოფლის ძარცვას იქიდან უყურებდა. სწორედ ამ დროს შევიდნენ მათთან თეთრლენტიანი ოსები: „**ბოგირთან შეიკრიბეთ, იქ სხვებიც იქნებიან და წაგიყვანთო**.“ ბოგირთან შუა სოფელში ბატონ გივის რამდენიმე თავისი თანასოფლელი დახვდა, მათ შორის იყვნენ **დავით ძაძამია, ილო ხაბარელი, სალიმათ ხაბარელი, ნატო ხაბარელი, მარო ხეთაგური, შოთა ლაფაჩი, სოგრატ ხალაძე, მარუსა ჭულუხაძე** და სხვები. აჩაბეთის გავლით წაიყვანეს ცხინვალში.

*„გზად თეთრი ფერის უაზის ტიპის მარშუტკაში ჩაგვსხეს და ჩაგვიყვანეს ცხინვალში. ფანჯრებიდან ჩანდა, რომ თამარაშენსაც ეკიდა ცეცხლი. ქალაქის მილიციის შენობაში მიგვიყვანეს. რომ გადმოვედით, შენობის წინ ბევრი ხალხი დაგვხვდა: ჯარისკაცები, მილიციელები.* ***შენობის შესასვლელთან, კიბეებთან გაგვიშალეს საქართველოს დროშა, ფეხები დაიწმინდეთო. დაგვამწკრივეს და ისე დაგვაყენეს დროშაზე****.“*[414]

**ბაგრატ ხალაძემ** 9 აგვისტოს ერთხელ მოახერხა ოსებისაგან გაქცევა, მაგრამ მეორე დღეს უკვე სახლში მიადგნენ. ჯერ საქონელი წაიყვანეს, შემდეგ თავისი თვალით აყურებინეს, როგორ უწვავდნენ სახლ-კარს და ბოლოს მეზობელთან ერთად ნაქურდალი მსუბუქი ავტომობილით ცხინვალში მილიციის შენობაში გადაიყვანეს. სწორედ იქ, ციხეში, ნახა თავისი

412 იხ. ინტერვიუ სოფელ ქურთის მცხოვრებ ლევან ელბაქიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 8 ივლისს, დევნილთა ჩასახლებაში სოფელ კოდაში. ტყვეობიდან გაათავისუფლა წითელმა ჯვარმა 27 აგვისტოს.

413 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებ სონია ლომსაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 16 აპრილს, დევნილთა ჩასახლებაში თბილისში, გეოლოგიის დეპარტამენტში, მოსაშვილის 24. ინტერვიუს ესწრებოდა შვილიშვილი შმაგი ბაბუციძე. სწორედ შვილიშვილმა გვითხრა, რომ 10 დღე ჰყავდათ ბებია ტყვეობაში და 22 აგვისტოს წითელმა ჯვარმა გამოიყვანა.

414 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებ გიორგი (გივი) ჭულუხაძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის აგვისტოში, დამატებითი ინფორმაცია ჩაწერილია 2009 წლის 26 ივნისს. დევნილთა ჩასახლებაში, თბილისში, თამარაშვილის ქ. №9.

მეუღლე, დარეჯან ხალაძე, რომელიც ოსებმა 9-ში დაატყვევეს. **დარეჯან ხალაძე** ტყვედ აყვანას შემდეგნაირად იხსენებს:

> *„9 აგვისტოს 15 ადამიანი მოგვაგროვეს, ჩამოგვიყვანეს ფეხით აჩაბეთში, იქაც მოგროვილი იყო ხალხი, 20-25 ადამიანი. ჩაგვსხეს რაფის ტიპის 3 მანქანაში და წაგვიყვანეს ცხინვალში, მილიციის შენობაში. შეგვიყვანეს შიგნით,* ***წინ გაგვიშალეს ქართული დროშა და გვითხრეს, ფეხები გაიწმინდეთ, თქვე ღორებოო****. იარაღი ასხმული ჰქონდათ და გვერეკებოდნენ შენობაში, რომ გადაგვევლო დროშაზე. თვითონ კიბეებზე იდგნენ და დაგვცინოდნენ,* ***სააკაშვილს დაუკარით ტაშიო, აი, რა გიყოთო“****.*[415]

დროშაზე ფეხით შედგომას ყველა ტყვეს აიძულებდნენ. **დავით ძაძამია** იხსენებს, რომ ცხინვალის დროებითი დაკავების იზოლატორში რომ მიიყვანეს, იქაც შესასვლელში ქართული დროშა დააფინეს და ტყვეებს მოსთხოვეს:

> ***„ჯერ დააფურთხეთ და მერე ზედ გადაიარეთო“.***



სააგენტო „ოსინფორმი“

დაახლოებით 30 ადამიანი იყო ერთად. *„უარის გამო ჯერ თავი გამიტეხეს ავტომატის კონდახით და შემდეგ ძლიერ მცემეს.* ***ამას ყველაფერს მათი შსს მინისტრი მინძაევი ესწრებოდა*** *და მშვიდად უყურებდა.“*[416] როდესაც ტყვეები შენობაში შეიყვანეს, ახალგაზრდებს არჩევდნენ და ცალკე ოთახში მიჰყავდათ დაკითხვაზე, ამოწმებდნენ, ჯარისკაცები ან რეზერვისტები ხომ არ იყვნენ. 31 წლის დავით ძაძამიაც მათ შორის აღმოჩნდა.

> *„შენობიდან გარეთ გამიყვანეს და კიბის ძირში დააგდეს საქართველოს დროშა. მინძაევი ისევ იქ იყო. ოსმა მითხრა:* ***„დავაი, მოშარდე ზედო“****, მე ვუთხარი,* ***„ნე მაგუ“****-მეთქი. მაგ დროს წიხლი ამომარტყა წინიდან ფეხებს შორის. ჩავიკეცე და ზევიდან ავტომატის კონდახი ჩამარტყეს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ გონება არ დამეკარგა“.*

დავით ძაძამიას ცემის ფაქტს თამარაშენელი ტყვე **ანა დათაშვილიც** იხსენებს:

> *„ოს სამხედროებს ახალგაზრდა ბიჭები გარეთ სამუშაოდ გაჰყავდათ. ბიჭები გარეთ რომ გაჰყავდათ, იქიდან სულ ნაცემები შემოდიოდნენ, გაშავებულები იყვნენ ხოლმე. დათო იყო ერთი ძაძამია თამარაშენიდან, გამგეობაში მუშაობდა, ისე სცემეს, რომ სულ დაუშავეს თვალები.“*

13 ან 14 აგვისტოს, 77 წლის კეხველი **ნიკოლოზ კახნიაშვილი** სახლ-კარის გადაწვის შემდეგ შუაღამისას გორისკენ მიმავალი დააკავეს ოსებმა და ცხინვალში ჩაიყვანეს. მასთან ერთად „კარცერში“ (როგორც თავად უწოდებდნენ) კიდევ 50 ტყვე იყო. მათ შორის ოსებიც, ისინი, ვისაც შერეული ოჯახები ჰქონდათ ქართველებთან. მილიციის თანამშრომლები ოსებს ეუბნებოდნენ, **„ქართველს რატომ გაჰყევი, შენ თუ ოსებისკენ ხარ, ქართველს არ გაჰყვებოდიო“.**[417]

---

415 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებლებთან, დარეჯან და ბაგრატ ხალაძეებთან, ჩაწერილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელთა მიერ, 2009 წლის 27 ოქტომბერს. ცოლ-ქმარი ტყვეობიდან გამოიყვანა წითელმა ჯვარმა 23 აგვისტოს.

416 იხ. ინტერვიუ დავით ძაძამიასთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 30 იანვარს, თბილისში.

417 იხ. ინტერვიუ სოფელ კეხვის მცხოვრებ ნიკოლოზ კახნიაშვილთან, ჩაწერილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენლების მიერ, 2008 წლის 10 სექტემბერს, თბილისში 150-ე საბავშვო ბაგა-ბაღში. ნიკოლოზ კახნიაშვილი სხვა 15 ქართველ ტყვესთან ერთად 24 აგვისტოს ოსებმა გორში ჩამოიყვანეს ოს ტყვეებში გაცვლის მიზნით.

ერთ ერთი ასეთი ტყვე შერეული ოჯახიდან იყო **ასლან ჯიოევი**, თავად წარმოშობით ოსი, რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა. ჯიოევი ოთხ სხვა თანასოფლელთან ერთად 12 აგვისტოს სოფელ კეხვში დააკავეს კაზაკებმა და ოსებმა. „იქვე იდგა ტანკები, რომელშიც ისხდნენ რუსი ჯარისკაცები". ასლან ჯიოევი გვიყვება, რომ სწორედ იმის გამო, რომ ქართულ სოფელში ქართველებთან ერთად ცხოვრობდა, დარწმუნებული იყო, რომ მოკლავდნენ. ამიტომ, როდესაც ცხინვალში მილიციაში მიიყვანეს, თავისი გვარი დამალა და ნებიერიძედ ჩაეწერა. დაკავებისთანავე დაუწყეს ცემა, ავტომატის კონდახებს ურტყამდნენ თავში და მოკვლით ემუქრებოდნენ. დაკავებიდან ორი დღის განმავლობაში ჯიოევსა და მასთან მყოფ პირებს ატვირთვინებდნენ ოჯახებიდან გამოზიდულ ავეჯს – ნაქურდალს. ორი დღის შემდეგ ოთხივენი სატვირთო მანქანით წაიყვანეს ცხინვალში და მიიყვანეს მილიციის შენობის ეზოში, ხეთაგუროვის ქუჩაზე.[418]

ტყვეობას ვერც სოფელ თამარაშენის 92 წლის უხუცესი ნიკალა პაპა გადაურჩა. **ნიკოლოზ ელბაქიძეს** სოფელში ყველა ნიკალა პაპას ეძახდა და ჩვენთან საუბარშიც მას ასე მოიხსენიებდნენ თანასოფლელები. როდესაც ოსები მის სახლში შევიდნენ და ცხინვალში გაყოლა უბრძანეს, მოხუცმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. **ანა დათაშვილი** იხსენებს:



ფოტო: RFE/RL

*სამოქალაქო ტყვე ნიკოლოზ ელბაქიძე.*

*„სოფლის ცენტრში საქართველოს ბანკის შენობასთან მიმიყვანეს. იქ სხვა თანასოფლელებიც დამხვდნენ, კერძოდ, ელბაქიძე ნიკალა, გოგიძე შაქრია, გოგიძე კოლია და გოგიძე თემო. მგონი, სულ 6 კაცი ვიყავით. ნიკალა ელბაქიძე, ომის ვეტერანი, 92 წლის კაცი, ნაცემი იყო და ტიროდა, თავიდან სისხლი მოსდიოდა და მხარიც სტკიოდა. როგორც თვითონ მითხრა, ოსებმა რომ დააკავეს, მაშინ ჩაარტყეს ავტომატის კონდახი."*

ნიკოლოზ ელბაქიძის შესახებ **დავით ძაძამიამ** გვიამბო**:**

*„ძალით წამოიყვანეს. თავი გაუტეხეს და ლავიწი ჩაუმტვრიეს. ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და ზონდი ჰქონდა ჩადგმული. კონცლაგერში მოსძვრა. ტკივილებისაგან იტანჯებოდა. ორი დღე მასხარად იგდებდნენ და ექიმი არ მოჰყავდათ".*[419]

**ნუნუ გოგიძეც** თავისი სახლის ეზოდან წაიყვანეს ცხინვალის იზოლატორში.

*„10 აგვისტოს ეზოში 3 შეიარაღებული პირი დავინახე, ერთი კი სახლში შესულიყო. რუსებიც იყვნენ და ოსებიც. ჩეჩენი კარებში იდგა და ეზოში არც შემოსულა. მომთხოვეს დამეტოვებინა სახლი და მათ გავყოლოდი, აქ ქართველების ადგილი არ არისო.*

*შევეკამათე, სად უნდა წამოგყვეთ, ამ სახლს რომ უყურებ, აქ ოსი უფრო მეტი სტუმარია ნამყოფი, ვიდრე ქართველი, არ გცხვენია-მეთქი? არ მაინტერესებსო და ფეხებში ავტომატიდან მესროლა, თან იცინოდა, შეგეშინდაო." გზაზე რომ გამოვედით, ჩემი ოსი ნათესავი **ნადეჟდა გოგიძე** შეგვხვდა, და ოსურად უთხრა, რა გინდათ ამ მოხუცი ქალისაგან, რას ერჩით. პასუხად ავტომატის კონდახი ჩაარტყეს და ისიც ჩვენთან ერთად წამოიყვანეს. გზაზე კიდევ ერთი კაცი, **ქრისტო ხეთერელი** აიყვანეს."*[420]

---

418 იხ. ინტერვიუ სოფელ კეხვის მცხოვრებ ასლან ჯიოევთან, ჩაწერილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ 2008 წლის 10 სექტემბერს, თბილისში №150 საბავშვო ბაღში. ასლან ჯიოევი ტყვეობიდან 27 აგვისტოს გათავისუფლდა.

419 ნიკალა პაპას ისტორია ჩვენს მკვლევრებს დავით ძაძამიამ უამბო. ნიკოლოზ ელბაქიძის ისტორია იხილეთ აგრეთვე, "Georgian Hostages Swapped For Ossetian Fighters In Gori", Gocha Apitsiauri, August 21, 2008, at http://www.rferl.org/content/Georgian_Hostages_Swapped_For_Ossetian_Fighters_In_Gori/1192915.html; აგრეთვე, http://www.youtube.com/watch?v=lSqiWomftEw;

420 იხ. ინტერვიუ ნუნუ გოგიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 9 ნოემბერს, ქ. თბილისში დროებით ჩასახლებაში. დამატებითი, დამაზუსტებელი ინფორმაცია ჩაწერილია 2009 წლის 30 ივნისს, ქ. თბილისში.

**დავით ძაძამია** სხვა პატიმრებსაც იხსენებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ საკანში:

*„თავიდან საკანში სადღაც 10 კაცი ვიყავით. მე რომ მიმიყვანეს, უკვე 3 კაცი იქ დამხვდა: მამა-შვილი* **უშანგი და გია თეგაშვილები** *და* **გიორგი დათაშვილი** *– სამივე თამარაშენიდან. მე და ჩემთან ერთად აჩაბეთში დაკავებული სხვა კაცები ერთად შეგვიყვანეს იმ საკანში, მეორე დღეს მამა-შვილი* **თენგიზ და ოთარ**



ფოტო: Reuters

*ქართველი ტყვეები რეზო შავკანი და გოგიტა ქიტუაშვილი ცხინვალში დე ფაქტო შსს შენობასთან. 2008 წლის 15 აგვისტო.*

**მელანაშვილებიც** *შემოიყვანეს. ისინი სოფელ კეხვიდან იყვნენ. შემდეგ* **რომან კასრაძე** *შემოიყვანეს ცხინვალელი და* **მიხო რაზმაძე** *ქსუისიდან (ტირძნისში დაუჭერიათ) – 26 წლის ბიჭი იყო, საშინლად ნაცემი. ციხიდან ჩვენზე ადრე გამოუშვეს, ქალების გამოშვებიდან რამდენიმე დღეში, ძალიან რომ იყო ნაცემი, ალბათ ამიტომ. ბოლოს შემოიყვანეს* **აკაკი ბასიშვილი** *(ლიახვის ხეობის დეპუტატის მამა) და* **ასლან ჯიოევი** *(რომელიც ნებიერიძედ ჩაეწერა, ოსური წარმოშობა რომ არ გაემხილა). სულ საკანში 15 კაცი ვიქნებოდით. მეორე დღეს კიდევ ორი თბილისელი ბიჭი ვნახე,* **გიორგი მონასელიძე** *(22-23 წლის) და* **ნიკა ხარაძე** *(19 წლის), ორივე ნაცემი იყო. ჩვენზე ადრე მიუყვანიათ.* **კახნიაშვილი კობა** *იყო საჩხერიდან და მისი* **12 წლის ბიჭი გიორგი. თემო ბარბაქაძეც** *იყო კიდევ, რომელიც მუშად მუშაობდა ცხინვალში.“*

თავად **გიორგი მონასელიძე** თბილისელია. ცხინვალში 8 აგვისტოს თავისი ნებით მოხალისედ წავიდა თავის მეგობარ ნიკა ხარაძესთან ერთად, თუმცა რეზერვისტების ბაზაზე იარაღი არ მისცეს და გზად შემხვედრ მანქანებს მიჰყვებოდა. 8-ში საღამოს 9 საათისათვის უკვე ცხინვალში იყო. ოსებმა დაიჭირეს და იქვე ქალაქში ჯერ კერძო სახლში გამოკეტეს, შემდეგ კი ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად, სადაც 27 აგვისტომდე იმყოფებოდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გიორგი და ნიკა ყველაზე ხშირად ხდებოდნენ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი.[421]

421 გიორგი მონასელიძის ინფორმაციით, მასთან ერთად იმ სახლში იყვნენ თამაზ ბარბაქაძე და მისი დისშვილი კობა. მათი მიყვანის შემდეგ კი თბილისელი გიო ხუნაშვილი, ლაშა პატარქალიშვილი და გოგიტა ბერიძე შეიყვანეს. ყველანი ნაცემები იყვნენ, გიოს თავი ჰქონდა გატეხილი. მეორე დღეს კი ყველა ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს.



ფოტო: არკადი ბაბჩენკო

*სამოქალაქო ტყვეები თამაზ და ზაზა გოგიშვილები, სოფელ ზემო ხვითიდან.*

ტყვედ აიყვანეს ზემო ხვითელი **თამაზ გოგიშვილიც**. 11 აგვისტოს დაბომბვის დროს სოფელში იყო და სწორედ მაშინ დაიჭირეს.

*„ტანკი მოდიოდა. გზა დავუთმე. გააჩერეს. ათნი იყვნენ. ფორმები ეცვათ. მკლავზე თეთრი ლენტები ეკეთათ ყველას. რუსულად მითხრეს, ხელები მაღლაო! და იქვე ახლოს კედელთან ამაყუდეს. გამჩხრიკეს და კისერზე რეზერვისტის ჟეტონი მიპოვეს. გვარდიელი ხარო, გადაცმული ხარო. ერთ-ერთმა მცემა, ცხვირი და წარბი გამიტეხეს ცემის დროს. მთლიანად დასისხლიანებული ვიყავი. […] ცოტა ხნის შემდეგ გამოგვიყვანეს ყველანი გარეთ. მე და ზაზა წაგვიყვანეს მინდორში. გვითხრეს ხელები თავზე დაიწყეთ და ისე გაიქეცითო. თვითონ უკან მოგვდევდნენ. ტანკი ზევით გველოდებოდა.“*[422]

რთულია თვითმხილველთა ისტორიებში კატეგორიულად გამიჯნო დანაშაულისა თუ სისასტიკის სხვადასხვა ფორმები, მაგალითად, ზუსტად გაავლო ზღვარი შეურაცხყოფასა და ცემას შორის. სწორედ ამიტომ ხშირად სხვადასხვა ქვეთავებში მთავარი თემიდან შესაძლო აცდენები იგრძნობა. მაგრამ მაინც შევეცადეთ, რომ ჩვენს ნაშრომში მეტ-ნაკლებად პირობითი სისტემა შემოგვეტანა და ჩვენს ხელთ არსებული იმ ინფორმაციისა და ისტორიების სისტემატიზაცია მოგვეხდინა, რომელსაც ჩვენი რესპონდენტები დიდი ტკივილით, მაგრამ მთავარ კითხვებზე პასუხების მიღების იმედით გვიყვებოდნენ.

## *ა) საპატიმროში*

საპატიმროში ადამიანის ღირსების შემლახავი და სიცოცხლისათვის საშიში პირობები იყო. ამას ყველა პატიმრის ინტერვიუ ადასტურებს. ჩვენს არქივში მრავლად არის ფოტო- და ვიდეომასალაც, რომელიც საკნებისა და პატიმრების მდგომარეობის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას იძლევა. იმის მიუხედავად, თუ სად იმყოფებოდნენ მძევლები, მათი ისტორიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს - ყველგან შეურაცხყოფა, საკვებისა და სასმელი წყლის სიმცირე ან საერთოდ არარსებობა, გადატვირთული კამერები, სანიტარიის მინიმალური პირობების უგულებელყოფა, კაცებისა და ქალების აღრევა საკნებში, დამამცირებელი შრომა და ცემა. კვირების განმავლობაში ქართველი პატიმრები ცხინვალის საპატიმროში, ე.წ. იზოლატორში და დაკავების სხვა ადგილებში ენით აუწერელი სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ. მოპყრობა კიდევ უფრო მძიმე და გაუსაძლისი იყო იმ საკნებში, სადაც ჯარისკაცები ან რეზერვისტები ჰყავდათ. ბევრი მათგანი საკუთარი თანამებრძოლის მკვლელობასაც შეესწრო, ხოლო თავად სიკვდილის მუდმივი შიშის ქვეშ ათენ-აღამებდნენ. ჩვენ შევეცდებით, ტყვეების მიერ მონაყოლით იმ ვითარების მეტ-ნაკლებად სრული სურათი აღვადგინოთ, რომელიც ქ. ცხინვალის ე.წ. „კონცლაგერებში“ იყო შექმნილი.[423]

ყველა ქართველი საკუთარი ტყვეობის ისტორიას შემდეგი სიტყვებით იწყებს.

*„შენობის შესასვლელთან დაგვიწყეს ლანძღვა:* **ქართველები ფაშისტები ხართო,**

422 იხ. ინტერვიუ თამაზ გოგიშვილთან, ჩაწერილი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 30 მაისს.

423 ცხინვალის საპატიმროს შესახებ ვიდეომასალა იხილეთ http://www.youtube.com/watch?v=lSqiWomftEw

> **უნდა დაგხოცოთო**. *შენობის წინ ბევრნი იდგნენ სამხედროფორმიანები, მკლავზე მრგვალ ემბლემასავით ჰქონდათ ყვითელი. გარეგნობით ძაან შერეულები იყვნენ: ოსებიც იყვნენ და კაზაკებიც, რუსებიც. მერე ჩაგვიყვანეს პადვალში, 6 საფეხურით დაბლაა პირველი სართულიდან, და კამერებში ჩაგვყარეს".*[424]

როგორც ჩვენ მიერ გამოკითხული ადამიანების მონაყოლით ირკვევა, თბილისელი მოხალისეები გიორგი მონასელიძე და ნიკა ხარაძე ცხინვალის პოლიციის შენობის სარდაფში ტყვეთა ბანაკის ერთ-ერთი პირველი ტუსაღები იყვნენ. ისინი 8 აგვისტოს გვიან ღამით დააკავეს და 9-ში დილით კერძო ბინიდან საკანში გადაიყვანეს.

> *„ჩვენი კამერა დერეფნის ხელმარცხნივ პირველივე იყო. კამერაში არავინ არ დაგვხვდა, მაგრამ მახსოვს, საშინელი სუნი იყო. სხვა საკნებთან ჩვენ შეხება არ გვქონია, არც ხმაური ისმოდა, ჩვენთვის ვეყარეთ, ყველას თავისი განსაცდელი ჰქონდა. ერთმანეთს არც კი ველაპარაკებოდით.* **ჩვენ პირველი ტყვეები ვიყავით**, *ჩვენამდე არავინ არ იყო. ჩვენს კამერაში ბოლოსკენ ერთი 20 კაცი მაინც შევგროვდით."*[425]

საპატიმროს მდგომარეობას კიდევ ერთი ყოფილი ტყვე, **ნელი მჭედლიძე,** ასე ახასიათებს:

> *„ერთ პატარა ოთახში 40 ქალი ვიყავით. ჩამოგვდიოდა ოფლი, ვეღარ ვსუნთქავდით. საშინელი სუნი იდგა: ზოგს კუჭი ჰქონდა აშლილი, ზოგს ჩაფსმული ჰქონდა შიშისაგან. რკინის კარებს პატარა ფორთოჩკა ქონდა და ის დაგვიტოვეს ღია. კამერაში შეწუხებულები რომ ვიყავით, ზოგი ყვიროდა, გაგვიშვითო, ზოგი ტიროდა."*



*ქართველი სამოქალაქო ტყვეები ცხინვალის საპატიმროში*

## *ბ) სივიწროვე*

**ილია ჭულუხაძეს** კარგად ახსოვს, რომ *„სულ 9 კამერა იყო, ცხრავე გადატენილი"*. გივი ჭულუხაძე კი იხსენებს, რომ *„კამერა იქნებოდა დაახლოებით 8 კვ/მ, ფანჯარა არ ჰქონდა. კარებს ჰქონდა პატარა გასაწევი ფორტოჩკა"*, და როდესაც ზედამხედველები ძალიან წუხდებოდნენ ტყვეების ტირილითა და ყვირილით, სწორედ ჰაერის ამ ერთადერთი წყაროს

---

424 იხ. ინტერვიუ სოფელ აჩაბეთის მცხოვრებ ნელი მჭედლიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 16 ივლისს, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. 9.

425 იხ. ინტერვიუ გიორგი მონასელიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, ქ. თბილისში, 2009 წლის 24 იანვარს.

დაკეტვითაც ემუქრებოდნენ. *„გაჩუმდით, თორემ ამ ფორთოჩკასაც დაგიკეტავთ და ევრე დაგხოცავთ, რომ ვერავინ გაიგებსო“.* – კარგად ახსოვს ეს მუქარა **ნელი მჭედლიძეს**.

> *„კამერაში იყო ორი რიგი ფიცრის კოიკა, არაფერი არ ეგო ზედ. ვინც ვერ ეტეოდა ფიცარზე, იატაკზე წვებოდა. იატაკი ფიცრისა იყო. დასაწყისში ცალ-ცალკე ვიწექით ქალები და კაცები კამერებში, მაგრამ შემდეგ დღეებში მძევლები რომ მოიყვანეს, ვეღარ ვეტეოდით და ყველა ერთად ვიწექით ხოლმე. ის კი არადა, რომ ვერ ვეტეოდით, გააღეს კამერის კარებები და გარეთ გამოვდიოდით ხოლმე. კამერები ვიწრო დერეფანში გამოდიოდა. დერეფანში კიბე იყო, რომლითაც გარეთ ეზოში გავდიოდით. იმასაც თუ ეზო ჰქვია. უფრო ღია ოთახი იყო. როგორც ცხოველები ზიან გალიაში, ისე ვიყავით იმ ეზოში. ზემოდან კლეტკებით იყო დაფარული. ამ კლეტკების უჯრებიდან ცა ჩანდა. მაგრამ ჰაერს მაინც ვყლაპავდით.“*

## *გ) ძილი*

**ილია ჭულუხაძე**

> *„საწოლები არ იყო, არც ლეიბები რაიმე, ძირს დასაგებად. თუ მოვასწრებდი, კამერაში ვიწექი ცემენტზე, თუ ვერა და კამერის გარეთ ვიწექი კენჭებზე. ხუთი ღამე ასე გავატარე, სულ ჩამილურჯდა სხეული კენჭებისგან. მერე ქალებს შევეცოდე და თავისთან, ფეხებთან დამაწვინეს ცემენტზე.“*

ილია ჭულუხაძე იმაზეც წუხდა, რომ *„ქალები და კაცები ერთად ვიყავით. დაახლოებით 12 ადამიანი ერთ კამერაში. სივიწროვე, ჭყლეტა იყო.“*

ამ ისტორიისგან არც სხვა პატიმრების მონათხრობი განსხვავდება. იმის მიუხედავად, თუ რომელ საკანში იყო ტყვე, პირობები ყველგან ერთნაირად მძიმე იყო.

**გივი ჭულუხაძე**:

> *„კამერაში საწოლები არ ყოფილა, იყო მხოლოდ ორი ნარი – ფიცრები. 2 მეტრი იქნებოდა ეს ნარები სიგრძესა და სიგანეშიც. ნარებზე ძველი ლეიბები ეგო მხოლოდ, ყარდა ეს ლეიბები, მაგრამ მერე ეგეც წაგვართვეს. თითო ნარზე ხუთნი ვიწექით. ნარების ქვეშ სამი ადამიანი იწვა ცემენტზე. იმ ღამეს, 9 აგვისტოს, კამერაში 8 ადამიანი ვიყავით. მეორე და მესამე დღესაც (10-ში, 11-ში) შემოიყვანეს მძევლები და ერთ კამერაში თოთხმეტნი ვიყავით, ოჩერედითა ვწვებოდით ხოლმე“.*

ლეიბები დიდი იშვიათობა იყო და იქაც, სადაც ერთი-ორი მაინც ჰქონდათ, ისიც გადააყრევინეს.

**დავით ძაძამია**

> *„22 აგვისტოს, ქალები რომ გაუშვეს, ბადრაგმა ყველაფერი გადაგვაყრევინა საკნებიდან. გვითხრეს, რომ თქვენც უნდა გაგიშვათო. ოთახები სულ დაგვალაგებინეს და დაგვაწმენდინეს, მერე აღარ შეგვიშვეს და ღამე კიბის ქვეშ დერეფანში გავათენეთ. მეორე დღეს ისევ კამერებში დავბრუნდით.“*

## *დ) ჰაერი*

ტყვეების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა უჰაერობა იყო. პრაქტიკულად ყოველი მათგანი იხსენებს, რომ კამერებს არ ჰქონდა ფანჯარა.

> *„არც ერთ საკანს არ ჰქონდა ფანჯარა, რომელიც დღის სინათლეზე გადიოდა. საკანი გადიოდა კარიდორში, რომელიც მხოლოდ ერთი ნათურით იყო განათებული.“*[426]

426 იხ. ინტერვიუ დავით ძაძამიასთან.

*„სუნთქვა ჭირდა. საშინელი სიცხე და დახუთულობა იყო. ხალხი ცუდად ხდებოდა. მეც ცუდად გავხდი. კარებს მიადგა ხალხი და ყვიროდა, გვიშველეთო. ზედამხედ-ველები მოვიდნენ, სად ჯანდაბაში გაიქცევიანო და კარები გაგვიღეს."*[427]

ეს კარიც დერეფანში გადიოდა, რომელსაც, თავის მხრივ, ფანჯარა არ ჰქონდა.

## ე) კვება

ტყვეების კვება ბანაკში გათვალისწინებული არ ყოფილა. **ნელი მჭედლიძე** გვიყვება:

*„პირველი კვირა მხოლოდ წყალსა და პურს გვაჭმევდნენ. არც ჭიქა გვქონდა, არც თეფში. წითელი ჯვრის მონახულების შემდეგ გრეჩეხა მოგვცეს დღეში ერთხელ და პლასტმასის თეფშები და ჭიქებიც მოგვიტანეს. წითელი ჯვარი 16 აგვისტოს შემოვიდა ჩვენთან".*

**ნუნუ გოგიძესაც** ახსოვს ის დღეები, როდესაც საჭმელი და წყალი საერთოდ არ ჰქონდათ:

*„ჩვენს საკანში დაახლოებით 25 ქალი ვიჯექით. ოთხი დღე არც საჭმელი გვქონდა და არც სასმელი."*

ანალოგიური მდგომარეობა იყო კაცების საკნებშიც. **ლევან ელბაქიძე** გვიამბობს:

*„პირველი კვირა მხოლოდ პურს გვაჭმევდნენ. ოთხ კაცზე ერთი პური მოჰქონდათ. მერე დაგვიმატეს მშრალი გრეჩეიხა და უტკბო ჩაი, დღეში ერთხელ გვაჭმევდნენ. თეფში და ჩანგალი არ გვქონია. გადაჭრილ პლასტმასის ბოთლებში ვჭამდით გრე-ჩეხას და წყალსაც იმით ვსვამდით. სიგარეტებს მაღლიდან ჩამოყრიდნენ ხოლმე."*

წიწიბურას დამატება სხვა ტყვეებსაც ახსოვთ. **ილია ჭულუხაძე** გვიამბობს:

*„დილა-საღამოს მოჰქონდათ გრეჩიხა, უტკბო ჩაი და პატარა პური. გრეჩიხის მეტი არაფერი მიჭამია. საჭმელი რო მოჰქონდათ, ასე გვეძახდნენ, ჭამეთ, თქვე ღორებოო. დასაწყისში კარდონის ქაღალდებზე ვჭამდით, მერე ერთჯერადი თეფშები მოგვიტანეს."*

**გივი ჭულუხაძის** საკანშიც ანალოგიური მდგომარეობა იყო:

*„ერთი პური მოჰქონდათ ხუთ კაცზე, მშრალი გრეჩეხა, ჩაი, ხან უპესოკო, ხან ოდნავ ტკბილი. პირველი ორი დღე დღეში ორჯერ გვაჭმევდნენ, მერე დღეში ერთხელ".*

ტყვიაველი **ლევან გიგუაშვილი** თავის ემოციას გვიზიარებს:

*„როგორც საქონელს, საჭმელს ისე გადმოგვიყრიდნენ."*

იზოლატორში მეთვალყურეები ოსები იყვნენ მეზობელი სოფლებიდან. მრავალმა ტყვემ ამოიცნო ისინი. სახელები და გვარებიც იციან. თავისი მეთვალყურე **დავით ძაძამიამაც** ამოიცნო.

*„დავით თედეევი, იყო ბადრაგი.* ***პურს მეშოკით მოიტანდა ხოლმე, ფეხს ამოარტყავდა და ჭამეთ, ღორებოო, გვეუბნებოდა.****"*

## ვ) სასმელი წყალი

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო სასმელ წყალთან დაკავშირებით. ყველა ტყვედ ნამყოფი და დღეს დევნილობაში მყოფი ქართველი იხსენებს, რომ პირდაპირ მდინარე ლიახვიდან ამოტანილ წყალს ასმევდნენ.

---

427 იხ. ინტერვიუ ნუნუ გოგიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, 2009 წლის 9 ნოემბერს, ქ. თბილისში.

**ნელი მჭედლიძე:**

> *„წყალი ისეთი ჭუჭყიანი იყო, რომ ვერც ვსვამდი. მეშინოდა, დიზენტერია არ დამმართნოდა. მარტო პირში გამოვივლებდი ხოლმე და ვაფურთხებდი“.*

კეხველი **თინა ნებიერიძეც** ყვითელ, დაბინძურებულ წყალზე მოგვითხრობს:

> *„საშინელი ჭუჭყიანი, ყვითელი წყალი იყო დასალევად, ალბათ მდინარის.“*

პატიმრებს ჭურჭელი არ ჰქონდათ და ასეთი წყლის დალევაც კი პრობლემა იყო მათთვის.

**ილია ჭულუხაძე:**

> *„კამერიდან რო გამოხვიდოდი, პატარა ადგილი იყო სამოძრაოდ, იქ იდგა წყლის ცისტერნა და იქიდან უნდა ჩამოგესხა წყალი. ჭიქები არ გვქონდა. თუ ბოთლს ვიშოვიდით, ვსვამდით. მერე მოიტანეს ერთჯერადი ჭიქები“.*

**დავით ძაძამია:**

> *„წყალი ორ კასრში იყო, ერთი რკინის დაჟანგებული კასრი იყო, მეორე – პლასტმასის. სახანძრო მანქანით მოჰქონდათ ყვითელი წყალი, ეტყობა მდინარე ლიახვიდან იყო. სახანძრო მანქანებს ჩვენ თვითონ ვხედავდით ხოლმე, რადგან შემოღობილ ეზოსთან გარედან აყენებდნენ და მერე მილებით ასხამდნენ წყალს კასრებში. ტუალეტთან იდო ეს კასრები. იქ ხელიც უნდა დაგვებანა და წყალიც უნდა დაგველია.“*

## ზ) *სანიტარია*

გაუსაძლის პირობებს საშინელი ანტისანიტარია კიდევ უფრო ამძიმებდა.

**გივი ჭულუხაძე:**

> *„3-4 მეტროში იყო ტუალეტი. საერთო ტუალეტი იყო ქალებისთვისაც და კაცებისთვისაც. ტუალეტს კარები არ ჰქონდა. რიგი რომ იყო შესვლაზე, ქალი იქვე მელოდებოდა ხოლმე. რიდი აღარ გვქონდა. სულ ერთი ტუალეტი იყო“.*

**ნელი მჭედლიძე:**

> *„160 მძევალს ერთი ტუალეტი გვქონდა. სიბინძურე და სიმყრალე იყო იმ ტუალეტში. კარიც არ ქონდა. ერთი სიფრიფანა ცელოფანი იყო ჩამოკიდებული. ტუალეტის გვერდზე იყო პირის საბანი. თუ მოასწრებდი, დაიბანდი პირს. წყალი ფაქტიურად არ იყო. ცისტერნით მოჰქონდათ და როცა უნდოდათ, მაშინ გამოუშვებდნენ ხოლმე.“*

## თ) *იძულებითი შრომა და სასტიკი მოპყრობა*

ყველა მეტნაკლებად შრომისუნარიანი ტყვე ვალდებული იყო, მუდმივად ემუშავა. პატიმრების იძულებითი შრომის შესახებ იმ დღეებშივე საერთაშორისო მედია იუწყებოდა. მაგალითად, გაზეთი *„USA Today“* 16 აგვისტოს ანალოგიური ისტორიის შესახებ წერდა, ამავე შინაარსის სტატიაში სათაურით „ქართველების იძულებითი შრომა სამხრეთ ოსეთში“.

> „შაბათს ეთნიკური ქართველების სამი სხვადასხვა ჯგუფი წმენდდა ცხინვალის ქუჩებს. ჩემ წინ დაახლოებით თორმეტი ადამიანი გამოიყვანეს ქუჩაში ოსმა და რუსმა ოფიცრებმა. „შრომა მაიმუნსაც კი ადამიანად აქცევსო“, ამბობდა რუსი ოფიცერი. ეს უკანასკნელი ჩვენს ფოტოგრაფსაც დაემუქრა, თუკი ის ფოტოებს გადაიღებდა.“[428]

შრომა ქართველ ტყვეებს სრულად არაადამიანურ პირობებში და არაადამიანურ გარემოში მოეთხოვებოდათ. **ასლან ჯიოევი** ჩვენთან საუბრისას იხსენებს, რომ დღის

---

428 იხ. „Georgians doing forced labor in South Ossetia“, *USA TODAY,* August 16, 2008, http://www.usatoday.com/news/world/2008-08-16-Georgia-forced-labor_N.htm

განმავლობაში ტყვეებს იძულებით ამუშავებდენ (ასაფლავებინებდნენ გარდაცვლილებს, ნიჩბებით ნანგრევებისგან ასუფთავებინებდნენ ქუჩებს). თავად მას ერთ დღეში 50 მკვდარი დაამარხვინეს. მუშობისას თავზე ედგნენ ავტომატებით შეიარაღებული ოსები და ემუქრებოდნენ, რომ მათი ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოკლავდნენ. და ასე გრძელდებოდა ყოველდღე. მუშაობის დროს არც კვება და არც დასვენება გათვალისწინებული არ იყო.

**დავით ძაძამია:**

*„სამუშაოდ დაახლოებით დილის 10 საათზე გავყავდით და უკან გვაბრუნებდნენ, იმის მიხედვით, სამუშაოს როდის მოვრჩებოდით, ძირითადად დაახლოებით საღამოს 6 საათზე. მუშაობის დროს საჭმელი ჩემთვის არ მოუციათ, არც გვასვენებდნენ. მხოლოდ ერთ დღეს, ბოლოს რომ გამიყვანეს სამუშაოდ მაშინ გვაჭამეს – პური და თევზის კონსერვი."*

**გიორგი მონასელიძე:**

*„ვინც თვალში მოხვდებოდათ, ის მიჰყავდათ სამუშაოდ, ხშირად მე, ნიკუშა და სხვა თბილისელები გავყავდით. კაბინეტების და ქალაქის დასალაგებლად. თითქმის ყოველდღე, 7-ზე დილით გავდიოდით. როცა ვალაგებდით, ხან კონდახით გვცემდნენ ხოლმე და ხან ფეხს ამოგვარტყამდნენ. მთვრალი ოსები მანქანას გააჩერებდნენ ხოლმე, შეგვაგინებდნენ, ამოგვარტყამდნენ წიხლებს და მიდიოდნენ."*

**რეზო შავკანი:**

*„ახალგაზრდა ბიჭები სამუშაოდ გავყავდით ქალაქში. დანგრეულ შენობებს ვწმინდავდით, ნაგავს ვყრიდით. ზოგი მიცვალებულების დასამარხად მიჰყავდათ, მე ერთხელ მომიწია მხოლოდ. ერედვის მინდვრებში წაგვიყვანეს, პირდაპირ მინდვრებზე ეყარა მკვდრები და იქვე ვმარხავდით. პატარაზე მიწას ამოვთხრიდით. სულ ჯარისკაცები იყვნენ, ქართველები. თავის ხალხს თვითონ მარხავდნენ ეზოებში, ჩვენ არ გვამარხინებდნენ.*

*ყოველ დღე გავყავდით სამუშაოდ დილიდან საღამომდე. ზოგი კერძოდ მიყავდათ სამუშაოდ. ვინმე მოვიდოდა, იტყოდა, სახლი დამენგრა, გამაყოლე ვინმეო და ხალხს ატანდნენ.*

*მეც ესე კერძოდ რამოდენიმეჯერ წაველი. იქვე ცხინვალში დანგრეული სახლის ნანგრევებს ვყრიდით, ერთხელ დანგრეული ქარხანა იყო. როცა ვმუშაობდით ხანდახან გვაჭმევდნენ, ხანდახან არა. ზოგს ისე ვეზიზღებოდით, რომ საჭმელი კი არა, წყალსაც არ გვალევინებდნენ. მხოლოდ ოსებს მივყავდით სამუშაოდ. მოხუცები არსად არ მიყავდათ, დამწყვდეულები ჰყავდათ კამერაში."*[429]



*ქართველი სამოქალაქო ტყვე რეზო შავკანი გვამების შეგროვების დროს. ცხინვალი, აგვისტო 2008 წელი*

გივი ჭულუხაძეც ადასტურებს, რომ სამუშაოდ უფრო ხშირად ახალგაზრდები გაჰყავდათ. მათ შორის ქალებიც.

**ნელი მჭედლიძე:**

*„გაგვიყვანდნენ ხოლმე ახალგაზრდა ქალებს გარეთ და გვამუშავებდნენ. ქუჩებს ვალაგებდით, ოსები კი ავტომატებით გვადგნენ, რომ არ გავქცეულიყავით. მოსახლეობა გვაფურთხებდა, გვწყევლიდა. ზოგმა ქვაც გვესროლა. დილიდან შუადღემდე ვმუშაობდით."* იძულებითი შრომის დროს ხშირი იყო ტყვეების

429 იხ. ინტერვიუ რეზო შავკანთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, გორში, ხახუტაშვილის №3

*ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ფიზიკური შეურაცხყოფისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გარეშე არც ერთ შემთხვევას არ ჩაუვლია.*

**დავით ძაძამია** გვიყვება, რომ სამუშაოდ პირველად ტყვეობის მეორე დღეს იმავე შენობაში მეორე სართულის დასალაგებლად აიყვანეს.



*ცხინვალის იზოლატორის უფროსი ჰამლეტ გუჩმაზოვი*

*„მუხლებზე დაგვაჩოქეს და იატაკს გვახეხინებდნენ. გიორგი მონასელიძე იქ დაგვხვდა, იატაკებს წმენდდა და თან სცემდნენ, დაჩოქილი იყო და წიხლებით სცემდნენ. 5 კაცი გამოვიდა ამ დროს ერთ-ერთი ოთახიდან, სამხედრო ფორმა ეცვათ, რუსულად და ქართულად ლაპარაკობდნენ. რაღაცეები გამომკითხეს. მერე ცემა დამიწყეს. ლევანიც[430] სცემეს, გინდა თუ არა ჯარისკაცი ხარო. სამივე დაჩოქილი ვიყავით და წიხლებით ხუთივე გვირტყამდა. მინძაევი აქაც გამოჩნდა – „მაიმუნი შრომამ ადამიანიად აქცია და თქვენ, ქართველები, ისევე მაიმუნები დარჩითო. იმუშავეთ და იქნებ რამე გეშველოთო.“ კაპეზეს უფროსმა, **ჰამლეტ გუჩმაზოვმა**, დაჩოქილს ტუფლები მომიშვირა – გამიწმინდეო. რომ შევყოვნდი, ძლიერად დამარტყა, ცხვირი გამიტეხა და სისხლი წამსკდა. მას შემდეგ სისხლდენა მქონდა დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე.“*

ამ ინციდენტის შესახებ **გიორგი მონასელიძემაც** გვიამბო:

*„6-7 კაცი იქნებოდა სამხედრო ფორმაში. კონდახებით მცემდნენ და წიხლებით. ერთი წიხლი მარცხენა თვალში მომხვდა. მერე დასიებული მქონდა. ესენი რომ მირტყავდნენ, გავითიშე, მომაძახეს, ნახე ეს „აკტიორიო“ და კიდევ უფრო მაგრა დამიწყეს ცემა, თან იატაკზე დაგდებული ვიყავი. მერე მითხრეს, დაალაგეო და ჩემივე სისხლი მომაწმენდინეს. იატაკს რომ ვწმენდდი, ამ დროს ამოიყვანეს ლევან ელბაქიძე და დათო ძაძამიაც. სამივენი ვალაგებდით და თან გვცემდნენ. დათოს დაუწყეს განსაკუთრებით მაგრა ცემა“.*[431]




*ქართველი ტყვეები, დავით ძაძამია, ნიკა ხარაძე და გიორგი მონასელიძე ცხინვალში გმირების ქუჩის დალაგების დროს.*

430 დავით ძაძამიასთან ერთად საკნიდან ლევან ელბაქიძეც აიყვანეს და სწორედ მისი ცემის შესახებ გვიყვება რესპონდენტი. ლევან ელბაქიძის ცემის ფაქტი გიორგი მონასელიძემაც დაგვიდასტურა.

431 იხ. ინტერვიუ გიორგი მონასელიძესთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ქ. თბილისში, 2009 წლის 24 იანვარს.

განსაკუთრებით მძიმე ქართველი ტყვეებისათვის ქალაქის დასუფთავება იყო. ამ დროს ოსები შეურაცხყოფის, დამცირებისა და სისასტიკის ნამდვილ შოუს აწყობდნენ.

**გიორგი მონასელიძეს** და **ნიკა ხარაძეს** მოუწიათ იმ ქალაქში გავლა, სადაც მათ ყველა მოსისხლე მტრად მიიჩნევდა.

*„რუსებმა რომ აღიარეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა 26 აგვისტოს, ქალაქის დასალაგებლად ვიყავით გასულები, შუშის ნამსხვრევებს და ტოტებს ვალაგებდით გმირების ქუჩაზე. ხალხი უკვე დაბრუნებული იყო ცხინვალში, მანქანების მოძრაობაც იყო. ნიკუშა ქუჩის იქითა მხარეს მუშაობდა, მე - აქეთა მხარეს, 10-10 კაცი ვიყავით. უცებ ატყდა სროლები. და „независимость! независимость!" ყვიროდნენ. ჩვენ დავდიოდით და ვალაგებდით, თან თვალში არავის ვუყურებდით, გვეშინოდა. მანქანებით დადიოდნენ და უმისამართოდ ისროდნენ. ერთი ბადრაგი იყო და მაგან გვითხრა, რომ დამოუკიდებლები გავხდითო. მე ამ დროს ცრემლები წამომივიდა და, რომ დაინახა, მოკვლით მემუქრებოდა."*

**დავით ძაძამია** ერთ-ერთი ასეთი „გასეირნების" შესახებ გვიყვება:

*„17 აგვისტოს წამიყვანეს სამუშაოდ, თითქმის ორი კილომეტრი გვატარეს ფეხით და მიგვიყვანეს ცხინვალშივე ძველი წისქვილის შენობაში. დაახლოებით 30 კაცი ვიყავით. ცოტა ხანში ოსი ქალებიც მოვიდნენ და დაგვიწყეს ქვების სროლა, თქვე ღორებო და ფაშისტებოო.*

*ბადრაგი ამ დროს იდგა და არაფერს აკეთებდა. იმ საღამოს სისხლის დენა დამეწყო. ქალაქის დასალაგებლად რამდენჯერმე მომიწია გასვლა, მგონი, სულ ოთხჯერ. დალაგებაზე 8-10 კაცი გავყავდით ხოლმე. ქუჩაში გამვლელები ბოთლებს და ქვებს გვესროდნენ".*

თუმცა ქალაქში გასეირნების უფრო მძიმე ეპიზოდებს ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცები იხსენებენ. მათი ისტორიები შეგიძლიათ წაიკითხოთ ქვევით, თავში სამხედრო ტყვეების შესახებ.

ქართველ ტყვეებს მკვდრების შეგროვება და დამარხვაც ევალებოდათ. **გივი ჭულუხაძემ** განგვიმარტა:

*„მკვდრებს ცელოფანში ვახვევდით და სასახლეებში ვაწვენდით. მკვდრები ძირითადად ქართველი ჯარისკაცები იყვნენ. ხელს რო მოვკიდებდი, ხან ხელი შემრჩებოდა ხოლმე და ხან ფეხი".*

**დავით ძაძამიამ,** თავის თანასაკნელებთან ერთად მრავალ ასეთ დაკრძალვაში მიიღო მონაწილეობა.

*„15 აგვისტოს კუბოები წაგვაღებინეს. ცარიელი იყო კუბოები. სოფელ ნიქოზის მხარეს, ე.წ. „შანხაის" დასახლებაში გვამებს გვაკრეფინებდნენ. საერთოდ შიშვლები იყვნენ, ტრუსებიც კი არ ეცვათ, სულ გაშავებულები იყვნენ დამწვრობისგან. ყველა კაცი იყო, თმაც საერთოდ არ ჰქონდათ. ძალიან დასახიჩრებულები იყვნენ – ზოგს ფეხი არ ჰქონდა, ზოგი წელში იყო გაწყვეტილი. ჩვენ ვერც ვარჩევდით, ქართველები იყვნენ თუ არა, არც ფორმა ეცვათ, მაგრამ თვითონ ოსები გვეუბნებოდნენ, ქართველები არიანო.*



*ქართველი ჯარისკაცების გვამების შეგროვება სამოქალაქო ტყვეების მიერ, ცხინვალი აგვისტო 2008 წელი*

*ჩვენმა ჯგუფმა 17 ცხედარი ავკრიფეთ. ოსები გვაგინებდნენ და ამბობდნენ, თქვენს ქართველებს მკვდრები არ უნდათო".* 432

## ი) შეურაცხყოფა

როგორც უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, ტყვეთა ცემა და შეურაცხყოფა საკნებში თუ საკნებს გარეთ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რთულია, ასე კატეგორიულად დაადგინო, სად გადის ზღვარი ცემასა და წამებას შორის, ცემასა და შეურაცხყოფას შორის, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოქმედებებს შორის, მაგრამ სრული სურათის აღდგენისათვის მაინც შევეცადეთ, რომ მცირე სისტემატიზაცია შემოგვეტანა და ასეულობით მსგავსი ისტორიიდან ის დეტალები ამოგვეკრიფა, რომლებიც სურათის სრულყოფას მეტ-ნაკლებად შესაძლებელს გახდის.

**ნელი მჭედლიძე:**

*„ერთ საღამოს ეზოში ვიყავით. ეზოდან ავდიოდი კიბით მილიციის შენობის პირველ სართულზე. კიბეებიდან დამცინავად გვიცქეროდნენ ხოლმე ოსები, ღორებიო, იძახდნენ. იმ საღამოს ქალები ვიყავით ეზოში გამოსულები ჰაერის ჩასაყლაპად. ოსები მთვრალები იდგნენ კიბეზე ორნი და ჩვენს გასაგონად ლაპარაკობდნენ რუსულად. ერთმა უთხრა მეორეს: გაიყვანე, რომელი ქალიც გინდა და იხმარეო. მეორემ უპასუხა: ამათ სახმარადო, ძაღლიც ცოდოაო."*

მიუხედავად ასეთი პასუხისა, შიში და უარესის მოლოდინი ძალიან მაღალი იყო ტყვეთა შორის. მით უფრო, რომ, როგორც **დარეჯან ხელაძე** იხსენებს, მისი საკნიდან *„ერთი ქალი, შორენა, ბევრჯერ გაიყვანეს ოსებმა, აუპატიურებდნენ."* **თინა ნებიერიძე** გვიამბობს, რომ, მართალია, ხანში შესული ქალები სამუშაოდ არ დაჰყავდათ და ბევრი უბედურება, რომელიც კაცებს გადახდათ თავს, მათ არ შეხებიათ, შეურაცხყოფას არც ადგილზე აკლებდნენ.

*„მუდმივად გვამცირებდნენ. ზემოდან სიგარეტის ნამწვავებს, ნახმარ ერთჯერად საგნებს, ბრიტვებსაც კი გვაყრიდნენ. საჭმელსაც ზემოდან გვიყრიდნენ, ძირითადად გამხმარ პურს, გვაფურთხებდნენ და გვეძახოდნენ, ჭამეთ, ღორებოო."*

კაცები კი ძირითადად საკნებს გარეთ დამცირებასა და შეურაცხყოფაზე მოგვითხრობენ. **ლევან გიგუაშვილი**:

*„სამუშაოზე როცა გავყავდით, ადგილობრივი ოსები ცდილობდნენ, მანქანა დაეჯახებინათ და დავესახიჩრებინეთ, მაგრამ, რადგან ჩვენ დათვლით ვიყავით ჩაბარებული, ბადრაგი გვიცავდა, სათვალავში რომ არ დავკლებოდით. შეურაცხყოფის მოყენებას კი არ უშლიდნენ და ისინიც გვაფურთხებდნენ და წიხლებს გვირტყამდნენ."*

**დავით ძაძამიას** ბადრაგი უქმნიდა მუდმივად პრობლებს, რადგან იცნო.

*„დავით თედეევი, ბადრაგი, კიბეზე იდგა. ხელში „ბაბოჩკა" დანა ეჭირა. ორი პასპორტის სურათი ჰქონდა, რომელიც კიბის მოაჯირზე ჰქონდა გაკრული და დანით ხვრეტდა. ამათ იცნობო, მკითხა, ვუპასუხე, არ ვიცნობ-მეთქი. შენც ღორი ხარ და ესენიც ღორები არიანო. ორივე სურათი დანით პირში ჩამიდო და მითხრა შეჭამე, თორემ ამ დანით ყურებს დაგაჭრიო. იდგა და მელოდებოდა."*

## კ) ცემა

იზოლატორში ცემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. **დარეჯან ხელაძე** გვიამბობს:

*„ახალგაზრდა ბიჭებს სცემდნენ, გაჰყავდათ ცალკე ოთახში და ისმოდა ბრაგაბრუგი*

---

432 ცხედრების დამარხვაზე იმ დღეს დავით ძაძამიასთან ერთად იყვნენ ზაზა მაისურაძე, უშანგი ჭულუხაძე, ლევან ხეთაგური, რუსთაველი (სახელი და გვარი არ იცის), დავით ჯარმელაშვილი და სხვები.

*და ცემის ხმა. მათი ყვირილი გვესმოდა. ერთი ტყვიაველი ბიჭი იყო. ვნახე, თავიდან სისხლი ჩამოსდიოდა. რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი გაიყვანეს რამდენჯერმე, სცემეს და ისევ შემოიყვანეს. როგორც მერე ამბობდნენ, დაბლა დააგდებდნენ და ურტყამდნენ. მათ თავის აწევის უფლებაც არ ჰქონდათ. ამას ჭრელფორმიანი ოსი მილიციონერები აკეთებდნენ.“*

**თინა ნებიერიძესაც** კარგად ახსოვს:

*„ახალგაზრდა თუ შუახნის კაცები, ყველანი სასტიკად ნაცემები იყვნენ. ისინი პერიოდულად აჰყავდათ ზედა სართულზე და იქიდან ისმოდა საშინელი ცემისა და ყვირილის ხმები. სამუშაოზე გაყვანის შემდეგაც, როგორც წესი, ნაცემები და ნაწვალები ბრუნდებოდნენ“.*

**ლევან ელბაქიძე**, ერთ-ერთია იმ ახალგაზრდებისგან, რომელთაც რეგულარულად სცემდნენ:

*„ხან სამი, ხან ოთხი გავყავდით და მილიციის შენობაში გვცემდნენ ხოლმე. გვეტყოდნენ, დაალაგეო და სანამ ვალაგებდით, თან გვცემდნენ. ძალიან მძიმედ ვიყავით ნაცემები, ხან ცხვირი გვიტყდებოდა, ხან რა და ხარ რა. ზოგი წიხლს ამოგვარტყამდა, ზოგი რომ ჩაივლიდა, თან ხელს შემოგვარტყამდა. რუსი შენობაში იყო ხოლმე. ხედავდნენ, რომ გვირტყამდნენ. არაფერს უშლიდნენ.“*

ცემა დაკითხვის შემადგენელი ნაწილიც იყო. დაკითხვა საკმაოდ პირობითი ცნებაა, რადგან როგორც ტყვეები ამბობდნენ, არსად არაფრის არ იწერდნენ, რაიმე ოფიციალური დოკუმენტაცია არ გაფორმებულა. თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით რუსი ჟურნალისტების მიერ გადაღებულ რამდენიმე ვიდეოჩანაწერს.

**გიორგი მონასელიძემ** მისი დაკითხვების რამდენიმე ეპიზოდი გვიამბო:

*„დაკითხვაზე ამიყვანეს. ორი ოსი იყო, სამხედრო ფორმაში. სულ გამატიტვლეს, ამოწმებდნენ ჯარისკაცი ხომ არ ვიყავი. მაიკა ზედ გადამახიეს. მეომარი თუ არ ხარ, აბა აქ რა გინდაო. თოკზე ჯვარი, ხატი და ბეჭედი მეკიდა. ქრისტიანი თუ ხარ, ჩვენს მოსაკლავად რატომ მოხვედიო. ერთ-ერთმა იარაღი ჩამიდო პირში. მერე დანა მომისვეს კისერზე და წვეტით უკან მომაჭირეს. ბოლოს თავი დამადებინეს მაგიდაზე და 10-ჯერ მაინც ჩამარტყეს იარაღის ტარი.*

*ერთი კვირა გვცემდნენ მე და ნიკას იმაზე, რომ ჩვენებებს ვერ ვამთხვევდით. ყველა აყვანაზე გვირტყამდნენ, ხან თავში კონდახს და ხან წიხლს. სამედიცინო დახმარება არანაირი არ იყო.*

*შემიყვანეს ჰამლეტის კაბინეტში, ციხის უფროსი იყო. ფული უნდა გადამერიცხა მაგთის ერთი ნომრიდან მეორეზე. წართმეული ტელეფონი იყო და ჰამლეტის ტელეფონზე უნდა გადამერიცხა თანხა. მაგრამ გადარიცხვის სერვისი ჩართული არ იყო. როგორ არ იციო, რას მატყუებო და ცემა დამიწყო. იარაღის ტარი ჩამარტყა თავში, 5-ჯერ მაინც. მერე კოკოითის სურათი მაჩვენეს და ამას თუ იცნობო, მკითხეს. არა-მეთქი ვუპასუხე და მაგაზეც მომხვდა“.*

## 4.2 სამხედრო ტყვეები

**Amnesty International**-ის მონაცემების მიხედვით, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამხედრო ტყვეების მინიმალური რაოდენობა იყო რეგისტრირებული ორივე მხარეს. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, მათ მიერ მხოლოდ ხუთი რუსი სამხედრო, სამხრეთ ოსეთის შეარაღებული დაჯგუფებების 27 წევრი და ერთი მებრძოლი რუსეთის მოქალაქე იყო დაკავებული. მეორე მხრივ, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალებმა 39 ქართველი ჯარისკაცი აიყვანეს ტყვედ[433].

**Amnesty International**-ის ანგარიშის მიხედვით, მათთვის არ არის ცნობილი შემთხვევები, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ტყვედ აყვანილი ჯარისკაცები სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. ამ თემაზე რაიმე ტიპის ინფორმაციის მიწოდებაზე რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ უარი განაცხადა. რუსეთისაგან ასეთივე უარი მიიღო ეუთომ, და შესაბამისად, საქართველოს მიერ დატყვევებული სამხედროების შესახებ ინფორმაცია ვერ მოხვდა ვერც **ეუთოს ანგარიშში**. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ხშირად საუბრობს ქართველების მიერ კონფლიქტის შემდეგ დაკავებული ადამიანების შესახებ და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის მრავლობით შემთხვევებზე. ყველაზე მეტი ინფორმაცია რის მოძიებაც ჩვენ შევძელით, ქართველების მიერ აყვანილი ტყვეების შესახებ თავმოყრილია „HRW"-ის ანგარიშში[434], ხოლო ეს უკანასკნელი თავისთავად ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომია.



*ქართველი სამხედრო ტყვეები მალხაზ მელაძე, მურმან დუმბაძე და გიორგი რამაზაშვილი გათავისუფლების დღეს.*

*ფოტოზე ჩანს, რომ სამივე ჯარისკაცს მარჯვენა ხელის თითები დაზიანებული აქვს.*

ქართველი სამხედრო ტყვეების მიმართ წამებისა და ძალადობის ფაქტებს **საერთაშორისო ამნისტია** ადასტურებს არა მხოლოდ მათ მიერ გადმოცემული ისტორიების საფუძველზე, არამედ თავად ტყვეების სხეულზე არსებული წამების კვალზე დაყრდნობით.[435] ანგარიშში ვკითხულობთ:

„საერთაშორისო ამნისტიის დელეგატები გაესაუბრნენ რამდენიმე ქართველ სამხედროს, რომლებიც თბილისის საავადმყოფოში ჭრილობებს მკურნალობდნენ. მათ **მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითები ძვლამდე ჰქონდათ დამწვარი**".[436]

ქართველი სამხედრო ტყვეების ისტორიას სრულყოფილად და ყველაზე ნათლად თავად ყოფილი ტყვეები ყვებიან. სწორედ მათ ნაამბობს გთავაზობთ მცირედი შემოკლებით.

**კახაბერ ზირაქაშვილი**[437] და **დავით მალაჩინი**[438] ერთად ჩავარდნენ ტყვედ ქ. ცხინვალში. ორივე ჯარისკაცი

---

433 იხ. Civilians in the Line of Fire, The Georgian-Russian War, Amnesty International, 2008, გვ. 48

434 იხ. *Up in Flames*, Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 1009, p. 79 - 84

435 როგორც ერთ-ერთი ასეთი მტკიცებულება, იხილეთ დანართი №4 კახა ზირაქაშვილის ჯანმრთელობის ცნობა. ჩვენს მასალებში ინახება ყველა იმ სამხედრო ტყვის სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია რომელმაც დახმარებისათვის მოგვმართა.

436 იხ. Civilians in the Line of Fire, The Georgian-Russian War, Amnesty International, 2008, გვ. 48

437 კახაბერ ზირაქაშვილმა ახსნა-განმარტება მისცა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2009 წლის 5 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნ ინდივიდუალურ განაცხადთან დაკავშირებით, ქ. თბილისში იურისტთა ასოციაციის ოფისში.

438 დავით მალაჩინმა ახსნა-განმარტება მისცა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2009 წლის 1 აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნ ინდივიდუალურ განაცხადთან დაკავშირებით, ქ. თბილისში იურისტთა ასოციაციის ოფისში.

დაჭრილი იყო. 8 აგვისტოს რუსული ბომბდამშენების მიერ ე.წ. „შანხაის დასახლების" დაბომბვის დროს ორივე დაიჭრა.

**კახა ზირაქაშვილი:**

*„ჭრილობები მივიღე მარჯვენა ხელში, მხრისა და მაჯის არეში. ჭრილობების გამო მარჯვენა ხელს თითქმის ვერ ვამოძრავებდი, ხელის აწევა საერთოდ არ შემეძლო. დავით მალაჩინიც დაიჭრა, ოღონდ უფრო მსუბუქად. იგი ფეხში იყო დაჭრილი."*



LIFE

*ქართველი სამხედრო ტყვე კახაბერ ზირაქაშვილი საკანში.*

**დავით მალაჩინი** იხსენებს, რომ ჭრილობების მიუხედავად, კახასთან ერთად დაჭრილებს ეხმარებოდა და მანქანებით გორში უშვებდა. თუმცა დაბომბვის გაძლიერების პარალელურად ერთ ადგილზე გაჩერება სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა. იქვე მიმალვა სცადეს, რადგან ბომბდამშენი მეორე წრეზე მოდიოდა. ჯარისკაცები ნიქოზისკენ გაიქცნენ. სწორედ იქ აიყვანეს ჩასაფრებულმა ოსებმა ტყვედ. მათთან ერთად კიდევ ერთი სამხედრო, **კახაბერ ხუბულოვი (ხუბულური)** იყო.

*„მე, მალაჩინი და ხუბულური სამალავ სანგარში ჩაგვათრიეს. ყველაფერი წაგვართვეს. მერე გვცემეს კიდევაც, მაგრამ ეს ცემა არაფერი იყო იმ ცემასთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა შემდეგ დღეებში.*

*სანგარში სხვა ოთხი ქართველი სამხედრო ტყვეც დაგვხვდა –* **ქუტაშვილი იმედა, რამაზაშვილი გიორგი, სოფრომაძე უშანგი** *და* **მელაძე მალხაზი.** *მათ შორის იყო ის, რომელსაც ჩვენთვის დააძახებინეს, ალყაში ხართ მოქცეული და იარაღი დაყარეთო."*[439]

ცხინვალამდე შვიდივე თხრილში ხოხვით ჩაიყვანეს. როგორც თავად იხსენებენ დაახლოებით ერთი კილომეტრი მაინც მოუწიათ დაჭრილ დატყვევებულ ჯარისკაცებს ამ ფორმით გადაადგილება.

**დავით მალაჩინი** იხსენებს:

*„ოსმა სამხედროებმა იქვე, ჭადრებთან ახლოს გათხრილ სანგარში ჩაგვიყვანეს. სანგარში დამატებით ოცამდე ოსი სამხედრო დაგვხვდა. თითოეულ მათგანს თეთრი ლენტა ეკეთა მკლავზე და შეიარაღებული იყო. ისინი ერთმანეთში ოსურად ლაპარაკობდნენ, ხოლო ჩვენ დამტვრეული ქართულით გველაპარაკებოდნენ. იქვე დაგვხვდა ოთხი დაჭრილი ქართველი სამხედრო: მელაძე, სოფრომაძე, ქუტაშვილი და რამაზაშვილი. ეს ბიჭები ტყვეობაში ყოფნისას გავიცანი. მანამდე არც ერთს არ ვიცნობდი.*



*ქართველი სამხედრო ტყვე დავით მალაჩინი საკანში.*

*სანგარით ცხინვალამდე ვიხოხეთ. საკმაოდ გრძელი სანგარი იყო, სიღრმეში იქნებოდა ერთ მეტრამდე. ეს სანგარი პირდაპირ ცხინვალში, საცხოვრებელ კორპუსებთან გადიოდა. ჩვენ ჯერ მივხოხავდით და მერე ფეხით გვიბრძანეს სიარული. დაახლოებით 10 წუთი ვიხოხეთ და ერთი ამდენივე დრო დაგვჭირდა კორპუსამდე, სანამ ფეხით ვიარეთ. ოსებს იქვე სანგარში ჩანთები და ყუთები ჰქონდათ*

439 იხ. ინტერვიუ კახაბერ ზირაკაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიერ, 2009 წლის 5 მაისს, ქ. თბილისში

*და ისინი წამოგვაღებინეს. თან დაახლოებით 15 კაცი გამოგვყვა.“*

ტყვეობის პირველი დღეები ჯარისკაცებმა საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში გაატარეს. **კახა ზირაქაშვილი** ტყვეობის სწორედ ამ პერიოდს იხსენებს:

*„ცხინვალში ოსებმა სამსართულიანი თუ ოთხსართულიანი შენობის ეზოში შეგვიყვანეს. საცხოვრებელი კორპუსი იყო. ჯერ ეზოში ვყავდით. მერე ერთ ოთახში შეგვიყვანეს და იქ ჩაგვკეტეს. საღამოს იმავე შენობის სარდაფში ჩაგვიყვანეს.*

*მეორე დღეს (9 აგვისტოს), რომ გაიგეს, ქართველები ვიყავით დატყვევებული, სხვადასხვა სამსახურებიდან დაიწყო ხალხმა მოსვლა. შემოვიდოდა 10 კაცი, გვკითხავდა, ვინ ვიყავით, საიდან ვიყავით და თან გვცემდა. სხვადასხვა ხალხი მოდიოდა. ზოგს ომონის შავი ფორმა ეცვა, ზოგი სამხედრო იყო, ზოგი მილიციიდან იყო. ზოგიერთი სუფთა რუსულით ლაპარაკობდა, თუმცა ოსი იყო თუ რუსი, არ ვიცი.*



LIFE

*ქართველი სამხედრო ტყვე მურმან დუმბაძე საკანში.*

*ვინც მოვიდა, ყველამ გვცემა და გვაგინა. გვეკითხებოდნენ, რატომ ომობთო. გვემუქრებოდნენ, რომ დაგვხოცავდნენ. იარაღის კონდახებითა და ჯოხებით გვცემდნენ.*

*9-ში საღამოს და 10-ში დილით ადრე კიდევ ორი ქართველი სამხედრო ტყვე შემოიყვანეს. ერთ-ერთი,* ***ზაზა კავთიაშვილი****, ფეხში იყო მძიმედ დაჭრილი და ვერ დადიოდა. ჩვენივე შენობას ჰქონდა თურმე თავი შეფარებული და ოსებმა იქვე დაიჭირეს. მეორე დილით ადრე მოიყვანეს –* ***დუმბაძე მურმანი****. მურმანი არ იყო დაჭრილი.“*

ჩვენი მკვლევარები **ზაზა კავთიაშვილსაც** რამდენჯერმე ესაუბრნენ, რომელიც დეტალურად იხსენებს, როგორ ჩავარდა ტყვედ 9 აგვისტოს. ცხინვალის გარეუბანში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ მისი ნაწილი პირდაპირ შეეჯახა რუსეთის სამხედრო კოლონას.

*„ასობით სამხედრო იყო. კოლონას წინ ტანკები და ბეემპეები მოუძღოდნენ. ტანკების ზემოდან ისხდნენ ჯარისკაცები, რომელთაც დაფოთლილი მომწვანო ფერის ფორმა ეცვათ. ტანკებს ჰქონდა ორი დროშა, ერთი თეთრი ფერის და მეორე რუსეთის სამფერიანი დროშა. რამდენიმე ტანკს ზემოდან ეწერა „MC“ (სამშვიდობო ძალები). სამშვიდობოთა ტანკები წინ მიუძღოდა ამ კოლონას და მას უკან მოჰყვებოდნენ ორდროშიანი ტანკები. არ ვისროლეთ, რადგან ბრძანება იყო, რომ სამშვიდობოებისთვის არ გვესროლა. კოლონის ნაწილი, დაახლოებით 10-მდე ბეემპე და ტანკი, რომელთაც სამშვიდობოების წარწერა ჰქონდათ, გავატარეთ. ისინი ნიქოზის მიმართულებით (სამხრეთით) წავიდნენ, თუმცა გაგვცდნენ თუ არა, მაშინვე უკან მოტრიალდნენ და ზურგიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. წინიდან კოლონის დანარჩენმა ნაწილმა გაგვიხსნა ცეცხლი. ამ დროს ჩვენგან მარცხენა მხარეს მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან ოსებმა შემოგვვიტიეს და შესაბამისად, ყველა მხრიდან ალყაში მოვექეცით.“*[440]

ამ შეტაკების შედეგად დაჭრილმა ჯარისკაცებმა იქვე მდგომ შენობას შეაფარეს თავი. ზაზა კავთიაშვილს მძიმე ჭრილობები ქონდა ფეხზე და გადაადგილება უჭირდა. ამიტომ შენობაში დარჩა, სანამ მისი მეგობრები გზას იპოვიდნენ. თუმცა, მისთვის მოულოდნელად, სწორედ ამ შენობის სარდაფში *„ოსი სამხედრო და სამოქალაქო პირები დამხვდნენ. 15-20 კაცამდე მაინც იქნებოდა. სამხედროებიდან, ზოგს რუსული კამუფლიაჟიანი სამხედრო ფორ-*

---

440 იხ. ინტერვიუ ზაზა კავთიაშვილთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიერ, 2009 წლის 13 ივნისს, ქ. თბილისში

*მა ეცვა, ზოგს – ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი. მგონი, თეთრი ლენტები ეკეთათ მკლავზე, ზუსტად არ მახსოვს. ყველა შეიარაღებული იყო.“*

იმავე საღამოს, იმავე შენობის სარდაფში მოიყვანეს სხვა ქართველი სამხედრო ტყვეების ჯგუფიც, რომელთა შორისაც კახა ზირაქაშვილი და დავით მალაჩინიც იყვნენ. ის ღამე, 9 აგვისტო, ყველამ ერთად იქვე გაათენა.

**ზაზა კავთიაშვილმა** დეტალურად აღგვიწერა დაკავების ადგილზე შექმნილი პირობები:

*„სარდაფში, რომელშიც ჩვენ ვიყავით, ირგვლივ სინესტე და სისველე იყო. განათება არ იყო. პატარა ფანჯარა იყო მხოლოდ, საიდანაც ოდნავ სინათლე შემოდიოდა. სარდაფს კარები არ ჰქონდა. სარდაფის გვერდზე იყო დერეფანი, სადაც იდგნენ ოსი სამხედროები და გვყარაულობდნენ. ერთხელ ოსებმა საჭმელიც შემოგვთავაზეს. ორი პაჩკა „სუხოი პაიოკი“ შემოგვიტანეს. მასში შედიოდა წიწიბურა, პატარა პეჩენიები, საქონლის ხორცის კონსერვი, მოხარშული ბრინჯი და გასაზავებელი წვენები. ერთი ბოთლი წყალიც მოგვაწოდეს.“*

მეორე დილით ტყვეები შემოვლითი გზით ცხინვალში გადაიყვანეს. ჯარისკაცები გვიყვებოდნენ რომ გზაში სასტიკად ცემდნენ.

**კახა ზირაქაშვილი:**

*„10-ში დილით მოვიდნენ. 30 კაცი მაინც იქნებოდა. ამოგვიყვანეს სარდაფიდან და გვაიძულეს ორი კილომეტრი ფეხით გვევლო ცხინვალის ქუჩებში. იძულებული ვიყავით, ხელით გვეტარებინა ზაზა კავთიაშვილი, რადგან მას სიარული არ შეეძლო. სანამ ქალაქში მივდიოდით, გზაში ოსი სამოქალაქო პირები გვლანძღავდნენ, გვირტყავდნენ და გვაფურთხებდნენ. ასევე ორმა თუ სამმა მანქანამ ჩამოიარა, შეიარაღებული ოსები გადმოვიდნენ, კონდახები ჩაგვარტყეს და წავიდნენ. დახოცილი ქართველი ჯარისკაცები ვნახეთ. ერთი ცოცხალი იყო, მისი ღრიალიც ისმოდა, თუმცა არავინ მიდიოდა დასახმარებლად.“*



*ქართველი სამხედრო ტყვეები: იმედა ქუტაშვილი, მალხაზ მელაძე, მურმან დუმბაძე, კახა ზირაქაშვილი, დავით მალაჩინი და გიორგი რამაზაშვილი.*

**ზაზა კავთიაშვილი:**

*„ცხინვალის შემოსასვლელთან პატარა გორაკთან ვიყავით, როცა პირველად გვცემეს. ძალიან ბევრნი იყვნენ გარშემო, ყველას მომწვანო ფერის სამხედრო ფორმა ეცვა და ხელში ავტომატი ეჭირა. თავდაპირველად, რამდენიმე კაცმა დაგვიწყო ცემა და შემდეგ მათ სხვებიც შეუერთდნენ. კონდახებსა და წიხლებს გვირტყავდნენ. ცემის დროს ყველანი ძირს ვეყარეთ. თავიდან სისხლი წამომივიდა. სხვებიც ძალიან ნაცემები იყვნენ. შემდეგ ერთმა კაცმა რუსულად თქვა, გაჩერდითო და მათაც შეწყვიტეს ჩვენი ცემა.*

*შემდეგ ფეხზე აგვაყენეს და ცხინვალისკენ გავაგრძელეთ სიარული. მე ისევ ქართველმა სამხედროებმა ხელით წამომიყვანეს. გზაში შევამჩნიე, რომ მობილური ტელეფონებით გვიღებდნენ. შემდეგ თბილისში ინტერნეტში ვნახე ეს კადრები. ვიდეოში ჩანს, როგორ ვუჭერივარ ხელში ბიჭებს. ჩემ მარცხენა მხარეს დგას მელაძე, მის წინ დგას რამაზაშვილი. რამაზაშვილის გვერდზე დგას ჯერ ხუბულოვი და შემდეგ ქუტაშვილი. ჩემს უკან დგანან სოფრომაძე, დუმბაძე და მალაჩინი. ჩემგან მარჯვნივ კი დგას ზირაქაშვილი. ეს ვიდეო ამ ცემის შემდეგ არის გადაღებული, ყველანი ძალიან ნაცემები ვართ.“*

**დავით მალაჩინი:**

*„უმრავლესობას მომწვანო ფერის სამხედრო ფორმა ეცვა. რამდენიმე მათგანზე რუსული დროშის გამოსახულება მახსოვს. იმ გორაკთან რომ მიგვიყვანეს, რამდენიმე სამხედრო მოგვიახლოვდა. მათ ცემა დაგვიწყეს. მე იარაღის კონდახი ჩამარტყეს მარჯვენა ყურის არეში და თვალთან ახლოს, რის შედეგადაც სახის მარჯვენა მხარე მთლიანად დამილურჯდა და ჩამისისხლიანდა. დარტყმის დროს წამიერად გავითიშე, თითქოს გონებას ვკარგავდი, მაგრამ საბედნიეროდ გონება არ დამიკარგავს, თან ამ დროს ზაზა ხელში გვეჭირა და მე რომ გონება დამეკარგა, ისიც დაგვივარდებოდა. შემდეგ სხვა სამხედროებიც წამოვიდნენ ჩვენ საცემად. ყველამ ერთად დაგვიწყო ცემა. ჩვენ ძირს დავეყარეთ, ისინი კიდევ კონდახებს და ფეხებს გვირტყავდნენ. ამ ცემის დროს კონდახი მომხვდა მარჯვენა მხარეს ნეკნებშიც, რის შედეგადაც ერთ-ერთი ნეკნი გამიტეხეს. ცემის დროს თან გვაგინებდნენ და გვლანძღავდნენ.“*

ჩვენ მოვიძიეთ აღნიშნული ვიდეომასალა ინტერნეტში[441]. მასში კარგად ჩანს ჯარისკაცების ცემის კვალი. თითქმის ყოველ მათგანს სახე დასიასხლიანებული და დალურჯებული აქვს. გარდა ამისა, თავად ამ გადაღების დროსაც ჯარისკაცების უწყვეტი შეურაცხყოფა. ცემა და ღირსების შემლახავი მოპყრობა კიდევ დიდხანს გრძელდებოდა.

**კახა ზირაქაშვილი:**

*„ოსებმა ჩაგვსვეს გაზელის ტიპის მანქანაში და წაგვიყვანეს ქალაქის ცენტრში. იქ დაახლოებით 200–300 ადამიანი დაგვხვდა, სამხედროები, ადგილობრივი მოსახლეობა, არარეგულარული ჯარი, ყველა შეიარაღებული იყო. ვისაც უნდოდა, ყველა გვირტყავდა კონდახებს, რკინის მილებს, სკამებს, ჯოხებს, ყველაფერს, რაც კი ხელთ ჰქონდათ. გული რომ წაგვივიდოდა ან წავიქცეოდით, ზედ გვაშარდავდნენ და მერე ცემას აგრძელებდნენ. ამ ცემის დროს მე რამდენჯერმე დავკარგე გონება. ალბათ ერთი საათი მაინც ვიყავით. მერე, თუ არ ვცდები, კიდევ ერთ ადგილას მიგვიყვანეს, სადაც ასევე გვცემეს, თუმცა ზუსტად აღარ მახსოვს.*

*შემდეგ ისევ მანქანაში ჩაგვტენეს და სადღაც შენობაში მიგვიყვანეს. როგორც მერე მითხრეს, ეს იყო* ***ცხინვალის მე-6 სკოლა****, რომელსაც ოსები დროებით სამხედრო ბაზად იყენებდნენ. ასობით სამხედრო დაგვხვდა. ისევ გვცემეს. გარეთ შენობასთანვე, ყველა გვირტყამდა. შემდეგ სკოლაში შეგვიყვანეს, სადაც ჟურნალისტები მოვიდნენ, მე მგონი, რუსული ტელევიზიიდან იყვნენ. ჩვენ რვა ზურგით დაგვაყენეს კედელთან, ხოლო მელაძე რუსულად ალაპარაკეს. მელაძემ თქვა, რომ ჩვენ ყველანი რეზერვისტები ვიყავით და რომ ომის შესახებ არაფერი ვიცოდით და არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა. ინტერვიუს მერეც გვცემეს. საერთოდ, სკოლაში, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა გვცემდა[442].*







*კახა ზირაქაშვილის მიერ აღწერილი ქართველი სამხედრო ტყვის, მალხაზ მელაძის, რუსული მედიისათვის მიცემული ინტერვიუ ცხინვალის მე-6 სკოლაში.*

*ფოტოზე რიგით მესამე ჯარისკაცი დახვრეტილი უშანგი სოფრომაძეა.*

*მერე ერთ კაფელიან ოთახში შეგვიყვანეს, აბანოსავით იყო. იქ მაგრა გვცემეს. მერე სხვა ოთახში გადაგვიყვანეს. ეს პატარა ოთახი იყო, ფანჯრების გარეშე.*

441 კახა ზირაქაშვილისა და დავით მალაჩინის მიერ მოყოლილი ისტორიის დასტურად იხილეთ ვიდეო მასალა http://www.youtube.com/watch?v=wBE54oks2AU&NR=1; აგრეთვე, http://www.youtube.com/watch?v=L88ctqSQboU&NR=1

442 მალხაზ მელაძის ინტერვიუ რუსეთის მედია საშუალებებისათვის იხილეთ http://www.youtube.com/watch?v=-JNKweCyOhw&feature=related

*იატაკზე დაგვყარეს. იმ ოთახში გავატარეთ ორი დღე და ორი ღამე. ეს ორი დღე სკოლაში არც საჭმელი, არც წყალი არ მოუციათ, ექიმიც არ მოუყვანიათ. ტუალეტში, არსად არ გავუყვანივართ.*

*იმავე დღეს, 10 აგვისტოს, 5 სამხედრო შემოვიდა. იკითხეს, ჩვენ შორის თუ იყო რომელიმე ტანკისტი ან არტილერისტი. ხელები შეგვიმოწმეს და დაადგინეს, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი,* ***უშანგი სოფრომაძე****, ტანკის მძღოლი იყო. მათ უშანგი ოთახიდან გაიყვანეს.* ***5 წუთში ავტომატის ჯერის ხმა გავიგონეთ****.*

**დავით მალაჩინი:**

*„თითოეულ ჩვენთაგანს შეგვიმოწმეს ხელები. ჩვენ შორის ერთ-ერთი, უშანგი სოფრომაძე, ტანკისტი იყო. მგონი, ტანკის მესაჭე იყო. ხელზე კოჟრებით ამოიცნეს. სოფრომაძეს ქართულად უთხრეს, გამოგვყევიო და ოთახიდან გაიყვანეს. სად წაიყვანეს, ვერ დავინახეთ, მაგრამ დაახლოებით 1-2 წუთში სროლის ხმა გავიგეთ, ავტომატის ჯერი იყო. სროლის ხმა ძალიან ახლოს გავიგეთ, თითქოს ჩვენ ოთახშივე ისროლეს.“*

**კახა ზირაქაშვილი:**

*„სროლის მერე რამდენიმე წუთში გაგვიყვანეს მე, მალაჩინი, ქუტაშვილი და რამაზაშვილი იქვე გვერდზე კორიდორში, რომელიც კაფელში იყო.*



*ცხინვალის №6 სკოლის შენობა და დახვრეტილი სამხედრო ტყვის, უშანგი სოფრომაძის ცხედარი (ამოიცნეს სხვა სამხედრო ტყვეებმა).*

*კორიდორში დავინახეთ უშანგი სოფრომაძე, რომელიც იატაკზე ეგდო და თავი ჰქონდა შუაზე გადახლეჩილი. სოფრომაძე იწვა ნაჭერზე სახით ქვემოთ, თავში უკანა მხრიდან ჰქონდა ნასროლი და თავი ორად ჰქონდა გახლეჩილი.*

*მე, მალაჩინი, ქუტაშვილი და რამაზაშვილი, გვაიძულეს, რომ სოფრომაძის გვამი ნაჭერში გაგვეხვია და ქვემოთ სკოლის გვერდით მდებარე ერთ-ერთ ბაღში ჩაგვეტანა. სკოლის შენობიდან დაახლოებით 30 მეტრში იყო ეს ბაღი, შემდეგ უკვე კერძო საცხოვრებელი სახლები იწყებოდა. მეორე დღეს ოთხნი საფლავის ამოსათხრელად წაგვიყვანეს, რკინიგზის მახლობლად. მორიგეობით ვთხრიდით ჯერ მე და მალაჩინი, მერე დუმბაძე და რამაზაშვილი. საფლავის გათხრას რომ მოვრჩით, უკვე ძალიან ბნელოდა. გვამი უბრალოდ ნაჭერში გადავახვიეთ, შემოვახვიეთ თოკი და იქვე დავტოვეთ.“*

უშანგი სოფრომაძის მკვლელობის ფაქტს ზაზა კავთიაშვილიც ადასტურებს. უშანგი სოფრომაძის საფლავის გათხრის ამსახველი ვიდეომასალა ასევე ხელმისაწვდომია ინტერნეტში.[443] კადრებში კარგად ჩანან ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც საფლავს თხრიან და ასევე მათი მეთვალყურე ავტომატმომარჯვებული ოსი და რუსი სამხედროები.

ჯარისკაცების ინფორმაციით, ტყვეობის დროს დახვრიტეს კახაბერ ხუბულოვიც. მართალია, თავად ამ ფაქტის მოწმე არც ერთი მათგანი არ გამხდარა, მაგრამ ოსებმა სწორედ მკვლელობით ახსნეს მისი გაუჩინარება. ზაზა კავთიაშვილსაც და კახა ზირაქაშვილსაც კარგად ახსოვთ ის დღე, როდესაც ხუბულოვი ოსებმა გაიყვანეს.

443 ჯარისკაცების ნაამბობის დასტურად იხილეთვიდეო მასალა http://www.youtube.com/watch?v=wBE54oks2AU&NR=1; აგრეთვე http://www.youtube.com/watch?v=Uf0A-NRyS7o&feature=related



*დახვრეტილი ქართველი სამხედრო ტყვე კახაბერ ხუბულოვი ტყვედ აყვანის დროს.*

**კახა ზირაქაშვილი:**

*„ჩემთან და მალაჩინთან ბიჭი რომ დაიჭირეს, გვარად* ***ხუბულოვი****, დედით ოსი იყო. სკოლაში რომ გაიგეს ამ ბიჭის ეროვნების შესახებ, სპეციალურად ამოდიოდნენ მის სანახავად. 11 აგვისტოს ოსმა სამხედროებმა კიდევ სცემეს, სულ მოღალატეს ეძახდნენ და* ***იმ დღესვე სადღაც გაიყვანეს****. ამ ფაქტის შემდეგ ჩვენ იგი აღარ გვინახავს.* ***ერთ-ერთმა სამხედრომ ზაზა კავთიაშვილს უთხრა, ჩვენ თვითონ მოვკალით ის ბიჭი****, რადგან მოღალატე იყოო. 11-ში დილით მოხდა ეს ამბავი.“*

**ზაზა კავთიაშვილი:**

*„11 აგვისტოს რამდენიმე სამხედრო შემოვიდა და ხუბულოვი გაიყვანა. თუ არ ვცდები, რუსულად უთხრეს, უფროსი გიბარებს დაკითხვაზეო. ხუბულოვი დედით ოსი იყო და ამიტომ სულ ლანძღავდნენ, ქართველების მხარეს როგორ იბრძვიო, მოღალატეს უწოდებდნენ, აგინებდნენ და სცემდნენ. გაყვანის შემდეგ ხუბულოვი ჩვენ აღარ გვინახავს, ის ჩვენთან არ დაუბრუნებიათ. იმ საღამოსვე ბადრაგს შევეკითხე ქართულად, ხუბულოვი სად არის-მეთქი, რაზეც მან მიპასუხა,* ***მას თავი მოვჭერით და ნუღარ ელოდებითო****.“*

ხუბულოვის საქმით HRW-ც იყო დაინტერესებული. სამწუხაროდ, ისინიც ადასტურებენ ხუბულოვის დახვრეტას. კერძოდ, ორგანიზაციის 2008 წლის ანგარიშში გვხვდება ინტერვიუ სამხრეთ ოსეთის მილიციის წარმომადგენელთან, რომლიც HRW-თან ინტერვიუში აცხადებს, რომ ჩეჩენმა მებრძოლმა აღშფოთება ვერ დამალა, როდესაც ქართული ჯარის სამსახურში მყოფი ოსური წარმოშობის პირის შესახებ შეიტყო:

„მან თქვა, მოღალატეები უნდა დაისაჯონო, გაიყვანა ეზოში და უბრალოდ ესროლა“.[444]

ქართველ სამხედრო ტყვეს, ზირაქაშვილს, ისიც ახსოვს, მათთან სამოქალაქო პირები რომ მიიყვანეს. მოგვიანებით უკვე სხვა ინტერვიუებთან შეჯერებით გავარკვიეთ, რომ ეს მოხუცები ცოლ-ქმარი **მანანა გალეგაშვილი** და **ანდრო რაზმაძე**, ასევე **ნათელა მჭედლიძე** და **სულიკო კახნიაშვილი** იყვნენ. ჩვენ შევძელით, სწორედ მათთან გადაგვემოწმებინა ჯარისკაცების მონაყოლიდან დროის ის მონაკვეთი, რომელიც მათ ერთად გაატარეს. მოხუცები ანალოგიურ ისტორიებს ყვებიან.

ტყვეებზე ზეწოლა და მუქარა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. განსაკუთრებულმა შიშმა კი სოფრომაძის მკვლელობის შემდეგ დაისადგურა.




*ქართველი სამხედრო ტყვეები მურმან დუმბაძე და კახაბერ ზირაქაშვილი საკანში.*

**კახა ზირაქაშვილი:**

*„სოფრომაძის და ხუბულოვის მკვლელობის მერე გვითხრეს, რამდენ დღესაც გაჩერდებით, ყოველდღე თითო კაცს მოგიკლავთო. მაგრამ 11-ში დღის მეორე ნახევარში ერთ-ერთი სპეცნაზის უფროსი ამოვიდა ჩვენთან, გაზაევი, თავადაც ადრე ტყვედ იყო ჩავარდნილი. ღამე მცველები დაგვიყენა და გააფრთხილა, რომ აქ არავინ შემოეშვათ. გაზაევმა ზაზას ჭრილობაც გადაუხვია და გამაყუჩებელიც მისცა. მერე ვლადიკავკაზში რუსების სამხედრო ჰოსპიტალში გადააფრინეს. 18-ში ვნახეთ ზაზა ცხინვალში, როდესაც ქართველი სამხედრო ტყვეები გადასაცვლელად მივყავდით.*

444 იხ. Up in Flames, Humanitarian Law Violations and Civilian Victims in the Conflict over South Ossetia, Human Rights Watch, January 1009, p 190

*ორი ღამე გავათენეთ მე-6 სკოლაში. 12 აგვისტოს დილით ოსებმა სხვა ად-გილას წაგვიყვანეს. დაგვკითხეს და მაგრა გვცემეს. ვიდეო არის გადაღებუ-ლი, სადაც მელაძეს ჰკითხავენ და ცემენ. პოლიციის ერთ-ერთ განყოფილე-ბაშია გადაღებული. მგონი, ოსური სპეცრაზმი იყო. მეც ცალკე დასაკითხად გამიყვანეს და დაკითხვის დროს ერთ-ერთმა ოსმა პისტოლეტი რამოდენი-მეჯერ დამიმიზნა და დააჩხაკუნა, ოღონდ ტყვია არ გავარდა.“*[445]



*ქართველი სამხედრო ტყვეები იმედა ქუტაშვილი და დავით მალაჩინი საკანში.*

*„მილიციაში დუმბაძესთან ერთად ჩამსვეს საკანში. სულ 5 თუ 6 საკანი იყო, მე მგონი. მილიციაში არაფერს გვაჭმევდნენ. 100-200 გრამ წყალს გვაძ-ლევდნენ. რამაზაშვილს და მელაძეს ერთხელ პურიც შეუტანეს. ტუალეტი ჩვენ საკანში არ იყო, მაგრამ არც დაგვჭირვებია, რადგან თითქმის ერთი კვირა უჭმელები ვიყავით. მოშარდვისთვის კი პატარა პლასტმასის ბოთლი გამოვიყენეთ რამოდენიმეჯერ, რომლითაც წყალი შემოგვიტანეს. ორი ხის ნარი იყო საკანში. ფანჯარა არ გვქონდა და საკანი სრულიად ჩაბნელებუ-ლი იყო.*

*ჩვენ თუ გვეგონა, რომ მაგრა გვცემდნენ, ეს არაფერი იყო იმასთან შედარე-ბით, რაც ამ ადგილას გადაგვხვდა. აქ იყვნენ ოსები, რომელთაც ერთნაირი ვარსკ-ვლავები ეკეთათ ქამრებზე. მივხვდით, რომ რაღაცას ნიშნავდა. სპეცდანიშნულების რაზმიდან იყვნენ. ამ საკნებში მოგვიწია 17 აგვისტომდე ყოფნა. ოსები სისტემატუ-რად გვცემდნენ. საშინელ პირობებში ვიყავით, გვაწამებდნენ და გვცემდნენ ყოველთ-ვის, როცა შესაძლებლობა ჰქონდათ. რამდენიმე კაცი შემოვიდოდა ჩვენთან საკანში, გვცემდნენ, მერე რომ დაიღლებოდნენ, გადიოდნენ, ისვენებდნენ და ისევ ბრუნდებოდ-ნენ. გონების დაკარგვამდე გვცემდნენ; გვირტყავდნენ ჩაქუჩებითა და კონდახებით. განსაკუთრებით ხელების, თითებისა და იდაყვის შეერთების ადგილას მირტყავდნენ.*

*საკანშივე გვცემდნენ. მე პირადად ორივე მხარეს კბილები ჩამიმტვრიეს იარაღის კონდახით; ნიკაპზე, ცხვირზე, შუბლზე და მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ჩაქუჩი მაქვს არაერთხელ მოხვედრილი. შუბლზე რომ მომარტყეს ჩაქუჩი, მაშინ გონებაც დავკარგე. მარჯვენა ხელზე თითები ჩაქუჩით მაქვს დამტვრეული, და-მიზიანდა შუა თითის და საჩვენებელი თითის სახსარიც; სახეზე მაქვს სიგარეტის ნამწვავები.* **მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი სანთებელით დაგვიწვეს, იმ მიზნით, რომ იარაღი ხელში არასდროს აღარ აგვეღო**. *მახსოვს, ორი ოსი ჩემ მკლავზე იდგა და ხელს მიჭერდა, სანამ მესამე თითებს მიწვავდა. მაშინ მითხ-რეს – იმ შემთხვევაშიც, თუ გაგიშვეს, შენ თითებს ოსების წინააღმდეგ სასროლად ვეღარ გამოიყენებო. ცემისგან ასევე გამიწყდა მარჯვენა ყურის ბარაბანი, ყურში ავტომატის კონდახი ჩამარტყეს.“*

**დავით მალაჩინი:**

*„საშინლად გვაწამეს. დაახლოებით ხუთი-ექვსი კაცი შემოვიდა ოთახში. ყველა ფორმიანი იყო. სახსრებში გვირტყავდნენ. რკინის მილებით გვცემდნენ. პლასტ-მასის ვედროებს გვაფარებდნენ თავზე და ზემოდან ჩაქუჩებს გვირტყავდნენ. მე პირადად ორჯერ ჩამომაფარეს ვედრო.*

*რამდენიმე ჩვენგანს თითები დაგვიწვეს. მეც დამიწვეს თითი. ჯერ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს მიწვავდნენ. მაგრამ მერე შეჩერდნენ და მარჯვენა ხელის საჩვენე-ბელი თითი დამიწვეს. ერთ სამხედროს ჩემ თითზე ფეხი ედო ზემოდან, მეორეს ან-თებული სანთებელა ეჭირა და მესამე კიდევ ავტომატით თავზე მადგა და გავინძრეო-დი თუ არა, კონდახს მირტყავდა. დაახლოებით 1 წუთი ეჭირათ სანთებელა თითთან. კანმა სუნი რომ აუშვა, მერე გაჩერდნენ. თითი იმ დონემდე მქონდა დამწვარი, რომ უკვე ძვალი მიჩანდა.*

---

445 ჩვენ შევძელით ინტერნეტში მიგვეკვლია ამ ვიდეომასალისათვის. შეგიძლიათ იხილოთ: http://www.youtube.com/watch?v=hmohP5KRTHQ&feature=related







*ქართველი სამხედრო ტყვის, გიორგი ანწუხელიძის წამება*

*ეს წამება ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ფეხის გულებზე და ტერფებზე გვირტყავდნენ რკინებს, მე იმ დონემდე მირტყეს რკინა, სანამ არ გადატყდა. საშინელ დღეში მქონდა ფეხები, დასიებული და ძლივს დავდიოდი."*

ცემა-წამება დღედაღამ გრძელდებოდა. ტყვეები დაუსრულებლად ყვებიან მათი შეურაცხყოფისა და წამების შესახებ. ცემის დროს ყველა შესაძლო იარაღს იყენებდნენ: ჩაქუჩებს, ქამრებს, იარაღის ტარს, სკამებსაც კი. მაგალითად, **დავით მალაჩინი** გვიყვება, რომ „ცემის შედეგად ქუტაშვილმა ერთხელ გონებაც დაკარგა და კრუნჩხვებში ჩავარდა".

**გიორგი ანწუხელიძის საქმე**

კიდევ ერთი ჯარისკაცი და ყოფილი ტყვე **როლანდ ნაკაშიძე** იხსენებს, რომ 9 აგვისტოს ცხინვალში, რუსეთის სამშვიდობო ძალების სიმბოლიკიანი სამხედრო მანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი. სწორედ ამ დროს გიორგი ანწუხელიძესთან და კიდევ სხვა 35 ქართველ სამხედროსთან ერთად იმყოფებოდა.

*„უეცრად რუსების ბეემპეების კოლონა შევამჩნიეთ „MC" ეწერა. ბრძანება მივიღეთ, რომ ცეცხლი არ გაგვეხსნა, რადგან რუსეთის სამშვიდობოები იყვნენ. თუმცა როგორც კი მოგვიახლოვდნენ, მაშინვე გვიბრძანეს, რომ იარაღი დაგვეყარა. ჩვენ იარაღი არ დავყარეთ და ცეცხლი გაგვიხსნეს. მე ხელში დავიჭერი. ჩემი ოცეულიდან 14 ბიჭი დაიღუპა, სულ 35 კაცი ვიყავით."*

სწორედ ამ ბრძოლის დროს ნახა გიორგი ბოლოს, „მიწაზე იწვა, დაახლოებით 6 მეტრის მოშორებით. მომეჩვენა რომ დაჭრილი იყო ფეხში, თუმცა დარწმუნებული არ ვარ. პირქვე იწვა და არ ინძრეოდა."

მეორე დღეს როლანდ ნაკაშიძე ადგილობრივმა მოსახლეობამ დააკავა და მას შემდეგ, გიორგი ანწუხელიძის შესახებ აღარაფერი გაუგია. უკვე ტყვეობიდან დაბრუნებულმა ინტერნეტში ვიდეომასალა ნახა და ჩვენს მკვლევარებს უამბო სწორედ ამ ჩანაწერის შესახებ:

*„ჩანს ერთი ქართველი სამხედრო, რომელიც ზის მიწაზე და მას სასტიკად სცემენ ოსი სამხედრო პირები." როლანდ ნაკაშიძე დარწმუნებულია, რომ ამ კადრებში სწორედ გიორგი ანწუხელიძეა.*

ქართველი ჯარისკაცის რუსი სამხედროების მიერ წამების ამსახველმა ვიდეომასალამ მსოფლიო პრესა მოიარა. ეს უკანასკნელი, აგვისტოს ქართულ-რუსულ ომზე შექმნილი მრავალი დოკუმენტური ფილმის ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდადაც იქცა. გიორგი ანწუხელიძის და, ხათუნა ანწუხელიძე, დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა გაერკვია ამ ფირის წარმომავლობა და მისი სრული ვერსია. ხათუნა ანწუხელიძე იხსენებს:

> *„ჟურნალისტმა მითხრა, რომ ამ ვიდეოში ტყვეებს აწამებენ, ფრჩხილებს აძრობენ და სასტიკად სცემენო. ჟურნალისტს ვკითხე, საიდან გაიგე, რომ ეს გიორგი ანწუხელიძე იყო-მეთქი და მიპასუხა, რომ გამოვკითხეთ მე-4 ბრიგადის ჯარისკაცები. ყველა მათგანმა ამოიცნო გიორგი და მას შემდეგ წავაწერეთ გიორგის სახელი და გვარიო."*[446]

446 იხ. ვიდეომასალა: How the Russian Occupants Treat Georgian Hostages, http://www.sosgeorgia.org/2008/08/20/how-the-russian-occupants-treat-georgian-hostages/

მოგვიანებით, ცხედრების გადმოსვენებისა და გენეტიკური ანალიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთი გადმოსვენებული ჯარისკაცი გიორგი ანწუხელიძე იყო.

**ხათუნა ანწუხელიძე:**

„ანალიზის მიხედვით გიორგის გარდაცვალების დღე არის 9 აგვისტო, გარდაცვალების ადგილი: ცხინვალი. სიკვდილის რეგისტრაციის თარიღი: 2009 წლის 29 იანვარი. გარდაცვალების მიზეზი – „დაიღუპა ომში".

**ტყვეების გაცვლა**

17 აგვისტოს რუსებმა ტყვეები იქვე ცხინვალში მიტოვებული სკოლის შენობაში გადაიყვანეს. ჯარისკაცებს იქ სხვა ქართველი ტყვეებიც დახვდნენ. მათ შორის **კახა მახათაძე**, **ნაკაშიძე**, **მეგრელიშვილი** და სხვები.

სწორედ ამ დროს მისცეს რუსებმა ტყვეებს დაბანისა და გაპარსვის საშუალება, იქვე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარებაც, დაუმუშავეს და შეუხვიეს ჭრილობები, სისხლიანი ტანსაცმლის გარეცხვის ნებართვაც მიიღეს. თითქმის 10-დღიანი შიმშილობის შემდეგ, რუსებმა პირველად სწორედ 17 აგვისტოს შედარებით ნორმალურად პირველად აჭამეს.

**დავით მალაჩინი** ჩვენთან საუბარში, განსაკუთრებული სიმძიმით სწორედ 17-19 აგვისტოს ისტორიას იხსენებს.





*ქართველი სამხედრო ტყვეების გაცვლა 2008 წლის 18 აგვისტოს.*

*ფოტოზე ჩანს, რომ სამივე ჯარისკაცს მარჯვენა ხელის თითები დაზიანებული აქვს.*

*„ერთი რუსი სამხედრო მოვიდა და გვითხრა, რომ სადღაც მივყავდით, უნდა გავეცვალეთ რუს სამხედრო ტყვეებში. ვერტმფრენით გადაგვაფრინეს მთაში, სადაც ბევრი ჟურნალისტი დაგვხვდა. ერთ-ერთმა რუსმა სამხედრომ გვითხრა, რომ სააკაშვილმა მიგატოვათ და უარი თქვა თქვენზეო. ეს რუსი ოფიცერი იყო, ალბათ 35-40 წლის, ორი ვარსკვლავი ჰქონდა, რაც მის სამხედრო წოდებაზე მიუთითებდა. მან ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა და ჩვენზე და სააკაშვილზე ესაუბრა. ერთ-ერთი ჟურნალისტი ამერიკელი უნდა ყოფილიყო. დანარჩენები ყველანი რუსები იყვნენ.*

*ვერტმფრენთან რომ ვიდექით, ჟურნალისტებმა სურათებიც გადაგვიღეს. ეს სურათებიც არის ინტერნეტში. სურათში ჩანს, რომ ბიჭები ვდგავართ ვერტმფრენთან. იქვე დგას ქართველი სამოქალაქო ტყვეების ნაწილიც. ეს არის მომწვანო ფერის სამხედრო ვერტმფრენი, რომელსაც ზედ ჰქონდა დიდი წითელი ვარსკვლავი. ეს სურათები 18 აგვისტოს გადაგვიღეს, 19-ში გაცვლაზე ჟურნალისტები არ ყოფილან."*[447]

გაცვლა მეორე დღეს, 2008 წლის 19 აგვისტოს განხორციელდა. ტყვეების ეს ჯგუფი, ვერტფრენით იგოეთამდე გადააფრინეს. იმ დღეს სულ 13 სამხედრო ტყვე გაცვალეს ხუთ რუს სამხედროში, რომელთაგან ორი პილოტი იყო და სამი ჯარისკაცი.

*„ორი ქართველი, მახსოვს, დაიტოვეს, ერთი სამოქალაქო პირი და მეორე, ჯარისკაცი, რომელსაც ყური მოაჭრეს. მეგრელიშვილი იყო, მგონი. ისინი მეორე თუ მესამე დღეს გაცვალეს."*

447 იხ. ინტერვიუ დავით მალაჩინთან, ჩაწერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 1 აგვისტოს, ქ. თბილისში ასოციაციის ოფისში. ტყვეების გაცვლის შესახებ ასევე იხილეთ, http://www.globalsecurity.org/military/library/news/2008/08/mil-080821-rferl06.htm

# ბოლოთქმა

მსგავსი ისტორიები მრავლადაა ბევრ ქართულ სოფელში.

წინამდებარე ანგარიში გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს გავაცნოთ ერთად თავმოყრილი მრავალი ისტორია, ფაქტი და სხვადასხვა დოკუმენტური მასალა მასობრივად ჩადენილი სასტიკი და არაჰუმანური მოქმედების შესახებ, რომელმაც ცეცხლის ალში გაახვია ათობით სოფელი, სიცოცხლე წაართვა ასობით ადამიანს, საკუთარი კერა დააკარგვინა ათიათასობით ადამიანს, და დიდი ხნით დაფერფლა ქართველებისა და ოსების კეთილმეზობლური თანაცხოვრების პერსპექტივა.

ქართველების მიერ მიტოვებული სახლების ძარცვა და გადაწვა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც, კარგა ხნის მანძილზე გრძელდებოდა. **ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის** წარმომადგენლები, ცხინვალსა და მის შემოგარენში ვიზიტის დროს პირადად გაეცნნენ ვითარებას და 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში მოუთითეს.

> „ცხინვალის ჩრდილოეთით, გზაზე, რომელიც აერთებს თამარაშენს, აჩაბეთს, ქურთასა და კეხვს, მისიის ექსპერტები მოწმე გახდნენ იმისა, რომ ყველა ეს სოფელი დამწვარი და სრულიად გაუკაცრიელებულია.“[405]

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისია საკუთარ ანგარიშში მრავალგზის ადასტურებს, რომ ცეცხლის წაკიდება, ძარცვა, მოსახლეობის დევნა და ეთნიკური წმენდა განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის დასრულების შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ოფიციალურად ხელმოწერისა და რუსეთის ფედერაციის მიერ ამ ტერიტორიებზე კონტროლის დამყარების შემდეგ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როგორც ცხინვალის შემოგარენში, ასევე ე.წ. ბუფერული ზონის სოფლებში. ამგვარი მსჯელობის დასადასტურებლად, ევროკავშირის ფაქტების დამდგენ მისიას, ისევე როგორც მრავალ სხვა ორგანიზაციას, მაგალითად მოჰყავთ ახალგორის რაიონი, სადაც საომარი მოქმედებები ფაქტობრივად არ ყოფილა, მაგრამ მოსახლების დევნა მაინც მიმდინარეობდა.

ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიისათვის გაგზავნილ პასუხებში **რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირები** იუწყებოდნენ:

> „ქართველებმა საკუთარი სოფლები 2008 წლის 8 აგვისტომდე იმიტომ მიატოვეს, რომ მათ ჰქონდათ პირველადი ინფორმაცია თავისი სოფლების შესახებ, საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ. ეს პროცესი არ დაწყებულა არავითარ შემთხვევაში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ რაიმე კონკრეტული მოქმედებების გამო“.[406]

რუსეთის მხარის ამ განცხადებას არ იზიარებს **ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისია,** რომელმაც თავადაც ჩაწერა მრავალი ინტერვიუ ქართველ დევნილებთან, და იმავდროულად, საკუთარი შეფასებებისა და დასკვნების გაკეთებისას გამოიყენა სხვადასხვა საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მასალები. კერძოდ, დასკვნაში ვკითხულობთ:

